საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№41 (228)
6 - 12 ნოემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6

## ოქრო, სამართალი და მეხუთე კოლონა

## «ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში არც ერთი თანამდებობის პირი არ მოხვედრილა თავის სკამზე ამერიკის სადაზვერვო სამსახურის «დავერბოვკების» გარეშე»








## «არც ერთი წუთით არ მჯერა, რომ ბურჯანაძე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე, არ არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების სამსახურთან»

3



2

## «ბაღდადის ღამეები» აღმაშენებლის გამზირზე

## როგორ დაგვის ახალი ცოცხი?

5



## გვინდა თუ არა ნატო?

### დისკუსია «საქართველო და მსოფლიოს» ფურცლებზე

«ნატოში საქართველოს გაწევრიანების ერთადერთი შანსი არსებობს — საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და «სამხრეთ ოსეთის» დამოუკიდებლობა»

«ჩვენი ნატოში შესვლის შანსი მინიმალურია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს და ამის გამო სისულელე არ უნდა ჩავიდინოთ»

8

«ნატოში არ მიიღებენ ქვეყანას, რომელსაც დიდი პრობლემები აქვს რუსეთთან»

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გადაგვიდგა წინ დაცვა, ჩემდა გასაკვირად, ქართველი ბიჭი და გვითხრა, ქართველი კაცის შეშვება აქ არ შეიძლებაო. ეს არის ერაყელებისო, მაგრამ მხოლოდ კაცებს გვაქვს აკრძალვა, ქართველ კაცებს! ქართველ ქალებზე ეს აკრძალვა არ ვრცელდება. სამსახურს დაგვატოვებინებენ, რომ შეგიშვათო, გვითხრა დაცვამ. მაინტერესებს, ვინც მიაქირავა, ის ხალხი რას ფიქრობს ამაზე. ქართული წარწერებიც აღარ არის უკვე.“

# «ბაღდადის ღამეები» აღმაშენებლის გამზირზე

## თბილისის ცენტრში თურქულ კაფე-ბარებში მხოლოდ ქართველ ქალებს უშვებენ, ქართველი მამაკაცების შესვლა აკრძალულია!

ორიოდე დღის წინ ჩემი შვილის ნათლიამ მიგვიპატიჟა მე და თავისი ნათლული. დიდი ხანი არ გვენახა ერთმანეთი, საუბარს შევყევით და უკვე დაბნელებულზე მომიხდა წამოსვლა. მოგეხსენებათ, თბილისში ბავშვიან ქალს ჯერ კიდევ არავინ ერჩის, ამიტომ სრულიად დამშვიდებულმა ვიფიქრე, მოდი, ძველ პლეხანოვს გავუყვები-მეთქი.



მოვდიოდი და ბავშვს შენობებს ვაჩვენებდი, ის-ის იყო ვუთხარი, აქ ჩემს ბავშვობაში თოჯინების თეატრი იყო და შენც სკოლაში აქ მოგიწევს სიარული-მეთქი და უცებ სამი თურქი შემოგვეფეთა, საკმაოდ ხმამაღლა საუბრობდნენ თურქულად. ორიოდე წუთის შემდეგ ვიღაც არაბს წავაწყდი, მოგვიანებით — ერაყელებს. კი აქა-იქ ქართველებიც მოჩანდნენ, მაგრამ თავი ხან დამასკოში მეგონა, ხან — ბაღდადში, სტამბული ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. საღამოს 10-ის ნახევარი იყო და აღმაშენებლის პროსპექტი უკვე თითქმის დაცლილი იყო ქართველებისგან, სამაგიეროდ ჩქეფდა თურქულ-არაბული „კულტურული ცხოვრება“.

შევამჩნიე კაფე-ბარები და რესტორნები, რომლებშიც ასევე თურქები და არაბები შედი-გამოდიოდნენ. მოგეხსენებათ, ქართველ ახალგაზრდობას ძალიან იშვიათად აქვს იმდენი ფული, რომ კაფეში ან ბარში ჭიქა ყავის დასალევად შევიდეს, ამიტომ თურქებმა და არაბებმა მაინც უნდა გაიხარონ, აბა, თბილისი მკვდარი ქალაქი ხომ არ იქნება, ბოლოსდაბოლოს. ერთი სიტყვით, უჩვეულო არაფერი იყო ჩემს საყვარელ პლეხანოვზე, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო – უფულო ქართველები და მხიარული, მოქეიფე უცხოელები, მაგრამ სრულიად მოულოდნელ ინციდენტს წავაწყდი ყოფილი კაზინო „ასტორიას“ შენობაში, ამჟამად



დისკოთეკა „ბაღდადის ღამეები დისკო“-ში. ერთი კაცი საკმაოდ გაღიზიანებული ტონით ელაპარაკებოდა ორ ახმახს, აშკარად დაცვის ან პოლიციის მუშაკს. ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა, მივუახლოვდი და ყური მივუგდე. როგორც გაირკვა, დაცვის თანამშრომელი უარს ეუბნებოდა, იქ შესვლაზე, მამაკაცებს არ ვუშვებთო. გავოგნდი, ქალების დისკრიმინაცია ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, მაგრამ მამაკაცების გენდერული დისკრიმინაციის ფაქტს პირველად წავაწყდი.

როგორც გაირკვა, მხოლოდ ქალების შესვლა არის ნებადართული ბარში, მაგრამ რატომ ხდება ეს, რა მიზანი აქვს ამას და რამდენად კანონიერია — ეს საკითხები ჩვენვთის გაუგებარი დარჩა.

> «საღამოს 11 საათზე იღება. მუსიკა ხან მოთქვამს, ხან მოლასავით კივის. კაცებიც ბევრნი შედიან და ქალებიც. ისეთი სიტუაციაა, რომ იქაურობა ძალიან ჰგავს ბორდელს»

**თუ ბარის მეპატრონეებს შემოსავალი აინტერესებთ, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ფულს ვინ გადაიხდის? ქალთა კლუბი არ არის ეს დაწესებულება, საინტერესოა, რატომ აქვთ აკრძალული შესვლა მხოლოდ ქართველ მამაკაცებს? ამას ვფიქრობდი და მოულოდნელად წავაწყდი ძველ ნაცნობს, ცნობილ მსახიობს, ვახო ნოზაძეს, რომელიც ასევე აღშფოთებული იყო ამ ფაქტით.**

— თურქებითა და ერაყელებით არის სავსე აქაურობა, ადრე თუ გვიან ეს პრობლემა საქართველოში დადგება. არც ვინმეს მომხრე ვარ და არც „ნაციონალისტი“ იმ გაგებით, რომ უცხოელები არიან აქ. ბიზნესი აქვთ, შრომობენ, წვალობენ, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ჩემი ქვეყნისა და ჩემი ერის ჩაგვრის ხარჯზე. რთული პროცესი იქნება დღევანდელი მთავრობისთვის ამის დალაგება. **წარმოიდგინეთ, მივდივართ დავით აღმაშენებლის გამზირზე, ხაზს ვუსვამ, დავით აღმაშენებლის! (მე ვთვლი, რომ სიმბოლურია, და მიზანმიმართულად ხდება ეს ყველაფერი) და ვერავის ვნახავთ, ნაცნობსაც კი იშვიათად ვხვდებით. და თუ არ ისწავლეს მათ, რომ ისინი სტუმრები არიან და ჩვენ ვართ აქ მასპინძლები, მაშინ ჩვენ მოგვიწევს, თავი სტუმრებად ვიგრძნოთ.**

ჩემი შვილის თაობა ბრწყინვალე თაობაა, განათლებულები და მე ვგრძნობ, ყოველდღიურად როგორ იმატებს ამ ახალგაზრდებში აგრესია; იმიტომ, რომ აშკარად თვლიან, რომ **ზღვარს აბიჯებენ თურქები. რაღაც სასწაული ხდება, ისინი თვლიან, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ და ჩვენ აქ არაფერს წარმოვადგენთ. მე საფრანგეთიც ძალიან კარგად ვიცი, გერმანიაც, ამერიკაც და ასეთი რამ საერთოდ წარმოუდგენელია. აქ თურქები თავს არ გრძნობენ უცხო ქვეყანაში. და მე მინდა მათ მოვუწოდო, რომ ეს დღეს თუ ხვალ უნდა დამთავრდეს.**

მომენატრა ჩემი თბილისელი ბიჭები, აი, დავდივართ ხომ, ნახეთ ჩემი თაობიდან, 44 წლის ვარ, ნახევარი საფლავშია, დანარჩენი გალოთებული და დაჩაჩანაკებულია. მართლა მტკივა გული, ჩემს ქალაქში ხალისი რომ აღარ არის. რთული პერიოდი დადგება. ეს ახალგაზრდა თაობა ამას ვეღარ აიტანს. აღმაშენებლის გამზირზე ასეთი რაღაცები ხდებოდეს და ამაზე თვალს ხუჭავდეს აბსოლუტურად ყველა... მიზანმიმართული იყო მაინცდამაინც აღმაშენებლის გამზირზე თურქების შემოჭრა, სხვა ახსნას ვერ მოვუძებნი. **საზღვარგარეთ უბრალო ხმაურზეც კი მაშინვე პოლიციას იძახებენ, იჭერენ ან აჯარიმებენ და აქ თურქი რატომ უნდა იქცეოდეს გამომწვევად და რატომ უნდა მთვლიდეს მე, ქართველ კაცს, მეორეხარისხოვან ადამიანად?** რატომ უნდა სარგებლობდეს ჩემზე მეტი პრივილეგიით? ხელისუფლებას მოვუწოდებ, მიხედოს ამ საკითხს და ვთხოვ, ფრთხილად მოეკიდოს ამ თემას.

**— კაფეებისა და ბარების უმეტესობა თურქებსა და ერაყელებს ეკუთვნით, ალბათ, რაღაც მოგებაც მოაქვს, ვინ სტუმრობს ამ დაწესებულებებს?**

— ზუსტად აქ შეგვემთხვა მე და ზურა ვადაჭკორიას უცნაური ამბავი. ზურამ მითხრა, ხომ არ დავათვალიეროთ, ჩვენც გვაინტერესებს ამათი რესტორნის კულტურა, მომსახურება, მათი წეს-ჩვეულებები, მენიუ როგორი აქვთ, იქნებ ჩვენც რამე კარგი გადავიღოთ მათგანო, და გადავწყვიტეთ შესვლა. ჰოდა, **გადაგვიდგა წინ დაცვა, ჩემდა გასაკვირად, ქართველი ბიჭი და გვითხრა, ქართველი კაცის შეშვება აქ არ შეიძლებაო. ეს არის ერაყელებისო, მაგრამ მხოლოდ კაცებს გვაქვს აკრძალვა, ქართველ კაცებს! ქართველ ქალებზე ეს აკრძალვა არ ვრცელდება. სამსახურს დაგვატოვებინებენ, რომ შეგიშვათო, გვითხრა დაცვამ. მაინტერესებს, ვინც მიაქირავა, ის ხალხი რას ფიქრობს ამაზე. ქართული წარწერებიც აღარ არის უკვე.**

**— რამდენად დამამცირებელია ქართველი მამაკაცისთვის ის ფაქტი, რომ მას ეკრძალება შესვლა კაფეში, სადაც მისი მეუღლე ან და უპრობლემოდ შედის?**

— მოკლედ, სერიოზულად ვაფრთხილებ ხელისუფლებასაც და თურქებსაც: ეს ამბავი რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს.

**საინტერესოა, ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები, საქართველოს კანონმდებლობა და ზოგადად ქართული საზოგადოება როგორ შეაფასებს ამ ფაქტს.**

**ისე დავინტრიგდი, რომ ბავშვი დედაჩემს დავუტოვე და ისევ ბარში დავბრუნდი. არ ვიცი ფეისკონტროლია თუ დაცვამ ადრევე შემამჩნია (ან იქნებ სპეციალური მოსაწვევი იყო საჭირო) დაცვის თანამშრომლებმა კატეგორიული უარი მითხრეს ბარში შეშვებაზე. მხოლოდ იმის დანახვა მოვახერხე, რომ ბარში მამაკაცებიც იყვნენ, რომლებიც აშკარად არ ჰგავდნენ ქართველებს. გვერდით ორმა ქალბატონმა ჩამიარა, რომლებიც ყვითლად შეღებილი თმებით, მოკლე, პრიალა კაბებით, ერთობ გამომწვევად, რომ არ ვთქვა, ვულგარულად ან ხელმისაწვდომად, გამოიყურებოდნენ. გამოვბრუნდი და იქვე, „იოლის“ მარკეტში მომუშავე რამდენიმე გოგონას გავესაუბრე.**

„ერთი თვეა, რაც გაიხსნა. საღამოს 11 საათზე იღება. მუსიკა ხან მოთქვამს, ხან მოლასავით კივის. კაცებიც ბევრნი შედიან და ქალებიც. ისეთი სიტუაციაა, რომ იქაურობა ძალიან ჰგავს ბორდელს. უბანშიც ასე თვლიან, რომ იქ ბორდელი გაიხსნა“, — **მითხრეს გოგონებმა. გვარისა და სახელის დასახელებისგან თავი შეიკავეს. მათივე ნათქვამით, იქაური მოსახლეობა შეწუხებულია ამ მუსიკით და ამ სიტუაციით. შვილების პატრონ რომელ კაცს გაუხარდება თავისი სახლის გვერდით ეს ბაკქანალია?! პატრონი არ ჰყავს ამ ქვეყანას?**

**ქეთი ხომერიკი**

## ფრანსუა ოლანდი გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს



საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

**„ბატონო პრეზიდენტო, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი და საფრანგეთის ერის გულწრფელი მილოცვა. მივესალმები არჩევნების ისეთ ვითარებაში ჩატარებას, რომელიც, ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიშის თანახმად, კონკურენტული და გამჭვირვალე იყო, რაც ხაზს უსვამს საქართველოს დემოკრატიულობასთან და კანონის უზენაესობასთან სიახლოვეს.**

**მომავალში სიხარულით ვითანამშრომლებ თქვენთან, რათა გავაღრმავოთ თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობები ჩვენს ორ ქვეყანას შორის. იმედს ვიტოვებ, რომ შეგხვდებით 29 ნოემბერს დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე, რომლითაც აღინიშნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულთბილი სალამი“,** — ნათქვამია ფრანსუა ოლანდის მილოცვაში.

**„არც ერთი წუთით არ მჯერა, რომ ბურჯანაძე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე, არ არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების სამსახურთან. ამიტომ მისი განცხადებებიც, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან დაკავშირებით, ისეთივე ტყუილი მგონია, როგორც „ოცნების“ შემთხვევაში.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ირინა სარიშვილი:

# ბიძინა ივანიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლაში

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი.**

**— ქალბატონო ირინა, 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგი, კერძოდ „ნაცმოძრაობის“ მეორე ადგილი, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. თქვენ რამდენად ელოდით ამ შედეგს და როგორ ფიქრობთ, რა პოლიტიკური კონფიგურაცია შეიძლება მივიღოთ მომავალში?**

— შედეგს, სამწუხაროდ, ველოდი, იმიტომ, რომ ამისთვის ყველაფერი გააკეთა არა მხოლოდ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, არამედ ხელისუფლებამაც. **პირადად ბიძინა ივანიშვილმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლაში.** ის, ჯერ ერთი, უაპელაციოდ აღიარებდა ყველა საეჭვო სოციოლოგიური კვლევის შედეგს, ენდიაის მიერ მომზადებული იქნებოდა ეს თუ მისი, კონკრეტულად ზურაბ ბიგვავას მიერ ჩატარებული და ამასთან არჩევნებამდე, მან ულტიმატუმის შემცველი რამდენიმე განცხადება გააკეთა მეორე ტურის მიუღებლობასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ფაქტობრივად „ნაციონალების“ ამომრჩევლის კიდევ უფრო მეტად მოტივირება და მობილიზება. მოკლედ, ასე მოხდა თუ ისე, გაყალბებებთან ერთად და წინასაარჩევნო ყველა მანიპულაციის გათვალისწინებით მეორე ადგილზე გავიდა ბაქრაძე. საერთოდ, **ბიძინა ივანიშვილის ნაბიჯები ძალიან მაგონებს მაღალი კლასის მოთამაშის მოქმედებას და ზოგჯერ მგონია, რომ კაზინოში ვცხოვრობთ.** მოდის ეს კაცი და მუდმივად გვიგებს ყველას, შედეგად მივიღეთ — ის სიხარული, რომ „ნაციონალები“ აღარ არიან ხელისუფლებაში, რეალურად ჩაიშალა.

**— გარდა ამისა, „ნაცმოძრაობამ“ საკუთარი 40 პროცენტის ლეგიტიმაციაც მოახდინა. აწი ისინი უფრო თამამად იტყვიან ხოლმე, მთავარი ოპოზიციური ძალა ვართო.**

— ამაზე კიდევ ცალკე შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ ახლა ხელისუფლების პოზიციაა უფრო მნიშვნელოვანი. **ბიძინა ივანიშვილი ხაზგასმით აცხადებდა და დღესაც აცხადებს, რომ მას რუსეთი ვერ შეაჩერებს, რომ ის გააგრძელებს პროდასავლური გზით სვლას და აღებულ კურსს არ გადაუხვევს. ეს ყველაფერი უკვე გასაგებს ხდის, რომ საკითხების ერთი ნაწილი პრაქტიკულად გადაწყვეტილია.** მხედველობაში მაქვს საგარეო პოლიტიკა, და საერთოდ, რის საფუძველზე უპირისპირდებიან ხოლმე ერთმანეთს პარტიები? თუკი მათ შორის ფუნდამენტური სტრატეგიული თანხვედრა არსებობს, გაუგებარია, რანაირად ითვლება ერთი მეორის ოპოზიციად. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ის, რომ არჩევნების მერე გუბერნატორები მარშით გადადგნენ და იგივე გიგა ბოკერიაც წავიდა, არ ნიშნავს „ოცნების“ გამარჯვებას. ეს ხალხი რომც არ წასულიყო, რაღაც პერიოდის შემდეგ ისინი ავტომატურად ითვლებიან გადამდგარად და ახალმა პრემიერმა თავიდან უნდა დანიშნოს ადამიანები ამ თანამდებობებზე.

**— რისთვის ემზადებიან „ნაციონალები“, როგორ ფიქრობთ?**

— ჩემი აზრით, **ისინი ელოდებიან ხელსაყრელ დროს, რათა განახორციელონ სერიოზული შტურმი. სავარაუდოდ, ეს იქნება გაისად, ალბათ, სადღაც თებერვლიდან გაზაფხულის ჩათვლით. ამ შემთხვევაში უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა დასაყრდენს იპოვიან ისინი პარლამენტის შიგნით.**

**— თქვენ თქვით, რომ „ოცნებას“ და „ნაცმოძრაობას“, იდეის დონეზე, გასაყოფი და ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. თუ ეს ასეა, მაშინ რა შტურმზე ვლაპარაკობთ, რის საფუძველზე შეიძლება მათ შორის რეალური დაპირისპირება მოხდეს?**

— აქ დამკვიდრებულია ორი პოლიტიკური სუბიექტი და ორივეს უკან დგას ერთი ძალა. აქედან გამომდინარე, უკვე შიდაკონკურენციას ხელს არავინ შეუშლის, ვინაიდან არც ერთ შემთხვევაში შეერთებული შტატები არ რისკავს. იქაც და იქაც მას საკუთარი დასაყრდენი აქვს და მშვიდადაა.

**— და თუკი მათ მიერ გაუკონტროლებელი ძალა მოვა ხელისუფლებაში?**

— მაშინ, ცხადია, იქნება სერიოზული ჩარევა. მეტსაც გეტყვით, **ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში არც ერთი თანამდებობის პირი არ მოხვედრილა თავის სკამზე ამერიკის სადაზვერვო სამსახურის „დავერბოვკების“ გარეშე.** ამას გეუბნებით არა ვარაუდით, არამედ ზუსტად და ძალიან კარგად ვიცი, როგორ ცდილობდა შეერთებული შტატების უშიშროება აბსოლუტურად ყველა ჩვენგანზე გამოსვლას.

**— თავის დროზე, როცა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლაზე განცხადება გააკეთა, მისი ოპონენტების მხრიდან გაისმა ბრალდებები „ქართული ოცნების“ პრორუსულობასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ეს ბრალდებები საზოგადოების თვალის ასახვევად იყო?**

— რა თქმა უნდა, ეს იყო აბსოლუტურად გამიზნულად გაშვებული ხმა, რომ ხალხი, რომელიც ცოტა სხვანაირად ფიქრობდა, მიეზიდათ ივანიშვილისკენ; ანუ საზოგადოების რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე ნაწილის კონცენტრაცია უნდა მოეხდინათ ისევ პროამერიკულ ძალაზე და ეს ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, რომ საზოგადოება კარგა ხანს ვერაფერს მიმხვდარიყო. საბოლოო ჯამში **ჩვენ მხოლოდ ვიზუალში მივიღეთ სხვაობა, თორემ შინაარსობრივად არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, შეურაცხყოფები, რომელთაც სააკაშვილი თავისი ჭიხვინით აყენებდა მოსახლეობას, ახლა ცოტა სხვანაირი ქმედებით შეიცვალა.**

**— მოკლედ, 1-ლი და 27 ოქტომბრის არჩევნებში საზოგადოებამ საკუთარი ნება ვერ გამოხატა, ხალხი სულ სხვა რამეს ელოდა და შედეგად სულ სხვა რამ მივიღეთ. როგორ ფიქრობთ, რა გზა რჩება მოსახლეობას იმისთვის, რომ მიმდინარე პროცესების მართვაში რეალურად ჩაერთოს?**

— არ მიყვარს პესიმისტური პროგნოზების გაკეთება, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და არც ეს იქნება გამოუვალი, მაგრამ რაც მეტი დრო გადის, სულ უფრო ვიწროვდება ის სინათლის სხივი, საიდანაც შეიძლება, საქართველომ თავი დააღწიოს ამ ვითარებას. **ერთის მხრივ, საგარეო პოლიტიკის არშეცვლა უზარმაზარი ფიზიკური საფრთხეების წინაშე აყენებს ქვეყანას და მეორე მხრივ — საშინაო პოლიტიკის „ნაციონალებთან“ შეთანხმებით გატარება უკვე იმას ნიშნავს, რომ დამოკიდებულება ხალხის მიმართ რჩება აბსოლუტურად იგივე.** კიდევ ვიმეორებ: არ მინდა, რაღაც შავი მომავალი დავხატო, მაგრამ ხომ ძალიან ძველი ერი ვართ, ბოლოსდაბოლოს გადაშენებულან ეს ძველი ერები და ჩვენც გადავშენდებით.

**— ესეც მიზანმიმართული გეგმაა?**

— მიზანმიმართულია თუ არა, ეს პოლიტიკა აქეთკენ მიდის. ისევე, როგორც დღევანდელი რომაელები იმ ძველი რომაელების შთამომავლები არ არიან და არც ბერძნები არიან ის ძველი ელინები, ჩვენც გადავშენდებით. მერე, ალბათ, დარჩება ერის ძალიან მცირე ნაწილი, რომელიც გამრავლდება, თუ გამრავლების მეთოდებსაც არ შეცვლიან და მას დაერქმევა ქართველი.

**— ივანიშვილის შემცვლელად ირაკლი ღარიბაშვილი დასახელდა. ეს მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, მაგრამ, თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს ის მიმდინარე პროცესებზე? რამდენად არის ღარიბაშვილი ის ფიგურა, რომელმაც, შესაძლოა, რაიმე კორექტივები შეიტანოს ხელისუფლების მიერ არჩეულ თუნდაც საშინაო პოლიტიკურ კურსზე?**

— შეზღუდული უფლებების პრემიერმინისტრს, მით უმეტეს ივანიშვილზე დავალებულს, ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც მარგველაშვილის შემთხვევაში არ ჰქონდა, მაგრამ სიმბოლური დატვირთვა, ცხადია, გააჩნია. **ღარიბაშვილი არის ფიგურა, რომელიც ძალიან დიდი დარტყმის ქვეშ დგება ნებისმიერ შემთხვევაში, იმიტომ, რომ მისი დამარცხებით და გადაყენებით „ნაციონალები“ მნიშვნელოვან ქულებს იწერენ.** გარდა ამისა, ღარიბაშვილი ის ფიგურაა, რომელიც რესპუბლიკელებს არ უნდათ, ამიტომ მისი დაყენება ასეთი დარტყმის ქვეშ ჩემთვის ცოტა გაუგებარია.

**— მაინც რითაა ღარიბაშვილი რესპუბლიკელებისთვის მიუღებელი?**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის არაა იმ ფსევდოლიბერალური ღირებულებების მატარებელი, რომლებიც რესპუბლიკელებს გააჩნიათ. თან ფაქტობრივად ერთადერთი ადამიანია ხელისუფლებაში, რომელიც კოაბიტაციის დასრულებაზე ისე ლაპარაკობს, როგორც ეს ხალხს მოუნდა, რომ გაეგო...

**— საპრეზიდენტო კანდიდატზეც გკითხავთ: წინასაარჩევნო პერიოდში 23-ვე კანდიდატი ამბობდა, რომ დაალაგებდა ურთიერთობას რუსეთთან, თუმცა არც ერთ მათგანს არ წარმოუდგენია კონკრეტული გეგმა. ყველაზე გამოკვეთილად ნინო ბურჯანაძე აცხადებდა, თუ როგორ შეძლებდა ამას. დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში თუ არსებობს რეალური ძალა, რომელსაც კრემლში მოლაპარაკებათა მაგიდას მიუჯდება?**

— **არც ერთი წუთით არ მჯერა, რომ ბურჯანაძე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე, არ არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების სამსახურთან. ამიტომ მისი განცხადებებიც, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან დაკავშირებით, ისეთივე ტყუილი მგონია, როგორც ეს მოხდა „ოცნების“ შემთხვევაში.** მეტსაც გეტყვით, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი გასვლით მესამე ადგილზე ჩამკეტი გააკეთეს. ესაა ზღვარი, რომლის მიღმაც ვერასოდეს გადავა ძალა, რომელიც არ იქნება პროამერიკული.

**— ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ იმ სამეულში განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე სუბიექტები ვერასოდეს მოხვდებიან. რა მექანიზმებით შეიძლება გაჯანსაღდეს ეს სივრცე?**

— ადრეც მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: **ახლა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა იხსნის საქართველოს. ვინც რა უნდა, ის იგულისხმოს ამაში. ქირურგია თერაპიისგან განსხვავდება იმით, რომ ბევრად უფრო სწრაფია და საერთოდ, როცა დაავადება უმძიმესია, იქ თერაპიას არავინ მიმართავს.** დღევანდელ მდგომარეობაში ქირურგია იქნება ის, რომ მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც მუშტების ქნევას კი არ დაიწყებს, არამედ რეალობას გაითვალისწინებს. აი, ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ გამოსავალზეც, მომავალზეც და პერსპექტივებზეც.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**«ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში არც ერთი თანამდებობის პირი არ მოხვედრილა თავის სკამზე ამერიკის სადაზვერვო სამსახურის «დავერბოვკების» გარეშე»**



**«არც ერთი წუთით არ მჯერა, რომ ბურჯანაძე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე, არ არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების სამსახურთან»**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიციური პარტიები ბევრს საუბრობენ ბოლო, საპრეზიდენტო არჩევნების უპრეცედენტობაზე და მართალიც არის, ასეთი არჩევნები ჩვენს ქვეყანას არ ახსოვს, რადგან ამბის გამომტანი ადამიანი არ იყო, კომისიაში მხოლოდ კოაბიტირებული პარტიები, ანუ 13-ვე წევრი მხოლოდ „ნაცების“ და „ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ.**

# ვისთვის გაყალბდა არჩევნები, ანუ პოლიტსექსი პრეზიდენტის ტახტზე

**საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები უპრეცედენტოდ დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარდაო, ასე ამბობენ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც და მთელი მსოფლიოდან ჩამოსული დამკვირვებელთა არმიაც. ამ დრომდე ჩვენს ქვეყანაში მუდამ იმაზე ვჩიოდით, რომ არჩევნები ყალბდებოდა და ეს ასეც იყო. ამის მიზეზად ყველაზე ხშირად ამომრჩეველთა სიების უზუსტობა სახელდებოდა. „ნაცებმა“ ამის გასაბათილებლად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სიების დაზუსტების კომისია შექმნეს და მილიონი ლარიც დახარჯეს, მაგრამ იმ პერიოდში ოპოზიციაში მყოფი კოალიცია „ქართული ოცნება“ „ნაცების“ დაზუსტებულ სიებს არ ენდობოდა, იმის მიუხედავად, რომ სიების დაზუსტებაში კოალიციაში შემავალი მრეწველთა პარტიაც მონაწილეობდა. ასე და ამგვარად, საპარლამენტო არჩევნები მაინც ჩატარდა, არ არსებული ორმოცი პროცენტი „ნაციონალებმა“ გამარჯვებული „ოცნების“ დასტურით დაიმტკიცეს და ყველაფერი ბედნიერად დასრულდა. უფრო მეტიც, როგორც ყველაზე „წარმატებული და სამართლიანი“ არჩევნების ჩამტარებელი ხარატიშვილი პრეზიდენტობის დაფინანსებული კანდიდატიც კი იყო.**

საპრეზიდენტო არჩევნებისას კი დაუზუსტებელ სიებზე „ნაცებმა“ და პარლამენტს გარეთ დარჩენილმა ოპოზიციამ ერთდროულად დაიწყეს საუბარი და მთავრობას არჩევნების გაყალბების მცდელობაში ადანაშაულებდნენ, **გაყალბების დიდი შანსი მას მერე გაჩნდა, რაც ბიძინა ივანიშვილმა საქვეყნოდ ფაქტობრივად მითითება გასცა, რომ მარგველაშვილისთვის 60% უეჭველი ჭირდებოდა, ასევე საუბარი იყო ადმინსტრაციული რესურსის გამოყენებაზეც, რაც პრემიერის განცხადების შემდეგ გაათმაგდა, მათ პრემიერის მითითების შესრულება დაიწყეს. მცდელობის მიუხედავად, ყველა კარს მიღმა დარჩენილ ოპოზიციას არაფერი გამოუვიდა, ყველაფერი ძველებურად დარჩა.**

არჩევნებიდან მეორე დღესვე ფრთხილად, მაგრამ მაინც, საუბარი კვლავ დაიწყო იმაზე, გაყალბდა თუ არა საპრეზიდენტო არჩევნები. გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ თემა მაინც აქტუალური რჩება. ვის გამო გაყალბდა არჩევნები?!

თუ გავიხსენებთ ლევან ბერძენიშვილის ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლას, მაშინ დიდი ფიქრი არ არის საჭირო იმისთვის, თუ ვის სჭირდებოდა არჩევნების გაყალბება — კვლავ „ნაცებს“, ოღონდ ამ შემთხვევაში — ხელისუფლებასთან შეთანხმებით.

პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიციური პარტიები ბევრს საუბრობენ ბოლო, საპრეზიდენტო არჩევნების უპრეცედენტობაზე და მართალიც არის, ასეთი არჩევნები ჩვენს ქვეყანას არ ახსოვს, რადგან ამბის გამომტანი ადამიანი არ იყო, კომისიაში მხოლოდ კოაბიტირებული პარტიები, ანუ 13-ვე წევრი მხოლოდ „ნაცების“ და „ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ. არც საზოგადოებას და არც პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებს მათი დიდი ნდობა ისედაც არ ჰქონდათ, მაგრამ არჩევნების შემდეგ დადასტურდა, რომ ეს ასე იყო საჭირო.

თუ ერთხელ მაინც ვინმე საარჩევნო კომისიაში ყოფილა, ყველას გაახსენდება, საარჩევნო კანონების ზედმიწევნით მცოდნე ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები. მათი იქ ყოფნა ყოველთვის იმით გამოირჩეოდა, რომ ასეთი არაპროფესიონალურად გაყალბებული ოქმი არამცდაარამც გარეთ არ გამოვიდოდა. არჩევნები ყალბდებოდა, მაგრამ ისე, რომ გარეშე თვალისთვის შესამჩნევი არ ყოფილიყო.

იყო თუ არა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბებული და, თუ იყო, ვის სასარგებლოდ? ამ ერთადერთი შეკითხვით მივმართეთ ადამიანის უფლებათა დამცველ **ნანა კაკაბაძეს**, რომელიც არჩევნების მონიტორინგს აქტიურად აწარმოებს; ასევე ვესაუბრეთ მოძრაობა „სოლიდარობის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს — **მამუკა არეშიძეს.**

**— ეს არჩევნები მეტყველებდა იმაზე, რომ ორი ძალა ერთმანეთს გაურიგდა, ვგულისხმობ „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“. ამის თქმის უფლებას ის მაძლევს, რომ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე საუბარი იყო იმაზე, რომ მეორე ადგილზე „ნაციონალები“ გავიდოდნენ, რაც ყველასთვის წარმოუდგენელი იყო.**

— ჩვენ, განსაკუთრებით რეგიონებში, თითქმის ყველგან კოორდინატორები და დამკვირვებლები გვყავდა მივლენილი. ნინოწმინდაში, წალკაში და საერთოდ, ისეთ რეგიონებში, სადაც ქართველები უმცირესობაში არიან, ერთ ღამეში შეიცვალა სიტუაცია, ჩადიოდნენ „ნაციონალები“ და ადამიანებს შეხედულებას აცვლევინებდნენ. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ფულის გადაცემის ფაქტები, მაგრამ ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, რომ ფაქტები მოეძიებინა, ისინი არ დაინტერესებულან.

ასევე, ამ არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ კომისიაში წარმომადგენელი მხოლოდ და მხოლოდ ორ ძალას ჰყავდა „ნაციონალებს“ და „ოცნებას“, რაც არასწორი იყო; უფრო მეტიც, ვერც გაარჩევდით, რომელი რომლის წარმომადგენელი გახლდათ. უბნებზე საოცარი ჰარმონია სუფევდა. **ჩვენი დამკვირვებლები, რომლებიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი იყვნენ საარჩევნო ვითარებაში, გაოცებულნი ყვებოდნენ, თუ რა სიმშვიდე და თბილი ატმოსფერო იყო არჩევნების დღეს. ხოლო ისინი, რომელთაც ცოტა გამოცდილება ჰქონდათ, ამბობდნენ, რომ არავითარი კონკურენცია არ შეიმჩნეოდა და ამით ძალიან განსხვავდებოდა დანარჩენი არჩევნებისგან.**

ასეთი ინფორმაციის შემდეგ ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ყველაფერი უკვე შეთანხმებული, დალაგებული სქემით მიმდინარეობდა.

გაყალბება იყო, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ ამის ინგორირებას ის იწვევს, რომ ყველაფერი შეთანხმებული იყო.

**— ქალბატონო ნანა, გაყალბება არ ჭირდებოდა მარგველაშვილს, ბაქრაძის სასარგებლოდ გაყალბდა? იმის გამო, რომ „ნაცებს“ 20% ჰქონოდათ?**

— დიახ, **რაც მოხდა, „ნაციონალების“ მეორე ადგილისთვის მოხდა.**

**მამუკა არეშიძე:**

— გაყალბებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მაქვს. რაც მონაყოლ ამბად ვიცი, იმაზე არ ვილაპარაკებ. ვიცი, უტყუარი ინფორმაცია მაქვს, თუ რა მოხდა დიდუბეში. **არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ამომრჩევლები მოისყიდეს არც თუ მცირეოდენი თანხით — 300 ლარით. ამას „ნაციონალები“ აკეთებდნენ, თანაც ჩარიცხვით.** ეს — რაც შეეხება თბილისს, აღარ ვისაუბრებ მარნეულზე, სადაც ტოტალური მოსყიდვები და გაყალბება ხდებოდა. **გარდაბანში, ვინც არჩევნებს ხელმძღვანელობდა, ის ადამიანი ორ ფრონტზე თამაშობდა, ეხმარებოდა „ქართულ ოცნებასაც“ და „ნაციონალებსაც“. ეს ხელმძღვანელი კი ამჟამინდელი დეპუტატია.**

აზერბაიჯანულ სოფლებში დიდი სხვაობით ზოგან მარგველაშვილი იგებდა, მაგალითად, ჯანდარაში, ხოლო ვახტანგისში დიდი უპირატესობით ბაქრაძე იგებდა. ეს, ძირითადად, ყველგან ასე ხდებოდა. არაფრის დამტკიცება არ შემიძლია, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ეს ორი ძალა ერთმანეთს გაურიგდა.

„ქართული ოცნების“ კომისიის წევრებს, „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, გამოცდილება აკლიათ. მაგალითად, **ბათუმში 5 ათასი ადამიანი უმისამართოდ აღმოჩნდა. ბათუმი არ არის საიმისოდ დიდი ქალაქი, რომ 5 ათასი ხმის იგნორირება მოახდინო. თან ამ ადამიანებს წინა არჩევნებში მისამართი ჰქონდათ და ახლა გაუქრათ. მათი ნაწილი ბურჯანაძის მომხრე იყო, ნაწილი კი — მარგველაშვილის, მაგრამ ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.** ისინი ამბობენ, რომ კარდაკარ მოსიარულეებთან ჩვენს მოსაზრებას ვაფიქსირებდით და ამან გამოიწვია ჩვენი სიიდან ამოღებაო. კარდაკარის პროგრამას ვინც ატარებს, ვიცით. ამას გადამოწმებულ ინფორმაციას გაწვდით. „ნაციონალების“ პროცენტი თითიდან გამოწოვილი იყო. მათ არჩევნების გაყალბების მეთოდები სისხლში აქვთ, იქნება ეს მოსყიდვები, მუქარა, დაპირება, ორ-ორი საბუთის დარიგება, ყალბი საბუთის დაბეჭდვა თუ რაც გინდათ.

**წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა რედაქციაში მოვიდა ინფორმაცია, რომელიც მამუკა არეშიძის სიტყვებს ადასტურებდა. მოქალაქე ლილუაშვილმა გაყალბებული ბიულეტენის ასლი მოგვაწოდა. დარიგებულია ორ-ორი ბიულეტენი, ერთი და იგივე პიროვნება რეგისტრირებულია სხვადასხვა ნომრით, რაც აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ სიები გაორებულია. მოქალაქე ლილუაშვილი ამბობს, რომ ასეთი ბიულეტენები ძალიან ბევრ ოჯახში მივიდა.**

**პრემიერმინისტრთან გამართულ შეხვედრაზე „საქართველო და მსოფლიომ“ არჩევნების გაყალბებასთან და დაუსჯელ ადამიანებთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა, მან დაადასტურა, რომ არჩევნები ყალბდებოდა.**

**ამ არჩევნების გაყალბებაში ბიძინა ივანიშვილის წვლილს ვერავინ ხედავს, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთხელ მაინც რომ დასჯილიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ საქმეში იწვრთნებოდნენ, ასეთი რეალობის წინაშე არ დავდგებოდით. მაგალითად, ხათუნა გოგორიშვილი და მიშა მაჭავარიანი თავლთახედვიდან კი არ უნდა მოეშორებინათ, პირიქით, სახალხოდ უნდა დაესაჯათ.**

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ხელისუფლების ძალისხმევით „ნაცების“ სასარგებლოდ წარმატებით გაყალბდა.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**


საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნები ფორმა №5-4.18.02
თქვენ ხმას ელით
№03 საბურთალოს საარჩევნო ოლქის, №08 საარჩევნო უბანი
ბალანჩივაძის ქ. კორპუსი # 5, ბალანჩივაძის ქ. კორპუსი # 5
№ 692. ლილუაშვილი ვიოლეტა; 16.11.1973; თბილისი ვ.დოლიძის ქ. N 22 ბ. 38
მიმართვის ბოლო ვადა: 11.10.2013, 18:00-მდე
(+995 32) 2 51 00 51
საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები - 27.10.2013
№03 საბურთალოს ოლქი, საარჩევნო უბანი №08; ბალანჩივაძის ქ. კორპ. № 5, ბალანჩივაძის ქ. კორპ. № 5
ლილუაშვილი ვიოლეტა; 16.11.1973; თბილისი ვ.დოლიძის ქ. N 22 ბ. 38
ამომრჩეველთა სიაში თქვენი ნომერია № 694

## დარიგებულია ორ-ორი ბარათი, ერთი და იგივე პიროვნება რეგისტრირებულია სხვადასხვა ნომრით, რაც აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ სიები გაორებულია

**უკვე დღეს არაერთი კომენტატორი წინასწარმეტყველებს დიდ დაპირისპირებას ღარიბაშვილსა და ალასანია-რესპუბლიკელებს (და მათთან ფარულ ალიანსში მყოფ „ნაციონალებს“) შორის, ეს გამორიცხული ნამდვილად არაა, თუმცა ეს დაპირისპირება რეალური არა იდეოლოგიის ან საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის ნიადაგზე, არამედ გავლენის სფეროების ბანალური გადანაწილების გამო მოხდება.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ დაგვის ახალი ცოცხი?

**არაერთი ქართველი პოლიტიკოსის კარიერის ქვაკუთხედს თავის დროზე ჩადენილი ღალატი წარმოადგენს. ირაკლი ღარიბაშვილმა, მათგან განსხვავებით, არჩევანი ერთგულების სასარგებლოდ გააკეთა და ძალზე შთამბეჭდავ შედეგს მიაღწია. ის საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა მმართველი გახდა მონარქიის გაუქმების შემდგომ პერიოდში და ამ მხრივ არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის, არამედ კანდიდ ჩარკვიანისა და ლავრენტი ბერიას რეკორდები მოხსნა.**



**ახალ პრემიერს დამოუკიდებელი ტაქტიკური მოქმედებისთვის და ინიციატივის გამოვლენისთვის საკმაოდ დიდი სივრცე ექნება**

**საზოგადოების უმრავლესობა არ აღიქვამს ირაკლი ღარიბაშვილს (და მით უმეტეს მართვის რეალური ბერკეტების არმქონე გიორგი მარგველაშვილს) ქვეყნის პირველ პირად, იმ უზარმაზარი უფლებების მიუხედავად, რომელიც მას საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ ექნება. ასეთად ბიძინა ივანიშვილს განიხილავენ, ხოლო ორ ხსენებულ ახალგაზრდას მხოლოდ და მხოლოდ მისი ნების უსიტყვო გამტარებლებად, უხეშად რომ ვთქვათ, — მარიონეტად. საინტერესოა, რომ ივანიშვილის მიერ მათი მართვის პროცესი ხშირად წარმოუდგენიათ, როგორც მუდმივი ინსტრუქტაჟის რეჟიმი. არადა, დიდი ალბათობით, ეს ასე არ იქნება.**

ალბათ, გასაგებია, საიდანაც მოდის ეს მცდარი წარმოდგენები — მიხეილ სააკაშვილი მუდამ ერეოდა მიკრომენეჯმენტში, პერმანენტულად იჭრებოდა არა მხოლოდ მინისტრების, არამედ დაბალი რგოლის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის სფეროში და (ფრიად ქაოტურად, უსისტემოდ) მათი ფუნქციების ნაწილს საკუთარ თავზე იღებდა. **წარმოდგენები „მარიონეტის ფენომენზე“ საქართველოში იმ სავარაუდო როლის გათვალისწინებით ყალიბდებოდა, რომელსაც სააკაშვილისთვის დავით ბაქრაძე შეასრულებდა, თუ „ნაციონალები“ 2012-ში საპარლამენტო და შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებდნენ, ანუ საუბარი მიდიოდა თოჯინაზე, რომელიც მართვის პროცესში მხოლოდ სიმბოლურად მონაწილეობს.** ივანიშვილის შემთხვევაში პროცესი, სავარაუდოდ, სხვაგვარად წარიმართება — ის სტრატეგიის შემუშავებით დაკავდება, მიკრომენეჯმენტს არ მიეკარება, ხოლო დეტალურ ინსტრუქციებს ღარიბაშვილს განსაკუთრებულ შემთხვევაში მისცემს, სავარაუდოდ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მძიმე შეცდომებს დაუშვებს (თუ დაუშვებს). **ახალ პრემიერს დამოუკიდებელი ტაქტიკური მოქმედებისთვის და ინიციატივის გამოვლენისთვის საკმაოდ დიდი სივრცე ექნება.**

საერთოდ, იმ სისტემის ანალოგის მოძებნა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ქმნის, არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნების ისტორიაშიც რთულია. ბოლო დროს ქართულ მედიაში გახშირდა დენ სიაოპინისა და ლი კუან იუს ხსენება, მაგრამ ერთიც და მეორეც, კულისებში გადასვლამდე, ერის არაფორმალური ლიდერის როლის მორგებამდე, ოფიციალურ თანამდებობებს წლების და ათწლეულების განმავლობაში იკავებდნენ; მოსახლეობამ და ელიტამ ასე თუ ისე იცოდა, რას წარმოადგენენ ისინი, როგორია მათი მსოფლმხედველობა, რა მიზნებს ისახავენ, მართვის რა ტექნოლოგიებს იყენებენ და ა. შ. საქართველოში საქმე სხვაგვარადაა. **არაერთმა მოქალაქემ ჯერაც ვერ გაარკვია, რა უნდა ბიძინა ივანიშვილს, ახლა კი იმის დადგენა-ამოცნობა მოუწევს, რას წარმოადგენს ირაკლი ღარიბაშვილი, რა სტილში მართავს სახელმწიფო მანქანას და რა ურთიერთობა ექნება ამ ორ პიროვნებას, ამდენი იქსი და იგრეკი აინშტაინის ხელნაწერებშიც არ მოიძებნება.**

სხვათა შორის, იმ წლებში, რომელთაც კომენტატორები, ლი კუან იუს შემთხვევაში, ხშირად შეცდომით „გადადგომის შემდგომ პერიოდად“ მოიხსენიებენ, მას თავისი შვილის, ლი სიანლუნის, მინისტრთა კაბინეტში სპეციალურად მისთვის შექმნილი უნიკალური, „მინისტრ-მენტორის“ თანამდებობა ეკავა (2004-2011). ეს, ერთი შეხედვით, საპატიო ფორმალობაა, მაგრამ, შესაძლოა, ამ ჟესტით **სინგაპურის რეფორმების მთავარმა არქიტექტორმა, სხვა ყველაფერთან ერთად, აჩვენა მოსახლეობას, რომ კვლავინდებურად იზიარებს პასუხისმგებლობას იმ პოლიტიკაზე, რომელსაც მისი მოწაფეებისგან შემდგარი მინისტრთა კაბინეტი ატარებს.**

რაც შეეხება დენ სიაოპინს, ის ოფიციალურ პოსტებს მხოლოდ 1989 წლის ივნისში, 84 წლის ასაკში დაემშვიდობა. ამ დროისთვის მას უკვე ჩამოყალიბებული (და ნაწილობრივ რეალიზებული) ჰქონდა თავისი ლეგენდარული რეფორმების სტრატეგია და საკმარისზე მეტი თანამოაზრე ჰყავდა. საინტერესოა, რომ დენის გადადგომის შემდეგ ჩინეთის ხელისუფლებაში მისმა ოპონენტებმა იმძლავრეს და 1992-ში მას პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩარევა და სერიოზული ბრძოლის გადატანა მოუხდა. მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ, **დიდების მწვერვალზეც კი, დენ სიაოპინს აზრადაც არ მოსვლია, საჯაროდ ეთქვა, რომ უკვე შერჩეული ჰყავს პრემიერმინისტრი ან (სიტყვაზე) შანხაის მერი, მას არასოდეს დაუყენებია თავი პარტიაზე და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპზე მაღლა.** საერთოდ, ნებისმიერ პარალელს საქართველოსთან ამ შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირული ხასიათი თუ ექნება, ჩინეთში (და სინგაპურში) პრინციპულად განსხვავებული სიტუაცია იყო. ასე რომ, ალბათ, აჯობებს, დავუბრუნდეთ ამხანაგ ძიან ძემინს, უფრო სწორად ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და იმ უნიკალურ სიტუაციას, რომელიც საქართველოში შეიქმნა.

თუ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში წარმოდგენილ იდეოლოგიურ აჯაფსანდალს ორ პირობით პოლუსამდე (ლიბერალები — კონსერვატორები) დავიყვანთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ ახალი პრემიერი, დეკლარირებული ნეიტრალურობის მიუხედავად, მეორესთან გაცილებით ახლოს დგას. ამასთანავე, „ლიბერალურ პოლუსის“ სიახლოვეს კონცენტრირებული ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ვაშინგტონის პოზიციაზე კრიტიკულად დამოკიდებული არ არის (რაც არ ნიშნავს, რომ მისი გათვალისწინება საერთოდ არ მოუწევს). **უკვე დღეს არაერთი კომენტატორი წინასწარმეტყველებს დიდ დაპირისპირებას ღარიბაშვილსა და ალასანია-რესპუბლიკელებს** (და მათთან ფარულ ალიანსში მყოფ „ნაციონალებს“) **შორის, ეს გამორიცხული ნამდვილად არაა, თუმცა ეს დაპირისპირება რეალური არა იდეოლოგიის ან საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის ნიადაგზე, არამედ გავლენის სფეროების ბანალური გადანაწილების გამო მოხდება.**

რაც უფრო თავდაჯერებულად იგრძნობს თავს ღარიბაშვილი, რომელიც, სავარაუდოდ, სულ უფრო გააძლიერებს პარტია (და არა კოალიცია) „ქართულ ოცნებას“, მით უფრო შევიწროებულად იგრძნობენ თავს ალასანიას ჯგუფი და რესპუბლიკელები. **რაღაც მომენტში ალასანიას წინდაუხედავმა ამბიციურობამ, რესპუბლიკელების ამბიციურმა წინდაუხედაობამ ან კიდევ ღარიბაშვილის სიხისტემ და პოლიტიკურმა გამოუცდელობამ შეიძლება დიდი კრიზისისთვის დეტონატორის როლი შეასრულოს.** თუმცა პრობლემის სათავე ამ თვისებებში როდია; უბრალოდ, გარდამავალ პერიოდში ალასანიამ და რესპებმა გავლენის უფრო დიდი სფეროს დაკავება მოინდომეს, ვიდრე შენარჩუნება ძალუძთ. ეს სავარაუდო დაპირისპირება, დიდი ალბათობით, შეფუთული იქნება, როგორც იდეოლოგიასთან თუ ორიენტაციასთან დაკავშირებული კონფლიქტი, თუმცა, ალბათ, იმთავითვე უნდა გავაცნობიეროთ, რომ იდეოლოგია ამ შემთხვევაში მეათეხარისხოვანია. ალასანია-რესპუბლიკელების იდეურ არამდგრადობას თავი დავანებოთ — **თუ ბიძინა ივანიშვილი ურჩევს ირაკლი ღარიბაშვილს, პლატფორმა შეცვალოს, ის, დიდი ალბათობით, ორიოდე დღეში ჩამოყალიბებულ ლიბერალად ან** (რჩევას გააჩნია) **ტრადიციონალისტად, ან სულაც სოციალისტ-რევოლუციონერად თუ ანარქისტ-ინდივიდუალისტად მოგვევლინება** (გეოპოლიტიკური ორიენტაციით ნებისმიერ ქვეყანაზე, ზიმბაბვეს ჩათვლით).

**იმის მტკიცება, რომ ეს დაპირისპირება აუცილებლად უკიდურესად მწვავე ფორმებს მიიღებს, არ შეიძლება, მაგრამ, თუ ასე მოხდება, უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, რა ფორმით ჩაერთვება ბიძინა ივანიშვილი მის დარეგულირებაში.** ირაკლი ღარიბაშვილი, ყველა პლუსის მიუხედავად, პოლიტიკურად გამოუცდელია და შეიძლება ზედმეტად ხისტი ნაბიჯები გადადგას, მითუმეტეს, რომ საზოგადოების ნაწილი, პრინციპში, თანახმაა, კარტ-ბლანში მისცეს. მან ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ ოპონენტებმა არადემოკრატიულობაში არ დაადანაშაულონ, თუმცა დღეს ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, რომ ეს გამოუვა. ამ ჰიპოთეტური დაპირისპირების ფინალი შეიძლება მისი ოპონენტების მხრიდან ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირების მცდელობა გახდეს, რის შემდეგაც ბრძოლა საქართველოსთვის ესოდენ ნაცნობ სიბრტყეში „ან ჩვენ, ან ისინი“ გადავა. იმედია, ბიძინა ივანიშვილს ამ სავარაუდო საფრთხეების ნეიტრალიზების ტაქტიკა შემუშავებული აქვს. ისე კი, გამორიცხული არაა, ოპონენტებმა ღარიბაშვილს დაუყოვნებლივ შეუტიონ, რათა პოზიციების გამაგრება-გაფართოების შესაძლებლობა არ მისცენ.

**ირაკლი ღარიბაშვილის კიდევ ერთი მინუსი კომუნიკაციის სფეროში მდგომარეობს. მარტივად რომ ვთქვათ, მან „ლაპარაკი არ იცის“, უფრო ზუსტად კი, კითხვაზე პასუხის გაცემას ჩქარობს და ამ დროს ხშირად სერიოზულ შეცდომებს უშვებს** (მაგალითად, იურიდიულად არაკორექტულ ფორმულირებებს იყენებს, უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს და ა. შ.). მისმა გულშემატკივრებმა შეიძლება თქვან, რომ მჭერმეტყველება მისი საქმე არ არის და ხელისუფლებას ამისთვის გიორგი მარგველაშვილი ჰყავს, რომელსაც მეტ-ნაკლებად ტკბილად მოუბარი ენა აქვს და შოპენჰაუერი დედანში თუ არ წაუკითხავს, მოკლე შინაარსი მაინც იცის. კი, ბატონო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **პრემიერმინისტრი ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს ვერ დაემალება და ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მოუწევს.**

**ხელისუფლების სათავეში ყოფნა ახალგაზრდა ადამიანისთვის ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან დიდ ცდუნებას უკავშირდება. მნიშვნელობა არ აქვს, კარგი მენეჯერია თუ ცუდი, სად სწავლობდა და რამდენი წიგნი წაიკითხა, სულიერი სიმტკიცის გარეშე მასთან გამკლავება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.** განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როდესაც უამრავი ადამიანი გარდამავალი პერიოდის მომქანცველი გაუგებრობის შემდეგ „მკაცრ ხელს“ და მარტივ გადაწყვეტილებებს, ავტორიტარულ სიცხადეს მოითხოვს. რა დასამალია, ნამდვილად აქვს ქართულ საზოგადოებას ეს ჩვევა — ნებისმიერი წარმოდგენილი მასალისგან დიქტატორი შექმნას, თავზე დაისვას, რათა გარკვეული დროის შემდეგ განრისხებული შეებრძოლოს მას (უნიკალურები ამ მხრივ ნამდვილად არ ვართ, ყველა ღარიბ და ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოში იგივე ალგორითმის დაფიქსირება შეიძლება).

ხელისუფლებისა და საზოგადოების ათწლიანი ომის და შესაბამისი ურთიერთდამოკიდებულების დამკვიდრების შემდეგ შეიძლება ოდნავ ერეტიკულად გაიჟღეროს, მაგრამ **ჩვენ, ალბათ, უნდა დავეხმაროთ ახალ პრემიერმინისტრს, რათა ურთულესი მისიის შესრულება მოახერხოს. მხარი დავუჭიროთ ნებისმიერ კარგ წამოწყებაში, მაგრამ დაუყოვნებლივ მივუთითოთ შეცდომაზე, იმ შემთხვევაში, თუ ზღვარს გადალახავს.** ბიძინა ივანიშვილი ჩვენს ნაცვლად ამას არ გააკეთებს. და საერთოდ, არ შეიძლება საზოგადოებისა და ირაკლი ღარიბაშვილის მომავალი ურთიერთობის განხილვა მხოლოდ საზოგადოებისა და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობის კონტექსტში; **რამდენადაც უნდა იყოს დამოკიდებული ღარიბაშვილი ივანიშვილზე, მთავრობის მეთაურის პასუხისმგებლობის სფეროდან გამომდინარე, მას საზოგადოებასთან დიალოგის წარმართვა მთელ რიგ საკითხებზე დამოუკიდებლად მოუწევს, შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული** (იმედია, ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი) **ურთიერთობა ექნება.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რადიკალები, რომელნიც სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა მკაცრ, უსწრაფეს დასჯას მოითხოვენ, ალბათ, მაინც არ ქმნიან უშუალო საფრთხეს ახალი ხელისუფლებისთვის და, ჰაერში მუშტების ქნევის მიუხედავად, უმეტესწილად მისდამი ლოიალურობას ინარჩუნებენ. მაგრამ კრიზისი მათი მონაწილეობით გარდაუვალი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის მთავრობა, სააკაშვილის დასავლელი მეგობრების ზეწოლის გამო, ყოფილი მაღალჩინოსნების ტოტალური ამნისტირების გზას დაადგება.**

# ოქრო, სამართალი და მეხუთე კოლონა

**გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებისა და ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკურ სივრცეზე სრული კონტროლის დამყარებას მიუახლოვდა. ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია და, ალბათ, გაცილებით საინტერესო იქნება, ვისაუბროთ არა უკვე გაკონტროლებულ, არამედ ჯერაც გაუკონტროლებელ, ივანიშვილისთვის პრობლემურ ზონებზე ქართულ პოლიტიკაში, რადგან ბრძოლა მათ გარშემო უახლოესი მომავლის დღის წესრიგს განსაზღვრავს.**



## მიშა, სადაა პარტიის ოქრო?

მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკის დონეზე ახალი ხელისუფლების ყველაზე საშიში ოპონენტი ყოფილი მმართველი პარტიაა, მისგან მომავალი საფრთხე თანდათან მცირდება. **„ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელ რგოლში არაერთი ლიდერი თანახმაა, შეეგუოს იმას, რომ საქართველოს** (ფორმალური თუ არაფორმალური) **ხელმძღვანელი წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი იქნება და საკუთარი მომავალი** (ხმაურიანი, მაგრამ არასაშიში) **ოპოზიციის როლს დაუკავშიროს. მაგრამ მათ ხელს უშლიან სწრაფ რევანშზე, ხელისუფლებასთან მუდმივ კონფრონტაციასა და საბოტაჟზე ორიენტირებული ლიდერები.** ამ დაპირისპირების კონტექსტში წინა პლანზე ძალიან ბანალური, შეიძლება ითქვას, მერკანტილური საკითხი გამოდის — **რა წყაროდან მიიღებს ფულს „ნაციონალების“ ფრიად ხარჯიანი პროპაგანდისტულ-ლობისტური მანქანა, ვინ გამოკვებავს პარტიის აქტივისტებს და, საერთოდ, ვის ხელში აღმოჩნდება „ერთიანი ნაციონალური ობშჩაკი“?** ცალკე აღებული „ნაცმოძრაობა“ მის დღევანდელ მდგომარეობაში ნაკლებად საშიშია, მაგრამ **ისეთ სუსტ, ღარიბ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, დესტრუქციაზე დახარჯულმა დიდძალმა ფულმა შეიძლება საკმაოდ სერიოზული პრობლემები შექმნას.**

მას შემდეგ, რაც „ნაციონალებმა“ პრაქტიკულად დაკარგეს შესაძლებლობა, პარტიული მიზნებისთვის საბიუჯეტო სახსრები გამოიყენონ (ისინი ველარაფერს გადაუხდიან ლობისტებს უშიშროების საბჭოს ბიუჯეტიდან, ველარ გამოიყენებენ საპრეზიდენტო ფონდს და ა. შ.), **„შავი სალაროს“ საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მისგან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზება ახალი ხელისუფლებისთვის, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდება და ჯერჯერობით გაუგებარია, ითანამშრომლებს თუ არა მასთან ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში** (და რის სანაცვლოდ?) **ამ საქმეში, სავარაუდოდ, ჩახედული ორი მაღალჩინოსანი პატიმარი — ვანო მერაბიშვილი** (საქართველოში) **და დავით კეზერაშვილი** (ჯერჯერობით საფრანგეთში). მნიშვნელოვანწილად ამაზეა დამოკიდებული, რომელი ჯგუფი მოექცევა „ნაცმოძრაობის“ სათავეში — რადიკალური თუ ზომიერი და რამდენად დიდი იქნება მისი გავლენა მომდევნო წლებში; მთავარია ფული, ძველად რომ იტყოდნენ, „პარტიის ოქრო“, ყველაფერი დანარჩენი ბელეტრისტიკაა. **სხვათა შორის, პერუს გამოცდილება ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრება-გასამართლებაც კი საფრთხეს არ ანეიტრალებს. ყოფილი დიქტატორი ალბერტო ფუხიმორი და მისი გარემოცვის საკვანძო წარმომადგენლები ციხეში სხედან, მაგრამ ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მათ მიერ მიტაცებული მილიარდების დაბრუნება** (მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედებდა და იმიტომ), **რევანშის და ძველი რეჟიმის რესტავრაციის საფრთხე ქვეყანას ყორანივით ათი წლის განმავლობაში დასტრიალებდა.** 2011-ში ალბერტო ფუხიმორის შვილს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებისთვის ხმების სულ რაღაც 3% დააკლდა.

**ცხადია, „ნაციონალები“ მსგავს შედეგზე წლების განმავლობაში ვერ იოცნებებენ, მაგრამ, თუ ადგილობრივ არჩევნებზე ისინი ძალისხმევის კონცენტრაციას რამდენიმე რეგიონზე მოახდენენ** (მაგალითად, სამეგრელოზე, სადაც სხვაობა მარგველაშვილისა და ბაქრაძის შედეგებს შორის დრამატულად მცირე გამოდგა) **და, ამასთანავე, ამოქმედდება „პარტიის ოქროს“ ფაქტორი, მათ ნამდვილად შეეძლებათ, ხელში ჩაიგდონ ნაწილობრივი კონტროლი კონფლიქტის ზონის მიმდებარე რეგიონზე,** რაც, სავარაუდოდ, სტარტს უმწვავესი კრიზისების მთელ სერიას მისცემს და, შესაძლოა, უცხო ქვეყნებს საქართველოს საქმეებში მორიგი უხეში ჩარევისკენ უბიძგებს. **ბიძინა ივანიშვილი, ალბათ, კარგად აცნობიერებს ამ ფულისგან მომავალ საფრთხეს** (სხვათა შორის, ყველაზე კარგად მისი გარემოცვიდან ამ პრობლემატიკაში ირაკლი ღარიბაშვილი ერკვევა) **და ამ საკითხს, დიდი ალბათობით, უყურადღებოდ არ დატოვებს.** ეს, სავარაუდოდ, ძალიან დრამატული და დეტექტიური რომანივით საინტერესო ბრძოლა იქნება, მაგრამ ამომწურავ ინფორმაციას მის შესახებ საზოგადოება, სავარაუდოდ, ვერასოდეს მიიღებს. **თუ მთავრობა ამ ფაქტორის ნეიტრალიზებას მოახერხებს, „ნაციონალებისგან“ მომავალი საფრთხე მხოლოდ თეორიულ ხასიათს შეიძენს.**

**საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ნაწილი კიდევ ერთი «პრობლემური ზონაა», რომელშიც ბიძინა ივანიშვილს წინდახედული მოქმედება მოუწევს**

## მეხუთე კოლონა დამოკლეს მახვილით

**კიდევ ერთ „პრობლემურ ზონას“ ივანიშვილისთვის ხელისუფლებაში უცხო ქვეყნების გავლენის ქვეშ მყოფი პოლიტიკოსების უხვი წარმომადგენლობა ქმნის.** მართალია, უცხო ქვეყნები (პრინციპში, ჩვენ ერთ დასავლურ ქვეყანაზე ვსაუბრობთ, მაგრამ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, გვარს არ დავასახელებთ) დღეს არ იყენებენ ამ კონტინგენტს ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისთვის, მაგრამ ყველაფერი შეიძლება წამში შეიცვალოს, თუ (ივანიშვილის არაფორმალურ დაქვემდებარებაში მყოფი) მთავრობა მათთვის არასასურველი პოლიტიკის გატარებას დაიწყებს. **ზოგიერთი გულანთებული, მაგრამ, სავარაუდოდ, გონებასუსტი პატრიოტი სთავაზობს ივანიშვილს, ეს „ორმაგი დაქვემდებარების პოლიტიკოსები“ ხელისუფლებას მოაშოროს და ვერ აცნობიერებს, რომ ეს უმძლავრეს უცხო სახელმწიფოსთან დაპირისპირებაზე წასვლა იქნება, რისთვისაც საქართველო მზად ნამდვილად არ არის.** ამიტომ ივანიშვილი, სავარაუდოდ, არ შეეხება ამ პოლიტიკოსების თანამდებობებს, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ისინი რეალურ გავლენას მოკლებულ ე. წ. „სვადებნი გენერლებად“ გადააქციოს, რომელთა ერთადერთი რეალური ფუნქცია შესაბამისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის თვითმავალი ილუსტრაციის როლის შესრულება იქნება და გამოაცალოს ხელიდან შესაძლებლობა, რამდენადმე საშიში კრიზისი შექმნან.

საერთოდ, **ამ პოლიტიკოსებს შეიძლება გაცილებით სერიოზული საფრთხე დაუკავშირდეს, ვიდრე „ქაღალდის ვეფხვად“ ქცეულ „ნაცმოძრაობას“ და ივანიშვილი, ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, არ შეეგუება იმას, რომ ამ დამოკლეს მახვილმა მას და მის მთავრობას მუდმივი საფრთხე შეუქმნას** (იგივე შეეხება უცხო ქვეყნების დასაყრდენს არასამთავრობო სექტორში და ზოგიერთ აღმასრულებელ სტრუქტურაში); ეს საკმაოდ რთული, დანაღმულ ველზე სიარულის მსგავსი ფარული თამაში იქნება.

ყოველივე თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს, შეცვალოს საქართველოს ორიენტაცია ნატოსა და დასავლეთზე ზოგადად, ორიენტაცია და მსოფლმხედველობა ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. **დღეს შექმნილი სიტუაცია შეიცავს სუვერენიტეტის შეზღუდვის ელემენტებს და საქართველოს მმართველს, ფაქტობრივად, ზედმეტი მოძრაობის გაკეთების შესაძლებლობას არ აძლევს. სააკაშვილს, რომელიც მარიონეტის ქცევის მოდელს ეყრდნობოდა, ეს პრობლემა საერთოდ არ აწუხებდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, არ შეეგუება იმას, რომ მანევრის შესაძლებლობა რეალურად წართმეული აქვს.** მან, შესაძლოა, აქტიურად შეუტიოს „ორმაგი დაქვემდებარების პოლიტიკოსებს“ და არა იმიტომ, რომ ისინი კონკრეტული ქვეყნის ინტერესებს წარმოადგენენ, არამედ იმის გამო, რომ მისთვის (და მისი მთავრობისთვის) ერთგვარი „პოლიტიკური ხელბორკილების“ როლს ასრულებენ. ის, დიდი ალბათობით, არ შეცვლის საქართველოს ორიენტაციას, მაგრამ შეეცდება სტრატეგიული პარტნიორებისგან მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

## ამ ხალხს რას უპირებს?

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, **რადიკალები, რომელნიც სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა მკაცრ, უსწრაფეს დასჯას მოითხოვენ, ალბათ, მაინც არ ქმნიან უშუალო საფრთხეს ახალი ხელისუფლებისთვის და, ჰაერში მუშტების ქნევის მიუხედავად, უმეტესწილად მისდამი ლოიალურობას ინარჩუნებენ.**

მაგრამ კრიზისი მათი მონაწილეობით გარდაუვალი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის მთავრობა, სააკაშვილის დასავლელი მეგობრების ზეწოლის გამო, ყოფილი მაღალჩინოსნების ტოტალური ამნისტირების გზას დაადგება. **თუ ბიძინა ივანიშვილი წინასწარ არ გაჭრის კალაპოტს, რომელშიც მათი** (ისევე, როგორც სხვა იმედგაცრუებულთა) **ენერგია მოექცევა, ის დესტაბილიზაციის სერიოზულ ფაქტორად გადაიქცევა.** მსჯელობა ამ თემაზე, სავარაუდოდ, ისევ „ახალი ოპოზიციის პრობლემამდე“ მიგვიყვანს; ცალკე აღებული ნინო ბურჯანაძე მის გადაწყვეტას, დიდი ალბათობით, ვერ მოახერხებს. მის ელექტორატსა და „ქართული ოცნების“ რადიკალურად განწყობილ ამომრჩევლებს შორის რჩება თავი-

**ისეთ სუსტ, ღარიბ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, დესტრუქციაზე დახარჯულმა დიდძალმა ფულმა შეიძლება საკმაოდ სერიოზული პრობლემები შექმნას**

**„რევოლუცია 2“ წარმატებით განხორციელდა, ამერიკის სტრატეგიული ორბიტიდან გაუსვლელად ერთი ძალა მეორემ ჩაანაცვლა. ვაშინგტონმა მინიმუმ კიდევ 10 წლით ჩაკეტა ქვეყანა იმ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც პროდასავლური ორიენტაცია და ევროატლანტიკური სივრცისკენ შეუქცევადი სწრაფვა ჰქვია. პოლიტიკურად ჩაციკლული და დაკომპლექსებული საქართველოს მომავალი ისევ ერთი პოლუსის სატელიტობით განისაზღვრა.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სუფალი სივრცე, რომელიც ახალი მოთამაშის გამოჩენას მოითხოვს; ივანიშვილს კი შეუძლია ხელი შეუშალოს მის გამოსვლას ასპარეზზე ან პირიქით, შეუწყოს. ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის (არ)მონაწილეობის საკითხი გადაწყდა ასე და არა სხვაგვარად, არ ნიშნავს, რომ ივანიშვილი მომავალშიც აპირებს, ეს მიმართულება დაბლოკოს; ეს, ალბათ, უფრო ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო.

**ამ საკითხის განხილვა ცალკე, მმართველი კოალიციის გარდაქმნის პრობლემის გათვალისწინების გარეშე, არ შეიძლება. ფორსმაჟორულ ვითარებაში შექმნილი ამ ერთობის შენარჩუნება უსასრულოდ ვერ მოხერხდება, ეს არანორმალური იქნება** (ადგილობრივ არჩევნებამდე — კი, ბატონო, მაგრამ იმის იქით ეს, სავარაუდოდ, უფრო მეტ პრობლემას მოიტანს, ვიდრე სიკეთეს), **თუმცა იმისთვის, რომ მისცეს სიგნალი კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას, ივანიშვილმა უნდა გააძლიეროს პარტია „ქართული ოცნება“** (ის შეეხო ამ თემას მიმართვაში, რომელშიც გადადგომის მიზეზი ახსნა). ჯერჯერობით ძნელი ამოსაცნობია, რა სცენარით და როდის მოხდება მმართველი ძალის გადაფორმატება, მაგრამ რადიკალების ენერგია, ნებისმიერ შემთხვევაში უმართავი, ასე ვთქვათ „უპატრონო“ არ უნდა დარჩეს, მარტივად რომ ვთქვათ, მათ ამ პროცესში „თავისი პარტია“ უნდა იპოვონ. **იმ თავისუფალ, თითქოსდა ცარიელ სივრცეში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, შეიძლება დაგროვდეს კრიტიკული მასა, რომელიც მთელი სისტემის დესტაბილიზაციას მოახდენს.**

**რაც შეეხება იმ ვარიანტს, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება სრული მოცულობით შემჭიდროებულ ვადებში შეასრულებს სამართლიანობის აღდგენის დაპირებას და ყოფილ მაღალჩინოსნებს არც ერთ სავარაუდო დანაშაულს არ აპატიებს** (ამის სულ უფრო ნაკლებ ამომრჩეველს სჯერა), **მის ფარგლებში, „განრისხებული რადიკალების“ უმრავლესობა გარკვეული დროით ხელისუფლების საიმედო მოკავშირედ გადაიქცევა.** მაგრამ იდეალური გამოსავალი არც ეს იქნება, რადგან ისინი სწრაფ და მარტივ გადაწყვეტილებებს მომავალშიც, სხვა პრობლემებთან დაკავშირებითაც მოითხოვენ. მოკლედ, **საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ნაწილი კიდევ ერთი „პრობლემური ზონაა“, რომელშიც ივანიშვილს წინდახედული მოქმედება მოუწევს.**

თუმცა ყოველივე ჩამოთვლილი, თუნდაც ერთად აღებული, არაფერია იმ სირთულეებთან შედარებით, რომლებიც შეიძლება ახალი ხელისუფლების შიგნით მისი წარმომადგენლების თავაშვებულობის გამო შეიქმნას. **ჯერჯერობით არ არის დადგენილი ქცევის ნორმები, არ არის გავლებული მკაფიო „წითელი ხაზები“** („აქ მთავრდება ნეპოტიზმი“, „აქ მთავრდება კორუფცია“ და ა. შ.) **და საზოგადოება ხედავს, რომ ზოგიერთი ხელისუფალი თავს ზედმეტად არხეინად გრძნობს.** ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თავის მოღვაწეობას პრემიერ-მინისტრის პოსტზე საჩვენებელი „წმენდით“ დაიწყებს, მაგრამ ეს პრობლემის გადაწყვეტისთვის არასაკმარისია. მარტივად რომ ვთქვათ, **საზოგადოება დაიღალა პოლიტიკური ელიტის ღორობისგან, რომელსაც უკვე ათწლეულებია ხედავს, მის შიგნით მომწიფდა მოთხოვნა თამაშის ახალ წესებზე, რომელნიც მმართველთა მადასა და თავხედობას მნიშვნელოვნად შეზღუდავს; თორემ „ჩვენ „ნაციონალებზე“ უკეთესები ვართ, იმიტომ რომ ხალხს ციხეებით არ ვაუპატიურებთ“ ტიპის არგუმენტები უსასრულოდ ვერ იმუშავებს.**

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების საკითხი გაირკვა და ცხადი გახდა, რომ ივანიშვილის პირველკაცობას განსაკუთრებული არაფერი ემუქრება, საზოგადოების ნაწილი მრავალწლიანი დაძაბულობის შემდეგ თითქოს თვლემის რეჟიმში გადადის, თანაც საკმაოდ სწრაფად, თითქოს საქართველოში ისტორიაც დასრულდა (ფუკუიამას თქმის არ იყოს) და პოლიტიკაც. არადა, ყველაფერი გრძელდება, უბრალოდ, პროცესი ზედმეტი ისტერიკისგან გათავისუფლდა, **ქართული პოლიტიკის** დღის წესრიგს კი უახლოეს პერსპექტივაში, სავარაუდოდ, ივანიშვილის (კულისებში გადაბარგებული) **და მისი მთავრობის მიერ ჯერაც გაუკონტროლებელი „პრობლემური ზონების“ ათვისება განსაზღვრავს. შემდეგ კი ჩვენ უკვე სულ სხვა რეალობაზე ვისაუბრებთ, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის კონტროლი ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტზე აბსოლუტურთან მიახლოებული გახდება.**

**დიმიტრი მონიავა**

**«ჩვენ «ნაციონალებზე» უკეთესები ვართ, იმიტომ რომ ხალხს ციხეებით არ ვაუპატიურებთ» ტიპის არგუმენტები უსასრულოდ ვერ იმუშავებს**

# იდენტიფიკაცია დასრულდა, «ნაცმოძრაობისა» და «ოცნების» პოლიტიკური დნმ-ი იდენტურია

**27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა დღითიდღე კომიკური ხდება; კომიკური მათთვის, ვისაც ჩვენი უბედურება უხარია, თორემ კეთილისმსურველის პოზიციიდან თუ ვიტყვით, საქართველოს საქმე, დიდი ხანია, უკან-უკან მიდის. ივანიშვილის ჩანაფიქრი უკვე ყველასთვის დღესავით ნათელია: ხელისუფლება — რესპუბლიკელებს, ოპოზიცია — „ნაცებს“. საზოგადოება პროცესებიდან გარიყულია, საარჩევნო ყუთთან ერთჯერადი გამოყენების შემდეგ კოალიციის „ქორმა“ ამომრჩეველი მოვლენების მიღმა დატოვა.**

მარტივად რომ ვთქვათ, **„რევოლუცია 2“ წარმატებით განხორციელდა, ამერიკის სტრატეგიული ორბიტიდან გაუსვლელად ერთი ძალა მეორემ ჩაანაცვლა. ვაშინგტონმა მინიმუმ კიდევ 10 წლით ჩაკეტა ქვეყანა იმ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც პროდასავლური ორიენტაცია და ევროატლანტიკური სივრცისკენ შეუქცევადი სწრაფვა ჰქვია. პოლიტიკურად ჩაციკლული და დაკომპლექსებული საქართველოს მომავალი ისევ ერთი პოლუსის სატელიტობით განისაზღვრა.**

მართალია, ბიძინა ივანიშვილი ერთი წლის წინ ხაზგასმით აცხადებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია და იგივე „ნაცმოძრაობაც“ აქტიურად ცდილობდა მისთვის კრემლის აგენტობის დაბრალებას, მაგრამ აგერ უკვე „აისბერგის“ დანარჩენი ნაწილიც გამოიკვეთა — **მოსკოვთან დიალოგის საკითხით მანიპულირება მხოლოდ ფორმალური რიტორიკის ნაწილი აღმოჩნდა** (რითაც, სხვათა შორის, თავის დროზე სააკაშვილმაც დაიწყო), **ხოლო ოპონენტების მხრიდან აგენტის იარლიყის მიკერება — საზოგადოებისთვის თვალის ახვევის მცდელობა, თითქოს „ოცნება“ იმავე ძალის მიერ არ იყო მართული, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას მართავდა.** საუბედუროდ, „ნაცბანდის“ სიძულვილით დაბრმავებულმა მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დროულად ვერ ამოიცნო ეს სატყუარა, მაგრამ, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, საბოლოო ჯამში მაინც „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჰჩნდეს“. **არჩევნები დასრულდა და კოალიციის ფსევდოლიბერალურმა ძალებმა თავი ქუდში იგრძნეს თუ არა, ყველაფერი გაცხადდა — ივანიშვილ-სააკაშვილის პოლიტიკური დნმ-ი ერთმანეთს ასი პროცენტით დაემთხვა.**

საერთოდ, პოლიტიკაში მოსვლა ბიძინა ივანიშვილისთვის ერთგვარი ფარდის ახდა აღმოჩნდა. მანამდე მას ყველა იცნობდა, როგორც კეთილშობილ მეცენატს, ქველმოქმედს, ასეულობით ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენელს და სამშობლოს მოამაგეს. მიმდინარე პროცესებში ჩართვამ იგი არა მხოლოდ ფიზიკურად გააცნო საზოგადოებას, ხალხი მის შინაგან ბუნებაშიც ჩაახედა. ახლა კი უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **აქამდე ოლიგარქის მხოლოდ ნიღაბს ვიცნობდით, რომლის მიღმაც კარდინალურად სხვა პიროვნება იმალებოდა; ამ „კარდინალურად სხვაში“, უწინარესად, მსოფლმხედველობას ვგულისხმობ.** საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს მისი დამოკიდებულება ეკლესიისა და სულიერებისადმი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ისიც კი თქვა, სულის არსებობის არ მჯერაო, თუმცა, ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყველაზე მეტს იმთავითვე მისი გარემოცვა ცხადყოფდა. თავისთავად ის ფაქტი, რომ პოლიტიკაში მოსვლისთანავე მან წყალგამყოფი გაავლო და გამოყო კონკრეტული პარტიები, რომლებთანაც არ ითანამშრომლებდა, უამრავ კითხვას აჩენდა, ხოლო შემდეგ უკვე კოალიციის წამყვან ძალად რესპუბლიკელების წარმოჩენამ ბევრ რამეს ავტომატურად გასცა პასუხი.

**„ყოვლისმცოდნე“ მილიარდერმა ისიც კარგად გაითვალისწინა, რომ მარტო ხიდაშელ-უსუფაშვილის იმედად ფონს ვერ გავიდოდა. ამიტომ საზოგადოების თვალის ასახვევად კოალიციაში თითოოროლა მეტ-ნაკლებად ეროვნული ცნობიერების მქონე სუბიექტიც შეიყვანა, მაგრამ დღესდღეობით მათი ყოფნა პარლამენტში უძაღლო ქვეყანაში კატის ყეფას ჰგავს. მოკლედ, ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, ქართველ ხალხს მაგრად აჭამეს, „ნაცმოძრაობა“ თითქოს პოლიტიკურ მოუსავლეთში გაასტუმრებინეს და ზედ მის ნანგრევებზე აბუქნავეს.** სინამდვილეში აი, რა მოხდა: **სააკაშვილის კრიმინალურ ხუნტას 40-პროცენტიანი უმცირესობა „გაუპრავეს,“ თვით სათავეში კი ისევ კარგად შეფუთული და განახლებული „ნაცელიტა“ მოვიდა.**

ახლა რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკას რეალობაში: **უახლოეს მომავალში ჩვენ უსათუოდ პროვოკაციული ქმედებების მომსწრე გავხდებით, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, რუსეთის მიმართ ისეთი ნაბიჯები გადაიდგმება, რომლებიც ტაქტიკურად, შესაძლოა, წინამორბედის სტრატეგიასთან შედარებით უფრო დახვეწილი იყოს, მაგრამ არსობრივად იმავე დატვირთვის მატარებელი იქნება.** ამის ნიშნები უკვე აშკარად იკვეთება მთავრობის და განსაკუთრებით პარლამენტის მუშაობაში; კერძოდ, იმ საკანონმდებლო ინიციატივებში, რომლებიც საბჭოთა ე. წ. გადმონაშთებთან ბრძოლის სახელით მკვეთრად ანტირუსულ შინაარსს შეიცავს. ამის მკაფიო გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე წინა კვირას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „თავისუფლების ქარტიაში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით წამოყენებული საკანონმდებლო ინიციატივაც. იგი კომუნისტურ-ტოტალიტარული სიმბოლიკის განთავსების აკრძალვას გულისხმობს და 1000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. ალბათ, არც ერთ თქვენგანს არ გაუკვირდებოდა იმის გაგება, რომ აღნიშნული კანონპროექტის ავტორები საპარლამენტო უმრავლესობის წევრები — ლევან ბერძენიშვილი და თამარ კორძაია არიან. ერთი თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს ხელაღებით გმობდა, მეორე კი დღესაც გამოდის და საპატრიარქოზე ფინანსური კონტროლის განხორციელებას ითხოვს.

**უცნაური და ალოგიკური აქ მაინც ერთი რამაა — კონკრეტულად რა აუცილებლობითაა განპირობებული კანონში ამ ცვლილების შეტანა? კომუნისტური სიმბოლიკა დღესდღეობით ისედაც აღმოფხვრილია, ფაქტობრივად, არ არსებობს დაწესებულება, თუ მაინცდამაინც ვინმე ფანატ სტალინელს არ შევუვარდებით საძინებელში, რომლის ფასადზეც ნამგალი და ურო ან რამე მსგავსი ნიშანი იყოს გამოსახული** (სამაგიეროდ სექსუალური უმცირესობების მრავალფეროვან დროშას გვაჩვევენ ყოველდღიურად). მაშ, კიდევ ვიმეორებ: **რა მიზანს ემსახურება რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის ძალისხმევა? მიზეზი ისევ და ისევ პოლიტიკაშია საძიებელი; პრობლემას თავისთავად სიმბოლოები კი არ წარმოადგენს, არამედ, პირველ რიგში, იდეა და იდეოლოგია.** აი, ზუსტად ამ იდეოლოგიის არსებობას ებრძვიან ეს ძალები არა ბოძებზე, ფასადებზე, არამედ თითოეული ჩვენგანის ცნობიერებაში. რა გამოუვათ მათ საბოლოოდ, ძნელი სათქმელია, ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია: **რუსეთი, რომელიც თავიდან ბოლომდე, საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედებს, ჩვენთან დაკავშირებით სრულიად პრაგმატულია. იმის თქმა მინდა, რომ, თუკი ჩვენ ადრინდელივით ისევ ამერიკელების დაკრულზე ვაგრძელებთ ცეკვას, არ უნდა გვიკვირდეს არც დიალოგის არარსებობა და არც მავთულხლართების გავლება.** სანამ ქვეყანაში 3-პროცენტიანი, ფსევდოლიბერალი რესპუბლიკელების მმართველობა გრძელდება და ამერიკის ელჩები მთავარმართებლის როლში გვევლინებიან, მათგან მეგობრული ხელის გამოწვდას ტყუილად არ უნდა ველოდოთ. აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე საერთოდ ფიქრიც ზედმეტია, იმიტომ, რომ ასეთ სახელმწიფოში ტრადიციების დამცველ ეთნიკურ უმცირესობებს, ცხადია, დაბრუნება არასდროს მოუნდებათ...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S.** **საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა „ბიბისის“ რუსულ სამსახურთან ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ შევქმნით საზოგადოებას, რომელთანაც ჩვენი აფხაზი და ოსი ეროვნების მოქალაქეები მოინდომებენ ცხოვრებას“. სულ მცირე ხანში კი მას თვითაღიარებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ხირთბა სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა: „რამდენი შეიძლება ისაუბრო აფხაზური პრობლემის განხილვის ქართულ-რუსულ ფორმატზე? და ყველაზე მთავარი: არ მოუნდებათ აფხაზებს საქართველოში ცხოვრება, განსაკუთრებით ახალ თაობას, რომლისთვისაც საქართველო არა მხოლოდ მტრული, არამედ სრულიად უცხო სახელმწიფოა. დამოუკიდებელ აფხაზეთს ალტერნატივა არ აქვს“.**

„მეოცნებეთა“ რეალური პოლიტიკა ყველაზე ზუსტად სწორედ მხარეების პასუხებში, მათ რეაქციებში იშიფრება...

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ნატო თავისი ჯარებით საქართველოს დასახმარებლად არ ჩამოვა, პირიქით, მას იქით მიჰყავს ჩვენი ჯარისკაცები, სადაც სისხლისღვრა და ომია. მოკლედ, ჩვენი არჩევანი მარტივია — ან უარი უნდა ვთქვათ ტერიტორიულ მთლიანობაზე და შევეგუოთ იმას, რომ ნატოს ეგიდით საქართველოში თურქეთის ჰეგემონია დაკანონდება, ან შევეშვათ ბოდვას ევროატლანტიკურ ალიანსზე და საქმეს მივხედოთ.**

# ოცი წლის განმავლობაში ნატოზე ოცნებით დაკარგული ტერიტორიების ოცი პროცენტი

**ოც წელზე მეტია, ქართველი ხალხი ნატოში შესვლასა და მისგან, ამ „მიწიერი სამოთხისგან“, მოტანილ კეთილდღეობაზე ამაოდ ოცნებობს; უფრო ზუსტად, ხელისუფალნი აბრიყვებენ და აიძულებენ, იოცნებონ. ნატოში შესვლის მომხრეებზე მეტი ჩვენს ქვეყანაში მისი უარმყოფელია, მაგრამ ქართველთმოძულე, მარიონეტი პოლიტიკოსების გამო ამ თემაზე საუბარს ყველა გაურბის, რადგან იმ წამსვე სამშობლოს ღალატს მოგაწერენ და ერის მტრად გამოგაცხადებენ. ეს მარიონეტი რენეგატები ამ საკითხზე ღია დებატებს გაურბიან, რადგან იციან, რომ მრავალწლიანი მითი ნატოში შესვლასა და ოქროს მთების შესახებ უმალ გამოაშკარავდება.**

2008 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად პლებისციტი ჩატარდა, რის შედეგადაც ხალხს არჩევანი უნდა გაეკეთებინა — გვინდა თუ არა ნატოში შესვლა? რამდენიმე ხნის წინ ჩვენს გაზეთთან საუბრისას **ჯუმბერ პატიაშვილმა** ამ პლებისციტთან დაკავშირებით ასეთი რამ განაცხადა: **„ვთვლი, რომ ნამდვილი სახალხო გამოკითხვა ნატოს შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით ხელახლა უნდა ჩატარდეს. საარჩევო კომისია დანაშაულებრივი სტრუქტურაა, რომელიც, რასაც უნდა, იმას აკეთებს, ანუ რასაც უბრძანებენ. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. საარჩევნო კომისიის სიყალბეზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ რეფერენდუმის დღე მინდა გავიხსენო, დღე, როდესაც ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა, ნატოში შესვლა გვინდოდა თუ არა. გახსოვთ, ალბათ, თავდაპირველად გამოქვეყნდა ციფრი — 62 პროცენტი, მაგრამ დასავლეთმა არ მოიწონა და უცბად 75% გახდა. თუ შენ ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრობ და ნამდვილად გინდა დაბრუნება, რეფერენდუმში რატომ არ ითვალისწინებ აფხაზებისა და ოსების აზრს? ამ ტერიტორიებზე ხომ არ ჩატარებულა რეფერენდუმი, იქაურ მოსახლეობას ხომ არ გამოუხატავს საკუთარი მოსაზრება? ისინი ნატოში შესვლას მხარს არასოდეს დაუჭერენ, შენ კი ეს ზუსტად იცი და კიდევ უფრო უპირისპირდები აფხაზს, ოსს და რუსს. აქედან ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეიძლება — შენ არ გინდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება!“**

კიდევ ერთხელ ობიექტურად გავაანალიზოთ, თუ რა მოგვიტანა ნატოზე უაზრო და არაფრისმომცემმა ოცნებამ? გვიღირდა თუ არა ამ ეფემერული ილუზიის გამო ტერიტორიების დაკარგვა? რამდენიმე ომის წამოწყება და სამარცხვინოდ წაგება? მეზობლებთან გაფუჭებული ურთიერთობა და საბოლოოდ განადგურებული, გამათხოვრებული და სხვის ჭკუაზე მოსიარულე ქართველი ერი? **საქართველოში უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ნატო თავისი ჯარებით საქართველოს დასახმარებლად არ ჩამოვა, პირიქით, მას იქით მიჰყავს ჩვენი ჯარისკაცები, სადაც სისხლისღვრა და ომია. მოკლედ, ჩვენი არჩევანი მარტივია — ან უარი უნდა ვთქვათ ტერიტორიულ მთლიანობაზე და შევეგუოთ იმას, რომ ნატოს ეგიდით საქართველოში თურქეთის ჰეგემონია დაკანონდება, ან შევეშვათ ბოდვას ევროატლანტიკურ ალიანსზე და საქმეს მივხედოთ.**



**„საქართველო და მსოფლიო“ აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებრივ დისკუსიას იწყებს და სხვადასხვა სფეროს კომპეტენტურ წარმომადგენელთა მოსაზრებებს გთავაზობთ.**



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:
## ნატოში არ მიიღებენ ქვეყანას, რომელსაც დიდი პრობლემები აქვს რუსეთთან

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

**— რამდენად გვიღირს ნატოში შესვლა ტერიტორიების დაკარგვის ფასად?**

— ტერიტორიების დაკარგვის ფასად არაფერი გვიღირს და მითუმეტეს ნატოში შესვლა. მე თუ მკითხავთ, ნატოში შესვლა არაფრადაც არ ღირს. თუ გავეკიდებით ნატოს, ტერიტორიებს დავკარგავთ და ვიქნებით იმ ორგანიზაციაში, რომელმაც შეიძლება 10 წელი იარსებოს. მან თავისი შესაძლებლობები ამოწურა. **ქართველი პოლიტოსები, თუ შესაძლებელია, მათ ასე ვუწოდოთ, ოცი წელია, იმ ორგანიზაციებისკენ მიილტვიან, რომელთაც მომავალი არ გააჩნიათ და მათ შორის უპირველესი ნატოა. ასე რომ, ნატოს გამო ტერიტორიებზე უარის თქმა დაუშვებელია და ნატოზე საუბარიც უპერსპექტივოა.**

**— რა მოგვიტანა მთელი ოცი წლის მანძილზე ნატოზე ოცნებამ? როგორი საქართველო შეგვრჩა ხელში?**

— ნატოზე ოცნებით, შეგვრჩა ის სიტყვა, რიტუალების სასახლეს რომ ადარებენხოლმე. ვოცნებობთ უაზროდ, ეს ოცნებაც ასე არ გაიდგამდა ფესვს, ქართული საზოგადოება კარგად გათვითცნობიერებული რომ იყოს. ქართველები პოლიტიკაზე ისე საუბრობენ, როგორც ფეხბურთზე. ყველას ჰგონია, რომ ეს საქმე იცის, მაგრამ სერიოზულად პოლიტიკაში ვერავინ ერკვევა, არ იციან, ეს პოლიტიკა იჭმევა თუ ისმევა. ამ უცოდინარობის ფონზე, კარგად ლავირებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც არიან: „ნაციონალები“, რესპუბლიკური პარტია, ალასანიას გაურკვეველი პარტია და სხვები. ისინი დაბეჯითებით საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენი გზა არის დასავლეთისკენ, ნატოსკენ, ევროკავშირისკენ... **რა მოგვცა „ნატო-ნატოს“ ძახილმა?! მოგვცა ის, რომ ჩვენ დავძაბეთ ურთიერთობა რუსეთთან, რამაც გამოიწვია ტერიტორიების დაკარგვა. დავრჩით ცარიელ-ტარიელი, იმედისა და ოცნების ამარა.** ფაქტობრივად, ქართველი ხალხი დარჩა იმ დონეზე, რა დონეზეც ვიყავით მაშინ, როდესაც ნატოზე ფიქრი დავიწყეთ. ასე რომ, **ოცი წლის განმავლობაში სწორედ ნატოზე ოცნებით და ცუდი სიზმრების ხილვით დავკარგეთ ტერიტორიების ოცი პროცენტი, რუსეთის ბაზარი, რუსეთის ნდობა, პოლიტიკური ურთიერთობები, რაც საქართველოსთვის ძალიან ცუდია.**

**— ბატონო ჰამლეტ, თქვენ ახსენეთ: „ნაცები“, რესპუბლიკელები, ალასანია. რამდენად შესაძლებელია, რომ ამ სამმა ძალამ, რომლებიც, შესაძლოა, გაერთიანდნენ კიდეც, ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ ნატოში შესვლა გადაწყვიტონ?**

— მათ, შესაძლოა, ამის სურვილი ჰქონდეთ და თან ძალიან ძლიერი, მაგრამ ნატო კარს გაგვიღებს? კარის გაღებაზე ნატო რასმუსენისა და გაურკვეველი წარმოშობის აპატურაის პირით ხშირად საუბრობს. მაკვირვებს ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა, რომ ნატოში აუცილებლად შევლენ. **ნატოს გენერალური მდივანი გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში, სისხლისღვრაში მონაწილეობის მიღება არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო აუცილებლად შევა ნატოში.** ჩვენნაირი ქვეყნის ნატოში მიღება თავსატკივარია. საქართველოს არ აქვს დელიმიტირებული და დემარკირებული საზღვარი არც ერთ ქვეყანასთან, გარდა თურქეთისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი საკითხია. **ნატოში არ მიიღებენ ქვეყანას, რომელსაც დიდი პრობლემები აქვს რუსეთთან, ისინი გაიზიარებენ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის პოზიციას და ის კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს ნატოში შესვლის.**

რასმუსენი იტყვის, რომ ნატოზე გავლენა არ აქვს რუსეთს, მაგრამ ეს ტყუილია. ნატო თავს საქართველოს გამო არასოდეს არ აიტკივებს, რადგან ჩვენი ამ ორგანიზაციაში შესვლა მათთვის რუსეთთან დაპირისპირებას ნიშნავს.

მოკლედ, ნატოზე საუბარი დიდი სატყუარაა, რასაც ხალხი ვერ იგებს, მათ ჰგონიათ, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანას ნატოში აუცილებლად გააწევრიანებს, თუმცა საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს ნატო. არ იციან, რატომ უნდა ქართველობას ნატოში შესვლა? მიუხედავად იმისა, რომ ნატოს საინფორმაციო ბიუროები არსებობდა, მაინც არავინ იცის, რას მოგვიტანს ნატო. იციან მხოლოდ ერთი, რომ ეს არის რუსეთისგან თავის დაცვის გარანტი, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, რუსეთისგან თავდასხმის აცილება ნატოში უნდა ვეძებოთ თუ ჩვენს საღ გონებაში. **რუსეთიდან თავდასხმა არასოდეს მოხდებოდა, რომ გვეაზროვნა, რომ 2008 წელს თავად სააკაშვილს არ გამოეწვია გაღიზიანება. საქართველოს პრეზიდენტი მძინარე ცხინვალს რომ არ დასხმოდა თავს, არაფერი მოხდებოდა.**

თანაც საქართველოს ისეთი საშინაო დავალებები აქვს, რომელთაც რუსეთის გარეშე ვერასოდეს შეასრულებს. ამასთანავე, **ნატოსთან დაკავშირებით ქართველი ხალხის დამოკიდებულება შეცვლილია. მიმაჩნია, რომ სრულიად საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა ნატოში გაწევრიანება-არგაწევრიანების შესახებ ხელახლა უნდა ჩატარდეს, ეს ხელს შეუწყობს ხელისუფლებას, რეალური სურათი დაინახოს.**

ოღონდ გამოკითხვა სამართლიანად უნდა ჩატარდეს და არა ისე, როგორც უკანასკნელი არჩევნები, ივანიშვილის ზეწოლით. ზეწოლის გარეშე მშვიდ ვითარებაში კი, ვიცი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი უარს იტყვის ნატოში გაერთიანებაზე.

**თემურ ქორიძე, ეროვნული მთავრობის წევრი:**

— მე საზოგადოების იმ ნაწილს მივეკუთვნები, რომელიც თვლის, რომ ევროკავშირსა და ნატოს ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. **საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ვითომ მხარს უჭერდნენ ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას, მაგრამ რეალურად ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქართული კანონმდებლობა ყველასთვის მიუღებელი ყოფილიყო, რომ მიუღებელი ყოფილიყო ქართული სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება ევროპელებისთვის, რის გამოც ნატოს კარი ჩვენთვის ყოველთვის დახშული იყო.** ევროპასთან საქართველოს ნორმალური ინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია.

**— გასაგებია, ბატონო თემურ, მაგრამ ჩვენი ძალიან დიდი მცდელობისა და სურვილის მიუხედავად, ნატო ამ კარს არ გვიღებს.**

— ნატოში საქართველოს შესვლის დიდი ენთუზიასტი მეც არ გახლავართ, მაგრამ ჩვენ ნატოში შეუსვლელობის შიშით სხვა კარი არ უნდა გავხსნათ, ვგულისხმობ ევრაზიულ კავშირს, თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**— ქართველ ხალხს კვლავ რომ ჰკითხონ, უნდათ თუ არა ნატოში შესვლა, როგორც ეს 2008 წელს გააკეთეს, როგორ ფიქრობთ, მოსახლეობის რა ნაწილი დათანხმდება?**

— დღეს ეს შეკითხვა რომ დასვან, რა თქმა უნდა, მოსახლეობის იგივე რაოდენობა მხარს აღარ დაუჭერს. ეს დაახლოებით ისეთივე პროცესია, რაც მე-19 საუკუნეში მოხდა ჩვენს სინამდვილეში. ალა-მაჰმად ხანმა იმდენად დაუნდობელი პოზიცია დაიჭირა ქართველების მიმართ, რომ პირდაპირ უბიძგა ქართლ-კახეთს იმისკენ, რომ რუსეთთან ▶

**„საქართველოს ახალ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევენ გავლენიანი პოლიტიკური ძალები საერთაშორისო თანამეგობრობიდან, რომ შეეგუოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სრულუფლებიან წევრად მიღებისთვის მოემზადოს.... ბიძინა ივანიშვილი კატეგორიული წინააღმდეგია, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და სწორედ ამით არის განპირობებული მისი გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ღრმა ინტეგრაცია ჰქონოდა. რის გამოც, ალამაჰმად ხანს ირანელები კარგა ხანს წყევლიდნენ; ეს მათი პოლიტიკური შეცდომა იყო.

**— და მაინც, რამდენად რეალურია საქართველოს ნატოში შესვლა?**

— **ჩვენი ნატოში შესვლის შანსი მინიმალურია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს და მის გამო სისულელე არ უნდა ჩავიდინოთ.** ფინეთზე ბევრს საუბრობენ, ამბობენ, რატომ არ გავითვალისწინეთ ფინეთის სასიკეთო გამოცდილება, ის ნატოში არ შედის, მაგრამ მაინც კარგად არისო. ფინეთი არც საბჭოთა კავშირში არ შევიდა.

**ვახტანგ ხარჩილავა, მწერალი, „საერთო გაზეთის“ რედაქტორი:**

— ნატოს ხელმძღვანელები შიგადაშიგ კი გვეუბნებიან, რომ ამ ორგანიზაციის კარი ჩვენთვის ღიაა, მაგრამ ამ ღია კარში უამრავი ვალდებულება და მოთხოვნილებაა „ჩაყენებული“ დარაჯად, რომელთა შესრულების გარეშე მასში შესვლის უფლებას არავინ მოგცემს.

ეს ვალდებულებები და მოთხოვნები, რომლებიც პერმანენტულად იცვლება, დელიკატური უარი უფროა, ვიდრე რეალური მიზეზი.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ უნდა გავაძლიეროთ დემოკრატიული ინსტიტუტები, უნდა ვისწავლოთ არჩევნების სამართლიანად და მიუკერძოებლად ჩატარება, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, სასამართლო გავხადოთ დამოუკიდებელი, განვავითაროთ თავისუფალი მედია, თუმცა **არავინ გვეუბნება მთავარს: — მოვაგვაროთ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვიჩნდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შანსი.**

**რატომ არ საუბრობენ ნატოს ხელმძღვანელები ამ თემის გარშემო და რატომ არ გვეუბნებიან ღიად და ნათლად, რომ ნატოში გაწევრიანებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, სანამ საქართველო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს არ გადაწყვეტს?**

დამოუკიდებლობა 1999 წლამდე არ გამოუცხადებიათ. მთელი შვიდი წელი ელოდნენ აფხაზები კონკრეტულ შემოთავაზებას საქართველოდან, მაგრამ საქართველო ზოგადი ფრაზების იქით არ წასულა.

**არსებობდა და დღესაც არსებობს ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში იყვნენ და არიან ისეთი ფრიად გავლენიანი პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეგნებულად უშლიან ხელს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას და ამას აკეთებენ ერთ-ერთი ზესახელმწიფოს მოთხოვნით და დავალებით.**

აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვა ავტომატურად ნიშნავს რუსეთთან საერთო ენის გამონახვას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალ კონსტრუქციულ რეჟიმში გადაყვანას.

როგორც ჩანს, სწორედ საქმის ასე შემოტრიალება არ აძლევდა ხელს ზოგიერთ ჩვენს



## თემურ ქორიძე:

# ჩვენი ნატოში შესვლის შანსი მინიმალურია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს და ამის გამო სისულელე არ უნდა ჩავიდინოთ

პარტნიორ სახელმწიფოს, არ არის გამორიცხული, სახელმწიფოთა გარკვეულ თანამეგობრობასაც, რადგან რუსეთ-საქართველოს შორის შეთანხმება ნიშნავდა რუსეთის კონტროლის დამყარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ამ გეოპოლიტიკურად უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ქვეყნიდან მათი ინტერესების ავტომატურად ამოვარდნას.

კულუარულად გავრცელებულ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოხდა არა იმიტომ, რომ არჩევნების შედეგები გაყალბდა (ეს მხოლოდ საბაბი იყო), არამედ იმიტომ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის, ფაქტობრივად, მიღწეული იყო შეთანხმება აფხაზეთთან დაკავშირებით და ეს შეთანხმება პარლამენტის დაკომპლექტების შემდეგ ოფიციალურად უნდა შესულიყო ძალაში.

**არსებობს კადრები, რომლებზეც პარლამენტის კიბესთან მდგარ შევარდნაძეს „ნაციონალებთან“ შეხლა-შემოხლის დროს დასისხლიანებული ჯემალ გოგიტიძე ეუბნება: — ახლაც არ გჯერათ, რომ ესენი მოღალატეები არიან და მათ აფხაზეთის დაბრუნება არ უნდათ?**

შევარდნაძე პასუხს არ სცემს გოგიტიძეს და გამეხებული სახით სადღაც გაურკვეველი მიმართულებით იყურება.

ძნელი სათქმელია, მართლაც არსებობდა თუ არა რუსეთ-საქართველოს შორის რაღაც კონკრეტული შეთანხმება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მოსვლის შემდეგ ძალიან მალე საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, ხოლო ის დათბობის მომენტები, რომლებიც ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ურთიერთობაში გამოიკვეთა, ერთბაშად გაცივდა და კვლავ კონფრონტაციულ რეჟიმში გადავიდა.

ერგნეთის ბაზრობის დახურვით საბოლოოდ თუ არა, დიდი ხნით დაიხურა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შანსი...

ერგნეთის ბაზრობის დახურვის მთავარ მიზეზად ამ ბაზრობიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდის შემოდინება დასახელდა...

ერგნეთის ბაზრობის გაუქმების შემდეგ კონტრაბანდით დატვირთული ტრაილერების ქარავანი კიდევ დიდხანს მიემართებოდა გორისკენ და ამ ქარავანს, როგორც ამბობენ, ირაკლი ოქრუაშვილი აკონტროლებდა.

ეს ის ოქრუაშვილია, რომლის მიერ დაგეგმილმა „სამხედრო ოპერაციამ“ ერთი უმნიშვნელო გორაკის ასაღებად 15 მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა, ცოცხლად დარჩენილები კი ოსებმა თუ რუსებმა მუხლებზე დაჩოქილები ახოხეს.

ეს ის ოქრუაშვილია, რომლის პროვოკაციულმა ფრაზებმა — რუსებს ფეკალიებიც რომ გაუგზავნო, იმასაც კი მიიღებენო — კიდევ უფრო გაართულა ისედაც დაძაბული სიტუაცია რუსებთან.

საერთოდ, ამ კაცის, ბატონი ოქრუაშვილის, „ღვაწლი“ ქართული სახელმწიფოს წინაშე სათანადოდ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული, თორემ მას საქართველოში ასე ამაყად და თავაწეულად ვერ უნდა ევლო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ის ფაქტები, რომლებიც ე. წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ხდებოდა, ხდებოდა შემთხვევით, გაუაზრებლად, უნებლიეთ.

ასე იყო თუ ისე, **მსოფლიოს პოლიტიკური ძალები საქართველოს წლების განმავლობაში იყენებდნენ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც მუდმივი დავის საგანს, როგორც რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების მამხილებელ თემას, რომელიც მუდმივ დისკომფორტს უქმნის რუსეთს საერთაშორისო არენაზე.**

როგორც ჩანს, აი, ეს როლი გვაქვს ჩვენ დაკისრებული მსოფლიოს სცენაზე მიმდინარე სპექტაკლში და, აქედან გამომდინარე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა ამ სპექტაკლის მთავარ რეჟისორებს, ეტყობა, ხელს არ აძლევთ.

მაინც რას ეფუძნება საქართველოს ხელისუფლების ოპტიმიზმი, რომ საქართველო აუცილებლად შევა ნატოში?

**საქართველოს ნატოში გაწევრიანების ერთადერთი შანსი არსებობს — საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. მოიშოროს ნატოში შესვლის ხელისშემშლელი ეს ორი უმთავრესი ფაქტორი და „აღიდგინოს“ ტერიტორიული მთლიანობა, რაც მას საშუალებას მისცემს, უფრო თამამად და კატეგორიულად დააკაკუნოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღია კარზე.**

აი, ამის აღიარება, ამის ხმამაღლა გაცხადება უჭირთ როგორც საქართველოს მხარეს, ასევე ნატოს ხელმძღვანელობასაც, რადგან ამის თქმას შეიძლება ძალიან დიდი პროტესტი და წინააღმდეგობა მოჰყვეს საქართველოს მოსახლეობის მხრიდან.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები ყველამ ვიცით, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გაშიფრული და შესწავლილი ის ამბები, რაც ამ ომს წინ უძღოდა.

ომის დაწყებამდე თითქმის ორი წლით ადრე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე იწყებს სახელწოდება სამხრეთ ოსეთის დამკვიდრებას, ატარებს იქ არჩევნებს, პრეზიდენტად სანაკოევს ირჩევენ და ყოველივე ამას საქართველოს იმჟამინდელი პარლამენტი პოლიტიკურ და იურიდიულ დასტურს აძლევს.

პარალელურად ხდება კოდორის (დალის) ხეობისთვის სახელის გადარქმევა — კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევენ, ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ხეობას წლების განმავლობაში გმირულად იცავდა, იარაღს ათმევენ, რის შემდეგაც ხეობა აბსოლუტურად დაუცველი რჩება.

ამ უკიდურესად საეჭვო ფაქტების ანალიზის დროს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ამ ორ სეპარატისტულ რეჟიმთან დაკავშირებული დიდი ცვლილებებისთვის ამზადებს ნიადაგს, რაღაც იურიდიულ-სამართლებრივ წინაპირობებს ქმნის ამ ცვლილებების განსახორციელებლად და სწორედ ამ მიზნით არქმევს კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს, ხოლო სახელწოდება სამხრეთ ოსეთს ლეგიტიმურობას ანიჭებს.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ვერც აფხაზეთის და ვერც ე. წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმები სრულად ვერ აკონტროლებდნენ „თავიანთ“ ტერიტორიებს, რის გამოც მათი დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად“ ცნობა შეუძლებელი იყო.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს „უხერხულობა“ მოიხსნა — ორივე სეპარატისტულმა რეჟიმმა სრულად აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, რის შემდეგაც მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა რუსეთს არ გასჭირვებია.

**რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს მოსაზრება, მაინც უნდა ვთქვა: ამ ორი რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება ქართულ მხარეს იმ ბარიკადებსა და ბარიერებს უხსნის, რომლებიც აგვისტოს ომამდე არსებობდა.**

**არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, გამოვთქვამთ ვარაუდს: — სწორედ ამ მიზნით ხომ არ იქნა 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომი წამოწყებული, რომ ქართულ მხარეს საბოლოოდ ჩამოეხსნა მხრებიდან ეს ორი ხელისშემშლელი ტვირთი, რის გამოც ის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღია კარში ვერ „შეეტია“?**

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობამ“ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა — ახალი ხელისუფლება აბსოლუტური სიზუსტით აგრძელებს წინა ხელისუფლების საგარეოპოლიტიკურ კურსს და ამას ისეთი ხაზგასმული ერთგულებითა და თავგანწირვით აკეთებს, რომ მის ოპონენტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერი რუსული პროექტია, ამ თემაზე საუბრის ხალისი, დიდი ხანია, დაეკარგათ.

**როგორც ჩანს, არსებობს საქართველოს ნატოში გაწევრიანების გრძელვადიანი, დროში გაწელილი პროექტი, რომლის ბოლომდე მიყვანა „ნაცმოძრაობამ“ ვერ მოასწრო და ახლა მისი რეალურ შედეგამდე მიყვანა ახალ ხელისუფლებას მოუწევს, ანუ მას მოუწევს საქართველოს სხეულისთვის იმ ნაწილების „ამპუტირება“, რომელიც ამ სხეულს, ზოგიერთების აზრით, განგრენასავით ნელ-ნელა ჭამს და ფიტავს.**

კულუარულ ინფორმაციას თუ ვენდობით, **საქართველოს ახალ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევენ გავლენიანი პოლიტიკური ძალები საერთაშორისო თანამეგობრობიდან, რომ შეეგუოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სრულუფლებიან წევრად მიღებისთვის მოემზადოს.**

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ბიძინა ივანიშვილი კატეგორიული წინააღმდეგია მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და სწორედ ამით არის განპირობებული მისი გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ.

**— „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!“ — ამ ცნობილი ფრაზის წარმოთქმის შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა, თუმცა ჩვენს გაევროპელებას მაინც არ დაადგა საშველი...**

— ხომ საინტერესოა, რატომ იმეორებდნენ და რატომ იმეორებენ ასე დაჟინებით საქართველოს ხელისუფლების ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, რომ ქართველები ევროპელები ვართ, რომ საქართველო ევროპაა.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალი გეოგრაფიული ცნობარი, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველო მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში და არა ევროპის კონტინენტზე.

რა გამოდის — საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მე-10 მუხლის, რაც მთავარია, გაეროს წესდების დარღვევას გამოიწვევს?

ალბათ, გამოიწვევს, რადგან ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების მიხედვით, ნატოს სამოქმედო არეალი მოიცავს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილს, ჩრდილოეთ ამერიკას და ევროპას და არა სამხრეთ-დასავლეთ აზიას.

აი, რატომ ვიმეორებთ თურმე ასე ხშირ-ხშირად, რომ ევროპელები ვართ.

კეთილი და პატიოსანი, ვართ ევროპელები და ნატოში შესვლასაც, დიდი ხანია, ვიმსახურებთ, მაგრამ ალიანსში მაინც არ გვიშვებენ.

**ჩვენ მოხალისეებს ვგავართ, რომლებიც, სადაც კი ტყვია გავარდება, იქეთკენ გარბიან, ეს მაშინ, როცა საკუთარი ქვეყანა ვერ დაგვიცავს. ჩვენ ვერ დაგვიცავს, მაგრამ თურმე ნატო დაიცავს, მაგრამ, ვინ დაგვიცავს მერე ნატოსგან, ამაზე არავინ ფიქრობს.**

ირაკლი ალასანიამ კი გააკეთა განცხადება, რომ 2015 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ნატოს სწრაფი რეაგირების ძალთა შემადგენლობაში შევლენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო ალიანსის სრულუფლებიანი წევრი უნდა გახდეს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ საქართველო სულ მალე უნდა დაემშვიდობოს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## ვახტანგ ხარჩილავა:

# ნატოში საქართველოს გაწევრიანების ერთადერთი შანსი არსებობს — საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და «სამხრეთ ოსეთის» დამოუკიდებლობა

**P.S. „საქართველო და მსოფლიო“ ნატოს თემაზე დისკუსიას მომავალშიც გააგრძელებს. თუ გსურთ საკუთარი აზრის გამოთქმა, დაგვიკავშირდით ტელ.: 591 195 907, ან ელექტრონული ფოსტით: ekanaskidashvili@mail.ru ან გაზეთში მითითებულ მისამართებზე.**

ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნების დროსაც გვავალებდნენ მასწავლებლებზე გვემოქმედა, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, არასდროს ასე არ მოვქცეულვარ. თათბირებზე არასდროს პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია. სწორედ ეს დაუმახსოვრებია ღურწკაიას. ჩემი ნათესავი მუშაობდა ღურწკაიასთან და ჩემზე უთქვამს, ეგეც ოპოზიცია ყოფილაო. ჩემი უფროსი ძმა დაიჭირეს დ ყველაფერი წაართვეს, რაც გააჩნდა, უმცროსი ძმა კი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მათ ხომ ასეთი წესი ჰქონდათ, თუ ვინმეს გადაეკიდებოდნენ, მთელ ოჯახს ამოძირკვავდნენ.**



# პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭების პირობები, შესაძლოა, შეეზღუდოს

**„მოქალაქეობის შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების საჭიროებაზე დღევანდელ პრესკონფერენციაზე უმრავლესობის წარმომადგენელმა, ვახტანგ ხმალაძემ, ისაუბრა. დეპუტატი პრეზიდენტის ამ დისკრეციული უფლების კანონით „შებოჭვის“ საჭიროებას ხედავს.**

როგორც ხმალაძემ განმარტა, კონსტიტუციასა და „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში გაწერილია, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. დეპუტატის თქმით, ამ მხრივ პირობები ძალიან კარგად არის გაწერილი, თუმცა იქვე არის ნორმა, რომელიც „ყველაფერს კარგად გაწერილს, ფაქტობრივად, ჯვარს უსვამს“.

**„ეს ნორმა ამბობს, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი პირობების გაუთვალისწინებლად პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. მორჩა, წყალში ჩაცვივდა ყველა ის შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც კანონშია ჩაწერილი. ეს ნორმა, რა თქმა უნდა, შესაცვლელია. აღნიშნულ ნორმას ყურადღება მას შემდეგ მიექცა, რაც მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ასეულ ადამიანს მოქალაქეობა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიანიჭა“,** — განაცხადა ხმალაძემ.

ამასთან, პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებებზე საუბრისას, ხმალაძემ განაცხადა ისიც, რომ კანონმა უნდა განსაზღვროს არეალი, რომლის ფარგლებშიც პრეზიდენტი პატიმრების შეწყალების უფლებას გამოიყენებს. დეპუტატის თქმით, პატიმართა შეწყალება ჰუმანური აქტია, მაგრამ არ შეიძლება, ეს ჰუმანური გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს და ასეთი სახის გადაწყვეტილების მიღება, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი პირის შეხედულებისამებრ ხდებოდეს.

# სკოლის დირექტორის «ნაციონალური» დევნა

**ყოფილი ხელისუფლების დროს სამეგრელოში განხორციელებული სისასტიკისა და მოსახლეობაზე ზეწოლის ფაქტების შესახებ ინფორმაცია დღეს საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის სკოლის დირექტორი დალი კვარაცხელია თანამდებობიდან მისი გათავისუფლების პოლიტიკურ მიზეზებზე საუბრობს.**

— 2008 წელს, ომის შემდეგ, მეზობელ სოფელში, კანთში, რუსეთის ჯარი იდგა და ჩვენც ჩვეულებრივ ვაპროტესტებდით ამ ფაქტს, აქციებს ვმართავდით. ერთ დღესაც რესურსცენტრიდან გამაფრთხილეს, თქვენთან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები მოვლენ, ინტერვიუ უნდათო. არც მიკითხავს, რა საკითხზე სურდათ საუბარი. ერთი მეგობარი მახლდა. **მოვიდნენ ჟურნალისტები, რას იტყვით, რუსები რომ დგანან მეზობელ სოფელშიო, — მკითხეს. რა უნდა ვთქვა, თავის ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ-თქო, ვუპასუხე. დაახლოებით ასეთი ემოციური განცხადება გავაკეთე. არაო, — მითხრა, — ეს არ მინდა. ტელეკამერების წინ თქვენ უნდა თქვათ, რომ გუშინ ღამით, იარაღითა და ტანკებით მოვარდნენ თქვენს სახლში რუსი ჯარისკაცები, მოგცეს რუსული პასპორტი და იარაღით დაგემუქრნენო.**

**— თქვენ რა პასუხი გაეცით?**

**— ვუთხარი, მთელი სოფელი გაიგებდა, ასე რომ მომხდარიყო და ასეთ ტყუილს სკოლის დირექტორი ქალი როგორ ვიტყვი-მეთქი. ჩემმა მეგობარმაც უარი განაცხადა მსგავსი ტყუილის თქმაზე და გაგიჟებულები გაიქცნენ.**

ჟურნალისტების წასვლიდან ათი წუთი არ იყო გასული, რესურსცენტრიდან დამირეკეს, რა მოხდა, რა უთხარი ასეთი, გაგიჟებულები არიანო. ვფიქრობ, **ეს ჟურნალისტები წალენჯიხის კუდის მაშინდელი უფროსის, ზაალ ღურწკაიას, გამოგზავნილები იყვნენ. ამ ადამიანმა გაანადგურა მთელი რაიონი, სულიერება ჩაკლა. შიში იყო გამეფებული. ისეთი სიტუაცია შექმნა, მეზობელი მეზობელს აღარ ენდობოდა.**

არავის დავურბევივარ და ტყუილი როგორ მეთქვა? სხვათა შორის, მე არა, მაგრამ სხვა სკოლის დირექტორმა თქვა სიცრუე. აქედან დაიწყო ყველაფერი. ამის შემდეგაც ბევრ საკითხში შევეწინააღმდეგე, ყოველთვის დაუფარავად ვამბობდი, რაც არ მომწონდა და 2011 წელს უკვე სამსახურიდანაც გამათავისუფლეს. ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მიზეზების გასარკვევად წავედი განათლების სამინისტროში და მითხრეს, რომ თქვენი რაიონის მთავრობა გემდურითო. ამის შემდეგ ავდექი და პირდაპირ ზაალ ღურწკაიასთან მივედი.

**— ზაალ ღურწკაიამ რა გითხრათ?**

— ვკითხე, რატომ გამათავისუფლეთ-მეთქი. თქვენ აქტიური იყავითო, მიპასუხა. სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა. ვკითხე, ეს აქტიურობა მაინც რაში გამოიხატება, სკოლის საქმე რომ წინ მიმყავდა, გამოდის, თურმე ეს ცუდი ყოფილა-მეთქი. ისეთი სიტყვები მაკადრა... აქედან თუ არ გახვალ, ჩემს ხალხს დავუძახებ და გაგიყვანენო. პასუხს ვითხოვ თქვენგან: რატომ გამათავისუფლეს უსამართლოდ, როცა თქვენ გარეშე რაიონში დამლაგებელსაც არ ნიშნავენ-მეთქი?! იმ დროს მას ამდენს ვერავინ უბედავდა, მაგრამ ჩემი ძმაც პოლიციაში მუშაობდა და გავბედე და შევეპასუხე. სხვათა შორის, მერე ჩემი ძმაც გაათავისუფლეს სამსახურიდან; მან მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ შეძლო სამსახურში დაბრუნება.

**— რესურსცენტრიდან რა პასუხი გაგცეს?**

**— რესურსცენტრის ხელმძღვანელი რუსუდან სამუშია მეუბნებოდა, აზრზე არ ვარ, რატომ გაგათავისუფლესო, არადა, ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი. მთელმა წალენჯიხამ იცის, ღურწკაიასა და სამუშიას რა ურთიერთობაც ჰქონდათ.** ეს მათი პირადი ცხოვრებაა და შეიძლება არავის საქმე არ არის, მაგრამ თავის პირად ცხოვრებას მთელი წალენჯიხა გადააყოლეს. ფაქტობრივად, მთელს რაიონს მართავდნენ. პედაგოგებს შეურაცხყოფას აყენებდნენ.

**— საბოლოოდ რა პასუხი მიიღეთ, რა გახდა თქვენი სამსახურიდან გათავისუფლების მოტივი?**

— ოფიციალური მოტივი ის იყო, რომ სკოლების შეერთება მოხდა, მაგრამ კანონმდებლობით, მე სკოლაში უნდა დავებრუნებინე. სკოლის შემოერთება ჩემი გათავისუფლების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო. ჯერ ორი თვე მალოდინეს, დაგაბრუნებთო და კომპენსაციაც არ მომცეს. შემდეგ კი რესურსცენტრში გამომიცხადეს, დაგიწუნესო. როცა მე 6-წლიანი ვადით არჩეული დირექტორი ვიყავი.



**— რა პარტიული დავალებების შესრულებას ითხოვდნენ თქვენგან?**

**— გვთხოვდნენ, მაგალითად, ანაკლიაში წასვლას და მასწავლებლებისა და ბავშვების წაყვანას. პრეზიდენტი ჩამოდის და უნდა წამოხვიდეთო, გვეუბნებოდნენ. როგორია, შუა სწავლების დროს მიატოვო სკოლა და ანაკლიაში წახვიდე? შემიძლია ვთქვა, რომ მე არც ერთხელ არ ვყოფილვარ ანაკლიაში.** ამას გარდა, რაიონში იყო მაღაზია და რესურსცენტრიდან გვთხოვდნენ, ამ მაღაზიაში ფული ჩაგვერიცხა. ინდმეწარმე სახოკიას მაღაზიას ეძახდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ არაოფიციალურად რესურსცენტრის მაღაზია იყო და ისე ჰქონდათ ყველაფერი გაკეთებული, ვერც ვერაფერს დაუმტკიცებდი. რაღაცები უნდა გეყიდა. ეს ყველამ იცოდა.

მიყვარს ჩემი საქმე და ერთ-ერთი კარგი მუშაკი ვიყავი, მაგრამ მათ ეს არ აინტერესებდათ, ყველა დავალების უსიტყვოდ შესრულებას მოითხოვდნენ. რატომ გაუშვეს მარინე ფიფია — საუკეთესო სკოლის დირექტორი? ან მზია არონია? ზოგ დირექტორს გენინსპექცია შეუგზავნეს.

**არჩევნების დროსაც გვავალებდნენ მასწავლებლებზე გვემოქმედა, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, არასდროს ასე არ მოვქცეულვარ. თათბირებზე არასდროს პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია. სწორედ ეს დაუმახსოვრებია ღურწკაიას. ჩემი ნათესავი მუშაობდა ღურწკაიასთან და ჩემზე უთქვამს, ეგეც ოპოზიცია ყოფილაო. ჩემი უფროსი ძმა დაიჭირეს დ ყველაფერი წაართვეს, რაც გააჩნდა, უმცროსი ძმა კი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მათ ხომ ასეთი წესი ჰქონდათ, თუ ვინმეს გადაეკიდებოდნენ, მთელ ოჯახს ამოძირკვავდნენ.**

## დალი კვარაცხელია:
## წალენჯიხაში მეზობელი მეზობელს აღარ ენდობოდა



როცა პედაგოგების გათავისუფლება მომთხოვეს, მაშინაც შევეწინააღმდეგე, ასე უსაფუძვლოდ როგორ გავათავისუფლო-მეთქი. კითხვებს რომ ვსვამდი და ჩემი აზრი რომ მქონდა, სწორედ ეს არ მოსწონდა ღურწკაიას. უსიტყვოდ უნდა შეგესრულებინა ყველა მათი დავალება.

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თუ მიმართეთ ვინმეს სამსახურში აღდგენის მოთხოვნით, რას საქმიანობთ ახლა?**

— დირექტორების სასერტიფიკაციო გამოცდები ჩავაბარე, ველოდები გასაუბრებას. პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა კომისიას მივმართე, შევიტანე განცხადება. ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს, ველოდები, როგორ აღადგენენ სამართალს. ძალიან შეურაცხყოფილი ვარ და ღირსების აღსადგენად ვიბრძვი.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# მიხეილ სააკაშვილი მოქალაქეობას გამარტივებული წესით მიანიჭებს

**პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ მიმართონ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და განცხადებები შეიტანონ ყოველ სამუშაო დღეს 10:00-დან 18:00 საათამდე მისამართზე: აბდუშელიშვილის ქ.** №1.

„საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნით ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალიან ბევრი ადამიანი მოგვმართავს, რადგან იუსტიციის სამინისტრო მათ უარს ეუბნება. ამ ადამიანებს შორის არიან ისეთები, რომლებიც არასდროს ყოფილან საქართველოს მოქალაქეები და ახლა სურთ მოქალაქეობის მიღება; არიან ისეთებიც, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა იმის გამო დაკარგეს, რომ მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ამას გარდა, საქართველოს მოქალაქეობის მიღება სურთ უცხოელ ბიზნესმენებს, რომლებიც, დიდი ხანია, საქმიანობენ საქართველოში და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ამპლუაში კიდევ უფრო აქტიურად აპირებენ მუშაობის გაგრძელებას, ასევე იმ უცხოელ ბიზნესმენებს, რომლებიც ახლა აპირებენ ინვესტიციების ჩადებას. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ამ ხალხს გამარტივებული წესით მივანიჭოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა, რათა ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად ინტეგრირებული იყოს გარესამყაროსთან“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

„შეიძლება ნებისმიერ დროს ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩნდეს ინტერესის ობიექტი და მოგვისმინონ. 24 საათში კი უნდა დააკანონოს მოსმენის მოთხოვნა გამომძიებელმა ე. წ. წესით, მაგრამ ასე არასდროს ხდება ხოლმე. სათანადო ორგანოებს სრული ინფორმაცია აქვთ დაინტერესებულ პირზე და საიდან, ხომ ვერ მეტყვით?! თავად ხომ არ მივიდა და მოახსენა? ე. ი. ვიღაც უსმენს მის ტელეფონს, როგორც გამორთულ, ისე ჩართულ მდგომარეობაში.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტოტალური მოსმენები დღესაც გრძელდება?



**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი წარმომადგენლის, კაპიტან-ლეიტენანტ გია გაბრიჩიძის ინტერვიუ დაიბეჭდა სათაურით „როგორ და რა ფასის აპარატურით ხდებოდა ტოტალური მოსმენები და იყენებს თუ არა ამ აპარატურას შს მინისტრი ღარიბაშვილი?“. ამ ინტერვიუს მოჰყვა ფრანს-პრესისა და „ვიკილიქსის“ ინფორმაციების ქართული ვერსიის ტირაჟირება. „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა უშიშროების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელმაც კულისებში დარჩენა არჩია.**



## თამილა ქუთათელაძე:

## დიახ, კონკრეტულ პირებსა და პოლიტიკური ნიშნით გამორჩეულ ადამიანებს უსმენენ

— არსებობდა მოსასმენი აპარატურა, რომლითაც, სანქციის არსებობის შემთხვევაში, მოუსმენდნენ დამნაშავეებს. **სრულიად ბუნებრივია, რომ ნებისმიერ კომპანიას, რომელიც მობილურ კავშირგაბმულობაზე იწყებდა მუშაობას, სახელმწიფოსთან ექნებოდა ხელშეკრულება, რომ სახელმწიფოს საჭიროების შემთხვევაში კანონის ფარგლებში მოესმინა ეჭვმიტანილი პირებისთვის** (ეს არის სტანდარტული აპარატურა, რომლის ყიდვაც შეუძლია მობილური კავშირგაბმულობის ნებისმიერ კომპანიას, „ერიქსონი“ არის საუკეთესო, თუმცა არის სხვა ფირმებიც, რომლებიც ამ სტანდარტულ აპარატურას აწარმოებენ). ცხადია, ეს აპარატურა შეიძინა საქართველოში ფიქსირებულმა კომპანია „ჯეოსელმა“ (და არამარტო „ჯეოსელმა“), მაგრამ ეს თემები ერთმანეთში არ უნდა აირიოს. ერთია, მხოლოდ კრიმინალის მოსმენა, მეორეა – ტოტალური მოსმენები. **ის აპარატურა, რომლითაც უსმენდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს, ჟურნალისტებს და ა. შ. სხვა აპარატურაა და მართალია, ტენდერით შეიძინეს, მაგრამ ის ფორმალურად, დახურულად ჩატარდა და ამ ინფორმაციას არასდროს გასცემენ, რადგან სახელმწიფო საიდუმლოებაა.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი თამილა ქუთათელაძე ესაუბრა:**

— იცით, ყველა ქსელიდან შეიძლება მოსმენა, არამარტო „ჯეოსელიდან“, მით უმეტეს „სილქნეტიდან“. დიახ, „სილქნეტს“ აქვს ამის აპარატურა დამონტაჟებული. და შეგნებულად მოხდა არამარტო ხაზების შეცვლა, არამედ სრული გადაიარაღება; ახალი ქსელებიდან გამომდინარე, ე.წ. მათი აპარატურა მოკლე და გრძელ ტალღებზე მუშაობს. დააკვირდით, მათი ტელეფონები მობილური ტელეფონების მსგავსია — უკაბელო. ვინც ელემენტალურ ფიზიკაში ერკვევა და ტექნიკასთან აქვს შეხება, იცის, რომ ეს ტალღებსა და მათ თვისებებზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, იმ ტალღების დაჭერა და მათი საშუალებით მოსმენა სირთულეს არ წარმოადგენს.

გარდა ამისა, დღეს ისეთი მინიაპარატურებია შემოტანილი, რომლებიც სადღაც 300 ათას ადამიანს უსმენს.

**— ახალი შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ უსმენს ხალხს?**

— არ გამოვრიცხავ... იცით, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაყოფილია რამდენიმე პრაქტიკულად დამოუკიდებელ სტრუქტურად და ის სტრუქტურები, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას, ამას ვერ შეწყვეტენ, რადგან ამის ბრძანებაც არ გაცემულა და კანონში ცვლილებაც არ შესულა, თუმცა კანონი არასდროს აკანონებდა უკანონო მოსმენებს, მაგრამ არც უკიდურესი ფორმით არ კრძალავდა — აკრძალვას, პრინციპში, ნომინალური სახე ჰქონდა. დიახ, **უსმენენ კონკრეტულ პირებს, მაგალითად, პოლიტიკური ნიშნით გამორჩეულ ადამიანებს. შესაძლებელია, გაიმართლონ თავი, რომ ეს მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე ხდება, მაგრამ კარგით რა, როდემდე?** თუ ადამიანს თავის დაცვა სჭირდება, დაცვას აიყვანს, გადასარევი დაცვის პოლიცია გვყავს.

**შეიძლება ნებისმიერ დროს ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩნდეს ინტერესის ობიექტი და მოგვისმინონ. 24 საათში კი უნდა დააკანონოს მოსმენის მოთხოვნა გამომძიებელმა ე. წ. წესით, მაგრამ ასე არასდროს ხდება ხოლმე.**



## გია გაბრიჩიძე:

## ამერიკელებს ხელი მიუწვდებოდათ ჩვენს აპარატურასა და მონაცემთა ბაზაზე, გარდა ამისა, ხვალ თუ არა ზეგ რეგიონში ომია დაგეგმილი

**სათანადო ორგანოებს სრული ინფორმაცია აქვთ დაინტერესებულ პირზე და საიდან, ხომ ვერ მეტყვით?! თავად ხომ არ მივიდა და მოახსენა? ე. ი. ვიღაც უსმენს მის ტელეფონს, როგორც გამორთულ, ისე ჩართულ მდგომარეობაში.** მოკლედ, ამ აპარატურის შემოტანა თავად შსს-მ დაადასტურა, ამას არავინ უარყოფს და მათი გამოყენება როგორ ხდება, ეს უკვე უბრალო მოკვდავმა მოქალაქეებმა არ ვიცით.

**„საქართველო და მსოფლიოს“ კვლავ კაპიტან-ლეიტენანტი გია გაბრიჩიძე ესაუბრა:**

— უაზრობაა იმაზე ლაპარაკი, რომ რომელიმე ერთი კონკრეტული ფირმა აწარმოებდა მოსმენას და თანაც კონკრეტული ფირმის, მაგალითად, „ერიქსონის“ გამოშვებული აპარატურით. წინა ინტერვიუში ჩვენ ვთქვით, რომ ეს აპარატურა სპეცსამსახურების სპეციალური შეკვეთით მზადდებოდა. ასევე არ უნდა ყოფილიყო გაგებული წინა ინტერვიუ ისე, თითქოს მხოლოდ ერთადერთ მოწყობილობაზე გვქონდა საუბარი, რომელიც 2 მილიონი ღირდა. საქმე ისაა, რომ მართალია, ის აპარატურა ღირდა 2 მილიონი (ძველი), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასიათასობით კაცის პერმანენტული მოსმენა შეიძლება 2 მილიონით. ეს რომ ასე იყოს, ძალიან ბევრი მოუსმენდა სხვადასხვა სახელმწიფოდან. ცხადია, ჯამში, როგორც აპარატურის შეძენაზე, ასევე მათ მომსახურებაზე გაცილებით მეტი დაიხარჯა, 2 მილიონზე კი არა, ასობით მილიონზეა ლაპარაკი, უახლესი აპარატურაა..

**— მაინც ვის უსმენდნენ ? ვინ იყო ასე მნიშვნელოვანი?**

— როგორც ჟურნალისტები ამბობენ, **უშიშროება საქართველოში ასრულებდა პოლიტიკური პოლიციის როლს, ანუ უსმენდენ ყველა ჟურნალისტს, ყველა პოლიტიკურ ოპონენტს — ყველას, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთთან.** საერთაშორისო საუბრები, როგორც წესი, იწერებოდა და ინახებოდა 5 წელი მაინც. უსმენდნენ ასევე მათი ოჯახის წევრებს. ასე რომ, იმ პირთა წრე, რომლებიც ისმინებოდნენ, ძალიან დიდია. არჩევნების წინ ამ ადამიანების რიცხვი იმატებდა, არჩევნების შემდეგ იკლებდა და ა. შ. მარტო ჩაწერა ნამდვილად არ არის საკმარისი, საჭიროა კიდევ ამის გაშიფვრაც და საინტერესო ინფორმაციის ამოღება, — როგორ ხდებოდა ეს. არსებობს ე.წ. „კეივორდი“, თვითონ სიტყვასაც ეტყობა, რა არის ეს. მაგალითად, საუბარში ვიღაცამ ახსენა ბინ ლადენი (ეს მაშინ, როცა ცოცხალი იყო), ის საუბრები, სადაც ეს „კეივორდი“ იყო გამოყენებული, ცხადია, ბოლომდე შეისწავლებოდა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა, რაიმე ინფორმაცია ჰქონდათ მოსაუბრეებს. ასევე არსებობდნენ პიროვნებები, რომლებიც ყველა საუბარს რამდენიმეჯერ უსმენდნენ იმ მოსაზრებით, რომ, შესაძლოა, კოდირებას ჰქონდა ადგილი. ასე რომ, ერთ ინტერვიუში ამ საკითხის ამოწურვა ყოვლად წარმოუდგენელია.

**— „ვიკილიქსის“ ინფორმაციით, საქართველოში არსებობდა სტრუქტურა, რომელიც სხვა ქვეყნებში საუბრებსაც უსმენდა ამერიკული სპეცსამსახურის შეკვეთით, თქვენი აზრით, რა სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა ამ „სტაფს“?**

— საქართველოს თავისი მდებარეობით მარტო ნავთობსადენისთვის კი არ აქვს მნიშვნელობა ან მარტო ჩაუძირავი ავიამზიდი კი არ არის, სტრატეგიულად ძალიან მოხერხებული ადგილი აქვს ათასნაირი კოსმოსური დაკვირვებისთვის რეგიონში. **ამერიკელებს ხელი მიუწვდებოდათ ჩვენს აპარატურასა და მონაცემთა ბაზაზე, გარდა ამისა, ხვალ თუ არა ზეგ რეგიონში ომია დაგეგმილი (ირანი მყავს მხედველობაში), აქვეა რუსეთი, ამერიკის ერთი უმთავრესი სტრატეგიული მოწინააღმდეგე.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ სატელეკომუნიკაციო კომპანია „ერიქსონის“ ადმინისტრაციის უფროსი ნატა ქურდიანი ესაუბრა:**

**— გადაეცით თუ არა ქართულ სატელეკომუნიკაციო პროვაიდერ „ჯეოსელს“ მოსასმენი აპარატურა და რა ფასში? რატომ გადაეცით, ხომ იცოდით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას საზოგადოებისთვის უნდა მოესმინა?**

— ამასთან დაკავშირებით არ ვფლობ ინფორმაციას, გენერალური დირექტორი კი არ არის ადგილზე, შესაბამისად, ვერ გაესაუბრებით. გადმოგზავნეთ კითხვები ჩვენს ფოსტაზე და პასუხებს უახლოეს ხანში დაგიბრუნებთ.

**ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეც მოვიქეცით და პასუხებს მიღებისთანავე გავაცნობთ საზოგადოებას.**

**ქეთი ხომერიკი**

## თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ შეწყალების ინსტიტუტის რეფორმირება უნდა მოხდეს

წულუკიანმა ჟურნალისტებთან სახალხო დამცველის შესაბამისი რეკომენდაციის კომენტირებისას განაცხადა, პროცედურა უნდა დაიხვეწოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხვდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალების აქტი.

**„საერთოდ შეწყალების ინსტიტუტი, ისევე, როგორც საპატიმროებში სასჯელის მოხდის მიმდინარეობა, რა თქმა უნდა, საჭიროებს რეფორმას. მე არ ვარ იმ აზრზე, რომ პატიმრები კატეგორიებად უნდა დაყონ და ზოგიერთის შეწყალება უნდა შეეძლოს პრეზიდენტს და ზოგიერთის — არა; პრეზიდენტს ყველანაირი პატიმრის შეწყალება უნდა შეეძლოს და ეს არაა პრობლემა. პრობლემა, ჩემი აზრით, თავად პროცედურაშია — პროცედურა უნდა დაიხვეწოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხვდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალების აქტი.**

**სწორედ პროცედურა უნდა გადაიხედოს და ის გამჭირვალე გახდეს საზოგადოებისთვის“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, შეწყალების კომისიაც ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს.

**„ის კომისია, რომელიც მუშაობს შეწყალებაზე, რაღაცნაირად ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს და პრეზიდენტთან უნდა მიდიოდეს მხოლოდ იმ პატიმრების საქმეები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ შეწყალებას, ხოლო პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, უნდა შეეძლოს, მოაწეროს ან არ მოაწეროს ხელი ამა თუ იმ პროექტს“,** — განაცხადა წულუკიანმა.

ამასთან, იუსტიციის მინისტრის შეფასებით, საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი იმდენად გონიერია, რომ „იმგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, როგორიც ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით ვიხილეთ, მის პირობებში გამორიცხულია“.

**„მთავარია, რომ ჩვენ უკვე გვყავს გონიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტი და მის პირობებში გამორიცხულია იმგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, როგორც ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით ვიხილეთ“,** — დასძინა თეა წულუკიანმა.

ომბუდსმენის რეკომენდაციაა, რომ პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების ინსტიტუტის გამოყენება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში მოექცეს. უჩა ნანუაშვილის შეფასებით, ნებისმიერი შეწყალების აქტი ჰუმანურობის პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს, თუმცა ის გარკვეულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

**„როდესაც პატიმარი ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს, სხვა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ამ პატიმრის შეწყალების საკითხი იმ პატიმრისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს დანაშაულს და ითხოვს პატიებას“,** — განაცხადა ნანუაშვილმა.

მოკლედ

## საბერძნეთში საქართველოს კონსული ჩაძირული გემის ეკიპაჟის ქართველ წევრებს შეხვდა

**საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს კონსული გიორგი არჩემაშვილი კუნძულ როდოსთან ჩაძირული გემის — „სტელას“ ეკიპაჟის ქართველ წევრებს შეხვდა, რომლებიც დღეს კუნძულ როდოსიდან ათენში ჩავიდნენ.** ათენში ქართველმა მეზღვაურებმა საბერძნეთის საზღვაო შემთხვევების ცენტრში გამართეს შეხვედრა, სადაც მათ მომხდარის თაობაზე გაესაუბრნენ. საბერძნეთში საქართველოს საკონსულო ქართველ მეზღვაურებს ე. წ. დასაბრუნებელ მოწმობებს გადასცემს, რითაც ისინი უახლოეს დღეებში საქართველოში დაბრუნდებიან. მეზღვაურებისთვის სამშობლოში დასაბრუნებელ ბილეთებს გემთმფლობელი კომპანია შეიძენს. ეკიპაჟის კიდევ ერთი დაკარგული წევრის, გემის კაპიტნის სამძებრო სამუშაოები ეგეოსის ზღვაში გრძელდება. 4 ნოემბერს ე. წ. სიღრმისეული სამძებრო სამუშაოები შეწყდა, რომელიც შემთხვევიდან 72 საათის განმალობაში ზღვის ფსკერზე მიმდინარეობდა. 5 ნოემბრის დილიდან კი მაშველებმა სამძებრო სამუშაოები ზღვის ზედაპირზე გააგრძელეს. სიერა-ლეონეს დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემის ჩაძირვის მიზეზებს კუნძულ როდოსის საზღვაო პორტის ადმინისტრაცია არკვევს.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს ორი პროცესი — პოლიტიკური და სამართლებრივი უნდა გაიმიჯნოს. პოლიტიკა არის პოლიტიკა და ჩვენ ოპოზიციასთან ვთანამშრომლობთ, ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით გვაქვს მიღებული ერთობლივი რეზოლუციები, გადაწყვეტილებები, მაგრამ სამართლებრივი პროცესი სხვა საკითხია. შერჩევითი სამართალი რომ არ უნდა არსებობდეს არც საქართველოში და მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, ბუნებრივია და რაიმე კითხვებს არ უნდა ბადებდეს. საქართველოს ამის ვალდებულება აღებული აქვს და ვფიქრობ, ზედმიწევნით კარგად ვასრულებთ.“**

# ვიქტორ დოლიძე: რუსეთთან ურთიერთობას დიდი ოპტიმიზმით ვერ ვუყურებ

**საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა. გავრცელებულ ხმებს, მიხეილ სააკაშვილის შესაძლო გასამართლებასთან დაკავშირებით, საერთშორისო საზოგადოების მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა. ევროკომისრებმა საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, ოპოზიციასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდეს, ხოლო ევროპული გამოცემები ღიად ურჩევენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, „სააკაშვილი ციხეში არ ჩასვას“. რატომ არ იყო ასეთი მკაცრი საერთაშორისო საზოგადოება ყოფილი ხელისუფლების მიმართ და რატომ ვერ ახერხებს საქართველოს ახალი ხელისუფლება, უცხოელები საკუთარ სიმართლეში დაარწმუნოს, „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი ვიქტორ დოლიძე ესაუბრება.**



**— საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში გაემგზავრა და ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოს შეხვდა, რომელმაც სააკაშვილის წარმატებებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ „პოლიტიკური პრობლემა პოლიტიკური გზით უნდა გადაწყდეს და არა სამართლებრივი მეთოდით. ველოდებით, რომ საქართველო თავის ვალდებულებებს შეასრულებს“...**

**ალნიშნული ვიზიტი და ბაროზოს განცხადებები უკავშირდება თუ არა გავრცელებულ ხმებს, რომ არჩევნების შემდეგ შესაძლო იყო, სააკაშვილი დაეპატიმრებინათ და ახლა მან გარკვეული გარანტიები უკვე მიიღო?**

— ბატონ ბაროზოს ვეთანხმები, ჩვენ პოლიტიკურ პრობლემას, როგორც პოლიტიკურს, ისე აღვიქვამთ, სამართლებრივს კი, სამართლებრივ კონტექსტში განვიხილავთ, როგორც ეს სამართლებრივ სახელმწიფოში ხდება, ამიტომ ეს ორი საკითხი ერთმანეთისგან გამიჯნულია და ასეც უნდა იყოს. ბატონ ბაროზომდე ევროპარლამენტმა მიიღო, ჩემი აზრით, საქართველოსთვის ძალიან წარმატებული რეზოლუცია. ამიტომ ამ საკითხში ჩვენ, რა თქმა უნდა, ვთანხმდებით. რაც შეეხება დანარჩენს, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არც ყოფილა საუბარი. იმ სპეკულაციებზე კი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, თუნდაც საპარლამენტო სხდომების დროს, კომენტარების გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ.

**— ევროპული გამოცემები უკვე ღიად წერენ, რომ „ევროკავშირი საქართველოს დაჟინებით ურჩევს, სააკაშვილი ციხეში არ ჩასვას“ („ევრობსერვერი“), ევროკომისრებმა პირდაპირ მოუწოდეს გიორგი მარგველაშვილს ოპოზიციასთან თანამშრომლობისკენ, ხოლო აშშ-ის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის განცხადება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უმთავრესი ოპოზიციური ძალაა, ნიშნავს თუ არა მათი მხრიდან ქვეყნის შიდა საქმეებში უხეშად ჩარევას და დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევას?**

— ასე მძაფრად ნუ შევაფასებთ. ის მოწოდებები, რომლებიც ოპოზიციასთან თანამშრომლობას, სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, დემოკრატიული რეფორმების გატარებას შეეხება, ნორმალურია და ამასთან დაკავშირებით ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად თავიდან ბოლომდე ჩამოყალიბებულები ვართ. იმ წარმოდგენებმა, რომლებიც სააკაშვილს ჰქონდა შექმნილი თავისი პოპულისტური გამოსვლებით, მერწმუნეთ, თავისი დრო მოჭამა და იმავე ევროპარლამენტის რეზოლუცია ამას ადასტურებს.

მარტივ მაგალითს მოვიყვან: **„ნაციონალური მოძრაობის“ ძალისხმევის შედეგად, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მიიღო დასკვნა, რომელშიც ეწერა, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია და უნდა გათავისუფლდესო, ერთი კვირის შემდეგ ევროპარლამენტმა აბსოლუტურად სხვა რეზოლუცია მიიღო, რაც ჩვენი სერიოზული ძალისხმევის და მუშაობის შედეგია.**

**— ეს ყველაფერი, ასევე რიჩარდ ნორლანდის განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ უმთავრესი ოპოზიციურ ძალად აღიარების შესახებ ნიშნავს თუ არა, რომ ხელისუფლების დაპირება (არჩევნების შემდეგ კოაბიტაცია შეწყდებოდა) არ შესრულდება?**

— ამ საკითხს ასე ნუ განვიხილავთ. ოპოზიციასთან კოაბიტაცია, თანაარსებობა, ჩვენ გვინდა თუ არა, გარდაუვალია. როგორ შეიძლება, ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლებამ ოპოზიციასთან არ ითანამშრომლოს? სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც ასეა, ამასთან დაკავშირებით კითხვა არ უნდა ისმებოდეს. საერთოდ არ მესმის, თავიდანვე რა საჭირო იყო მოწოდება კოჰაბიტაციისკენ, ჩვენ არც მაშინ გვჭირდებოდა ეს მოწოდებები, მაგრამ აქ საუბარი სხვა კოჰაბიტაციაზე იყო. მაშინ, როდესაც სააკაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი იყო, თავად დაირქვა ოპოზიციონერი, აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში კოაბიტაციასაც არაერთგვაროვანი ფუნქცია ენიჭებოდა. ჩვენი ქვეყნის სასიკეთო, მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ჩვენ ოპოზიციასთან თანამშომლობას მომავალშიც ვაპირებთ.

**— გერმანიის ელჩის — ორთვინ ჰენიგის ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“. იგი პირდაპირ ამბობს, რომ საქართველო ვერ გახდება ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის წევრი, სანამ რუსეთთან კონფლიქტი გვექნება და ევროკავშირში სტაბილურობას საქართველოს გამო ვერ შეელევიან. „თქვენ ვერ გახდებით ნატოს წევრი მანამ, სანამ არ იქნება გარანტია იმისა, რომ საქართველო ნატოს წევრობას რუსეთთან დასაპირისპირებლად არ გამოიყენებს“, როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?**

— მიუხედავად დიდი პატივისცემისა, გერმანიის ელჩის აღნიშნულ განცხადებას ნამდვილად ვერ დავეთანხმები. **ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები სხვა საკითხია და რუსეთთან ურთიერთობა — სხვა, და ეს არანაირად არ უნდა შეეხებოდეს თუნდაც ალიანსსა და საქართველოს შორის ურთიერთობას.** ეს არაერთხელ განაცხადა როგორც ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ასევე პარტნიორი ქვეყნების ყველა უმაღლესმა წარმომადგენელმა. ამიტომ ეს, ალბათ, მისი პირადი აზრია.

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რუსეთში, ახალი პრეზიდენტის პირობებში, საქართველოსთან ურთიერთობის განვითარებას ოპტიმისტურად უყურებენ. როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობის დარეგულირება, რა იქნება ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი ამ მიმართულებით?**

— მიუხედავად იმისა, რომ, ერთის მხრივ, სასიამოვნოა ამგვარი განცხადებები, **მე დიდი ოპტიმიზმით ვერ ვუყურებ რუსეთთან ურთიერთობას, რადგან მხოლოდ განცხადებებს ვერ დავეყრდნობი და კონკრეტული ქმედებები გვჭირდება.** დღეს საოკუპაციო ზოლზე რაც ხდება, აბსოლუტურად მიუღებელია; უფრო მეტი ოპტიმიზმის საფუძველი მექნება, თუ რუსეთი საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

# ლევან ადეიშვილი: ბაჩო ახალაიას განაჩენთან დაკავშირებით, დაცვის მხრიდან ერთი სამართლებრივი არგუმენტიც არ მომისმენია



**რას მოიმოქმედებს პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის მიერ ბაჩო ახალაიას შეწყალების შემდეგ და რატომ ისმის გამუდმებით პროკურატურის მიმართ საყვედურები, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორი ლევან ადეიშვილი, რომელიც რამდენიმე გახმაურებულ პროცესზე, მათ შორის ბაჩო ახალაიას საქმეზეც, სახელმწიფო ბრალმდებელი გახლდათ.**



**— თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ წარმოებულ უკვე მეორე საქმეზე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. დღეს ყველაზე მეტი საყვედური პროკურატურის მიმართ ისმის, რატომ ვერ მოახერხა პროკურატურამ უფრო მყარი და სათანადო მტკიცებულებების წარდგენა ახალაიას წინააღმდეგ?**

— მე წარმოვადგენდი სახელმწიფო ბრალდებას მხოლოდ ე. წ. ციხის ბუნტის საქმეზე, სადაც **ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა, დავით ჭაკუა და რევაზ ჭარბაძე სასამართლომ დამნაშავეებად სცნო და ოთხივე მათგანს არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახავი მოპყრობის გამო, რასაც თან ახლდა სისასტიკე და ფიზიკური ტკივილის მიყენება, შესაბამისი სასჯელები განესაზღვრათ.** გარდა ამისა, მე სახელმწიფო ბრალდებას წარმოვადგენდი თენგიზ გუნავას საქმეზეც, რომელიც 49500 ლარისა და 3 ათასი ლიტრი ბენზინის მითვისებაში ასევე დამნაშავედ სცნო სასამართლომ. მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ როგორც გახსოვთ, ის პრეზიდენტმა შეიწყალა. გახმაურებული საქმეებიდან ამჟამად ასევე გამოვდივარ დგებუაძის, იმავე „მასტერას“ საქმეზე, რომელსაც ასევე წამება და არაადამიანური მოპყრობა ედება ბრალად და იმედი მაქვს, აქაც გამამტყუნებელი განაჩენი დადგება. აქედან გამომდინარე, მოკლებული ვარ შესაძლებლობას, პასუხი გავცე თქვენს შეკითხვას და რაიმე კომენტარი გავაკეთო სხვა საქმეებზე, ვინაიდან აღნიშნულ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდებას სხვა პროკურორები წარმოადგენენ. როგორც ვიცი, პირველი ინსტანციის ერთი განაჩენი სააპელაციო სასამართლოში უკვე გასაჩივრებულია და საქმის განხილვა მიმდინარეობს.

**— ბაჩო ახალაია სასამართლომ ე. წ. ციხის ბუნტის საქმეზე დამნაშავედ სცნო არაადამიანური მოპყრობის მუხლით და 3 წელი და 9 თვე მიუსაჯა, მაგრამ ბაჩო ახალაია მიხეილ სააკაშვილმა შეიწყალა. რას აპირებს პროკურატურა?**

— ჩვენი კანონმდებლობით, პრეზიდენტს აქვს უფლება, ნებისმიერი მოქალაქე შეიწყალოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს განაჩენი შეეხებოდა პატიმართა არაადამიანური და დამამცირებელი დასჯის ფაქტებს. სამართლებრივად, პრეზიდენტმა შეწყალება განახორციელა იმ ეპიზოდში, რომლითაც გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, ბუნებრივია, ამ ეპიზოდში გასაჩივრებას აზრი ეკარგება, მაგრამ რაც შეეხება ციხიდან უკანონოდ გაყვანის ფაქტებს, რაშიც ახალაია და ქარდავა არიან ბრალდებულები, ეს ეპიზოდი არ მოხვდა შეწყალებაში და სრული უფლება გვაქვს, გავასაჩივროთ სასამართლოში და მოვითხოვოთ, ბრალდებულებს ამ ეპიზოდშიც დაეკისროთ შესაბამისი სასჯელი.

**— თქვენ უკვე მესამე პროკურორი იყავით ახალაიას საქმეზე... თქვენმა წინამორბედმა ია დარჯანიამ თვითაცილების შუამდგომლობა დააყენა, ვინაიდან მას, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების საშუალება არ გააჩნდა და, როგორც აცხადებდა, ახალაიას ახლობლები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ. თქვენზე თუ განხორციელებულა რაიმე სახის ზეწოლა?**

— ზეწოლას ჩემ მიმართ ადგილი არ ჰქონია. როგორც ნახეთ, დასკვნითი სიტყვითაც წარვსდექი სასამართლოს წინაშე და მოვითხოვე, ზემოთ დასახელებული მუხლებით ბრალდებული პირები სასამართლოს დამნაშავეებად ეცნო. მიმაჩნია, რომ სასამართლომ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ეპიზოდში დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა.

**ჩვენ სასამართლოზე უამრავი მტკიცებულება წარვადგინეთ, გარდა დაზარალებულების ჩვენებებისა, გვქონდა 14 მოწმის ჩვენება, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ ყველამ მამხილებელი ჩვენებები მისცეს ბრალდებულების, მათ შორის ბაჩო ახალაიას, წინააღმდეგ.** საქმეში ასევე წარდგენილი იყო ექსპერტიზის დასკვნები და სხვა მტკიცებულებები, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საკმარისი იყო, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანა.

ჩემი დასკვნითი სიტყვის წაკითხვის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დაცვის მხარე საქმეს სრულყოფილად არ იცნობდა. ამის გარდა, სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ უდავოდ მიიჩნია ყველა ჩვენ მიერ წარდგენილი მტკიცებულება, მათ შორის დაზარალებულების და მოწმეების ჩვენება, და ეჭვი არ შეუტანია მათ სისწორეში. თუ რატომ არ იყო განაჩენი სამართლიანი, პოლიტიკური განცხადებების გარდა, დაცვის მხრიდან მე ერთი სამართლებრივი არგუმენტიც არ მომისმენია.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**სალიტერო სპეცმატარებელი საქართველოს მთელი რკინიგზის მაგისტრალის ძირითად გაჩერებებზე ივსებოდა ქართული შემოდგომის ნობათით. ზუსტად მაშინ ფაშისტებისგან ახლად განთავისუფლებულ ნოვოროსიისკში, ქალაქში, რომელიც, იოსებ სტალინის ხატოვანი გამონათქვამით, „ამიერკავკასიის კარია“, გადაიღეს ეს სამახსოვრო სურათი.**

ქრონიკები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთი ფოტოსურათის ისტორია

**ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ფრონტული ფოტოა. მასზე აღბეჭდილი 12 კაცის სახეები არაფერს გეუბნება, სანამ წარწერას არ დახედავ და... მერე ხვდები, რომ რელიკვიას ეხები ხელით! ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანების ცხოვრება, მათი ნამოღვაწარი და ბედი საქართველოს გასული საუკუნის ისტორიასთანაა გადაჯაჭვული. დღეს, 2013 წლის 6 ნოემბერს, ამ ფოტოსურათს ზუსტად 70 წელი შეუსრულდა... ჩემს უფროს კოლეგას, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტ ლევან დოლიძეს სახლში ვესტუმრე და მისი უაღრესად საინტერესო მონათხრობი ჩავიწერე.**



**საქართველოს მშრომელთა დელეგაცია სტუმრად მე-18 სადესანტო არმიაში.**
**სხედან (მარჯვნიდან მარცხნივ); ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი გიორგი კირვალიძე, მე-18 სადესანტო არმიის მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე, საქ. კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი მიხეილ ბარამია, მე-18 არმიის სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-მაიორი ს. კოლონინი, პოეტი გიორგი ლეონიძე;**
**დგანან (მარჯვნიდან მარცხნივ): მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლეონიდ ბრეჟნევი, მსახიობი აკაკი ხორავა, მე-18 არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვლადიმერ ზარელუა, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, მხატვარი უჩა ჯაფარიძე, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს მუშაკი, მაიორი აპოლონ დოჭვირი, არმიის მთავარსარდლის ადიუტანტი დ. დუბროვინი. 1943 წლის 6 ნოემბერი.**

— ჩემს პირად არქივში ამ ფოტოსურათს განსაკუთრებული ადგილი უკავია!.. კავკასიისთვის გრანდიოზული ბრძოლის დამთავრებისთანავე, **ლავრენტი ბერიამ** მოსკოვიდან დაურეკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მეორე მდივანს — **მიხეილ ბარამიას**: **„ამხანაგ ჩარკვიანს** (საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანს. — ლ. დ.) **უკვე ველაპარაკეთ. უახლოეს დღეებში გაემგზავრეთ გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის მე-18 არმიაში, ესტუმრეთ პოლკოვნიკ ყურაშვილის** (მომავალში გენერალ-მაიორის. — ლ. დ.) **414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებს. კავკასიის გმირებისთვის ეს იქნება დიდი, მნიშვნელოვანი მოვლენა...“**

და, აი, 1943 წლის ნოემბრის დასაწყისში თბილისიდან ქალაქ ნოვოროსიისკში გაემგზავრა სპეციალური დანიშნულების ეშელონი, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია მიხეილ ბარამიას ხელმძღვანელობით. მთელს რესპუბლიკაში აგროვებდნენ საჩუქრებს კავკასიის ბრძოლის გმირი მეომრებისთვის. **სალიტერო სპეცმატარებელი საქართველოს მთელი რკინიგზის მაგისტრალის ძირითად გაჩერებებზე ივსებოდა ქართული შემოდგომის ნობათით. ზუსტად მაშინ ფაშისტებისგან ახლად განთავისუფლებულ ნოვოროსიისკში, ქალაქში, რომელიც, იოსებ სტალინის ხატოვანი გამონათქვამით, „ამიერკავკასიის კარია“, გადაიღეს ეს სამახსოვრო სურათი.**

გავიდა წლები. მე-18 არმიის სარდლის შვილი — **ოთარ ლესელიძე** მამის სამოცი წლის იუბილისთვის აგროვებდა მასალებს. მან გაიხსენა ეს სურათი, მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერსად იპოვა. ოთარ კონსტანტინის ძემ წერილით მიმართა სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს — **ლეონიდ ბრეჟნევს**. იგი ომის დროს ხელმძღვანელობდა მე-18 არმიის პოლიტგანყოფილებას. წერილში სარდლის შვილმა შეახსენა 1943 წლის ნოემბერში, როცა საქართველოს დელეგაცია სტუმრობდა მე-18 არმიას, გადაღებულ ფოტოსურათზე.

უნდა გითხრათ, რომ ჩემი ოჯახი ენათესავება ლესელიძეების ოჯახს და ერთხელ მე მოვუსმინე დედაჩემისა და ლეგენდარული გენერლის ქვრივის — ნინო შენგელიას საუბარს ლეონიდ ბრეჟნევისადმი გაგზავნილ წერილზე და მისგან მიღებულ თბილ პასუხზე. დავინტერესდი და მივედი ქალბატონ ნინოსთან, ვთხოვე, მომეცა ეს სურათი. გავაკეთე მისი ასლი და წავუღე ის გაზეთ „Вечерний Тбилиси“-ს მაშინდელ მთავარ რედაქტორს — **პავლე ასლანიდის**. ამ სურათთან დაკავშირებულ ამბებზე მე, დამწყებ ჟურნალისტს, რედაქტორმა შემომთავაზა, შემეგროვებინა რაც შეიძლება მეტი მასალა, თანაც ფარულად, სხვა რედაქციებს რომ არ გაეგოთ. „Мы им всем поставим фитиль“, — თვალი ჩამიკრა პავლე ვასილის ძემ. სიხარულით მოვეკიდე რედაქტორის ამ მნიშვნელოვან დავალებას და, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ეს საქმე დიდი ხნით გადაიდებოდა. შევახსენებ მკითხველს, რომ იდგა 1964 წლის სექტემბერი.

პირველი, ვისაც მე მივმართე, გახლდათ საქართველოს სახალხო პოეტი **გიორგი (გოგლა) ლეონიძე**. მისი კაბინეტის ფანჯრები ჩვენს რედაქციას უმზერდა. **ბატონი გიორგი დიდხანს დასცქეროდა ფოტოს. ვის ვის და მას — სტალინური პრემიის ერთ-ერთ პირველ ლაურეატს, ომზე დიდებული პატრიოტული ლექსების შემქმნელს, ბევრი რამ ჰქონდა გასახსენებელი. უცებ, თითქოს თავისთვის, ხმადაბლა წაიკითხა ლექსი და ასევე ხმადაბლა, ოდნავი სევდით მიამბო გამაოგნებელი ისტორია ფრონტულ მეგობრობაზე და სიყვარულზე.** იმ დღეებში, როდესაც ბატონი გოგლა მე-18 არმიას სტუმრობდა, მან არაჩვეულებრივ საფლავებს მოჰკრა თვალი — შუაში იყო მინდვრის უკვე გამხმარი ყვავილებით მოფენილი საფლავი, მის გარშემო კი გვირილის ფურცლებივით — სხვა საფლავები. გაირკვა, რომ არმიაში მედდად მსახურობდა ულამაზესი ციმბირელი გოგონა, რომელზეც შეყვარებული იყო მზვერავთა მთელი ჯგუფი. ბიჭების გრძნობა იმდენად სუფთა და ამაღლებული ყოფილა, რომ დაუფიციათ, გამარჯვებამდე მოეცადათ და შემდეგ მისთვის გული გადაეშალათ; და ვისაც ეს მშვენიერი გოგო აირჩევდა, ის იქნებოდა მისი მეუღლე. მაგრამ ერთ დღეს მტრის ჭურვებმა იმსხვერპლა ყველა — მედდაც და მზვერავებიც. ყველანი ერთად დაასაფლავეს. იქვე გიორგი ლეონიძემ ექსპრომტად დაწერა ლექსი... დღემდე თავს ვერ ვპატიობ, რომ ვერ მოვიფიქრე და ლექსი მაშინვე არ ჩავიწერე. ორი წლის შემდეგ, 1966 წელს, გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა... სად არ ვეძებდი ამ ლექსს! ამაოდ.

ჩემი შემდეგი მასპინძელი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი **უჩა ჯაფარიძე**. სამწუხაროდ, დიდი მხატვარი მაშინ ავადმყოფობდა და საწოლში იწვა. მასთან შესვლისთანავე გამაოცა ერთმა დეტალმა. მისი საწოლის თავზე ეკიდა ფანქრით შესრულებული კუბოში ჩასვენებული სტალინის დიდი სურათი. გაირკვა, რომ გარდაცვლილი სტალინის დახატვის ნება მას მისცა თვით ლავრენტი ბერიამ. **ბატონმა უჩამ სიხარულით გაიხსენა ამაღელვებელი შეხვედრები კავკასიის ბრძოლის გმირებთან, მე-18 სადესანტო არმიის მთავარსარდალ კონსტანტინე ლესელიძესთან, უბრალო ჯარისკაცებთან, აღტაცებული თვალებით რომ უყურებდნენ ახალგაზრდა მხატვარს, რომლის პიჯაკს ამშვენებდა სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანი.** ბატონმა უჩამ ბევრი სურათი მანახა, რომლებიც მან შექმნა იმ მოგზაურობის დროს. მათ შორის, ფანქარში შესრულებული გენერალ ლესელიძის, კავკასიის მთავარი გმირის, პორტრეტი. იმ დაუვიწყარ დღეებზე ბევრი საინტერესო რამ მიამბო გენერალ-მაიორმა **ვლადიმერ ზარელუამ.** მაშინ, 1943 წლის ნოემბერში, პოლკოვნიკი ზარელუა მეთაურობდა მე-18 არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას — „სმერშ“-ს (სიკვდილი შპიონებს). ეს განყოფილებები უშუალოდ მოახსენებდნენ იოსებ სტალინს მდგომარეობას ფრონტებზე, ამიტომ ყველა „ოსობისტი“ („სმერში“-ს მეთაურები) განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. **„საქართველოს დელეგაციის თითოეული წევრი,** — იხსენებდა ვლადიმერ ზარელუა, — **უმალვე ხვდებოდა მებრძოლთა ყურადღების ცენტრში. ისინი აღტაცებით უყურებდნენ თითოეულ ქართველს. მაშინ სტალინის, ბერიას, განთქმული ქართველი სარდლების წყალობით, საქართველოს და, საერთოდ, ქართველების ავტორიტეტი გამაოგნებელი იყო“.** რაც შეეხება ლეონიდ ბრეჟნევს, მასზე გენერალი ზარელუა ასე ამბობდა: **„ლეონიდ ილიას ძე შეყვარებული იყო ყველაფერ ქართულზე“.**

იმ პერიოდში შევხვდი მე-18 არმიის პოლიტმუშაკს, მაიორ **აპოლონ დოჭვირს**, აგრეთვე, სტალინური პრემიის ლაურეატს, პოეტ **სიმონ ჩიქოვანს**. ბატონმა სიმონმა ამ მოგზაურობას მიუძღვნა საფრონტო ლექსების მთელი ციკლი. 1964 წელს აღარ იყო ცოცხალი ფოტოსურათზე ცენტრში მჯდომი, საქართველოს დელეგაციის მეთაური მიხეილ ბარამია — 1951 წელს ე. წ. მეგრელთა საქმის მსხვერპლი; შემდეგ, 1953 წელს რეაბილიტირებული და აფხაზეთში 1955 წელს უცნაურ ვითარებაში დაღუპული! (მატარებელმა გაიტანა(?) — ლ. დ.) სამწუხაროდ, ვერც 1943 წელს ახალციხის პარტიის რაიკომის პირველ მდივანს — **გიორგი კირვალიძეს** მოვესწარი...

სსრკ-ის სახალხო არტისტს — **აკაკი ხორავას** სახლში ვესტუმრე. 1943 წლისთვის მას უკვე ორჯერ ჰქონდა მინიჭებული სტალინური პრემია და მისი სახელი ქუხდა საბჭოთა კავშირში. ბატონ აკაკისთან მე ვისაუბრე ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, რაც 1964 წლის 14 ოქტომბერს თანამდებობას „გამოამშვიდობეს“ **ხრუშჩოვი** და მისი ადგილი დაიკავა ლეონიდ ბრეჟნევმა. **ჩვენმა დიდმა მსახიობმა ძლივს დაიჯერა, რომ მის გვერდით მდგომი პოლკოვნიკი, რომლის გვარი ვერაფრით გაიხსენა, და უზარმაზარი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელი ერთი და იგივე ადამიანია! ხორავამ მთხოვა ეს სურათი, რომელსაც შემდგომ სიამაყით უჩვენებდა თავის მეგობრებსა და ნაცნობებს: ნახეთ, ვის გვერდით ვდგავარო!**

ვრცელი და საინტერესო მასალის შეგროვება მოვახერხე. ნარკვევიც, ვფიქრობ, არ გამომივიდა ურიგო, მაგრამ წერილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით წარმოუდგენელი რამ მოხდა!

„Вечерний Тбилиси“-ს რედაქტორს მასალა მოეწონა და ნომერში ჩასვა. გვიან საღამოს ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე ტიპოგრაფიაში მღელვარებით თვალს ვადევნებდი გაზეთის ბეჭდვას; მერე შინ დავბრუნდი. პავლე ასლანიდი კი ახალი ნომრის რამდენიმე ეგზემპლარით აეროპორტში გაქანდა, სადაც ელოდებოდნენ მოსკოვიდან გამომგზავრებულ საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს — **ვასილ მჟავანაძეს**. მჟავანაძემ ინტერესით წაიკითხა ნარკვევი, შეხედა სურათს, რომელზეც ლეონიდ ბრეჟნევი დგას მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი; როდესაც მჟავანაძე მანქანაში ჯდებოდა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: **„ისე, არ ეწყინება ლეონიდ ილიას ძეს, რომ ვაქვეყნებთ ისეთ სურათს, რომელზეც იგი მისთვის „შეუფერებელ“ ადგილას დგას?“**

ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აეროპორტიდან დაბრუნებულ მთავარ რედაქტორს შეეჩერებინა გაზეთის ტირაჟირება.

მეორე დღეს იმის იმედით, რომ ჩემს მასალას ვიხილავდი, მოწიწებით გავშალე გაზეთი. და ვაი! იმ გვერდს „ამშვენებდა“ საქინფორმის პუბლიკაცია!..

**მივმართე გაზეთების „МОЛОДЕЖЬ ГРУЗИИ“-ს, „ЗАРЯ ВОСТОКА“-ს რედაქციებს; მივმართე იმ წლებში გამომავალ ქართულ გამოცემებს. ამაოდ! ყველგან რეაქცია დაახლოებით თანაბარი იყო: ნარკვევი ყველას მოსწონდა, აქებდნენ, მთხოვდნენ, ფოტოს ჩუქებას, მაგრამ თან მეუბნებოდნენ, რომ მისი გამოქვეყნება შეუძლებელია: ბრეჟნევი რაღაცნაირად გვერდით დგას და ისიც მეორე რიგშიო...**

გავიდა არც თუ ისე მცირე დრო. ერთხელ შევხვდი ჩემს მეგობარს და კოლეგას — **ედუარდ ელიგულაშვილს**, რომელიც მაშინ გახლდათ საკავშირო გაზეთის — „Литературная газета“-ს საკუთარი კორესპონდენტი. მე მას მოვუყევი იმ ტანჯვა-წვალებაზე, რომელიც გადავიტანე ამ წერილის გამო. ელიგულაშვილმა ყურადღებით მომისმინა და შემომთავაზა, ეს მასალა მისთვის გადამეცა — ეგებ, რაღაც მოვახერხოო. მეც დავთანხმდი, თუმცა ძალზე მეეჭვებოდა ამ საქმის წარმატება. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ედუარდი მირეკავს: **ჩაიკოვსკიმ** („Литературная газета“-ს მთავარი რედაქტორი. — ლ. დ.) ვერ გარისკა შენი ნარკვევის დაბეჭდვა, მაგრამ მითხრა, რომ ამ დღეებში შეხვდება ბრეჟნევს და მას პირადად ანახებს წერილს და სურათსო.

ელიგულაშვილის მომდევნო სატელეფონო ზარი ჩემთვის უბედნიერესი აღმოჩნდა: **„ლევან, შენი მასალა ფოტოსთან ერთად ალექსანდრე ჩაიკოვსკიმ ბრეჟნევს აჩვენა, რომელმაც დიდი სითბოთი გაიხსენა ის დრო, თავისი ქართველი თანამებრძოლები, კონსტანტინე ლესელიძე კი გამოჩენილ მხედართმთავრად მოიხსენია! მან წაიკითხა შენი წერილი და პუბლიკაციაზე ნება დართოო“.** მართლაც, **მალე ჩემი წერილი გამოქვეყნდა „ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА“-ს ფურცლებზე, მართალია, ცოტათი შეცვლილი ფორმით; და მთავარი „სიურპრიზი“ — ბრეჟნევის „ავტორიტეტის ასამაღლებლად“ ავტორობა მიაწერეს არა უცნობ ლევან დოლიძეს, არამედ აკაკი ხორავას! წერილი გადმობეჭდა საქართველოს ყველა გამოცემამ. საავტორო ჯავრი „გამიქარწყლეს“ კარგი ჰონორარით და გამოწერილი პრემიით.** ახლა ამ ამბავს კეთილი ღიმილით ვიხსენებ, მაგრამ მაშინ ახალგაზრდას, დამიჯერეთ, სულაც არ მეღიმებოდა! *(იცინის).*

**ჩაიწერა**
**გიორგი კორძაძე**

პალატა N5

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტოტალური თვალთვალი ჩვეულებრივ ამბად იქცა. სამართალდამცავი ორგანიზაციების ქსელი ისეთი დიდი იყო, რომ საქართველოს, ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, ევროპაში ყველაზე დიდი საპატიმრო პოპულაცია ჰყავდა... ქვეყნის საპატიმროებში კი მთავრობამ წამება ინსტიტუციურ პრაქტიკად აქცია, ადგილად, სადაც პატიმრებს ციხის მცველები აუპატიურებდნენ.**

„ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის მეხოტბეთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით მცირდება, ამ უკანასკნელის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ კი ნულს გაუტოლდება. მითუფრო, რომ ამერიკელების „ძაღლისშვილის“ მფარველი ანგელოზი თეთრ სახლს დიდი ხანია დაემშვიდობა. ჯორჯ ბუშის „საყვარელი თოჯინა“ ცდილობს მისი წარმატებების შესახებ ინფორმაციებით თავბრუდახვეული დასავლეთელი პოლიტიკოსები მოკავშირეებად გაიხადოს და საკუთარი პასუხისმგებლობა გადაუნაწილოს. დასავლეთის პრესა ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე, რომ ბუშისგან წახალისებული სააკაშვილი ბევრ სისულელეს და დანაშაულს სჩადიოდა, თუმცა ეს პუბლიკაციები სააკაშვილის პიარის უფსკრულში იკარგებოდა. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა და თვითონ სააკაშვილი მიექანება უფსკრულისკენ.

მიუხედავად ამისა, ნაცსექტანტები ცდილობენ, ბედს არ შეურიგდნენ და საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცონ; სანამ კერპი ჯერ კიდევ თვალსაწიერზეა, მიდიან პრეზიდენტის სასახლეში, გამოსამშვიდობებელ სურათებს იღებენ და შემდეგ ამ ფოტოებით თავსაც იწონებენ. ეს მხოლოდ აქტიური მეხოტბეების პრივილეგიაა, საპრეზიდენტო არჩევნებზე ბაქრაძის მხარდამჭერთა რაოდენობა კი, ალბათ, სერიოზულად დააფიქრებს სამედიცინო სფეროს სპეციალისტებს. სექტანტების უმრავლესობა წარსულის ნოსტალგიით არის შეპყრობილი, ზოგიერთი ამ წარსულში ხედავს თავის მომავალს, უმრავლესობა კი საკუთარი ნაცსაქმიანობის გამართლებას ცდილობს.

წერილები, რომლებსაც გთავაზობთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ სააკაშვილის და მისი თანამზრახველებისთვის მხარდაჭერა უკვე არამხოლოდ არაპრესტიჟული, არამედ სახიფათოც არის ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსებისთვის. რასაკვირველია, მათ შორისაც მოიძებნებიან ისეთები, საქართველოდან რომ მსუყედ იკვებებოდნენ წლების მანძილზე, და იმის შიშით, „ბოროტმა ბავშვებმა“ პირი არ მოაღონ და მსოფლიოს არ მოსდონ ჩვენთან გარიგებების ფაქტებიო, იძულებული არიან, ხანდახან მხარდაჭერა გამოუცხადონ. სწორედ ეს აგულიანებს არშემდგარი დიქტატორის, ბავშვობის კომპლექსებით გაბოროტებული სააკაშვილის მიმდევრებს, თვითონ „ბუშის ბიჭუნამ“ კი ყველაზე კარგად იცის, რომ მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება.

წაიკითხავენ ნაცსექტანტები თომას დე ვაალის და დენიელ ლარისონის წერილებს და წყევლა-კრულვას შეუთვლიან, შემდეგ კი კედელზე გაკრულ პლაკატს შეჰღაღადებენ — „ბატონო მიშააა, რატომ გებრძვიააან?..“ არავინ ებრძვის, რადგან „ბატონი მიშა“ უკვე დამთავრებულია: მან თვითონ აირჩია ასეთი საზარელი დასასრული — ხალხის სიძულვილი!



# აბა, სააკაშვილო, კარგად!

## პრეზიდენტი, რომლის მმართველობა პიარტექნოლოგიებმა აცოცხლა და პიარტექნოლოგიებმა მოკლა

საქართველოს მომხიბვლელობაზე, დიდი ხანია, ლაპარაკობენ. 1947 წელს მწერალი ჯონ სტეინბეკი საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა და არაერთხელ გაიგონა, როგორ ახსენებდნენ რუსები „საქართველოს ჯადოსნურ სახელს“. **„ისინი ქართველებზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ზეადამიანებზე, მაგარ მსმელებზე, მაგარ მოცეკვავეებზე, მაგარ მუსიკოსებზე, მაგარ მშრომელებზე და საყვარლებზე“,** — წერდა მაშინ სტეინბეკი.

მაგრამ მხოლოდ 2004 წელს პრეზიდენტად არჩეულმა მიხეილ სააკაშვილმა შეძლო ამ მომხიბვლელობის აყვანა გრანდიოზული სტრატეგიის სიმაღლეზე და ისიც იმისთვის, რომ ზოგადად დასავლეთის, განსაკუთრებით კი ჯორჯ ბუშის თეთრი სახლის, გული მოეგო და ამით საქართველოში ძალაუფლება შეენარჩუნებინა. ამ სტრატეგიამ საბოლოოდ მარცხი განიცადა, რაც პრინციპში გარდაუვალი იყო. **სულ რაღაც ერთი წლის წინ სააკაშვილი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ მოიგებდა საპარლამენტო არჩევნებს და მისი გუნდი ხელისუფლებაში თითქმის უსასრულოდ დარჩებოდა, მაგრამ 2013 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებამ და ამის შემდეგ მისი მთავრობის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამომზეურებამ მისი პოპულარობა გააცამტვერა.** გასულ თვეში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ **ქართველთა 57 პროცენტს სააკაშვილი არ მოსწონს და ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი იწონებს მის საქმიანობას.** მან ცხრა წელი იბატონა ქვეყანაში და ბოლო 12 თვის განმავლობაშიც სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე რჩებოდა, თუმცა რეალურად ის უკვე ირელევანტური იყო.

მაგრამ **სააკაშვილს ყოველთვის ეგონა, რომ პოპულარობა დასავლეთში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პოპულარობის შენარჩუნება შინ. გარკვეული თვალსაზრისით, ის კი არ უნდა ვიკითხოთ, თუ რატომ განიცადა მარცხი მისმა ამ სტრატეგიამ, არამედ ის, თუ რატომ გაძლო ამან ყველაფერმა ასე დიდხანს.** და პასუხის გაცემა ამ კითხვაზე მხოლოდ სააკაშვილის დასავლელ „კეთილისმსურველებს“ შეუძლიათ.

### მთავარი PR სტრატეგი

სააკაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობის შეფასებისას მითისა და რეალობის ერთმანეთისგან გარჩევა რთულია, რადგან **მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე იგი განზრახ შლიდა ზღვარს პოლიტიკურ რეალობასა და მის ძალისხმევას შორის.** სააკაშვილის მმართველობის დიდი ნაწილი რებრენდინგის მცდელობა იყო, რომელიც წააგავდა ტონი ბლერის 90-იანი წლების კამპანიას „მაგარი ბრიტანეთი“.

2003 წლის „ვარდების“ სახალხო რევოლუცია, რომელსაც სააკაშვილი ჩაუდგა სათავეში, საკმაოდ რეალური იყო. ამ რევოლუციით დაემხო მისი ყოფილი პატრონის, ედუარდ შევარდნაძის, ძალაუფლება. ორი თვის შემდეგ სააკაშვილი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მეთაურად იქცა ევროპაში და მანვე დანიშნა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მთავრობა, რომელიც ძალიან იყო მოწადინებული სახელმწიფოებრივი რეფორმების ჩატარებისთვის.

მაგრამ შემდგომში **სააკაშვილი მხოლოდ ეპიზოდურად ერთვებოდა მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში. მისი მთავარი მოვალეობა ორი როლის შესრულება იყო: იდეების გენერატორისა და მისი რეფორმების სეილსმენის როლი. სააკაშვილმა ეს როლი ენთუზიაზმით მოირგო და დაუღალავად უწევდა რეკლამას იდეას, რომლის თანახმადაც, „ვარდების რევოლუციის“ წყალობით, საქართველომ „მენტალურ რევოლუციას“ დაუდო სათავე, რომ ქართველებმა რეალურად გადალახეს საკუთარი ისტორია, შეუერთდნენ დასავლეთს და ერთი პოლიტიკური ძალისხმევით განახორციელეს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია.**

აღარაა საჭირო იმის ხსენება, რომ ეს მესიჯი ბევრი დასავლელისთვის მომხიბვლელი იყო, განსაკუთრებით, პოლიტიკური და მედიაელიტისთვის, რომელიც ასე იყო მოწყურებული ისეთ პოსტსაბჭოთა წარმატებულ ამბავს, რომლის აღწერაც შესაძლებელი გახდებოდა, როგორც „ანტირუსეთის“ (ვლადიმერ პუტინმაც შეუწყო ხელი ამ მესიჯის პოპულარიზებას იმით, რომ საშინლად ეწინააღმდეგებოდა მას). **სააკაშვილი დასავლურ მედიას ხშირად ხვდებოდა, განსაკუთრებით ისეთ გამოცემებს, როგორებიცაა Financial Times, The Economist, The Wall Street Journal და ისინიც მადლობას იმით უხდიდნენ, რომ უხვად უთმობდნენ ყურადღებას მისი მთავრობის ეკონომიკურ რეფორმებს.** სააკაშვილი, შესაძლოა, ერთადერთია, რომელიც ორჯერ გამოჩნდა რუბრიკაში „ლანჩი FT-სთან“.

მაგრამ **სააკაშვილს ყველაზე საბედისწერო ურთიერთობა მედიასთან კი არა, თავის კოლეგასთან, ჯორჯ ბუშთან ჰქონდა. როდესაც 2004 წლის თებერვალში სააკაშვილი ვაშინგტონში ჩავიდა, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ერთი ნახვით შეყვარება შემდგარიყო.** თეთრ სახლში სტუმრობისას მან ენთუზიაზმით მოცულ აუდიტორიას თავის სწრაფ, შესანიშნავ ინგლისურზე განუცხადა, რომ, როგორც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, „შინ დაბრუნების განსაკუთრებული“ განცდა აქვს. ამბობენ, რომ ერთი საათით ადრე, სანამ ბუშს შეხვდებოდა ოვალურ კაბინეტში, იგი ნაჩქარევად სწავლობდა ბუშის იმ გამოსვლის ტექსტს, რომელიც მან ერთი თვით ადრე წარმოთქვა კონგრესში. როდესაც პრეზიდენტს პრივატულად ხვდებოდა, მან რამდენიმეჯერ მოიყვანა ციტატა თავისუფლებასა და დემოკრატიაზე ბუშის გამოსვლიდან, რომელსაც ბუში და მისი გუნდი აღფრთოვანებით ისმენდა.

**აი, ამ მომენტიდან გადაწყვიტა, როგორც ჩანს, ბუშმა, რომ სააკაშვილი „ჩვენი კაცი“ იყო. საჯარო კომენტარში მოგვიანებით ბუშმა უთხრა სააკაშვილს — „მე ვამაყობ იმით, რომ შემიძლია მეგობარი გიწოდო“.**

**სააკაშვილი იდეალურად უხდებოდა რეფორმატორი ლიდერის ბუშისთვის სასურველ იმიჯს: ის ახალგაზრდა იყო, კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად, იცოდა რეფორმებისა და დემოკრატიის ლექსიკა და, რაც სულაც არ იყო უმნიშვნელო, მზად იყო, მხარი დაეჭირა აშშ-ის პოლიტიკისთვის ავღანეთსა და ერაყში.** მათზე შთაბეჭდილება იმანაც მოახდინა, რომ ის ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის იდეას ერთგულებდა. სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი წელი, დიდი წარმატების ისტორიას წარმოადგენდა. ძალიან სწრაფად ამოძირკვა საბჭოთა ეპოქის ბიუროკრატია საქართველოში და შექმნა ახალი საგზაო პოლიცია, საგადასახადო და მუნიციპალური სამსახურები. დაბალ დონეზე მექრთამეობა აღმოიფხვრა. ყველაფერი, დაწყებული სასკოლო სისტემიდან, ეროვნული დროშით დამთავრებული, შეიცვალა.

მაგრამ **ამერიკელებს, როგორც ჩანს, არ აწუხებდათ ის ფაქტი, რომ სააკაშვილის მართვის სტილი უფრო ავტორიტარული იყო, ვიდრე მისი ლიბერალური რიტორიკა. მისი მთავრობა მოდერნიზაციას ზევიდან ქვევით ატარებდა, სულ უფრო სასტიკად და სულ უფრო მეტად უგულებელყოფდა მოსახლეობის დიდ ნაწილს.** სააკაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, პრეზიდენტის მთავარი ძალოვანი იყო. მერაბიშვილს დამსახურებულად აქებდნენ ორგანიზებული კრიმინალის ძლევამოსილი ბატონების განადგურების გამო. მაგრამ **მანქანამ, რომელიც მან შექმნა, საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ აქცია. ტოტალური თვალთვალი ჩვეულებრივ ამბად იქცა. სამართალდამცავი ორგანიზაციების ქსელი ისეთი დიდი იყო, რომ საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, ევროპაში ყველაზე დიდი საპატიმრო პოპულაცია ჰყავდა. ამ სტატისტიკაში არ არის ასახული ის ათასობით ადამიანი, რომელიც მუდმივ საფრთხეში ცხოვრობდა საპროცესო გარიგების მანკიერი სისტემის გამო. ეს ადამიანები ნებისმიერ წუთში სასამართლოს გარეშე შეიძლება დაეპატიმრებინათ. ქვეყნის საპატიმროებში კი მთავრობამ წამება ინსტიტუციურ პრაქტიკად აქცია, ადგილად, სადაც პატიმრებს ციხის მცველები აუპატიურებდნენ.**

### დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა

2007 წლისთვის საქართველოს ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ან მარგინალიზებულად გრძნობდა თავს, ან განდევნილი იყო სააკაშვილის პროექტებიდან. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ასევე მეტი სკეპტიციზმით განიმსჭვალნენ. მაგრამ სააკაშვილის მხარდამჭერთა უმეტესობა შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, მისი ერთგულნი რჩებოდნენ. **ამერიკული მხარდაჭერა მას ქვეყნის შიგნით კრიტიკისგან იცავდა — მაგრამ საბოლოოდ სწორედ ამ მხარდაჭერამ დაღუპა ის. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებიც და ქართველებიც მიეჩვივნენ სიტყვას „მოკავშირე“, როდესაც ერთმანეთზე ლაპარაკობდნენ, ამ ორ ქვეყანას შორის არასდროს დამყარებულა ოფიციალური ალიანსი. სააკაშვილმა დაუშვა ის, რომ ბუშის თეთრი სახლის მხურვალე მხარდაჭერამ მას რეალობის განცდა დააკარგვინა.**

**სააკაშვილის შეცდომები გააშიშვლა რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულმა ომმა, რომელიც სეპარატისტული რეგიონის — სამხრეთ ოსეთის გამო დაიწყო. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ომი სააკაშვილის გადაწყვეტილებამ გამოიწვია — ის თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქს ცხინვალს.** მარცხისთვის განწირულმა ამ მცდელობამ, რომლის მიზანი იყო, ძალის გამოყენებით დაებრუნებინა სამხრეთ ოსეთი, შედეგად ის გამოიღო, რომ რუსეთმა კარგად მომზადებული და მასიური თავდასხმა განახორციელა მის ქვეყანაზე. სააკაშვილს, ალბათ, სჯეროდა, რომ, თუ ცხინვალს დაიპყრობდა, შეერთებული შტატები მას რუსეთისგან დაიცავდა. ინტერვიუში, რომელიც ომის შესახებ BBC-ის მისცა, ის ცდილობდა, აეხსნა თავისი არგუმენტები: **„იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო საზოგადოება გაიღვიძებს, ჩვენ** ▶

პალატა N5

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღემდე გაურკვეველია, რა ელის თავად სააკაშვილს. მთავარი კითხვა ახლა ასე ჟღერს – გაასამართლებენ მას თუ არა, როდესაც ის პრეზიდენტის პოსტიდან წავა. პასუხი ამ კითხვაზე აშკარად დამოკიდებულია პროკურატურაზე, შეუძლია თუ არა მას დადოს ისეთი მტკიცებულებანი, რომელიც სერიოზულად მამხილებელია. მაგრამ არსებითად ეს კითხვა პოლიტიკურია.**

# მათთვის, ვინც 5-იანი შემოხაზა

**◀ ძალებს ვიკრებთ, ჩვენ სიტუაცია გარდავტეხეთ რამდენადმე“.** ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ეს მისი შეცდომა იყო, თუ ვაშინგტონელმა მხარდამჭერებმა პრივატულად დააიმედეს. ნამდვილად ცნობილია ის, რომ მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა უთხრეს, არ მიემართა სამხედრო ძალისთვის. **2005 წელს ბუშმა პირადად უთხრა სააკაშვილს, რომ, თუ რუსეთთან ომს დაიწყებდა, „ჰორიზონტზე ამერიკული კავალერია არ გამოჩნდებოდა“. და როდესაც ომი დაიწყო, აშშ მართლაც არ ჩარეულა.**

ომმა მისი პირადი მომხიბვლელობისა და ბრწყინვალების საზღვრებიც გააშიშვლა. **მისი უცხოელი თანამოსაუბრეები ამბობდნენ, რომ მათ აშინებდათ და ღლიდათ მონოლოგებისადმი მისი მიდრეკილება.** ერთმა დასავლელმა მითხრა: **„მასთან შეხვედრის შემდეგ უნდა წამოწვე და დალიო“**. უცხოელმა ანალიტიკოსებმა შენიშნეს, რომ **მისი გადაწყვეტილებები უსისტემო იყო და მას არ ანალღვლებდა თავისი მთავრობის მოსაზრებები.** და, რეალურად, გადაწყვეტილებების უმეტესობას იღებდა სააკაშვილზე ახალგაზრდა (სააკაშვილი 2008 წელს 41 წლის იყო) მრჩეველთა მცირე ჯგუფი შუაღამის შემდეგ, რაც იმას ნიშნავდა, რომ **საქართველოს მთავრობა ვაშინგტონის დროით მუშაობდა.**

სააკაშვილის არაფორმალური სისტემა ვერ უმკლავდებოდა დაძაბულობას. მარცხის იმ მიზეზებს შორის, რომლებიც ქართველმა სამხედროებმა დაასახელეს, იყო ის, რომ ისინი ბრძანებებს მობილური ტელეფონებით იღებდნენ და არა სტანდარტული სამხედრო საშუალებებით. სულ რაღაც ხუთი დღის შემდეგ, საქართველომ რუსეთისგან გარდაუვალი და დამამცირებელი მარცხი იგემა.

**სააკაშვილის იმპულსურმა, მკვეთრმა სტილმა მას ვნებიანი თაყვანისმცემლები შესძინა, მაგრამ ამავე დროს ბევრი მტერიც, რომელთა შორის იყვნენ, როგორც ბევრი მისი ყოფილი მინისტრი, ასევე გერმანიის კანცლერი — ანგელა მერკელი.**

2008 წლის შემდეგ მტრების ამ სიას მნიშვნელოვანი ფიგურა, საქართველოს უმდიდრესი კაცი — ბიძინა ივანიშვილიც შეემატა. იმის წყალობით, რომ რუსეთის აგრესიული ტაქტიკა ხალხს აღაშფოთებდა, სააკაშვილმა აგვისტოს ომის შტორმი გადაიტანა. მაგრამ უკმაყოფილება მატულობდა და ქართველები საბოლოოდ ივანიშვილის გარშემო გაერთიანდნენ. ივანიშვილი ადრე მხარს უჭერდა სააკაშვილის მთავრობას და ბევრ მის პროექტს აფინანსებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, რომელიც ბოლომდე ცნობილი არ არის, გაბრაზებულმა გაწყვიტა მასთან ურთიერთობა.

ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში ამ ორი კაცის უთანხმოება სჭარბობდა ყველაფერს. თავიდან სააკაშვილმა სცადა, ყველაფერი ეღონა იმისთვის, რომ გაენადგურებინა ივანიშვილი, წაართვა მას ქართული პასპორტი, ართმევდა ქონებას, აჩერებდა მის მედიას. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გაიმარჯვა 2012 წლის არჩევნებში, მან გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ გაენადგურებინა სააკაშვილი, სცადა მისი აპარატის დაფინანსების შეწყვეტა და ბევრი მისი მოკავშირე დაიჭირა.

## საქართველოზე ფიქრით

სააკაშვილის დამსახურებაა ის, რომ მართალია, არ იყო დემოკრატი, მაგრამ საკმარისად ფიქრობდა საკუთარ მემკვიდრეობაზე და ამიტომ ქართველებს შეაძლებინა პოლიტიკური ცვლილების განხორციელება, რაც მათ ასე აშკარად უნდოდათ. **გასული წლის განმავლობაში საქართველო უფრო ქართული გახდა, უფრო უკეთ ამას ვერ აღწერ. ის ერთსა და იმავე დროს უფრო დემოკრატიულია, უფრო ღიაა, უფრო ნაციონალისტურია და უფრო მართლმადიდებლური. ახლა უკვე ისე ჩანს, რომ სააკაშვილის „მენტალური რევოლუცია“ მირაჟი იყო.** მისი ყველაზე გახმაურებული ანტისტალინური კამპანია, ამ თვალსაზრისით ნიშნეულია: კამპანიის მთავარი მომენტი იყო სტალინის უზარმაზარი ძეგლის აღება დიქტატორის მშობლიური ქალაქიდან — გორიდან, მაგრამ ეს გაკეთდა ისე, რომ საჯაროდ არავის განუხილავს. ამ აქტმა შენიღბა ის სამწუხარო რეალობა, რომ ქართველები პატივს სცემენ სტალინის ხსოვნას. (გასულ ოქტომბერს „კარნეგის ფონდის“ შეკვეთით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველთა 45 პროცენტს სტალინისადმი ჯერ კიდევ კარგი დამოკიდებულება აქვს). ახლა გორის მოსახლეობას ძეგლის უკან დაბრუნება უნდა.

**პრაქტიკული თვალსაზრისით, ახალი მთავრობის მოღვაწეობა არაერთმნიშვნელოვანია. მან წაიწია წინ სააკაშვილის მიერ დატოვებული რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტაში. სასამართლო სისტემა განმტკიცდა და გათავისუფლდა პოლიტიკური კონტროლისგან. მედია უფრო მრავალფეროვანია. პარლამენტი უფრო ცოცხალია და აღარ არის პრეზიდენტის ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი. აფხაზეთის საზღვარზე მთავრობის მცდელობით, მოძრაობა გამოცოცხლდა და სამხრეთ ოსეთთანაც არის მიღწევები. მაგრამ ამ მთავრობას, თავისი რკინისმუშტიანი წინამორბედებისგან განსხვავებით, რამდენადმე აკლია კომპეტენტურობა.** ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები შენელდა, და საქართველოს ყველაზე დიდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები — უმუშევრობა და სიღარიბე სოფლად, ივანიშვილის დაპირებების მიუხედავად, ძალაში რჩება. ამავე დროს, ზოგიერთი პოლიტიკური ცვლილება, რომელიც ძალიან იყო დაგვიანებული, ახალი პრობლემების მიზეზი გახდა. ასე ძალიან საჭირო საპატიმრო ამნისტიამ, რომელმაც შეამცირა საქართველოს საპატიმრო პოპულაცია და შედარებით ცივილიზებულ დონემდე დაიყვანა, კრიმინალური მაჩვენებლები გაზარდა. სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ფანატიზმისა და ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ ძალადობის რამდენიმე საძაგელ ეპიზოდს. უმცირესობები თავს უფრო დაცულად გრძნობდნენ პროდასავლელ სააკაშვილთან.

**მიმდინარე კვირას საქართველომ ახალი პრეზიდენტი შეიძინა. მას ნაკლები საკონსტიტუციო უფლებები აქვს და ის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი — გიორგი მარგველაშვილია. ივანიშვილიც გადადგება პრემიერმინისტრის პოსტიდან. შედეგად, საქართველოს მალე ორი ლიდერი ეყოლება, პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი, რომელთაც ქვეყნის გარეთ თითქმის არავინ იცნობს.** მაგრამ **დღემდე გაურკვეველია, რა ელის თავად სააკაშვილს. მთავარი კითხვა ახლა ასე ჟღერს — გაასამართლებენ მას თუ არა, როდესაც ის პრეზიდენტის პოსტიდან წავა. პასუხი ამ კითხვაზე აშკარად დამოკიდებულია პროკურატურაზე, შეუძლია თუ არა მას დადოს ისეთი მტკიცებულებანი, რომელიც სერიოზულად მამხილებელია. მაგრამ არსებითად ეს კითხვა პოლიტიკურია.** ნიშნეულია, რომ სააკაშვილის ძალოვანი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი დაპატიმრებულია იმ ქმედებების გამო, რომელიც თანამდებობაზე ყოფნისას ჩაიდინა. **საქართველოში ბევრია ისეთი ამომრჩეველი, რომლებიც მხარს დაუჭერენ სააკაშვილის დაპატიმრებას. ამ პოზიციას, ალბათ, ბევრი იზიარებს მთავრობაში და, მათ შორის, ალბათ, ივანიშვილიც.**

მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ **სააკაშვილის დაპატიმრება შელახავს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას. ბევრი ქართველი აღარ იხიბლება სააკაშვილით, მაგრამ მისმა მომხიბვლელობამ შესძინა მას მეგობრები იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ახალ მთავრობას კარგი ურთიერთობები სჭირდება.** მოსწონთ თუ არა ეს, სააკაშვილის მემკვიდრეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სააკაშვილი ბევრად უფრო ცნობილია, ვიდრე ისინი, და ასე იქნება, სულ ცოტა, უახლოეს მომავალში. ყველა ამ ფაქტის გათვალისწინებით, ყველაზე ბრძნული მათი მხრიდან ის იქნება, თუ წყნარი ირონიით შეხედავენ არსებულ სიტუაციას — იმ ფაქტს, რომ უცხოეთში **პოპულარობამ დაღუპა სააკაშვილი, მაგრამ ამავე დროს გადაარჩინა კიდეც.**

**თომას დე ვაალი**

FOREIGN AFFAIRS

# ბუში და სააკაშვილი: ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა იმოქმედო



**თომას დე ვაალი, რომელიც Foreign Affairs-ში სააკაშვილის მმართველობას მიმოიხილავს, იხსენებს იმას, თუ როგორ აგულიანებდა საქართველოს პრეზიდენტს ამერიკული „მხარდაჭერის ჯგუფი“ მის უპასუხისმგებლო ქცევაში, რომელსაც საბოლოო ჯამში 2008 წლის აგვისტოს ომი მოჰყვა.**

**„ამერიკული მხარდაჭერა მას ქვეყნის შიგნით კრიტიკისგან იცავდა — მაგრამ საბოლოოდ სწორედ ამ მხარდაჭერამ დაღუპა ის. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებიც და ქართველებიც მიეჩვივნენ სიტყვას „მოკავშირე“, როდესაც ერთმანეთზე ლაპარაკობდნენ, ამ ორ ქვეყანას შორის არასდროს დამყარებულა ოფიციალური ალიანსი. სააკაშვილმა დაუშვა ის, რომ ბუშის თეთრი სახლის მხურვალე მხარდაჭერამ მას რეალობის განცდა დააკარგვინა.**

**სააკაშვილის შეცდომები გააშიშვლა რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულმა ომმა, რომელიც სეპარატისტული რეგიონის, სამხრეთ ოსეთის გამო დაიწყო. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ომი სააკაშვილის გადაწყვეტილებამ გამოიწვია — ის თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს. მარცხისთვის განწირულმა ამ მცდელობამ, რომლის მიზანი იყო, ძალის გამოყენებით დაებრუნებინა სამხრეთ ოსეთი, შედეგად ის გამოიღო, რომ რუსეთმა კარგად მომზადებული და მასიური თავდასხმა განახორციელა მის ქვეყანაზე. სააკაშვილს, ალბათ, სჯეროდა, რომ, თუ ცხინვალს დაიპყრობდა, შეერთებული შტატები მას რუსეთისგან დაიცავდა.“**

ცხადია, სააკაშვილი საკუთარ შეცდომებში თავადაა დამნაშავე, თუმცა არ შეიძლება ბუშის ადმინისტრაციის როლის დავიწყებაც, რომელიც მის ყველაზე ცუდ მიდრეკილებებს ახალისებდა. ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა ააწყო ურთიერთობა პოტენციურ კლიენტთან. **გადამწყვეტი შეცდომა, რომელიც ამ შემთხვევაში ბუშმა დაუშვა, იყო ის, რომ მან საქართველოს მთავრობას პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმატორობის მაგალითი უწოდა და სააკაშვილს ადიდებდა, როგორც დემოკრატს.** მართალია, ქართული ეკონომიკური რეფორმები საკმაოდ რეალური რამ იყო, თუმცა სხვა ყველაფერი დიდწილად იყო მოგონილი. **სააკაშვილს დაუმსახურებელ პატივს მიაგებდნენ ძირითადად იმის გამო, რომ იგი უკიდურესად ანსტირუსულად და „პროდასავლურად“ იყო განწყობილი, ხოლო ამ პოზიციას ცალსახად მიიჩნევდნენ ლიბერალიზმისა და დემოკრატიის პოლიტიკური პრინციპებისადმი ერთგულების დადასტურებად.** თავისთავად სააკაშვილის რეჟიმის ნახევრადავტორიტარულ ბუნებას ასეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ არა მითი იმის შესახებ, თითქოს საქართველო არის „თავისუფლების პროგრამის“ წარმატების მაგალითი, რაც ბუშის დროს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მთავარი და შესაძლო ერთადერთი ახსნაა.

შთამბეჭდავია ის, თუ რა ხარისხში იყო აყვანილი ეს ურთიერთობები, რომელიც აბსოლუტურად გაურკვეველ რიტორიკასა და ცარიელ დაპირებებზე იგებოდა. **სააკაშვილი ბუშს ეპირფერებოდა, ციტირებდა რა** (ამერიკის პრეზიდენტის სასიხარულოდ) **მის ბოდვით განცხადებებს გლობალური დემოკრატიული რევოლუციის შესახებ. პასუხად ბუში იღვრებოდა სააკაშვილის დროს მიღწეულ თავისუფლებაზე ლაპარაკით** (სინამდვილეში სააკაშვილის დროს საქართველოში რეალურად შეიზღუდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები), **რითაც დასავლეთის თვალში საქართველოს პრეზიდენტის ხისტი და ავტორიტარული მმართველობის ლეგიტიმაციას ახდენდა.** საბოლოო ჯამში, **სააკაშვილმა იფიქრა, რომ ბუშის მხრიდან გაცემული ცარიელი დაპირებები მხარდაჭერაზე, ეს იყო უსაფრთხოების ფაქტობრივად ოფიციალური გარანტია და მიიღო კატასტროფული გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო ომში, რომელშიც საქართველო ვერ გაიმარჯვებდა. იგი იმედოვნებდა, რომ ნატო გადაარჩენდა, მაგრამ ეს ფუჭი იმედი აღმოჩნდა.** ენთუზიაზმმა, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია ავლენდა, როდესაც ლაპარაკი იწყებოდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე, საქმე კიდევ უფრო გააუარესა, საბოლოოდ დაარწმუნა რა სააკაშვილი იმაში, რომ აშშ მზად იყო საქართველოს დასაცავად და კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთთან დაპირისპირება, რამაც კონფლიქტის შესაძლებლობა გაზარდა. ამგვარად, ორმა მთავრობამ ერთმანეთი მოატყუა, რის შედეგადაც საქართველო ძალიან დაზარალდა.

**დენიელ ლარისონი**

The American Conservative

ჯაშუშური თამაშები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საკმარისი იყო, საქართველოს ხელისუფლებას და მის სპეცსამსახურებს მიეღო რაიმე კონფიდენციური ხასიათის გადაწყვეტილება, რომ მას მომენტალურად მოჰყვებოდა რუსეთის მხრიდან საქართველოში ვითარების სერიოზულად გამწვავება რომელიმე მიმართულებით. შესაძლოა, ნაწილობრივ, ობიექტურად განვითარებულ მოვლენათა დამთხვევასაც კი ჰქონდა ადგილი.**

# საბჭოთა დაზვერვის აგენტი ოლდრიჩ ეიმსი შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ ჩავარდა

> **„ბოლოს ყოველივე დაფარული გაცხადდების“**
>
> *ბიბლია*

**ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდგომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი სპეციალური სამსახურების მისწრაფებათა გამოვლენა. ამისთვის განსაკუთრებულად იზრუნეს 1985 წელს, როდესაც საბჭოთა სპეცსამსახურებმა გადმოიბირეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი ოლდრიჩ ჰეიზენ ეიმსი, რომელმაც, როგორც სპეციალისტები თვლიან, უდიდესი დარტყმა მიაყენა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ინტერესებს.**

**თავისთავად ეიმსის პიროვნება საქართველოს საზოგადოებრიობისთვის რაიმე განსაკუთრებულ ინტერესს არ უნდა იწვევდეს, თუ არ ჩავთვლით ერთ მნიშვნელოვან დეტალს, კერძოდ, იმას, რომ მისი სადაზვერვო საქმიანობა დაპატიმრებამდე** (1994 წლის 21 თებერვალი), **მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავი ზღვის აუზის და კავკასიის ქვეყნებთან, მათ შორის, საქართველოსთან. ოლდრიჩ ეიმსის ჩავარდნაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება.**

„ეიმსის საქმეზე“ არსებული მწირი ინფორმაცია — სულ რამდენიმე საგაზეთო და ინტერნეტპუბლიკაცია, აგრეთვე, სპეცსამსახურების შესახებ ლიტერატურა, არ იძლევა საქართველოსთან დაკავშირებით მისი სადაზვერვო საქმიანობისა და, რაც მთავარია, ჩავარდნის მიზეზების სრულყოფილად შესწავლის საშუალებას. თუმცა **არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეიმსთან დაკავშირებულ მოვლენებთან შეხება ჰქონდათ, მაგრამ ისინი დღემდე დუმან. ამ პიროვნებებს შორის უპირველესია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც არა მარტო ოლდრიჩ ეიმსთან დაკავშირებით ფლობს კონფიდენციალურ ინფორმაციას, არამედ თავად არის მონაწილე საქართველოს უახლესი ისტორიის ჯერჯერობით გაუხმაურებელი უამრავი ფაქტისა თუ მოვლენის.**

ვინ არის ოლდრიჩ ეიმსი?

2002 წელს მოსკოვში გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში — Разведка и контрразведка в лицах (გვ. 564-565) იგი მოხსენიებულია საბჭოთა დაზვერვის აგენტად. **დაიბადა 1941 წელს ცსს თანამშრომლის ოჯახში. 1980 წელს მუშაობდა მეხიკოში, შემდეგ ცსს აპარატში — ცსს კონტრდაზვერვაში. 1985 წლიდან იყო ცსს-ს კონტრდაზვერვის ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობდა სსრკ-ის წინააღმდეგ, დათანხმდა საბჭოთა, ხოლო შემდეგ რუსეთის საგარეო დაზვერვასთან თანამშრომლობას.**

**ცსს მონაცემებით, ცხრა წლის მუშაობის მანძილზე, მან აშშ-ის სპეცსამსახურს მიაყენა არსებობის მანძილზე უდიდესი ზიანი. გასცა ინფორმაცია ასზე მეტ საიდუმლო ოპერაციაზე და ოცდაათზე მეტ ცსს-ს და დასავლეთის სხვა სპეცსამსახურების თანამშრომელზე.**

მის მიერ დასახელებულ ათ საიდუმლო აგენტს სსრ კავშირში მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა (მათ შორის, გენერალ დ. პოლიაკოვს, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უმაღლესი თანამდებობის პირს, რომელიც მუშაობდა ცსს-თვის თითქმის ოცი წლის განმავლობაში).

**ეიმსზე ნადირობა დაიწყო 1986 წელს, მას შემდეგ, რაც დახვრიტეს საბჭოთა დაზვერვის ორი ოფიცერი — ვალერი მარტინოვი და სერგეი მოტორინი** (ორივე მსახურობდა ვაშინგტონში დიპლომატიურ საფარქვეშ), **რომლებიც გადაიბირა აშშ-ის სპეცსამსახურებმა 1983 და 1984 წლებში.**

**განსაკუთრებული ყურადღება ეიმსის მიმართ ამერიკის კონტრდაზვერვამ გამოავლინა 1992 წელს, როდესაც დაფიქსირდა მისი შეხვედრა კარაკასში საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელთან.** აშშ-ის კონტრდაზვერვამ იგი დააპატიმრა ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ამერიკა-საბჭოთა კავშირის კონტაქტების მოწესრიგების მიზნით სსრ კავშირში სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე — 1994 წლის 21 თებერვალს. მიესაჯა სამუდამო პატიმრობა ამნისტიის უფლების გარეშე.

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ოლდრიჩ ეიმსზე წიგნის — Все о Внешней разведке (მოსკოვი, 2002 წ.) ავტორები ი. კოლპაკიდი და დ. პ. პროხოროვი. ისინი აღწერენ მისი ბიოგრაფიის დეტალებს:

**„ეიმსი 1989 წელს დაბრუნდა ვაშინგტონში და ხელახლა დაიკავა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების კონტრდაზვერვის ქვეგანყოფილების უფროსის პოსტი და მიიღო დაშვება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პრაქტიკულად ყველა საიდუმლოზე“.**

აღნიშნულ თანამდებობაზე ოლდრიჩ ეიმსი იმყოფებოდა 1990 წლის ოქტომბრამდე. შემდეგ გადაჰყავთ ცსს კონტრდაზვერვის ცენტრში, სადაც ეწეოდა ანალიტიკურ საქმიანობას სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში შეღწევის პრობლემის ირგვლივ.

1991 წლის აგვისტოში მას დროებით აბრუნებენ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში და ნიშნავენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საკითხზე მომუშავე ჯგუფის უფროსად. ჯგუფის ამოცანა იყო სსრ კავშირის სუკის საბოლოოდ განადგურება. ცსს-ში იმ პერიოდში თვლიდნენ, რომ სსრ კავშირში 1991 წლის ზაფხულში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით გახდა საკმაოდ ადვილად შესაღწევი. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა და 1991 წლის სექტემბრის ბოლოს ზემოაღნიშნული ჯგუფი დაიშალა. **1991 წლის დეკემბრიდან ოლდრიჩ ეიმსი დაინიშნა ცსს-ს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში, სადაც პასუხს აგებდა შავი ზღვის და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებზე.** მისი ამოცანა იყო აშშ-ის და დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობის კოორდინირება, აგრეთვე, მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება. აღნიშნულ პერიოდში აგრძელებდა თანამშრომლობას ეხლა უკვე რუსეთის საგარეო დაზვერვასთან და თავის ახალ მეკავშირეს აწვდიდა საიდუმლო მასალებს ცსს-ს ლოკალური კომპიუტერული ქსელიდან. **შეხვედრები ოლდრიჩ ეიმსთან ტარდებოდა უცხოეთში. ასე გრძელდებოდა 1994 წლის 21 თებერვლამდე.**

გამოძიების ფედერალური ბიუროს და ცსს-ს თანამშრომელთა მტკიცებით, ეიმსის დაპატიმრებას წინ უძღოდა საკმაოდ შრომატევადი საქმიანობა, რისი აუცილებლობაც გამოწვეული იყო 1985-1987 წლებში სსრ კავშირში ცსს-ს აგენტთა მასობრივი ჩავარდნით. კვლევის პროცესში, 1986 წელს, ეჭვი ეიმსზეც მიიტანეს. თუმცა, ეს ეჭვი მალე გაქარწყლდა.

**ეიმსმა 1986 და 1990 წელს წარმატებით გაიარა შემოწმება სიცრუის დეტექტორზე. მის მიმართ განხორციელდა მხოლოდ „სტანდარტული შემოწმება“. შემდეგ მიიღეს ეიმსის შემოსავლების ფინანსური შემოწმების დაწყების გადაწყვეტილება. 1992 წლის აგვისტოსთვის, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა მის საბანკო ანგარიშებზე შენატანებსა და საბჭოთა წარმომადგენლებთან 1985 წელს განხორციელებულ ოფიციალურ შეხვედრებს შორის კავშირი.**

1993 წელს შედგა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც დაასკვნეს, რომ ადგილი ჰქონდა ცსს-ში აგენტურულ შეღწევას. 1993 წლის მაისში გადაწყდა ოლდრიჩ ეიმსის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და გამოძიების დაწყება.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ) დაადგინა, რომ ოლდრიჩ ეიმსი, სავარაუდოდ, 1993 წლის ზაფხულში აპირებდა თავისი ოპერატორისთვის (მეკავშირისთვის) ინფორმაციის შემცველი კონტეინერის საიდუმლოდ გადაცემას. მკაცრი თვალთვალის მიუხედავად, ეიმსმა შეძლო მეთვალყურეებისგან თავის დაღწევა. ამის შემდეგ, **1993 წლის 13 სექტემბერს მის საცხოვრებელ სახლში ჩატარდა ფარული ჩხრეკა. იქ აღმოჩენილი და 1993 წლის ნოემბერში კარაკასში ყოფნის დროს ეიმსის საბანკო ანგარიშების ზრდის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, როგორც ზემოთ ითქვა, 1994 წლის 21 თებერვალს, ოლდრიჩ ეიმსი დააკავა.**

ასეთია უკანასკნელი პერიოდის ამ ყველაზე გახმაურებული და დრამატული ისტორიის ოფიციალური ვერსია, რომელმაც მოგვიანებით ასახვა ჰპოვა როგორც ფრედერიკ ფორსაიტის რომანში Икона („ხატი“) და ამერიკელების მიერ გადაღებულ მხატვრულ ფილმში Олдрич Эймс: предатель внутри (სხვა თარგმანში Шпион), ისე დოკუმენტური ფილმების სიუჟეტებში, სადაც **ეიმსის საბჭოთა, შემდგომ რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობის მოტივად დასახელებულია მხოლოდ მატერიალური დაინტერესება. თითქოს, ამით ყველაფერი ითქვა, მაგრამ დღემდე საკამათოდ რჩება მისი ჩავარდნის რეალური მიზეზები.**

ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ოლდრიჩ ეიმსის გამოვლენა შესაძლებელი გახდა გფბ-სა და ცსს-ს ერთობლივი შრომატევადი საქმიანობის შედეგად. რუსული ოფიციალური მხარე, მათ შორის, სპეცსამსახურები, „ეიმსის საქმეზე“ კომენტარს საერთოდ არ აკეთებენ და არაფერს აღიარებენ, თუმცა მომხდარ ფაქტს არ უარყოფენ. არადა, როგორც ამერიკელებმა, ისე რუსებმა მშვენივრად იციან, თუ როგორ მოხდა მისი ჩავარდნა.

არაოფიციალურად სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვის) ყოფილი თანამშრომლები ოლდრიჩ ეიმსის ჩავარდნაში ბრალს სდებენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომელმაც ნაჩქარევად მოახდინა საბჭოთა უშიშროების ორგანოებში მოქმედი ამერიკის დაზვერვის აგენტების თაობაზე ეიმსის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რეალიზაცია. ნაწილი თვლის, რომ ეიმსი ეწეოდა საკმაოდ ხელგაშლილ ცხოვრებას და, აქედან გამომდინარე, ლეგენდა თანხის წარმომავლობის თაობაზე ადვილად მოწმდებოდა.

**ოლდრიჩ ეიმსი რომ მოსკოვში გაყიდეს, ამაში ღრმად არის დარწმუნებული სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ლეონოვიც,** რომელიც წლების მანძილზე (1973-1983 წ.) **მუშაობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს** (საგარეო დაზვერვა) **ანალიტიკური სამსახურის უფროსად, ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ** (1983-1991 წ.), **ხოლო თადარიგში გასვლამდე** (1991 წ. თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში) **სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ანალიტიკური სამმართველოს უფროსად.**

**„მე შემიძლია მთელი დარწმუნებით ვივარაუდო, რომ ეიმსი გაყიდეს და ის გაყიდეს მოსკოვში. წლების მანძილზე მე პირადად ვამუშავებდი ამერიკაში ჩვენ აგენტურასთან კავშირის ტექნოლოგიას. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მან იმუშავა უმწიკვლოდ და უვნებლად. ჩავარდნა გამორიცხული იყო. ყველა ეს მონათხრობი ეიმსის წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელ მასალებზე, რომლებიც, თითქოსდა, ნახეს მის სანაგვე ყუთში და დანახარჯები, რამაც ყურადღება მიიქცია, გათვლილია მხოლოდ სულელებზე. ეიმსი, ისე როგორც უოკერი, რომელიც, თითქოსდა, დააბეზღა მეუღლემ, „ჩააბარეს“** მოსკოვში. გააკეთეს ეს იმ პი**რებმა, რომელთაც ჰქონდათ სამსახურებრივი** ▶


ოლდრიჩ ეიმსი

> **ედუარდ შევარდნაძესთან საუბრის დროს ეიმსის მიერ მიღებული ინფორმაცია, როგორც ჩანს, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვაში გადაწყდა სასწრაფოდ მისი მოხსენება ქვეყნის პრეზიდენტისთვის. სწორედ აქ იქნა დაშვებული ფატალური შეცდომა**

# არ არის გამორიცხული ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძისა და ეიმსის შეხვედრა თავად აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ყოფილიყო წახალისებული, ანუ საქართველოს მეთაური ნებით თუ უნებლიეთ აღმოჩნდა ერთ-ერთი სერიოზული სადაზვერვო პროცესის, ე.წ. აქტიური ღონისძიების — აგენტის შემოწმების მონაწილე.

ჯაშუშური თამაშები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **შეხება „ეიმსის საქმესთან“** (Прокол Эймса в США был невозможен. Его предали в Москве. Комсомольская правда. 1994 г. 22 декабря.).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ოლდრიჩ ეიმსს ჯერ კიდევ 1989 წლიდან ჰქონდა დაშვება ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს „პრაქტიკულად ყველა საიდუმლოზე“. აქედან გამომდინარე, **სრულიად ცალსახაა, რომ მან კარგად იცოდა ამერიკელთა საიდუმლო პროგრამები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის შესაძლო დაშლასთან და ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში ამ ქვეყნის ახალ გეოპოლიტიკურ ხედვასთან როგორც მსოფლიო, ისე კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.** ეს ნიშნავს, რომ ჯერ საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვი, ხოლო შემდგომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი დეტალურად იყვნენ საქმის კურსში კავკასიის რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების სამომავლო გეგმებზე. შესაბამისად, დაიგეგმა საწინააღმდეგო ღონისძიებებიც.

* * *

**თავდაპირველად, ქართველ კოლეგებთან ურთიერთობა ამერიკელებს გაუჭირდათ ორი ძირითადი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, აშკარად ჩანდა, რომ ცსს-ს მზვერავები საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებს უყურებდნენ როგორც ყოფილ მტრებს და, მეორეც, ამერიკელებს, ეგონათ, რომ მოხვდნენ ველურ გარემოში და დაბალინტელექტუალურ საზოგადოებაში. თუმცა მოკლე დროში ვითარება რადიკალურად შეიცვალა.**

**1992 წლის შემოდგომიდან ამერიკელთა მხრიდან „რეგიონულ საქმეებზე“ პასუხისმგებელი პირი გახდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრის ოფიცერი ფრედ ვუდროფი, „კოვბოური ტიპის“ ცსს-ს უკანასკნელი თანამშრომელი.** ერთ-ერთი ინტერნეტსაიტი (http://obzor.tomsk.ru obzor@westsit.ru (Наш человек в Тбилиси) მას მოიხსენიებს როგორც საქართველოში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტს. ფ. ვუდროფი იყო მაღალი აღნაგობის, გამხდარი, შინაგანად თავისუფალი, სასიამოვნო მოსაუბრე და კარგი იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული პიროვნება, ტიპიური ამერიკელი. თავისი უშუალობითა და ინტელექტით ნებისმიერ მოსაუბრეს მის მიმართ პატივისცემით განაწყობდა.

**იმ ურთულეს ვითარებაში ფ. ვუდროფი ცდილობდა საქართველოს, მისი წარსულის და აწმყოს, განსაკუთრებით, ტრადიციების შესწავლას. შეიყვარა ქართული სუფრა, ხიბლავდა ქართველების გულწრფელობა, უშუალობა და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისკენ სწრაფვის სურვილი. თავისუფალ დროს ეცნობოდა საქართველოს ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, შეიძინა ბევრი მეგობარი.** თუ რამდენად გულწრფელი იყო ფ. ვუდროფი თავის დამოკიდებულებაში საქართველოს და ქართველების მიმართ, და ხომ არ იყო ეს მისი „პროფესიული ნიღაბი“, საუბრის სხვა თემაა, თუმცა ხშირად ამბობდა, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ აუცილებლად ჩამოვიდოდა საქართველოში და სამუდამოდ აქ დასახლდებოდა. განსაკუთრებით ხიბლავდა არაგვის ხეობა. **ვუდროფი გარდაცვალებამდე იყო აქტიური ორგანიზატორი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაგეგმილი პრაქტიკულად ყველა იმ პროგრამის, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ქართველ კოლეგებთან ურთიერთობის პროცესში იბადებოდა.**

დასაწყისში ამერიკელების დახმარება შემოიფარგლებოდა ძირითადად საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის საკანონმდებლო ბაზის ფორმირების და თანამშრომელთა სასწავლო და გადამზადების პროცესისთვის რჩევების მიცემით. შემდგომში თანამშრომლობა უფრო გაფართოვდა.

1992 წლის 12 ივნისს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ტელეფონით დაუკავშირდა ედუარდ შევარდნაძეს. ისაუბრეს საქართველო-რუსეთის დიდი ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობაზე. ყინული, თითქოს, დაიძრა.

ძნელია იმის თქმა და, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ, თუ როგორი სიხშირითა და სიჩქარით აწვდიდა ოლდრიჩ ეიმსი მოსკოვს საქართველოსთან დაკავშირებულ ინფორმაციას. თუმცა, ერთი რამ ცხადი იყო — **ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საკმარისი იყო საქართველოს ხელისუფლებას და მის სპეცსამსახურებს მიეღო რაიმე კონფიდენციური ხასიათის გადაწყვეტილება, რომ მას მომენტალურად მოჰყვებოდა რუსეთის რეაქცია, თუმცა შესაძლოა, ნაწილობრივ, ობიექტურად განვითარებულ მოვლენათა დამთხვევასაც კი ჰქონდა ადგილი.**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეიმსი 1994 წლის თებერვალში სამსახურებრივი მივლინებით სსრ კავშირში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გამოძიების ფედერალურმა სამსახურმა დააპატიმრა. ამ ინფორმაციაში ერთი უზუსტობაა გაპარული. აღნიშნული პერიოდისთვის სსრ კავშირი უკვე სამი წლის დაშლილი იყო და ოლდრიჩ ეიმსი, ბუნებრივია, სსრ კავშირში ველარასდროს გაემგზავრებოდა. **ენციკლოპედიის შემდგენლები შეგნებულად გვერდს უვლიან იმ გარემოებას, რომ ეიმსი 1993 წლის ზაფხულში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში, კერძოდ, საქართველოში.**

ოლდრიჩ ეიმსი რომ საქართველოს სტუმრობდა დასტურდება რამდენიმე ინტერნეტწყაროთი, რომლებშიც, კერძოდ, ნათქვამია: „...Незадолго до убийства Вудроффа, в Тбилиси побывал Олдрич Эймсс“; „До него случайно дошли сведения об Эймсе, который приезжал в Грузию в 1993 году“. (www.profismart.ru. Николай Зенькович – Тайны ушедшего века); „...Незадолго до гибели, Вудроффа навещал по делам сотрудник ЦРУ Олдрич Эймсс“ (http://obzor.tomsk.ru obzor @ westsit.ru — „Наш человек в Тбилиси“); „И тогда все вспомнили о том типе с противными усиками — проверяющего из Ленгли, который приехал за неделю до гибели Вудроффа в Тбилиси, чтобы инспектировать его работу“.



ფრედ ვუდროფი

> **1992 წლის შემოდგომიდან ამერიკელთა მხრიდან „რეგიონულ საქმეებზე“ პასუხისმგებელი პირი გახდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრის ოფიცერი ფრედ ვუდროფი — „კოვბოური ტიპის“ ცსს-ს უკანასკნელი თანამშრომელი**

(Agentura.ru — Глубокая и темная бездна).

ზემოაღნიშნულ ინტერნეტსაიტებზე ასევე მითითებულია, რომ **ეიმსი არცთუ ისე ცუდად ფლობდა რუსულ ენას, იყო კარგი ანალიტიკოსი, თუმცა უკმაყოფილო იყო იმით, რომ ცსს მას იყენებდა აგენტ-გადმომბირებლად. ეიმსი წერდა საბჭოთა სპეცსამსახურებზე სამეცნიერო ნაშრომებს. იყო ვუდროფების ოჯახის დიდი ხნის მეგობარი** (ფრედი ვუდროფის მეუღლეც ცსს-ს მაღალი რანგის მოხელე გახლდათ). **ოლდრიჩ ეიმსი საბჭოთა და შემდგომ რუსეთის დაზვერვას გადასცემდა ყველა ინფორმაციას, რაც ხელში ჩაუვარდებოდა, მათ შორის, თბილისში ვუდროფის საქმიანობის ამსახველ მასალებს.**

ეიმსი რომ საქართველოში იმყოფებოდა უდავოა და ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს. ამის თვითმხილველები საქართველოშიც არიან.

**ოლდრიჩ ეიმსი თბილისში ჩამოვიდა ფრედ ვუდროფის 1993 წლის 8 აგვისტოს ტრაგიკულად გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე. სწორედ ამ ერთკვირიან პერიოდში ადგილი ჰქონდა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენის კულმინაციას, რომლის კვანძიც დღემდე გაუხსნელია.**

დავუბრუნდეთ ეიმსთან დაკავშირებით რუსეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი ავტორიტეტული პიროვნების ნიკოლოზ ლეონოვის კატეგორიულ გამონათქვამს, რომ „ეიმსი გაყიდეს მოსკოვში“. ავტორი ამაზე მეტის თქმის უფლებას საკუთარ თავს არ აძლევს. არადა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნ. ლეონოვმა ამ მოსაზრების დაფიქსირების მომენტში კარგად იცოდა ეიმსის ჩავარდნის ზუსტი მიზეზები. მაგრამ გაუფრთხილდა საკუთარი ქვეყნის პრესტიჟს, უფრო სწორად, ქვეყნის პრეზიდენტის იმიჯს. ასევე ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ გასაგები მიზეზების გამო, დღემდე ეიმსის ჩავარდნას მძიმედ უნდა განიცდიდნენ საბჭოთა კავშირის (შემდგომში რუსეთის ფედერაციის) საგარეო დაზვერვის ის თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ შეხებაში არიან მის გადმობირებასთან და ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროფესიულ ასპექტებთან.

**ოლდრიჩ ეიმსის საქართველოში ჩამოსვლის მომენტისთვის, ჩვენი ქვეყნის საზიანოდ უკვე ბევრი რამ იყო მომხდარი. პოლიტიკური და საომარი ვითარება აფხაზეთში უკიდურესობამდე იყო დაძაბული.**

**სწორედ ასეთ ურთულეს პირობებში, 1993 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში თბილისში მყოფი ოლდრიჩ ეიმსი კონფიდენციალურად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.**

ედუარდ შევარდნაძემ იცოდა, რომ მისი სტუმარი აშშ-ის ყველაზე გასაიდუმლოებული უწყების — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კავკასიის რეგიონულ საქმეებზე პასუხისმგებელი და ამ უწყების ერთ-ერთი ავტორიტეტული პიროვნება იყო. საქართველოს მეთაურმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამერიკის დაზვერვა მისეულ ხედვას მიმდინარე ურთულეს მოვლენებზე და საქართველოს სამომავლო სტრატეგიულ გეგმებსა და ამოცანებზე აუცილებლად, თანაც სასწრაფოდ მიაწვდიდა ამერიკის ადმინისტრაციას, კერძოდ, იმ სტრუქტურებსა თუ პირთა ჯგუფს, რომლებიც საქართველოს მიმართ სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობდნენ.

**საუბარი დიდხანს გაგრძელებულა. ამ შეხვედრას ორივე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ედუარდ შევარდნაძე სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული, რომ მისი შეხედულებები და მოსაზრებები, მათ შორის, ისეთებიც, რის თაობაზეც ის პირველად და კონფიდენციალურად ისაუბრებდა, რაც შეიძლება მეტი დოზით მიეწოდებინა აშშ-ის ცენტრალური სადეზვერვო სამმართველოს მაღალი რანგის ჩინოვნიკისთვის. ეიმსიც, როგორც გამოცდილი მზვერავი და კარგი ანალიტიკოსი, შეეცდებოდა შევარდნაძისგან მაქსიმალური და სრულყოფილი სადაზვერვო ინფორმაციის მიღებას.**

ოლდრიჩ ეიმსის ჩავარდნასთან მისი და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რომ დავინახოთ, გადავფურცლოთ წიგნის Все о Внешней разведке (მოსკოვი, 2002 წ.) ავტორების ა. ი. კოლპაკიდის და დ. პ. პროხოროვის მიერ დაფიქსირებულ ერთ ასეთ ინფორმაციას: **„ეიმსზე დაწესებული მეთვალყურეობისა და მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის შედეგად გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაადგინა, რომ 1993 წლის ზაფხულში ის, შესაძლოა, ემზადებოდა თავისი ოპერატორებისთვის საიდუმლო ინფარმაციის შემცველი კონტეინერის გადასაცემად. ამ დღეს, ეიმსზე დაწესდა მჭიდრო მეთვალყურეობა, თუმცა მან შეძლო „კუდისგან“ თავის დაღწევა და გფბ-ს აგენტებმა ვერანაირი მტკიცებულება ვერ მიიღეს. მაშინ, 1993 წლის 15 სექტემბერს, ეიმსის საცხოვრებელი სახლიდან საიდუმლოდ ამოიღეს ნაგვის ტომარა, რომელშიც აღმოჩნდა დახეულ ყვითელ საფოსტო ბარათზე შესრულებული ჩანაწერი“.** ჩანაწერში მინიშნებული იყო რუსეთის დაზვერვის წარმომადგენელთან — მეკავშირესთან მისი კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში შესაძლო შეხვედრის მზადყოფნის დამადასტურებელი ინფორმაცია. ვინაიდან ეიმსის შეხვედრა ე. შევარდნაძესთან მოხდა 1993 წლის აგვისტოს პირველ დღეებში, მაქსიმუმ 8 რიცხვამდე, ხოლო ამავე წლის ზაფხულში საიდუმლო ინფორმაციის შემცველი კონტეინერით დაუსხლტა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს, გამოდის, რომ **საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, ჯაშუშმა თბილისში მიღებული ინფორმაციის, საკუთარი ანალიტიკური მოსაზრებებითა და დასკვნებით, მოსკოვისთვის გადაცემა მოასწრო** და ის, 15 სექტემბრის მონაცემებით, ახალი საიდუმლო შეხვედრისთვის ემზადებოდა.

ზემოაღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ერთი პროფესიული ასპექტის კარგად გააზრება. კერძოდ, ეიმსის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილება მიიღეს 1993 წლის მაისში (აშშ-ს კონტრდაზვერვას ეჭვი ოპერატიული ინფორმაციის დონეზე 1992 წლის აგვისტოდან უკვე ჰქონდა), მაშინ **რატომ მისცა ცსს-მ პირს, რომლის მიმართ ჯაშუშობის ბრალდებით აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, საქართველოში გამგზავრების და, მით უმეტეს, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მეთაურთან შეხვედრის და მისგან კონფიდენციური პოზიციის გაგების საშუალება? ხომ ცხადი იყო, რომ ეიმსი ე. შევარდნაძისგან მიღებულ ინფორმაციას აუცილებლად გადასცემდა რუსეთის დაზვერვას? ეს ხომ საქართველოს ჩავარდნას და მისი პოლიტიკური ლიდერის, გაწირვას ნიშნავდა?** ძნელი დასაჯერებელია, რომ ოლდრიჩ ეიმსის დანაშაულებრივ ქმედებაზე დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად მსგავსი ნაბიჯი გადაედგა აშშ სპეცსამსახურს. იქნებ, საიდუმლო კონტეინერში სწორედ ე. შევარდნაძესთან საუბრის ამსახველი ინფორმაცია იდო, რომელიც ცსს-მ ხელში ვერ ჩაიგდო და მოსკოვში აღმოჩნდა? **არ არის გამორიცხული ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძისა და ეიმსის შეხვედრა თავად აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ყოფილიყო წახალისებული, ანუ საქართველოს მეთაური ნებსით, თუ უნებლიედ აღმოჩნდა ერთ-ერთი სერიოზული სადაზვერვო პროცესის, ე.წ. აქტიური ღონისძიების — აგენტის შემოწმების მონაწილე.**

**ედუარდ შევარდნაძესთან საუბრის დროს ეიმსის მიერ მიღებული ინფორმაცია, როგორც ჩანს, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვაში გადაწყდა სასწრაფოდ მისი მოხსენება ქვეყნის პრეზიდენტისთვის. სწორედ აქ იქნა დაშვებული ფატალური შეცდომა.**

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების, მათ შორის, სადაზვერვო სტრუქტურების მუშაკებმა, რომლებიც კონფიდენციური ინფორმაციის მოპოვებაზე მუშაობენ, კარგად იციან, რომ ინფორმაციის რეალიზაცია შესაბამის ინსტანციებში, მათ შორის, ქვეყნის პირველ პირთან, ტექნოლოგიური თვალსაზრისით რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. სხვადასხვა პროფესიული მანიპულაციები და კომბინაციებია საჭირო იმისთვის, რომ, ჯერ ერთი, რისკის ფასად მოპოვებულმა ინფორმაციამ შედეგი გამოიღოს და, მეორეც, არ მოხდეს ინფორმაციის მომწოდებლის გამჟღავნება — გაშიფრვა.

**როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტი უკიდურესობამდე გაალიზიანა ედუარდ შევარდნაძის გულწრფელმა აზრებმა. ამას მოწმობს ის მძიმე სატელეფონო საუბარი, რომელიც მათ შორის გაიმართა, ედუარდ შევარდნაძე, ბუნებრივია, დაუკავშირდებოდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პასუხისმგებელ პირს, რომელსაც მოუყვებოდა მის თავს გადამხდარი უცნაური, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე — რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაილანძღა იმ მოსაზრებებისა გამო, რომლებიც, კონფიდენციალურ ვითარებაში ცოტა ხნის წინ მხოლოდ ოლდრიჩ ეიმსს გაანდო.**

ეჭვი ეიმსის მიმართ აშკარად სახეზე იყო.

ამ ამბის შემდეგ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს სასწრაფო და გადაუდებელი ზომები უნდა მიეღო.

**ყველასთვის შოკისმომგვრელი იყო აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ 1994 წლის 21 თებერვალს ოლდრიჩ ეიმსის დაპატიმრების ფაქტი.**

ოლდრიჩ ეიმსი დაჩქარებული წესით გაასამართლეს. 1994 წლის 28 აპრილს, დახურულ სასამართლო სხდომაზე ეიმსს, ჩადენილი დანაშაულისათვის — ჯაშუშობა, გადასახადებისგან თავის არიდება, მიესაჯა სამუდამო პატიმრობა. 1994 წლის 23 ოქტომბერს გაასამართლეს მისი მეუღლეც — მარია როსარიო ეიმსი და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა საპატიმრო ვადის ციხეში მოხდით.

**„ეიმსის საქმემ“ ამერიკის შეერთებულ შტატებში სერიოზული პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია. უდიდესი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რის შედეგადაც ცსს-ს დირექტორი ჯეიმს ვულსი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.** სკანდალი ამით არ ამოწურულა. აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის გადაწყვეტილებით, 1994 წლის 26 თებერვალს პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს ვაშინგტონში რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის რეზიდენტი ა.ი. ლისენკო. იძულებული იყო ანალოგიური ნაბიჯი გადაედგა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინსაც მოსკოვში ცსს-ს რეზიდენტის დ. მორისის მიმართ. **იმისთვის, რომ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა გარკვეულწილად განმუხტულიყო, ბორის ელცინმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ, თითქოს, მან არაფერი იცოდა ოლდრიჩ ეიმსის საქმიანობის შესახებ.**

**სავარაუდოდ, ედუარდ შევარდნაძე არ დაადასტურებს 1993 წლის ზაფხულში ოლდრიჩ ეიმსთან მისი შეხვედრის და ბორის ელცინთან მწარე საუბრების ფაქტს და ამას, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ავტორის ფანტაზიის ნაყოფს მიაწერს.**

**გელა სულაძე,**
სახელმწიფო უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი,
უსაფრთხოების ანალიტიკოსი

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უნგრელებისგან, პოლონელებისგან, ჩეხებისგან, სლოვაკებისგან (2007 წლიდან კი ასევე ბულგარელებისა და რუმინელებისგან) მოითხოვდნენ, ფაქტობრივად, უარი ეთქვათ ეროვნულად ორიენტირებულ ეკონომიკაზე, ვაჭრობასა და საგარეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, კულტურულ-ეროვნულ ტრადიციებზე. 2009 წლიდან ამ მოთხოვნებს დაემატა კიდევ ერთი — „ქამრების მოჭერა“ ბერძნების თუ გერმანელი ბიურგერების თუ ბრიუსელის ბიუროკრატების გადასარჩენად.**

# მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის სასახლეში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უნდა განთავსდეს

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ახლადარჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს წერილით მიმართავენ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის სასახლეში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უნდა განთავსდეს. მათივე შეფასებით, პრეზიდენტის სასახლეში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განთავსება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია. მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:**

„მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში დაიწყო დისკუსია დღევანდელი პრეზიდენტის სასახლის სამომავლო ბედის შესახებ, ქართველ მეცნიერებს შორისაც დაიბადა ერთი იდეა. მოგეხსენებათ, ქართველებს როგორი მდიდარი და საამაყო კულტურა გვაქვს. ამ მემკვიდრეობით სრულიად სამართლიანად ვიწონებთ თავს მსოფლიოს წინაშე, თუმცა გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი — ქართული დამწერლობა ჯერაც ვერ ვაქციეთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი კულტურის მთავარ სავიზიტო ბარათად. საქართველოს უძველესი და ამასთან, საოცრად მრავალფეროვანი სადამწერლობო კულტურა აქვს. ამას მოწმობს ჩვენი უნიკალური ხელნაწერი მემკვიდრეობა, რომელმაც ჩვენამდე მოიტანა უძველესი ქართული სამწიგნობრო ტრადიციის, ქართული სახელმწიფოებრიობის, ეკლესიის, საზოგადოების, კულტურის, მეცნიერების, თავად დამწერლობის განვითარების უტყუარი სურათი.

ვფიქრობთ, დღეს გვაქვს ისტორიული შანსი, ამ ფასდაუდებელ საგანძურს და დაწესებულებას, სადაც მას იცავენ და იკვლევენ, ჯეროვანი ადგილი მივუჩინოთ.

**პრეზიდენტის სასახლეში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განთავსებით დღევანდელი ხელისუფლება საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს. ეს იქნება საქართველოს უახლეს ისტორიასა და საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა! ამასთან, სასახლეში უმდიდრესი საგანძურის გადატანით საბოლოოდ დაესმევა წერტილი მომავალში შენობის ფუნქციის თაობაზე დისკუსიის შესაძლო გაგრძელებას.**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცია ფაქტობრივად ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიული მეხსიერებაა. აქ დაცულია დიდი ქართველი მწიგნობრების, წმინდა მამების, ქართველი მეფე-მთავრების, კათოლიკოს-პატრიარქების, მწერლების, მეცნიერების, ხელოვანების, პოლიტიკოსების, დიდი საზოგადო მოღვაწეების ავტოგრაფები, შრომები, მინიატურები, დოკუმენტები, არქივები. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე გამორჩეული ნაგებობები დათმობილი აქვს სწორედ სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებებს და არა სახელისუფლო ორგანოებს. ამით სახელმწიფო აცხადებს, რომ კულტურა მარადიული კატეგორია და მისი ქვეყნის უმთავრესი სავიზიტო ბარათია. ასეთი მიდგომა ჩვენს მეზობელ სომხეთშიცაა, სადაც „მატენადარანი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი) ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, გამორჩეულ შენობაშია განლაგებული (ბატონო ბიძინა, რამდენადაც ვიცით, სომხეთში ვიზიტისას თქვენც ეწვიეთ სომხური კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრს). დაბოლოს, უნდა დავამატოთ, რომ **პრეზიდენტის სასახლეში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განთავსება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისთვისაც არის მნიშვნელოვანი. თბილისის უძველეს ნაწილში უპირველესად სწორედ ჩვენი უნიკალური დამწერლობის პოპულარიზების ცენტრი უნდა იყოს** (სამწუხაროდ, უცხოელთა უმეტესმა ნაწილმა დღეს არც კი იცის, რომ ქართველებს ჩვენი ორიგინალური, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, თანაც სამი ტიპის დამწერლობა გვაქვს).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კოლექციაში დაცულია, აგრეთვე, ძალზე საინტერესო უცხოენოვანი — არაბული, სპარსული, თურქული, რუსული, სომხური, ბერძნული, ებრაული, გერმანული, იტალიური და სხვ. — ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები. სახელმწიფოს უმაღლეს პირებს უმორჩილესად გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის, ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი ერის მომავლისთვის უმნიშვნელოვანეს იდეას, დააგვირგვინოთ ქართველი საზოგადოებისა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების — ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის თითქმის ორსაუკუნოვანი ღვაწლი. ისინი აგროვებდნენ, უვლიდნენ, იკვლევდნენ, სამშობლოში აბრუნებდნენ ქართულ ხელნაწერებს — იმ იმედით, რომ დადგებოდა დრო და საქართველო ამ უნიკალური მემკვიდრეობით ღირსეულად წარდგებოდა მთელი სამყაროს წინაშე“.

**წერილს ხელს აწერენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები:**
**მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, მზექალა შანიძე, ოთარ ჯაფარიძე**

# ანტიბრიუსელური ფრონტი ევროკავშირის კედლებში, ანუ ციხე შიგნიდან ტყდება?

**ევროკავშირის წევრი ქვეყნის — უნგრეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ევროკავშირი სულაც არ არის ედემის ბაღი, რომლის შესასვლელთან უსახლკარო მათხოვარივით საქართველო უნდა ათენ-აღამებდეს.**





გასულ კვირაში უნგრეთის დამოუკიდებლობის დღესასწაული, ისტორიაში პირველად, ევროკავშირისა და „უცხოური კაპიტალის“ წინააღმდეგ წამოყენებული მკაცრი ლოზუნგების ფონზე გაიმართა. ექსპერტები დარწმუნებით აცხადებენ, რომ **კონფლიქტი ბუდაპეშტსა და ბრიუსელს შორის არამარტო გამძაფრდება, არამედ თავის ორბიტაში ჩაითრევს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც.**

თავიდან ანტიბრიუსელური მოტივები უნგრეთში, რომელიც ევროკავშირისკენ და ნატოსკენ მონდომებით მიილტვოდა, პრაქტიკულად არ ისმოდა. მიზეზი კი ის იყო, რომ გასაკრიტიკებელი ჯერ არაფერი ჩანდა. **2004 წელს უნგრეთის ევროკავშირში მიღება 15 წლის განმავლობაში „გარდამავალი პერიოდის“ ყველა მთავრობის მოღვაწეობის შედეგი იყო.**

**მაგრამ ორიოდ წლის შემდეგ ეიფორია უნგრეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში ნაციონალური განწყობილებების ახალ-ახალი შემოტევების გამო მზარდი შეშფოთებით შეიცვალა.** გაირკვა, რომ ევროკავშირს არ ძალუძს, არამარტო მისცეს იმპულსი სოციალურ-ეკონომიკურ განწყობილებას, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს დაუკნინა ის მიღწევები, რომლებიც სოციალისტური ეპოქის მონაპოვარი იყო — საწარმოო სიმძლავრეები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციები, გასაღების ბაზრები. **უნგრელებისგან, პოლონელებისგან, ჩეხებისგან, სლოვაკებისგან (2007 წლიდან კი ასევე ბულგარელებისა და რუმინელებისგან) მოითხოვდნენ, ფაქტობრივად, უარი ეთქვათ ეროვნულად ორიენტირებულ ეკონომიკაზე, ვაჭრობასა და საგარეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, კულტურულ-ეროვნულ ტრადიციებზე. 2009 წლიდან ამ მოთხოვნებს დაემატა კიდევ ერთი — „ქამრების მოჭერა“ ბერძნების თუ გერმანელი ბიურგერების თუ ბრიუსელის ბიუროკრატების გადასარჩენად.**

ასეთ პირობებში, ევროსკეპტიციზმის ტალღაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები შეეცადნენ, აღჭურვილიყვნენ იმ სოციალურ-ეკონომიკური კურსის ცალკეული ასპექტებით, რომელთაც განახორციელებდნენ ევროკავშირს მიღმა მყოფი წარმატებული ქვეყნები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში. უნგრეთის მთავრობამაც, რომლის სათავეში იდგა ვიქტორ ორბანი, შეძლო „გამოსულიყო რეცესიიდან, შეემცირებინა ინფლაცია და უმუშევრობა“. ეს აღიარეს ორბანის კრიტიკოსებმა ვაშინგტონსა და ბრიუსელში.

**23 ოქტომბერს ბუდაპეშტში ურბანის მომხრეების მიერ გამართული ნახევარმილიონიანი მიტინგი იქცა მასობრივი მხარდაჭერის გამოხატვად იმ კურსისა, რომელიც, ისტორიული პარალელებისა და ნაციონალიზმის გარკვეული წილის მიუხედავად, აძლიერებს მოთხოვნას სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების ეროვნული და დამოუკიდებელი გადაჭრის შესანარჩუნებლად.** თავის გამოსვლაში ორბანმა კომუნისტური მმართველობის წლებთან ერთად დაგმო უცხოური კაპიტალის თანამედროვე ექსპანსია და ევროკავშირის პოლიტიკა.

**ორბანის პოლიტიკის რეალურობას ადასტურებს ისიც, რომ მან უარი თქვა გაზსადენ „ნაბუკოს“ მშენებლობაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელსაც დასავლეთის პროექტით, რუსეთისთვის გვერდის ავლით გაზი ევროპისკენ უნდა გაეტარებინა. დასაბუთება — პროექტი ძვირადღირებული და ნაკლებრენტაბელურია. სხვა საქმეა რუსული პროექტი „სამხრეთის ნაკადი“, რომელსაც ნედლეულის რეალური ბაზა და აუცილებელი დაფინანსება გააჩნია. „გაზპრომმა“ გაზარდა თავისი საინვესტიციო პროგრამა 1,026 ტრილიონ რუბლამდე, მათ შორის, პროექტ „სამხრეთის ნაკადის“ დაფინანსებისთვისაც.**

თუ დღეს უნგრეთის მთავრობა ცდილობს, წინ აღუდგეს ევროკავშირის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების ხელმძღვანელობის მისწრაფებას, გააძლიერონ ქვეყნის განვითარების სხვადასხვა მხარის კონტროლი, აღმოსავლეთევროპული რეგიონების სხვა ქვეყნებს აქვთ თავისი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრეტენზიები ბრიუსელის მიმართ. კერძოდ, **„ანტიბრიუსელურ ფრონტში“ შეიძლება გაერთიანდნენ ბულგარეთი და რუმინეთი, რომელთაც ბრიუსელმა სხვადასხვა მიზეზით უარი უთხრა შენგენის ზონაში შესვლაზე.** გასულ ოქტომბერში ევროკომისიამ გერმანიის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, ბუქარესტსა და სოფიას პირდაპირ განუცხადა, რომ ნუ იქონიებენ ილუზიებს შენგენის ზონასთან დაკავშირებით. თუ აქამდე ევროჩინოვნიკები ლაპარაკობდნენ დამნაშავეობის, პოლიტიკური ინსტიტუტების არასაკმარის დემოკრატიულობაზე და ეროვნული საზღვრების სუსტი კონტროლის პრობლემებზე, ამჟამად ახალი პრეტენზია წაუყენეს ორივე ქვეყანას — ბოშები. **ბრიუსელის აზრით, სოფია და ბუქარესტი არ ცდილობენ ადგილობრივი ბოშების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნისთვის გამოყოფილია „მილიარდობით ევრო“.**

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტუს კორლეციანმა განაცხადა, რომ „მილიარდობით ევრო“ ზღაპარია, რომ ევროსაბჭოს სივრცეში 15 მილიონი ბოშა ცხოვრობს, პრეტენზიებს კი მხოლოდ სოფიასა და ბუქარესტს უყენებენ.

ბულგარეთი ასევე პოლიტიკურ მიზეზებს ასახელებს ევროკავშირის ჩინოვნიკების მიერ ბალკანეთის ამ ქვეყნის შენგენის შეთანხმებასთან მიერთების საკითხის გაჭიანურებას.

მაგრამ სოლიდარობის ნატამალიც არ ჩანს დღევანდელ ევროკავშირში. **გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს თვეებში პირიქით მოხდეს — ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყონ გაერთიანება ანტიბრიუსელური სოლიდარობის ბლოკში** და ზოგიერთ სხვა გაერთიანებაში მოცემული რეგიონის საზღვრებს მიღმა.

**ნიშანდობლივი ტენდენციაა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა უნდა დააფიქროს, ხომ არ წავიქცევით იმ გზაზე, რომლითაც ასე აჩქარებით მივრბივართ ბრიუსელში ამომავალი მზისკენ?**

**www.fondsk.ru-ს მიხედვით**

ვაშინგტონისა და ბრიუსელის ტოლერანტული დამოკიდებულება ბალკანეთის მიმართულებით თურქეთის მზარდი აქტიურობისადმი თავისებური „კომპენსაციური“ ხასიათის მატარებელია, ანკარისთვის გაცემული ერთგვარი ბონუსია ევროკავშირში შესასვლელად, რაც, როგორც ცნობილია, დაბლოკილია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თურქეთი მძლავრობს

**ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მეზობელი თურქეთი ენერგიულად ცდილობს, გააძლიეროს თავისი გავლენა საქართველოზე, განსაკუთრებით — საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ამას ამჩნევენ უცხოელი ექსპერტებიც. „თურქები აქტიურად ცდილობენ, ქართველების ეროვნულ შეგნებაზე იმოქმედონ და შექმნან თურქეთის პოზიტიური იმიჯი საწინააღმდეგოდ აგრესორი რუსეთისა“, — მიიჩნევს ექსპერტი ავატკოვი (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №39, „თურქეთი — საქართველოს ახალი მფარველი?“).**



მაგრამ საქართველოში თავისი გავლენის გაძლიერება თურქეთისთვის მისი მთავარი მისწრაფების — რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს მისწრაფება სულ უფრო აშკარა ხდება და გარკვეული შედეგებიც სახეზეა.

ამას ადასტურებს გამოწვლილვითი ანალიზი თურქეთის პრიორიტეტების და იმ ძირითადი მიმართულებების, რომლებითაც იგი ცდილობს, შეაღწიოს ევრაზიული სივრცის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონებში.

დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევს, რომ **ანკარის პრიორიტეტების სისტემა, ბრიუსელთან ურთიერთობის გარდა, ითვალისწინებს: ბალკანეთს, კავკასიას და ახლო და შუა აღმოსავლეთს. „თურქეთი ქმნის ბალანსსა და სტაბილურობას ბალკანეთში, შავი ზღვის რეგიონში, კავკასიაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში, ახლო და ცენტრალურ აზიაში“,** — აცხადებს გავლენიანი თურქი დიპლომატი, საერთაშორისო თანამშრომლობის ანკარის სააგენტოს პრეზიდენტი **უმუტ არიკი**.

ექსპერტები უპირველეს მიმართულებად ბალკანეთს ასახელებენ, სადაც უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში ანკარამ განიმტკიცა პოზიციები. ეს კი დასავლეთის სერიოზულ ეჭვებს ბადებს, რასაც, რა თქმა უნდა, აქვს საფუძველი, რადგან **აშშ-ისა და ევროსაბჭოს გავლენა, სავსებით შესაძლებელია, გადაფაროს ან შეავსოს თურქეთმა, რომელსაც რეგიონში მოქმედების დიდი ისტორიული გამოცდილება აქვს.** იმოწმებენ აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან კორდელ ჰალს, რომელმაც ჯერ კიდევ 1948 წელს განაცხადა: **„ჩვენ დავასკვენით, რომ თურქეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბალკანეთში მასტაბილიზებელ გავლენას ახდენს“.**

ამასთან ერთად, **რეგიონში ანკარის აქტიურობა მნიშვნელოვნად ზღუდავს ადგილობრივ მუსლიმებში საუდის არაბეთისა და ირანის შეღწევას, რაც მთელი რიგი მიზეზებისა გამო აშშ-ს უფრო მეტად ხელს არ აძლევს.** დაბოლოს, ხაზს უსვამენ ექსპერტები, **ვაშინგტონისა და ბრიუსელის ტოლერანტული დამოკიდებულება ბალკანეთის მიმართულებით თურქეთის მზარდი აქტიურობისადმი თავისებური „კომპენსაციური“ ხასიათის მატარებელია, ანკარისთვის გაცემული ერთგვარი ბონუსია ევროკავშირში შესასვლელად, რაც, როგორც ცნობილია, დაბლოკილია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.**

თურქეთის პოლიტიკა ბალკანეთის მიმართ ძალას იკრებს დასავლეთის მიერ მისთვის ფართოდ გაღებულ „შესაძლებლობათა ფანჯრის“ წყალობით და ეფუძნება მტკიცე ისტორიულ-იდეოლოგიურ ბაზას, რომელიც, დამკვირებელთა მტკიცებით, ადგილობრივ დედაქალაქებში „საჩვენებელი თანაგრძნობით“ სარგებლობს.

ასეთი გაგება და თანაგრძნობა დამახასიათებელია ბულგარეთის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რიგი ბულგარელი ისტორიკოსებისა XIX საუკუნეში მათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს განიხილავს, როგორც ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე მოდერნიზაციის შემადგენელ ნაწილს. ანალოგიური ტენდენციები დასტურდება სერბეთსა და ჩერნოგორიაში, რომ არაფერი არ ვთქვათ ალბანეთზე, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაზე. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ალბანეთის ერთ-ერთი თანამედროვე წამყვანი ისტორიკოსი **ბეჩირ მეტა** თვლის, რომ **მისი ქვეყნის მთავარი ისტორიული ოპონენტი ოსმალეთის იმპერია კი არ იყო, არამედ საბერძნეთი „მისი შოვინისტური პოლიტიკით“. ამასთან, საბერძნეთის მისწრაფებათა რეალიზაციაში განსაკუთრებულ როლს „საბერძნეთ-ამერიკის ლობის“ ანიჭებს...**

## ანკარის პრიორიტეტების სისტემა, ბრიუსელთან ურთიერთობის გარდა, ითვალისწინებს: ბალკანეთს, კავკასიას და ახლო და შუა აღმოსავლეთს

ანკარის ლოგიკას უფრო დამარწმუნებლად წარმოაჩენს თურქი პოლიტოლოგი **მეჰმეთ ალი კილიჩბაი** თავის სტატიაში „**სინამდვილეში ჩვენ ევროპელები ვართ**“: „**თურქეთი**, — წერს იგი, — **უფრო მეტად ბალკანეთის პროდუქტია, ვიდრე შუა აზიისა... დღეს ჩვენს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა წინაპრებიც შუა აზიიდან მოვიდნენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა წინაპრებიც ბალკანეთიდან არიან. ვინ უფრო მეტია? — უეჭველია, რომ ეს უკანასკნელნი. ეს არის მყარი და ეჭვგარეშე საფუძველი თურქთა „ევროპელობისა“. ბალკანეთმა ღრმა კვალი დატოვა თურქეთის ეთნიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ყოფაში“.**

როგორც ჩანს, **ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფების მქონე ქვეყნების ისტებლიშმენტში ერთგვარ მოდად დამკვიდრდა მაინცდამაინც ევროპელებად საკუთარი ხალხის წარმოჩენა. მათ შორის არის საქართველოს წარმომადგენლობაც,** რომლის დაჟინებული პოლიტიკა კონცენტრირებულია ცხონებულ ზურაბ ჟვანიას წამოძახილში: **„მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!“.** ამით კი, უწინარეს ყოვლისა, საკუთრივ ჩვენს თვითმყოფადობას აცლიან საფუძველს, ჩვენს ეროვნულობას, იმ წმინდა ტრიადას ემუქრებიან გაქრობით, რომელიც ქართველთა არსებობის ალფა და ომეგაა — ენა, მამული, სარწმუნოება.

ზემოთ დასახელებული ავტორი იმდენად კატეგორიულია თავის დასკვნებში, რომ სრულიად უარყოფს თურქეთის აზიასთან კავშირს. იგი დაჟინებით ამტკიცებს, რომ **თურქეთის აქტიური ჩარევა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის 1992-1994 წლების ეთნოსამოქალაქო ომში და შემდგომ კოსოვოს კონფლიქტში გახდა მიზეზი იმისა, რომ „გაეგდოთ თურქეთი ევროპიდან, გაეგზავნათ იგი აღმოსავლეთში, რომელსაც არასოდეს ეკუთვნოდა და რომლისთვისაც იგი ყოველთვის იყო და რჩება მარგინალური. ეს არის საბედისწერო ომი, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ ეწევიან ფაშისტები. ისინი კოსოვოს გამო რევანშს ესწრაფვიან. ჩვენ ბალკანელები ვართ, ჩვენ ევროპელები ვართ. საკუთარ წარმომავლობაზე უარის თქმას არავისთვის სიკეთე არ მოუტანია“.**

ესენი კი თვლიან, რომ ევროპელები არიან, მაგრამ ევროკავშირი სხვა აზრზე დგას. ამით აიხსნება ის სუსხი, რომელსაც დროდადრო ევროპული გაერთიანება თურქეთისადმი ამჟღავნებს. ეს არ აბრკოლებს თურქ პოლიტიკოსებს, რომლებიც ითვალისწინებენ ბალკანეთის ქვეყნების არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ბრიუსელისადმი და საერთო კრიზისულ სიტუაციას ევროკავშირის სივრცეში. ანალიტიკოსების აზრით, აღნიშნულ სიტუაციაში **ბალკანეთის მმართველი ელიტებისა და თურქეთის მოლოდინი ბევრ რამეში ობიექტურად ერთმანეთის თანმხვედრია.** მაგალითად, კინგსტონში (ონტარიო) კანადის სამეფო სამხედრო კოლეჯის ექსპერტმა **ფრედერიკ ლაბარმა** თურქეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირისადმი დამოკიდებულების პოლიტიკის არსი ასეთი ფორმულით ჩამოაყალიბა: **„ყველაფერი, რისი მიღებაც მათ სურთ ევროკავშირის სტრუქტურებისგან და, რა თქმა უნდა, ევროკავშირის ნორმებისგან, არის სუვერენულ სახელმწიფოებად დარჩენის პრივილეგია.“**

ბალკანეთში ანკარისთვის სასარგებლო ამ გეოპოლიტიკურ საფუძველს შესანიშნავად ერწყმის თურქეთის მხარის ძალისხმევა ამ რეგიონში თავისი ეკონომიკური პოზიციის განსამტკიცებლად. **თურქეთის ინვესტიციების გეოგრაფია აქ ზუსტად ემთხვევა სტრატეგიულ დერეფანს, რომელიც გადის უპირატესად მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებზე და მოიცავს, კერძოდ, ბულგარეთის როდოპის მხარეს, სამხრეთ სერბეთს, კოსოვოს, მაკედონიას, ბოსნიასა და ჰერცოგოვინას და ალბანეთს.** თურქეთის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ყველაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი თურქული ინვესტიციები მიმართულია ბოსნიისა და ჰერცოგოვინისკენ. ალბანეთში თურქეთს მესამე ადგილი უკავია იტალიისა და საბერძნეთის შემდეგ. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მოღვაწე ინვესტორებს შორის თურქეთი მეოთხე ადგილზეა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების — ავსტრიის, სლოვენიისა და გერმანიის შემდეგ. თურქეთი ბალკანეთში უფრო მასშტაბურად რომ გაიდგამს ფესვებს, სადავო არ უნდა იყოს. ამ დასკვნამდე მიდის დაზვერვისა და უშიშროების ამერიკული სააგენტო **Stratfor. „თურქეთი ცალსახად დაინტერესებულია, ინვესტიციები ჩადოს ბალკანეთის სტრატეგიულ დარგებში, ისეთებში, როგორიც არის ტელეკომუნიკაციები და აეროდრომები. ეს არის ნაწილი მისი სამეურნეო სტრატეგიის, რომლის მიზანია დომინირება ბალკანეთის ნახევარკუნძულის ძირითად ეკონომიკურ სტრუქტურებში“,** — ადასტურებს ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობის სამეფო ინსტიტუტის ექსპერტი **ფადი ხაკურა.**

აეროდრომების ხსენებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს უთუოდ გაახსენდებათ ბათუმისა და თბილისის („სახურავგადახდილი“) აეროპორტები, რომლებშიც სწორედ თურქული ინვესტიციები იყო ჩადებული.

უკვე ითქვა, რომ ბალკანეთი ევრაზიის ერთადერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი არ არის, რომელზეც ვრცელდება თურქეთის ახლანდელი ხელისუფლების „რბილი ძალის“ პოლიტიკა.

საქართველოც იმ რეგიონებში შედის.

**უცხოური პრესის პუბლიკაციების მიხედვით**

მოკლედ

## ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სააკაშვილსა და შევარდნაძეს მიიწვევენ



**17 ნოემბერს გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე მიწვეული იქნებიან მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე, ასევე პარლამენტი სრული შემადგენლობით, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის მოსამზადებელი სამთავრობო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.**

მისივე თქმით, 17 ნოემბერს ინაუგურაციისადმი მიძღვნილი ოთხი ღონისძიება გაიმართება. კერძოდ, ერთი — პარლამენტის ეზოში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ფიცს დადებს, ხოლო შემდეგ ის გადაინაცვლებს გმირთა მოედანზე, სადაც პატივს მიაგებს საქართველოს გმირებს. კიდევ ერთი ღონისძიება არის საზეიმო კონცერტი, რომელიც, სავარაუდოდ, რუსთაველის თეატრში ჩატარდება, ხოლო მეოთხე ღონისძიება არის უცხოელი სტუმრებისთვის დაგეგმილი მიღება.

რაც შეეხება სამხედრო კომპონენტს, ფანჯიკიძის განცხადებით, ინაუგურაციაზე არ იქნება არც ავიაცია და არც მძიმე ტექნიკა, წარმოდგენილი იქნება მხოლოდ პირადი შემადგენლობა. საზეიმო კონცერტში მონაწილეობას არ მიიღებენ მოწვეული შემსრულებლები.

ევროპა დღეს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში დღეისთვის მოქმედი წამყვანი სუვერენული 20 ფონდიდან, რომლებიც აქტიურად განახორციელებენ სახელმწიფო რეზერვების მხარდაჭერას, 9 არაბეთის ქვეყნებს ეკუთვნის. შარშან ამ ფონდების საერთო ბრუნვა 4,5 ტრილიონი დოლარი იყო, აქედან 1,7 ტრილიონი სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოებისა იყო.**

# სარაცინები ევროპაში

**სარაცინებმა დაიპყრეს ევროპა! — ასე იტყოდნენ ჯვაროსნული ომების დროს. დღეს ამას ცივილიზებულ ფორმულაში მოაქცევენ: მიმდინარეობს ევროპის არაბიზაცია. უსისხლო ომი!**

მაგრამ შედეგი იგივეა — დაპყრობა. მართალია, თავისებური, რადგან ეკონომიკას ეხება, მაგრამ პრინციპულად იგივე, რადგან საბოლოო ჯამში მაინც დაპყრობა, ხელში ჩაგდება წამყვანი ქვეყნების უმსხვილესი კომპანიების, მთელი დარგებისაც კი. და რას წარმოადგენს ქვეყანა, რომლის ეკონომიკა სხვის ხელშია, რად ღირს მისი ტრადიციული სახელი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოსი, ამას განმარტება არ სჭირდება.

ცარიელი სიტყვებია.

**ჩვენთვის ნაცნობი სიტუაცია, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული მიწების, თუნდაც თბილისის შემოგარენის სარაცინთა საკუთრებაში აღმოჩენა საკმარისია თვალსაჩინოებისთვის.**

**კახეთში იგივე არ ხდება?**

**დასავლეთ საქართველოში?**

**გაყიდული საქართველო დაგვიტოვა მემკვიდრეობად კაცმა, რომელიც ჩვენი წინდაუხედაობით, სულსწრაფობით, პირდაპირ ვთქვათ, სიბრიყვით პრეზიდენტად დავისვით.**

ახლა რა ვქნათ? დავიმშვიდოთ თავი, რომ ევროპაშიც იგივე პრობლემა მძვინვარებს? არაბთა ახალი შემოსევის ხანა დადგა?

თუმცა სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან **ამ დამპყრობლური პროცესის საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის ძალით ყველაფრის ყიდვა-გაყიდვაა შესაძლებელი.**

გაიყიდა ევროპა და ბებერი კონტინენტის მასმედიამ ამ ჯოჯოხეთს ფაქტების მუგუზალი შეუკეთა.

## არაბების ახალი იმპერია

ესპანურმა გაზეთმა **La Vanguardia**-მ გამაოგნებელი კონკრეტიკა წარუდგინა მკითხველებს, ფაქტები, რომლებიც ნებისმიერ განვრცობილ მსჯელობაზე ძლიერი და დამაჯერებელია.

სტატია, რომლის ავტორია **ფერნანდო გარსია,** სვრელის გავლებას რეალობის ბელტების ამოტრიალებით იწყებს (და ასევე აგრძელებს).

**„ყატარის საკუთრებაა ევროკავშირის უმაღლესი ცათამბრჯენი — Shard-ის კოშკი და მსოფლიო სავაჭრო ცენტრი Harrods-ი. ორივე ლონდონშია. სპარსეთის ყურის მინიატურული ქვეყანა ფრანგული საინფორმაციო გიგანტის — Lagardere-ს და ლეგენდარული საიუველირო მარკის — Tiffany-ის (აშშ) უმსხვილესი ინდივიდუალური აქციონერია. ყატარი ფლობს გერმანული ფირმების „ფოლცვაგენ-პორშისა“ და „სიმენსის“ სააქციო კაპიტალის მნიშვნელოვან წილს.**

**არაბეთის გაერთიანებული ემირატებისაა ესპანური კომპანია Cepasa-ს 100 პროცენტი. ამ ქვეყანამ პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა „ჯენერალ ელექტრიკთან“, „აირბუსთან“ და „ბოინგთან“ ავია-კოსმოსური საკუთარი დარგის განსავითარებლად. კუვეიტმა ეს-ესაა შეიძინა Bank of America-ს შტაბ-ბინა და დაიწყო სახსრების ჩადება ქალაქმშენებლობის უდიდეს პროექტ Hudson Yards-ში, რომელიც ნიუ იორკის მანჰეტენის რაიონში ხორციელდება“.**

ამას გარდა, **სპარსეთის ყურის სახელმწიფოები, რომელთა ქვეყნები ნახშირწყალბადითაა მდიდარი, პრაქტიკულად თავიანთ კონტროლს უქვემდებარებს მსოფლიო ფეხბურთს.**

ჩვენი მკითხველი მიაქცევს ყურადღებას, რომ ამ ჩამონათვალში აშშ-ის უმსხვილესი ფირმებიც მოხვდა. ეს კი ნიშნავს, რომ **არაბი შეიხების დოლარსაცეცები ოკეანის გაღმაც გაწვდა და ახალი ეკონომიკური იმპერია მსოფლიო მასშტაბის წარმონაქმნად ყალიბდება.**

რას ეფუძნება ასეთი შეუჩერებელი ანექსია? ახალი არაფერია — ნავთობდოლარების სიუხვე ასაზრდოებს მას, ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა — უკვე მესამე 1973-74 და 1978-81 წლების ნახტომების შემდეგ. ამ უხვმა ნაკადმა ჯერ გამოაცოცხლა, შემდეგ წვენი გამოწოვა დასავლეთის ეკონომიკას, რომლის დაფინანსების წყაროები ან დაკნინდა, ან სულაც დაშრა.

აქ ერთი მომენტია საინტერესო: **ევროპის (და არამარტო ევროპის) სიმდიდრეთა ხელში ჩამგდები არაბები არ ცდილობენ, ისარგებლონ კონიუნქტურით, არ დებენ სპეკულაციურ გარიგებებს. მით უფრო, არ ყიდულობენ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც შეიძინონ. პირიქით, ახალი ინვესტორები შორს იყურებიან და თავიანთ საქმიანობას პერსპექტივას უსადაგებენ — პერსპექტიული გეგმებით საზღვრავენ მომავალს. ახლადჩამოყალიბებული საფინანსო-საწარმოო სტრუქტურების საქმიანობა ისეა გათვლილი, რომ უზრუნველყოფილ იქნას უფრო მყარი შემოსავალი, ვიდრე ნახშირწყალბადის საბადოებს შეუძლია უზრუნველყოს, რადგან „მათი დღეები“ დათვლილია — მარაგი ამოწურვადია.**




პარიზის ქუჩებში




არ შეიძლება ითქვას, რომ ინვესტორი ქვეყნების ამ მიმართებით საქმიანობაში კონკურენცია არ არსებობს. არის, მაგრამ თავისებური — **„საკმარისია, აბუ-დაბიმ დაიწყოს რომელიმე ახალი პროექტი, ყატარი იქვე აცხადებს, რომ ანალოგიური პროექტის განხორციელება მას უკვე დაწყებული აქვს“.**

ყველა თავისი კურსით მიდის. რიგი სპეციალისტებისა კატეგორიულად უარყოფს, რომ არსებობს რაღაც „არაბული შეთქმულება“ დასავლეთის სამყაროს დასაპყრობად (პროფესორი **ჰაიზამ ამირა ფერნანდესი**, ეკონომისტი **მოჰამედ აბდელი** და სხვები).

არც კონკურენცია, არც შეთქმულება: არაბეთის ქვეყნები, ანალიტიკოსების აზრით, განახორციელებენ შეთანხმებულ პოლიტიკას, რომელიც განამტკიცებს მათ პოზიციებს მსოფლიოში. **„მთავარ ამოცანად, ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად,** — წერს **La Vanguardia**, — **დასახულია მომავალი თაობების უზრუნველყოფა იმ დროისთვის, როცა ნავთობისა და გაზის წყაროები დაიწყებს დაშრეტას; მყარი განვითარების საფუძვლების შექმნა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბება განვითარებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით; შვილებისა და შვილიშვილებისთვის ღირსეული ყოფის უზრუნველყოფა; ინფლაციის ნახტომების დაუშვებლობა და საკუთარი თავის დაცვა ე. წ. „ჰოლანდიური დაავადებისგან“** (ვალუტის უზომო დაგროვების უარყოფითი ზეგავლენა).

რა გზით? რაც შეიძლება ნაკლები რისკით, თანამედროვე დასავლური საწარმოების მართვის უნარის შეთავსებით განვითარებადი სახელმწიფოების დინამიზმთან, რეგიონისთვის და საკუთარი ქვეყნისთვის შემოსავლების უზრუნველყოფით.

**განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სპარსეთის ყურის სახელმწიფოები აქტიურად მუშაობენ საკუთარი სპეციალისტებისა და მმართველების მომზადების მიმართულებით, თავიანთ ქვეყნებში ხსნიან პრესტიჟულ საერთაშორისო სასწავლო ცენტრების ფილიალებს.**

დაბოლოს, კოლოსალური კაპიტალდაბანდებანი, რეკლამასა და პროპაგანდისტულ საქმიანობაში ჩადებული, რასაც „რბილი დიპლომატიის“, სპორტის სპონსორობითა და ტელემაუწყებლობით წარმართავენ.

ერთი მრავლისმეტყველი ციფრიც: **მსოფლიოში დღეისთვის მოქმედი წამყვანი სუვერენული 20 ფონდიდან, რომლებიც აქტიურად განახორციელებენ სახელმწიფო რეზერვების მხარდაჭერას, 9 არაბეთის ქვეყნებს ეკუთვნის. შარშან ამ ფონდების საერთო ბრუნვა 4,5 ტრილიონი დოლარი იყო, აქედან 1,7 ტრილიონი სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოებისა იყო.**

აი, ასეთი მასშტაბებია!

ესპანური გაზეთი დაასკვნის, რომ ეს ქვეყნები მუდმივად ცდილობენ, შექმნან ისეთი ეკონომიკა, რომელიც ნავთობზე არ იქნება დამოკიდებული. **„მათ, შეიმუშავეს შესანიშნავი, თითქმის სასწაულებრივი ფორმულა თავიანთი კაპიტალდაბანდებების საიმედოობის, სტაბილურობისა და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად. იგულისხმება კონსორციუმების შექმნა სამკუთხედის პრინციპით, რომლებსაც ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები აწვდიან ტექნოლოგიებსა და საწარმოებს, ხოლო დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ გასაღებას“.**

## ყატარმა იყიდა საფრანგეთი?

**Slate.fr (საფრანგეთი) იუწყება, რომ „ეროვნულმა ფრონტმა“ დაადანაშაულა მთავრობა, მან საფრანგეთი „ყატარის მეძავად“ აქცია.**

ფრანგული გაზეთები **Le Printemps, Royal Monceau, „პარი სენ ჟერმენი“** და სხვები შეეცადნენ, გაერკვიათ, რამდენად დიდია ყატარის ინტერესი საფრანგეთში.

მასმედიის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ არაბული ინვესტიციები არც თუ ისე მნიშვნელოვანია, როგორადაც წარმოაჩენენ. მაგალითად ასახელებენ ცენტრ **Kleber**-ისა და სასტუმრო **Royal Moncean**-ის გასხვისებას, რაც დიდი ზარზეიმით იყო აღნიშნული. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ყატარის ემირს (რომელმაც იყიდა დასახელებული „ობიექტები“) უყვარს თავისი შენაძენის გაზვიადება, ეს არ იყო მოვლენითი ფაქტი. ჟურნალისტი **ნიკოლა ბო** წერს, რომ **„ყატარულ ინვესტიციებს ფრანგულ უძრავ ქონებაში ყოველთვის წარმოგვიდგენენ, როგორც დიდ ფინანსურ მოვლენას, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა. ყატარის უდიდესი უპირატესობა არის ის, რომ იგი ნაღდ ფულს იხდის, რაც მას საშუალებას აძლევს, გარიგებები უმოკლეს დროში განახორციელოს. მაგალითად, ვანდომის მოედანზე მდებარე სახლის ყიდვა მოინდომა მილიარდერმა ფრანსუა პინომ, მაგრამ მას ზედ ცხვირწინ ააცალა ეს სახლი ემირმა, რომელიც პარიზში გავლით იყო ჩამოსული — ნაღდი ფული გადაიხადა და იმიტომ“.**

ყატარის საინვესტიციო ფონდების დაბანდებები ფრანგულ კომპანიებში გონივრულია, არცთუ დიდია, მაგრამ ზუსტადაა გათვლილ-გამიზნული. **ამ ქვეყნის ინტერესი უპირატესად სტრატეგიული დარგებისკენაა მიმართული, ისეთებისკენ, როგორიცაა მომპოვებელი სექტორი და თავდაცვის მრეწველობა. მაგრამ მისი მცდელობა ყოველთვის წარმატებული არ არის.** ასე მოხდა გერმანიაშიც, როცა გერმანელებმა ემირატებს უარი განუცხადეს ევროპულ კონსორციუმში მონაწილეობაზე. არაფერი გამოუვიდათ აფრიკაში, როცა კომპანიების **Areva**-სა და **Eramet**-ის მომპოვებელ აქტივებში წილის მიღებას შეეცადნენ.

ყატარი უცხოეთის ქვეყნებში საქმიანობისას გაცილებით „ხმაურიანია“ სხვა არაბულ ქვეყნებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ინვესტიციების წილი მცირეა.

მაგალითად, **საფრანგეთში ყატარის საინვესტიციო ფონდის სახსრები 85-დან 200 მილიარდ დოლარამდე მერყეობს, რაც შეუდარებლად ნაკლებია სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების წილზე: აბუ-დაბი — 600 მილიარდი დოლარი, საუდის არაბეთი — 400 მილიარდზე მეტი, კუვეიტი — თითქმის 300 მილიარდი დოლარი.** მაგრამ ეს სახელმწიფოები ძალიან თავშეკავებულად იქცევიან. მაგალითად, სულ ახლახან არაბეთის გაერთიანებულმა ემირატებმა ლიონში შეიძინა სახლები, რომელთა საერთო ღირებულება თითქმის მილიარდი ევრო იყო, მაგრამ უხმაუროდ.

ყატარი აყვირდებოდა.

მაგრამ დადგა ისეთი დრო, როცა ყატარისა და საფრანგეთის უხინჯო თანამშრომლობა დამთავრდა. საერთაშორისო ურთიერთობა ისე განვითარდა, რომ ორი ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა, კერძოდ, სირიასა და მალიში შექმნილი სიტუაციის გამო.

შეიძლება ზუსტი არ იყოს, მაგრამ ყოფილი მეძავეობა, რომელსაც ქართულში უფრო მკვეთრი სიტყვა გადმოსცემს, მეძავად ყოფნაზე უარესია.

**უცხოური პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

**ისლამი მოიწევს ევროპისკენ, გეგმაზომიერად შეფარული, მაგრამ აგრესიული პოლიტიკით, წლების წინ ღიმილის მომგვრელი ტერმინი „ევრაბია“ დღეს უკვე ბევრს აფიქრებს. ევროპის მასშტაბით იქმნება ისლამური დიდი დასახლებები, მყარი საფუძვლით იმისთვის, რომ ვივარაუდოთ ეს ტერიტორიები მრავალი ათწლეული იქნება ისლამური კულტურის ბურჯი ევროპაში.**

ევროპა დღეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეგმაზომიერი ისლამიზაცია და ევროპის ტოლერანტული აღსასრული

**ევროპული ცივილიზაცია კვდება, კვდება იმ ფორმით, რა ფორმითაც არასდროს შექმნია მის არსებობას საფრთხე, კვდება მენტალურად, შეუქცევადი დემოგრაფიული ზამთრისა და საზოგადოების დიდ ფენებში გამეფებული ნიჰილიზმის წყალობით.**



ევროპული ცივილიზაცია იქმნებოდა ქრისტიანული კულტურის კვალდაკვალ, ერთიანი თანაარსებობით. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ წარსულში ქრისტიანული ეკლესიების წინამღვრები ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით ხშირად გამოდიოდნენ პროგრესული იდეების წინააღმდეგ, მაგრამ **ეჭვი არავის ეპარება, რომ დღევანდელი ევროპული ცივილიზაცია მის ნებისმიერ სფეროში ზუსტად იმიტომ ჩამოყალიბდა ამ სახით, რომ ქრისტიანულ კულტურასთან ერთად წარმოადგენდა ერთ მთლიან განუყოფელ ნაწილს.**

თუმცა **დღევანდელი ევროპული საზოგადოების ყველა სოციალურ თუ კულტურულ ფენაში ძალზედ გამოიკვეთა სეკულარული იდეისადმი სწრაფვა. ნათელი მაგალითი ამ არაფრისმომცემი და ცივილიზაციის განადგურებისკენ მიმართული ქმედებებისა არის საერთო ევროპული კონსტიტუციის შექმნის დროს დაწყებული სერიოზული დაპირისპირება რელიგიის და კონკრეტულად ქრისტიანობის შესახებ ჩანაწერის არსებობის თაობაზე.**

გავლენიანი ლიბერალური და გლობალიზაციის მახინჯი ფორმის მხარდამჭერი ჯგუფები ძალას არ იშურებდნენ, მსგავსი ჩანაწერი საერთოდ გამქრალიყო ახალი საერთო ევროპული კონსტიტუციის პროექტიდან, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებს — რომის პაპსა და სხვა საერო თუ სასულიერო მაღალი თანამდებობის პირებს ისტორიულ გადმონაშთად და შემწყნარებლობის უარმყოფებად მოიხსენიებდნენ. საზოგადოების ფართო ფენები კი ყველა ქვეყანაში იმ მხარეს დგანან, რომელსაც გააჩნია საკმარისი რესურსი თავს მოახვიოს საკუთარი აზრი და მართოს ის.

ზოგადად კონსტიტუციის დონის სამართლებრივი აქტის შექმნა მის მოქმედ ტერიტორიაზე სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობების ერთიან ფასეულობათა სფეროში მოქცევასა და მისი განუხრელ დაცვას ემსახურება, საერთო კეთილდღეობისა და სტაბილურად განვითარების მიზნებისთვის. **არ მგონია, კონსტიტუციის მთავარი მიზანი არ ჰქონდეთ კარგად შეგნებული იმ ჯგუფებს, რომლებსაც ასე ძალიან უნდოდათ ქრისტიანობის როლის დაკნინება ევროპის შემდგომი პერიოდის პროცესებში; ისიც საეჭვოა, მათ არ ესმოდეთ ქრისტიანობის როლი დღევანდელი ევროპული კულტურის ჩამოყალიბების საქმეში, პირიქით მათ ეს ყველაფერი კარგად ესმით, ესმით ქართველი განმანათლებლის — ილია ჭავჭავაძის სიტყვების აზრიც — „აწყმოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვს“, მაგრამ ზუსტად საკუთარი მერკანტილური, პირადი ინტერესების გამო სჭირდებათ ახლებული მომავალი.**

**და რა არის ეს ახლებული მომავალი? ფასეულობათა დეგრადაცია, საერთო მიზნების ჩაკვლა საზოგადოების ფართო ფენებში, გათითოკაცება. დიახ, ეს არის მთავარი მიზანი. ყველა ის ფასეულობა, რომელიც გამოარჩევს ევროპულ კულტურას სხვა ცივილიზაციებისგან, ზუსტად რომ ქრისტიანობის მთავარი ფასეულობებია.** შემწყნარებლობა, აზროვნების თავისუფლება — ყველაფერი ეს ქრისტეს ქადაგებიდან მოდის და არა ევროპული ისტორიული ფესვებიდან, თუ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების გარკვეულ ნაწილს არ ჩავთვლით. **ამ ფასეულობების გარეშე, რომელთა მთავარი ღერძი ქრისტიანობაა, ევროპა იქცევა ერთ ჭრელ მასად, მიზნებისა და პრინციპების გარეშე, რომლის მართვა გაცილებით გამარტივდება, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა.**

თუ რას დაემსგავსება მომავალი უღვთო ევროპა, კარგი მაგალითი გვაქვს მისი პირმშოს — ამერიკის შეერთებული შტატების სახით. დიახ, ის წარმოიშვა ევროპული კულტურის ნაწილისგან, იმდროინდელი ევროპული საზოგადოების ბალასტისგან, მაგრამ მეტ-ნაკლებად იმ ღირებულებების საფუძვლებზე, რომელსაც ევროპული კულტურა ჰქვია. მათი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ის იყო, რომ **ამერიკაში საერთო ეროვნულ დონეზე არასდროს გადაუწონია ქრისტიანული კულტურის მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებს სეკულარული იდეების მატარებელი ჯგუფების იდეები. ამერიკის დამაარსებელმა მამებმა თავიდანვე კარგად განსაზღვრეს, თუ როგორ ემართათ ქვეყანა ასწლეულების მანძილზე, შექმნეს ენდემური კულტურა, საზოგადოება ფასეულობების გარეშე, შეუქმნეს ილუზია თავისუფლების უმაღლესი ხარისხით, მხოლოდ იმ დონეზე, რომელიც მმართველ ფენას არ დააზარალებდა, ხოლო საზოგადოება ამავე დროს იქნებოდა დაქსაქსული, ანარქიული და საკუთარი ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრისთვის არასაკმარისი მორალური თუ სამართლებრივი გზებით.** ეს კი იდეალური პირობაა ფართო მასების მართვისა და ფინანსური რესურსების რამდენიმე ადამიანის თუ ჯგუფის ხელში ჩაგდებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატები ეს არის ევროპული ცივილიზაციის მონათესავე სისტემა ქრისტიანული კულტურის ნაკლები ნიშან-თვისებით. შესაბამისად, მისი შემდგომი პროგრესი ზოგადსაკაცობრიო დონეზე შეიძლება იყოს რეგრესი და იმ დადებითი პროცესების საბოლოოდ დასამარების ტოლფასი, რაც ქრისტიანულ მოძღვრებას ჰქონდა ბოლო რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ჩვენი კონტინენტისთვის, ხოლო **ევროპის კულტურის დამსგავსება მონათესავე ამერიკული კულტურისთვის პროგრესული იდეების ერთი საბადოს გაქრობის ტოლფასი თუ არა, ერთი ცივილიზაციის მხრიდან მეორის გადაყლაპვის ტიპიური ნიმუში იქნება.**

თითქოსდა, რატომ უნდა იყოს საშიში რელიგიის ჩამოშორება სახელმწიფო პოლიტიკიდან, მეტიც, ქრისტიანული ეკლესიისა და რელიგიური რწმენის ზომაზე მეტად ჩართვამ სახელმწიფო ცხოვრებაში ხომ შეიძლება თეოკრატიამდე მიგვიყვანოს, რომელიც არანაკლები სიმახინჯეა ვიდრე კანონმორჩილი, მაგრამ ამორალური საზოგადოება და სახელმწიფო სისტემა? მოკლე პერიოდში შეიძლება იმსჯელო იმ დადებით ფაქტორებზე, რომლებსაც რელიგიის როლის არ გაზრდას, ან სულაც უფრო დაკნინებას შეუძლია მოიტანოს ევროპული პროგრესისთვის, მაგრამ მსგავსი პრობლემები არ შეიძლება განიხილო მხოლოდ მომავალი 5-10 წლის პროგნოზით. **როდესაც მსოფლიო მასშტაბით არსებობს ისლამიზაციის საფრთხე, ზუსტად რომ საჭიროა, საკუთარი კულტურის გადასარჩენად განამტკიცო ქრისტიანობის როლი დღევანდელობაში.**

**ისლამი მოიწევს ევროპისკენ, გეგმაზომიერად შეფარული, მაგრამ აგრესიული პოლიტიკით, წლების წინ ღიმილის მომგვრელი ტერმინი „ევრაბია“ დღეს უკვე ბევრს აფიქრებს. ევროპის მასშტაბით იქმნება ისლამური დიდი დასახლებები, მყარი საფუძვლით იმისთვის, რომ ვივარაუდოთ ეს ტერიტორიები მრავალი ათწლეული იქნება ისლამური კულტურის ბურჯი ევროპაში.** შემწყნარებლობის მქადაგებელ ქრისტიანულ მოძღვრებაზე აგებული ევროპული კულტურის დღევანდელი შერყვნილი გადმონაშთი და მისი განუყოფელი ნაწილი ევროპული საზოგადოება წინააღმდეგობას ვერ გაუწევს დაჩაგრულის მანტიით შემოსილ ისლამურ ფუნდამენტალიზმს. **ისლამურმა სახელმწიფოებმა გააცნობიერეს რა ევროპული ქვეყნების უპირატესობა პროგრესის კუთხით, ამ სახელმწიფოთა მმართველმა სასულიერო თუ საერო ჯგუფებმა თვითგადარჩენის ინსტიქტით ბოლო ასწლეულებში საკუთარი რელიგია მომართეს იმდაგვარად, რომ ქრისტიანობა წარმოაჩინეს მათ მთავარ მტრად და ჩვენს ეპოქაში წინააღმდეგობა ქრისტიანული კულტურის მიმართ გამჯდარია თითქმის ყველა მორწმუნე მუსლიმს შორის.**

საერთო სურათი ევროპისთვის საშინელია, ერთის მხრივ, მათი კულტურის მამოძრავებელი ძალა, ქრისტიანული რელიგია, უარყოფილია, დაკარგულია საერთო ფასეულობებისთვის ბრძოლის უნარი, შემწყნარებლობა გაიგივებულია მორჩილებად ყველა განსხვავებული აზრის მიმართ, ამორალურობაზე თვალის დახუჭვა — პროგრესისთვის ხელის შეწყობად. თავის მხრივ, **მუსლიმური საზოგადოება მომართულია, ერთიანი იდეით იყვნენ უმრავლესობაში, დაამარცხონ მათი მტრები ქრისტიანების სახით და განამტკიცონ ისლამურ რელიგიაზე დაფუძნებული საზოგადოება მსოფლიო მასშტაბით.**

დემოგრაფიული თვალსაზრისითაც არანაკლებ შემაშფოთებელი მდგომარეობაა ევროპაში. ევროპული ქვეყნების მოსახლეობა იზრდება მხოლოდ ემიგრანტი მუსლიმი მოსახლეობის ხარჯზე, შობადობის მაჩვენებელი არის ძალიან დაბალი და აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ შობადობის საერთო რიცხვში ითვლება ყველა როგორც ძირძველი ევროპელი, ასევე მუსლიმი ემიგრანტი ოჯახის შვილები.

**2030 წელს ევროპაში დემოგრაფიული ვითარება, სავარაუდოდ, გაცილებით გაფუჭდება, ასაკობრივი სტრუქტურა კატასტროფულად გაუარესდება, ევროპელი ერი საბოლოოდ დაბერდება, მათ ნაცვლად კი გაიზრდება ემიგრანტებისა და მათი შთამომავლების რიცხვი. ამ საკითხზე კი ევროპის წამყვანი პოლიტიკური ჯგუფები საეჭვოდ დუმან.**

სამაგიეროდ „არ დუმს“ ამერიკის შეერთებული შტატები. მის მფარველობაში არსებულ მკვლევართა ჯგუფები და ინსტიტუტები პერმანენტულად „იკვლევენ“ ევროპის დემოგრაფიულ მდგომარეობას და დებენ საეჭვოდ დასაიმედებელ პროგნოზებს იმის თაობაზე, რომ ევროპის მოსახლეობის რელიგიურ და ეთნიკურ ცვლილებებს მომავალი 20-30 წლის მანძილზე არ უნდა ველოდოთ და, რასაც ამ დასკვნებს უდებენ საფუძვლად, ღიმილის მომგვრელია, თურმე ემიგრანტი ისლამური მოსახლეობის შობადობის პროცენტი ნელ-ნელა დაიკლებს, რადგან გაიზრდება განათლების ხარისხი მუსლიმ მოსახლეებს შორის. აქ ისინი უშვებენ შეგნებულ შეცდომას, არ ითვალისწინებენ რა რამდენიმე ფაქტორს. **ისლამიზაცია ევროპაში ხდება არა ქაოტურად, არამედ გეგმაზომიერად დიდი დასახლებების შექმნით. ამასთან, კავშირი ემიგრანტებს შორის გაცილებით მტკიცეა, ევროპული ქვეყნების ნაწილი სასათბურე პირობებს ქმნის ისლამური რელიგიის აღზევებისთვის.** მაგალითად ისიც კმარა, რომ **ესპანეთი, კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ქვეყნის მთავრობა, კრძალავს რელიგიის სწავლებას სკოლებში, ქმნის მუსლიმი მოსახლეობისთვის სპეციალურ სკოლებს, სადაც შეისწავლება ყურანი, მუსლიმ ბავშვებს აძლევს ნებას ნიშანი + არ დასვან და მის ნაცვლად სხვა ნიშანი შემოიღონ, რათა მიმატების აღმნიშვნელი ჯვრის ფორმის ნიშანმა დისკომფორტი არ გამოიწვიოს მათ შორის.** თუ ესპანეთი ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე წარმოსადეგი ქვეყანა ამ პოლიტიკას მიჰყვება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ხდება ჩრდილოეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ქრისტინობის ხარისხი შედარებით მალე ჩაცდა დასაშვებ ნიშნულს, ვიდრე სამხრეთ ევროპის ქვეყნებში.

**განათლების ხარისხის ზრდა რომ არ იწვევს შობადობის კლებას არაევროპელ ემიგრანტ მოსახლეობას შორის, საფრანგეთის მაგალითზეც შეიძლება განვიხილოთ; ქვეყანას, სადაც შედარებით დიდი ისტორია აქვს მუსლიმი მოსახლეობის თანაცხოვრებისა და ყველა მოქალაქე თანაბარ პირობებშია, მიიღოს განათლება, მუსლიმი მოსახლეობის შობადობის ზრდა მაინც არ მცირდება მათ მეორე და შემდგომ თაობებშიც.**

საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ დაფინანსებული და წახალისებული იმ ორგანიზაციების კვლევების შემაშფოთებლად არასწორი შედეგების დადების მოტივი და მიზანი. რა თქმა უნდა, ეჭვს ვერ შევიტანთ მათი პროფესიული კვალიფიკაციის ხარისხში, თუმცა პროგნოზები რომ არასწორია ამას ყველა ამჩნევს და სავარაუდოა, რომ ეს დაკვეთილია შტატების ხელისუფლებისა და მათთან დაახლოებული ბიზნესჯგუფების მიერ.

გაატარო საკუთარი გეოპოლიტიკური ჩანაფიქრი, გაცილებით იოლდება ისეთ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც არ არის მაღალი ხარისხი საზოგადოების გაერთიანებისა გარკვეულ პრობლემებზე. **ქრისტიანობის დაჩოქებით კვდება ევროპული თვითშეგნება და მორალი, მთავარი ფაქტორი ევროპული კულტურის ერთიანობის, ხოლო მუსლიმი მოსახლეობის ზრდის პირობებში ევროპაში მალე შეიქმნება დაპირისპირებული ორი ბანაკი.** ადვილი გამოსაცნობია, თუ ვის მხარეს დაიჭერს შეერთებული შტატების ხელისუფლება, თუმცა ასევე მათ ინტერესებშია ევროპული სახელმწიფოების ან მათი კავშირის გამუდმებით საფრთხის პირობებში ყოლა, რათა ეკონომიკურ თუ სამხედრო საკითხებზე შეშინებული მოკავშირის დაყოლიება გაცილებით ადვილია, ვიდრე პრინციპულ და ძლიერ სახელმწიფოთა კავშირის.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბოევიკების მომზადების საქმეში ევროპელ პარტნიორებს არც მათი აღმოსავლელი ნატოელი მოკავშირეები ჩამორჩებიან. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი მოვლენები, კერძოდ, კონფლიქტი სირიაში — გეოგრაფიული განლაგების გამო კიდევ უფრო მეტად კვეთს მათ ინტერესებს.



# ჯიჰადი ევროპის გულში: საფრანგეთი და სპორტდარბაზები ტერორისტებისთვის

**ვაჰაბისტების მოსამზადებელი ბანაკები დიდხანს და წარმატებულად მოქმედებენ ევროპის ქვეყნებში. სულ უფრო მეტი ფაქტი ჩნდება, როდესაც ევროპული პასპორტების მქონე ბოევიკები მსხვილ ტერაქტებთან და „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებთან არიან კავშირში. ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა: ჯიჰადი ევროპის დედაქალაქის კარზე აკაკუნებს!**



 პარიზის ქუჩებში

„ალ ქაიდა, გამომეხმაურე!“ — 20 წლის ფრანგი გოგონა ამ მოწოდებით ინტერნეტში ცდილობდა კავშირის დამყარებას მრისხანე ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

თითქოს დიდი არაფერია, მსოფლიო ქსელში დღეში უამრავი მოთხოვნა იგზავნება, მაგრამ ფრანგულმა პოლიციამ იმარჯვა და საკუთარი პროფესიონალიზმი გამოავლინა: გოგონა დააკავეს, რათა გაერკვიათ, რა მიზნით სურდა „ალ ქაიდასთან“ დაკავშირება.

ახალგაზრდობასთან მუშაობა საჭირო საქმეა, მაგრამ ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ **რადიკალური ისლამისტები საფრანგეთში სულ უფრო აქტიურდებიან და, დაკავებულნი არიან რა კერძო შემთხვევებით, ევროპის ხელისუფლებები თვალის დახუჭვას ამჯობინებენ ზოგად პრობლემაზე — ტერორისტების ყოველი მორიგი გამოხდომისას ირწმუნებიან, რომ საუბარია კერძო შემთხვევაზე.** მაგალითად, ამგვარ თვალსაზრისს იზიარებს **Security Intelligence and Strategy Center**-ის სპეციალისტი **ალენ შუე:**

**„საუბარია შემთხვევაზე კრიმინალური ქრონიკიდან, არიან ახალგაზრდები, რომლებიც ინტერნეტში ხშირად ინტერესდებიან „ალ ქაიდას“ საქმიანობით. არ არის საჭირო ამ მოვლენის მასშტაბების გაბერვა — იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთში მუსლიმანთა თემი ხუთ მილიონ ადამიანს ითვლის. მსგავსი შემთხვევები არც ისე მრავალრიცხოვანია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივიღეთ პოლიციური და საკანონმდებლო ზომები, რაც გვეხმარება და გვიადვილებს მუშაობას. ჩვენ გვაქვს შიდა პოლიტიკური დაზვერვის ქსელი, რომელსაც სრული წარმოდგენა აქვს იმის თაობაზე, თუ რა ხდება „რისკჯგუფებში“. იურიდიული და შიდა სადაზვერვო შესაძლებლობების შერწყმა საშუალებას გვაძლევს, საგულდაგულოდ ვადევნოთ თვალი ყველას, ვინც შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს ამ სფეროში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საუბარია ტერორისტებზე. საუბარია მათზე, ვინც, შესაძლოა, შეუერთდეს ჯიჰადისტებს“.**

მეზობელი ბელგიიდან კი საფრანგეთში შექმნილი სიტუაცია სულ სხვაგვარად გამოიყურება. **ბელგიის სენატის საპატიო პრეზიდენტი ან-მარი ლიზენი** აცხადებს:

**„საფრანგეთში იქნება ეს თუ ბელგიაში, ჩვენ წინაშეა ფაქტი, რომ გრძელდება ახალგაზრდებისა და საშუალო ასაკის ადამიანების რეკრუტირება ჯიჰადის სახელით ოპერაციებისთვის. ადამიანები საომრად მიდიან ფულის გულისთვის — არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ანაზღაურებენ ამგვარ ოპერაციებს. რეკრუტირების ოპერაციებს ახორციელებენ სუნიტური რელიგიისა და ექსტრემისტული მრწამსის ადამიანები. იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ამგვარი ოპერაციებით არიან დაკავებულნი, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ აღნიშნული ქმედება. ამგვარ ოპერაციებს ნამდვილად ახორციელებს საუდის არაბეთი. ამ ქვეყანაში ისეთი განწყობაცაა, რომ რეკრუტის გაგრძელება ამერიკის მხარდაჭერის გარეშეც შეუძლიათ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ტყუილია.“**

კიდევ უფრო შოკისმომგვრელი მონაცემები მოჰყავს თავის წიგნში „დაკარგულები“ **ფრანგ ჟურნალისტს ჟან-მიშელ ვერნოშეს.** მან გაარკვია, რომ **უკანასკნელ პერიოდში საფრანგეთში მოამზადეს დაახლოებით 400 ვაჰაბისტი-ბოევიკი, რომლებიც შემდეგ სირიის ოპოზიციის მხარეს საბრძოლველად გაემართნენ.** ადრე თუ გვიან ისინი შინ დაბრუნდებიან და საეჭვოა, უბრალო ობივატელის ცხოვრებას დასჯერდნენ. ვერნოშეს აზრით, **ჯიჰადი უკვე აკაკუნებს ევროპული ქალაქების კარიბჭეებზე, მაგრამ ხელისუფლებები არ იმჩნევენ — ვითომც არაფერი ხდება.**

უფრო მეტიც, ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის შემთხვევაში საუბარია ცალკეულ ტერორისტულ აქციებზე. მისი მონაცემებით, ყატარი, საუდის არაბეთის მსგავსად, ვაჰაბისტური ქვეყანა, ნაწილ-ნაწილ შეისყიდის საფრანგეთს. ამ ჯუჯა ემირატს, რომელშიც ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე მაღალი შემოსავალია, უკვე ეკუთვნის საფეხბურთო კლუბი „პარი-სენ-ჟერმენი“, ფინანსური გიგანტის „ვინსის“ აქციების ნაწილი, ნავთობკომპანია „ტოტალის“ ფასიანი ქაღალდები.

ვერნოშეს პროგნოზები ანტიუტოპიური რომანის სცენებს ჰგავს: **ფრანგებს არ უნდა გაუკვირდეთ, თუ**

## ჯიჰადი უკვე აკაკუნებს ევროპული ქალაქების კარიბჭეებზე, მაგრამ ხელისუფლებები არ იმჩნევენ — ვითომც არაფერი ხდება

**ათი წლის შემდეგ ავტომატების მუქარით გაყრიან ისლამურ ლოცვებზე, დაანგრევენ პარიზის ხვთისმშობლის ტაძარს, გაჩეხავენ ვენახს, ხოლო ქალებს ჩადრებში შეფუთავენ. ეს იქნება ახალი ვაჰაბისტური საფრანგეთი.**

**კიდევ ერთი ცხელი წერტილია ბალკანეთი. დამკვირვებლების აზრით, ნახევარკუნძული, შესაძლოა, ნამდვილ პლაცდარმად იქცეს ევროპაზე რადიკალი ისლამისტების შეტევისთვის.** ექსპერტების ყურადღების ცენტრში უკანასკნელი თვეების მანძილზე ჩერნოგორიე მოექცა. ამ წყნარი საკურორტო რესპუბლიკიდან მუდმივად მოდის რადიკალი ისლამისტების აქტივობის შესახებ ცნობები.

მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია შვიდი სერბის დაკავების თაობაზე. მათ ვაჰაბისტური იდეოლოგია და ცხოვრების წესი გაიზიარეს. ოჯახის უფროსსა და მის სიძეს ჩხრეკისას აღმოუჩინეს იარაღი და საბრძოლო მასალები. როგორც გაირკვა, ისინი პერიოდულად მიემგზავრებოდნენ სირიაში, ომში და ამგვარად უჭერდნენ მხარს თავიანთ თანამოაზრეებს ბაშარ ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაახლოებით იმავე პერიოდში **ჩერნოგორიეს ჩრდილოეთით, კოსოვოსთან საზღვრის ახლოს გაიმართა ვაჰაბიტების ტრადიციული „ბანაკი“. შეხვედრა თურქეთისა და საუდის არაბეთის დროშების ქვეშ ჩატარდა.** უკანასკნელი მონაცემებით, **ახლა ჩერნოგორიეს ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში რადიკალური ისლამის მინიმუმ 200 წარმომადგენელი ცხოვრობს. თითქოს არც ისე ბევრია. თუმცა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო აღშფოთებულია ამგვარი განწყობების ზრდით და ქვეყნისთვის პირდაპირი საფრთხის შესახებ აცხადებს.**

ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში კი ვაჰაბისტებს ხშირად სკოლის სპორტდარბაზებში ავარჯიშებენ. და ეს მაშინ, როდესაც დიდი ხანია, ცნობილია იქ საწვრთნელი ბანაკებისა და „ალ ქაიდას“ ეგიდით მოქმედი შეიარაღებული რაზმების არსებობის შესახებ. დამტკიცებულია, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გაწვრთნილი ბოევიკები კავშირში არიან 2004 წელს მადრიდის ტერიტორიაზე მატარებლების აფეთქებასთან. როგორც ჩანს, მას შემდეგ სიტუაცია დიდად არ შეცვლილა: **სირიაში მოკლული ოპოზიციის ბოევიკების ჯიბეებში ხშირად პოულობენ ბოსნიურ პასპორტებს.**

უკანასკნელი ანალოგიური შემთხვევა მიმდინარე წლის 27 სექტემბრითაა დათარიღებული.

**მაკედონიასაც ახლო კავშირი აქვს რადიკალურ ისლამთან.** უშიშროების დარგის მაკედონელი ექსპერტის — ივან ბაბანოვსკის მონაცემებით, „ალ ქაიდას“ ბანაკები ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილში იყო, რომელსაც „ნაციონალური განთავისუფლების არმიის“ ტერორისტები აკონტროლებდნენ. ეს არის რაზმები, რომლებიც კოსოვოდან მაკედონიაში 2001 წელს შეიჭრნენ. სხვათა შორის, **კოსოვოში კაჩანიკაში მდებარე დიდ ბანაკში „გაანმათავისუფლებელი არმიის“ ვეტერანები ახლაც წვრთნიან მოხალისეებს სირიაში საომრად.**

## კოსოვოში, კაჩანიკაში მდებარე დიდ ბანაკში «განმათავისუფლებელი არმიის» ვეტერანები ახლაც წვრთნიან მოხალისეებს სირიაში საომრად



თუ ამ ფაქტებს ერთად შევკრებთ, გასაგები გახდება ევროპის დედაქალაქებისა და ვაშინგტონის პოზიცია. „დამოუკიდებელი კოსოვო“ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების პროექტია. საეჭვოა, ამ ტერიტორიაზე რამე ხდებოდეს მფარველების ზურგს უკან. და, სამწუხაროდ, ეს არის მხოლოდ ერთი პუნქტი ბოევიკების მოსამზადებელი ბანაკების იმ ფართო გეოგრაფიაში, რომლის ყველა პუნქტს დასავლეთი აფინანსებს. **გერმანელი ექსპერტი ჰანს კრეხი** ამბობს:

**„ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს ძალზე საპატივცემულო ამერიკული ჟურნალის — Defense and foreign affair strategic policy-ის ორიოდე თვის წინ გამოქვეყნებული საინტერესო ანგარიში. თუ ამ ანგარიშს დავუჯერებთ, ამერიკელი სპეცსამსახურები, უკვე მრავალი თვეა, იორდანიაში 3 ათას ბოევიკს ამზადებენ დამასკოში გადასასროლად. მათ ერთხელ უკვე სცადეს ამის გაკეთება, მაგრამ გაიჩხირნენ სხვა მეამბოხე დაჯგუფებებთან ბრძოლებში და წინ წაწევის საშუალება არ მიეცათ. არაბულ ჟურნალებში კი წერენ, რომ ფრანგული სპეცსამსახურები ასევე ჩართულნი არიან ბოევიკების რაზმების წვრთნის საქმეში.“**

**ბოევიკების მომზადების საქმეში ევროპელ პარტნიორებს არც მათი აღმოსავლელი ნატოელი მოკავშირეები ჩამორჩებიან. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი მოვლენები, კერძოდ, კონფლიქტი სირიაში — გეოგრაფიული განლაგების გამო კიდევ უფრო მეტად კვეთს მათ ინტერესებს.** ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კომპლექსური საგზაო რუკა ძირითადი პრიორიტეტების ჩამონათვალში ასახელებს საბრძოლო რობოტების რაოდენობის ასი ათასამდე გაზრდას. უფრო მეტიც, 2015 წლისთვის პენტაგონის ავტოპარკის მესამედი ავტონომიური გახდება.**

◀ თურქეთი არ აღიარებდა საკუთარ ტერიტორიაზე ტერორისტული დაჯგუფებების არსებობის ფაქტს. მაგრამ ამერიკულმა, ევროპულმა და შემდეგ კი თურქულმა ბეჭდვითმა მედიამაც ნელ-ნელა აღიარეს, რომ საზღვრისპირა ზონებში არსებობს ბანაკები, რომლებშიც ამზადებენ ბოევიკებს ან რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ლიბანიდან და თურქეთიდან ბანაკებში გადანაწილებული ბოევიკების ტრანსპორტირება. მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა რუსულ-ამერიკული შეთანხმება სირიაში ქიმიური არსენალის უტილიზაციის თაობაზე, ანკარა იძულებული გახდა, „ბუმერანგის ეფექტის“ კონსტატირება მოეხდინა. სულ ახლახან შინაგან საქმეთა მინისტრმა გიულენმა აღიარა, რომ **უკანასკნელ პერიოდში თურქეთმა 100-ზე მეტი ოპერაცია განახორციელა, 300-ზე მეტი ადამიანი დააკავა და მათგან 100 „ალ ქაიდას“ წევრი იყო.**

ტუნისელი პოლიტოლოგი **მუჰამედ იასინ ალ-ჯილასი** ამბობს, რომ **სირია ნამდვილ პოლიგონად იქცა რეკრუტების საბრძოლო პირობებში გამოსაწრთობად.** მისი განცხადებით, **სირიის კრიზისის დაწყებისთანავე რამდენიმე ქვეყანაში ორგანიზებულად დაიწყეს ბოევიკების მომზადება. ეგრეთ წოდებული ცენტრები განსაკუთრებით ბევრია ლიბიასა და ტუნისში, საიდანაც ბოევიკებს თურქეთისა და იორდანიის გავლით სირიაში გზავნიან.** ტუნისიდან ათასობით ბოევიკი იგზავნება. შინაგან საქმეთა მინისტრის მონაცემებით, ამ ბოევიკებიდან დაახლოებით 2000 უკვე მოკლეს სირიაში. მათ, როგორც წესი, ფულს ჰპირდებიან, თუ ფული არ აინტერესებთ, ძალაუფლებას ჰპირდებიან, თუ არც ეს აინტერესებთ, მაშინ დაპირება არის მომენტალური მოხვედრა სამოთხეში და წინასწარმეტყველთან ვახშამი.

**ლიბიის ბაზები ძალზე კარგადაა აღჭურვილი ტექნიკით. იქ ბოევიკები მომზადების სრულ კურსს გადიან.**

ლოზუნგები, რომელთა თანხლებითაც მიდიან ვაჰაბიტები ომში, უცვლელია: ურწმუნოებთან ბრძოლა, მსოფლიო ხალიფატის შექმნა. ეს გასაგებიცაა, ნებისმიერი მოძრაობა მოსაჩვენებლად მაინც უნდა იბრძოდეს იდეისთვის. **სინამდვილეში დღევანდელი „ისლამის მებრძოლების“ უმეტესობა ჩვეულებრივი დაქირავებული მებრძოლები არიან და იდეა ნაკლებად ადარდებთ, ისინი ფულისთვის იბრძვიან.** ცნობილია, რომ ბალკანეთში ვაჰაბიტები თანამოაზრეებსა და მომხრეებს ძირითადად ულატაკეს პროვინციებში აგროვებენ. მათ ერთგვარ ხელფასს უნიშნავენ ვაჰაბიტების ტრადიციების დაცვისთვის, თუნდაც იგივე მოკლედ შეჭრილი წვერისთვის. ხანდახან ხელფასი თვეში 100 ევროც კი არის.

ჯიჰადის მთავარი „ფინანსისტები“ კი, როგორც ჩანს, არც საკუთარ შეცდომებზე აპირებენ სწავლას და არც სხვების. პირველი ისლამური საექსპედიციო კორპუსი აშშ-ის მხარდაჭერით შეიქმნა ჯერ კიდე 1979-1989 წლების ავღანეთის ომის დროს. **არაბული ქვეყნების რამდენიმე ათასი წარმომადგენელი, ასევე პაკისტანელებიც, საბჭოთა არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ დასავლური და ახლოაღმოსავლური სპეცსამსახურების აქტიური მხარდაჭერით.**

საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო ავღანეთიდან და პაკისტანიდან ეგრეთ წოდებული ავღანელების გასახლება. საბრძოლო გამოცდილების მიღების შემდეგ მოჯაჰედები სახლებში ბრუნდებოდნენ და იქ არსებული ცხოვრების წესების შეცვლას ცდილობდნენ. ამან ძალადობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ტერაქტები ხდებოდა საუდის არაბეთში, ეგვიპტეში, ალჟირში, მაროკოში. შემდეგ იყო 2001 წლის „შავი“ სექტემბერი აშშ-ში, აფეთქებები მადრიდსა და ლონდონში, ბოლოდროინდელი ტერაქტი ბოსტონში... მიუხედავად ამ ყველაფრისა, **დასავლეთი ამ დრომდეც დარწმუნებულია, რომ „ახალი მოჯაჰედები“ მხოლოდ მარიონეტები არიან მის მოქნილ ხელებში და ვერ ამჩნევს, რომ ძაფები დიდი ხნის გაწყვეტილია. ყოფილი მსახურები არ აღიარებენ პატრონებს. სირიაში დაბრუნების შემდეგაც შეეცდებიან, სამშობლო საკუთარი შეხედულებებისამებრ გადააკეთონ...**

rus.ruvr.ru

**სირია ნამდვილ პოლიგონად იქცა რეკრუტების საბრძოლო პირობებში გამოსაწრთობად**



# პენტაგონს აზრების წაკითხვა სურს



**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა ის მიღწევები, რომლებიც მნიშვნელოვნად გააადვილებს „დემოკრატიის მტრების“ თვალთვალს და იმ ადამიანების ლიკვიდაციას, რომლებიც „ქვეყნის უსაფრთხოებას ემუქრებიან“. საუბარია ტერმინატორების არმიაზე, ჭიაყელა-რობოტებზე, რომლებიც ადამიანთა კანქვეშ შეძვრებიან, და მოწყობილობაზე, რომელიც აზრებს წაიკითხავს.**

ამგვარი მაღალტექნოლოგიური სიახლეების მხრივ სახელმწიფო დაკვეთის ოპერატორი არის მოწინავე თავდაცვითი კვლევითი პროექტების სააგენტო (DARPA). ეს არის აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ქვეგანყოფილება, რომელიც 1958 წელს იმ მომენტში შეიქმნა, როდესაც პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა გააცნობიერა, რომ კოსმოსისთვის ბრძოლაში მარცხდებოდა. ახალი სტრუქტურის მიზანი იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის ისეთი დივაისების შექმნა, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილზე რთული იქნებოდა.

**ცივი ომის წლებში DARPA-ს ძირითად მიმართულებებს შორის ჭარბობდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტექნოლოგიები — ტაქტიკური ჯავშანი, შემჩნევადობის შემცირება, კოსმოსური ზონდები, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის კომპონენტები, მიზნის ავტომატური ამოცნობა და ასე შემდეგ.**

DARPA-ს საუკეთესო მენეჯერები ყოველთვის შერყეული ფანატიკოსები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სკამზე დააპროგრამეს. ამჟამად ამ სტრუქტურაში დაახლოებით 240 თანამშრომელია და ისინი ყოველწლიურად ითვისებენ ბიუჯეტიდან დაახლოებით 2,8 მილიარდ დოლარს. ვინაიდან სააგენტო დაკავებულია მოკლევადიანი პროექტებით, რომლებსაც სპეციალურად კონკრეტული საქმისთვის დაქირავებული მომცრო კომპანიები ახორციელებენ, დაფინანსება ნებისმიერ წუთს შეიძლება მრავალჯერ გაიზარდოს.

**DARPA-ს ამოცანები ახლაც იგივეა, რაც ადრე იყო — ტექნოლოგიური სიურპრიზების შექმნა მტრისთვის. მათ მიერ რეალიზებული პროექტების სია, ისევე, როგორც ამჟამინდელი სიახლეებისა, უდავოდ შთამბეჭდავია.**

**სააგენტო იდგა ინტერნეტის შექმნის სათავეებთან, აქ გაჩნდა სწრაფი სწავლების პროგრამები და დაქუცმაცებული დოკუმენტების აღდგენის ტექნოლოგია, ასევე მარშრუტიზაცია, რომელიც ამერიკელ სამხედროებს PRISM-ის მსგავსი პროგრამებისგან იცავს. ახლა სააგენტო ქმნის დრონებს, მოსმენების თანამგზავრულ სისტემებს, ლაზერულ იარაღს, საორბიტო თვითმფრინავს.**

**ვაშინგტონს რეალურად სურს ადამიანის ცნობიერების გაკონტროლება და ვერც მრავალმილიონიანი ხარჯი შეაჩერებს, ვერც მორალი...**

სააგენტოს არსენალშია დისტანციურად მართვადი მწერები და რობოტიზებული ჭიაყელები, რომლებიც თავიანთი ბიოლოგიური ანალოგებისგან ვიზუალურად არ განსხვავდებიან. **„ჩვენ მივისწრაფით ისეთი ჭიაყელის შექმნისკენ, რომელიც იოლად შეაღწევს ადამიანების კუჭნაწლავის სისტემაში“,** — უხარია მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორს — კიმ სენგდბის.

რა გასაკვირია, რომ DARPA ფართო ამერიკული საზოგადოებისთვის აღიქმება გავლენიან სამთავრობო დაწესებულებად, რომლის თანამშრომლებიც ხშირად ფიგურირებენ სამეცნიერო-პოპულარულ ფანტასტიკაში. ეს ორგანიზაცია ნამდვილად უშფოთებს ტვინებს ამერიკელებს. ახლახან ერთმა წარმატებულმა ადვოკატმა აღიარა, რომ მონაწილეობდა ზესაიდუმლო ექსპერიმენტებში, რომლებსაც DARPA ატარებდა და რომლებიც ტელეპორტაციასა და დროში მოგზაურობას ეხებოდა. ცხადია, ყველაზე ადვილია, ადვოკატი მეზღაპრედ შევრაცხოთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: **DARPA არის იმ უამრავი გამოგონების ავტორი, რომლებმაც მსოფლიო ძირფესვიანად შეცვალა.**

ბოლო დროს სააგენტომ გამოაცხადა ერთდროულად რამდენიმე პროექტის დაწყების შესახებ. ყველა მათგანი შემზარავად არაადამიანური მიმართულებისაა. მაგალითად, პროექტი Hydra ითვალისწინებს სამხედრო დრონების ოკეანის ქსელის ფორმირებას. პროგრამის ხელმძღვანელი სკოტ ლიტლფილდი არც მალავს, რომ **უპილოტო მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა გააკონტროლებს ოკეანეების ზედაპირს და გაზრდის აშშ-ის სამხედრო პოტენციალს პლანეტის ერთ-ერთ ურთულეს ადგილზე.**

ხმელეთის კონტროლს სააგენტო კბილებამდე შეიარაღებულ ტერმინატორებს ანდობს. **„ატლასი“ არის 250-კილოგრამიანი ადამიანის მსგავსი კიბორგი, რომელიც ლაზერებს ანათებს და შეგნებულად დადის ბრახუნით თავის ოდნავ მოხრილ მეტალის ფეხებზე“,** — აღფრთოვანებული აღწერს მას Guardian-ის ერთ-ერთი ავტორი კარლ ბეიკერი.

ორიოდე დღის წინ სააგენტომ გამოაცხადა, რომ დააფინანსებს კომპანია Boston Dynamics-ის პროექტს, რომლის მიზანი 26 კილომეტრი საათი სიჩქარით მორბენალი მკვლელი რობოტის შექმნაა. ამ „ველურ კატას“ ექნება თავისი საკუთარი ავტონომიური ძრავი და საწვავის ავზი, რომლის წყალობითაც შეეძლება მუდმივად მოძრაობისუნარიანი იყოს.

**პენტაგონი აცხადებს, რომ ამგვარი საშინელებები რელიეფის სირთულეების დასაძლევად სჭირდებათ ან სამხედროების ტვირთის საზიდად. სინამდვილეში კი ამ არსებებს უპრობლემოდ შეუძლიათ ჩაანაცვლონ ნამდვილი ჯარისკაცები და აბსოლუტურად უსულგულოდ ხოცონ ადამიანები. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კომპლექსური საგზაო რუკა ძირითადი პრიორიტეტების ჩამონათვალში ასახელებს საბრძოლო რობოტების რაოდენობის ასი ათასამდე გაზრდას. უფრო მეტიც, 2015 წლისთვის პენტაგონის ავტოპარკის მესამედი ავტონომიური გახდება.**

და ბოლოს, სულ რამდენიმე დღის წინ მოწინავე თავდაცვითი კვლევითი პროექტების სააგენტომ გამოაცხადა, რომ ელექტროენცეფალოგრამის აპარატები, რომლებსაც თანამედროვე მედიცინაში იყენებენ, სამხედროებისთვის გამოუსადეგარია. მეცნიერებს დაუსვეს საკითხი, შექმნან ამ აპარატების პორტატული ანალოგი და მიაღწიონ მნიშვნელოვან პროგრესს ტვინის აქტივობების წაკითხვის მიმართულებით. განაცხადში წერია, რომ პროექტი მეცნიერებაში რევოლუციას მოახდენს, მისცემს ახალ შესაძლებლობებს ამერიკულ დაზვერვას, ასევე გაამარტივებს წვდომას პოტენციური მოწინააღმდეგის კომერციული საიდუმლოებებისადმი.

გარდა ამისა, **იგეგმება აპარატის გამოყენება პოლიტიკაში, რადგან ის უზრუნველყოფს წარმოუდგენელ შედეგებს ბრბოს რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიმართულებით. პროექტის მიზანია ბრძოლა სხვაგვარ პოლიტიკურ აზროვნებასთან და ექსტრემიზმთან. მარტივად რომ ვთქვათ, მასებს ტვინში ჩაუჭედავენ დამკვეთის სასურველ იდეებს.**

როგორც ჩანს, უტოპისტების ყველაზე საზარელი სიზმრები ცხადდება — **ვაშინგტონს რეალურად სურს ადამიანის ცნობიერების გაკონტროლება და ვერც მრავალმილიონიანი ხარჯი შეაჩერებს, ვერც მორალი...**

fbii.org



**DARPA არის იმ უამრავი გამოგონების ავტორი, რომლებმაც მსოფლიო ძირფესვიანად შეცვალა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტმა დაამტკიცა ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით საბანკო მონაცემების აშშ-ისთვის გადაცემის შესახებ TFTP-შეთანხმების მოქმედების დროებით შეჩერება... თუ ზემოხსენებული შეთანხმება შეწყვეტს არსებობას, ეჭვქვეშ დგება კიდევ ერთი შეთანხმების ბედი, რომლის მიხედვითაც აშშ-სა და სხვა ქვეყნების ფინანსურ უწყებებს შორის იცვლება საგადასახადო ინფორმაცია. ეს კი საკმაოდ ძლიერი დარტყმა იქნება აშშ-ის საინფორმაციო და ფინანსური ჰეგემონიისთვის.**

# აშშ-ს არ ჰყავს მოკავშირეები, მას მხოლოდ მტრები და ვასალები ჰყავს

**2013 წლის შემოდგომა, როგორც ჩანს, ისტორიაში შევა, როგორც გარდატეხის პერიოდი აშშ-ისა და მისი ტრადიციული მოკავშირეების ურთიერთობებისთვის. შესაძლოა, ვინმეს ეს ძალზე თამამ განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ გადავხედოთ, თუ რა ცვლილებები მიმდინარეობს ახლა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის ფრონტებზე ბრიუსელიდან ერ-რიადამდე.**



ევროპაში ძალას იკრებს სკანდალი, რომელიც ამერიკული სპეცსამსახურების მიერ პოლიტიკური ელიტის, პირველ რიგში, გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის სატელეფონო საუბრების მოსმენებს უკავშირდება. ახლადგამომცხვარი მოსკოველის — ედვარდ სნოუდენის მხილებებმა აშშ-ს ევროპის თვალში იმიჯი ჯერ კიდევ ზაფხულში გაუფუჭა, მაგრამ მაშინ ვაშინგტონი კიდევ ახერხებდა, რაღაცნაირად ემართლა თავი: ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ევროკავშირის მოქალაქეთა ცხოვრებაში თითქოს იმიტომ იჭრებოდა, რომ ისინი ტერორისტების შეტევებისგან დაეცვა. ახლა კი, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ამერიკელები უსმენდნენ თვით ანგელა მერკელის სატელეფონო საუბრებს, ანალოგიური თავისმართლებები აღიქმება, როგორც დაცინვა: **ნუთუ გერმანიის კანცლერსაც ტერორისტებთან აქვს კავშირი? განრისხებულმა მერკელმა ობამას დაურეკა და მიახალა ყველაფერი, რასაც ამერიკული სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდებზე ფიქრობს.**

„ახლო მეგობრებსა და პარტნიორებს შორის, როგორებიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში იყვნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები, არ უნდა არსებობდეს არანაირი თვალთვალი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, — წერს ციტატას ანგელა მერკელის ნათქვამიდან Der Spiegel-ი. — **ამგვარი ქმედება უნდა შეწყდეს!“**

ამერიკის პრეზიდენტმა სცადა, დაერწმუნებინა მერკელი, რომ მისი ქვეყანა არც უსმენს და არც მოუსმენს მის საუბრებს, მაგრამ ვინაიდან წინადადებაში ზმნა „მოსმენა“ წარსულ ფორმაში არ ჟღერდა, ამაზე ყურადღება არა მხოლოდ თავად მერკელმა, არამედ ჟურნალისტებმაც გაამახვილეს.

**მეორე ცხელი წერტილი საფრანგეთია. რამდენიმე დღის წინ Le Monde-ში დაიბეჭდა სნოუდენის მხილებების მორიგი პორცია, რომლის მიხედვითაც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოსა და გაეროში ფრანგული წარმომადგენლობის ტელეფონებს ისმენდა.** ამასთან, საუბარია არა მხოლოდ ჩვეულებრივი სატელეფონო საუბრების მოსმენაზე, არამედ დაშიფრულ გზავნილებზეც, რომლებსაც ფრანგი დიპლომატები სამშობლოში გადასცემდნენ. და კიდევ **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უსმენდა რიგითი ფრანგების ტელეფონებს — მხოლოდ ერთ დღეს მოუსმინეს საფრანგეთის 70 მილიონი მოქალაქის საუბრებს, მათ შორის ბიზნესმენებს, სამხედროებსა და პოლიტიკოსებსაც.**

ამაყ ფრანგებს კარგად უნდა იცნობდეთ, რომ წარმოიდგინოთ, რა რეაქცია მოჰყვა ამ ცნობების გავრცელებას. პარიზში ამერიკის ელჩი გამოიძახეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ქვეყნის პრემიერმა ჟან-მარკ ეირომ კი ვაშინგტონისგან მოითხოვა, განემარტა ნატოელი მოკავშირის წინააღმდეგ ამგვარი ქმედებების მიზეზები და მიზნები. **თვით საფრანგეთის არაკონფლიქტურმა პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმაც კი დაურეკა ობამას და შესჩივლა, რომ ამერიკის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული მეთოდები მიუღებელია მეგობრებს შორის.**

ობამას კვლავ ბოდიშების მოხდა და მოკავშირეებისთვის იმის ახსნა დასჭირდა, რომ ეს ზომები ტერორისტებთან ბრძოლის ნაწილია, მაგრამ ევროპელებს უკვე აღარ სურთ ამგვარი განმარტებების მოსმენა. კანონმდებლობის მიმართულებით საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ჟან-ჟაკ ურვომ ნაციონალური ასამბლეის ტრიბუნიდან უკვე დაასკვნა: **აშშ-ს არ ჰყავს მოკავშირეები, მას მხოლოდ მტრები და ვასალები ჰყავს.** ეს ის ჟან-ჟაკ ურვოა, რომელიც ჯერ კიდევ ივლისში უარყოფდა აშშ-ის მხრიდან ფრანგების მოსმენების შესახებ გავრცელებულ ცნობებს და ირწმუნებოდა, სნოუდენის მხილებები სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც ჩანს, **ევროპის საქმეებისადმი საგანგებო ყურადღებამ ვაშინგტონის ყველაზე გულმხურვალე მეგობრებსაც კი აუვსო მოთმინების ფიალა. ვასალის როლი ნამდვილად აღარ აძლევს ხელს ბებერ ევროპას.**

ევროპა აშშ-თან მიმართებაში ტრადიციულად სუსტ პარტნიორად განიხილება, მაგრამ შეუძლებელია იმის არდანახვა, რომ ბოლო დროს ეს სიტუაცია იცვლება. პირველი მერცხალი ლიბიაში ინტერვენცია იყო: ის ევროპელებმა დაგეგმეს და მათვე დაიწყეს განხორციელება. აშშ კი იძულებული გახდა, უკვე დაწყებულ ოპერაციას შეერთებოდა, ამასთან ამერიკული სამხედრო საჰაერო ძალების როლი ძირითადად განისაზღვრებოდა დამხმარე ქმედებებით.

ანალოგიური სქემა იქნა გამოყენებული სირიასთან მიმართებაშიც და მხოლოდ რუსეთის ჩარევამ გადაარჩინა ის ლიბიური სცენარისგან. როგორც არ უნდა იყოს, **ბებერი ევროპა ფრთხილად, ევროპულად ამოწმებს თავისი ახალი შესაძლებლობების საზღვრებს, ეს საზღვრები კი მით უფრო ფართოვდება, რაც უფრო ფრთხილობს ვაშინგტონი.**

> **ბებერი ევროპა ფრთხილად, ევროპულად ამოწმებს თავისი ახალი შესაძლებლობების საზღვრებს, ეს საზღვრები კი მით უფრო ფართოვდება, რაც უფრო ფრთხილობს ვაშინგტონი**

სუსტებს ვასალები ადრე თუ გვიან უჯანყდებიან ხოლმე. პირველი ნიშნები უკვე სახეზეა: **რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტმა დაამტკიცა ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით საბანკო მონაცემების აშშ-თვის გადაცემის შესახებ TFTP-შეთანხმების მოქმედების დროებით შეჩერება.** ცხადია, ევროპარლამენტის დამტკიცება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შეთანხმება ავტომატურად გაუქმდება, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს თანხმობით. ვაშინგტონს კი ატლანტიკის ევროპულ მხარეს ჯერ კიდევ დარჩა ერთგული მოკავშირეები, რომლებიც სავსებით კმაყოფილნი არიან საკუთარი ვასალობით. მათ შორის, პირველ რიგში, არიან პოლონეთი, ჩეხეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. მიუხედავად ამისა, ტენდენცია სახეზეა. **თუ ზემოხსენებული შეთანხმება შეწყვეტს არსებობას, ეჭვქვეშ დგება კიდევ ერთი შეთანხმების ბედი, რომლის მიხედვითაც აშშ-სა და სხვა ქვეყნების ფინანსურ უწყებებს შორის იცვლება საგადასახადო ინფორმაცია. ეს კი საკმაოდ ძლიერი დარტყმა იქნება აშშ-ის საინფორმაციო და ფინანსური ჰეგემონიისთვის.**

მაგრამ ვაშინგტონის ყველანაირი უსიამოვნება ევროპასთან უფერულდება ახლო აღმოსავლეთში ტრადიციულ მოკავშირესთან — საუდის არაბეთთან ურთიერთობების შესაძლო დაძაბვის ფონზე. **რამდენიმე დღის წინ საუდის დაზვერვის მეთაურმა ბანდარ ბინ სულთანმა გამოაცხადა, რომ მისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა „მკვეთრად მოუხვევს“ და აღარ იქნება ორიენტირებული ვაშინგტონზე, რომელიც ერ-რიადის ინტერესების იგნორირებას განაგრძობს.** პრინცმა ოკეანისგაღმელი პარტნიორის მიმართ პრეტენზიები ჩამოთვალა: **აშშ-მა სარაკეტო დარტყმა არ მიაყენა დამასკოს, უშვებს სტრატეგიულ შეცდომას ირანთან ურთიერთობების მოგვარების მცდელობით, მხარს არ უჭერს მონარქიის ბრძოლას ყურეში საპროტესტო მოძრაობების წინააღმდეგ, არ ეწინააღმდეგება პალესტინის ტერიტორიის ევროპელი კოლონიზატორებით დასახლებას...** სია საკმაოდ გრძელია.

პრინცის განცხადება კონფიდენციალური ხასიათისა იყო — მოხდა ინფორმაციის „კლასიკური გაჟონვა“, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არაა დეკლარაცია გეგმების თაობაზე, არამედ „უკანასკნელი გაფრთხილებაა“, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: **ამ დრომდე აშშ-ს გამოსდიოდა, ერთდროულად მჯდარიყო ორ ახლოაღმოსავლურ სკამზე, ანუ კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ისრაელთანაც და საუდის არაბეთთანაც.** მაგრამ სამ სკამზე ჯდომა თვით დევიდ კოპერფილდსაც არ გამოუვიდოდა. **ვაშინგტონმა უნდა აირჩიოს — ან შეინარჩუნოს „ბუშის დოქტრინები“, ანუ აიათოლების რეჟიმთან კონფრონტაცია და ისრაელის უსიტყვო მხარდაჭერა, ან თეირანთან მშვიდობა და ძველი და ერთგული მოკავშირე ერ-რიადის დაკარგვა.**

იმ შემთხვევაში, თუ აშშ მაინც მეორე ვარიანტს აირჩევს, საუდის არაბეთი საერთოდ აღარ იქნება ვაშინგტონის გავლენის ქვეშ. ეს არც ისე უპრიანი იქნება თავად საუდიტების რეჟიმის მდგრადობის თვალსაზრისით. მაგრამ ამგვარი დემარში უკიდურესად მტკივნეული იქნება თვით აშშ-ისთვისაც. უპირველეს ყოვლისა, ის დაკარგავს ყველა კოზირს სირიის საკითხთან მიმართებაში. **ყველაზე მეტად კი ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და ნავთობსექტორი დაზარალდება. ერ-რიადი ამერიკული შეიარაღების უმსხვილესი იმპორტიორია, საუდის ნავთობსაბადოებზე კი დიდი ხანია უჭირავთ თვალი ჩინურ და ევროპულ კომპანიებს, რომლებსაც იქ არ უშვებენ ერ-რიადსა და ვაშინგტონს შორის „განსაკუთრებული ურთიერთობების“ გამო.**

ამას დავუმატოთ ვაშინგტონის „უკანა ეზოში“, ანუ ლათინურ ამერიკაში არსებული პრობლემები. **ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა ჯერ აშშ-ში ვიზიტი გააუქმა, შემდეგ კი გაეროს ტრიბუნიდან შეუტია ამერიკის სპეცსამსახურებს, რომლებიც როგორც მის პირად საუბრებს, ასევე ბრაზილიურ ნავთობკომპანიასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციებს აკონტროლებდნენ.**

ბრაზილიასთან ვაშინგტონის ურთიერთობები თვალსა და ხელს შუა ფუჭდება, რიგში კი მექსიკა დგას. ასე რომ, დროა, ამერიკის შთანმთქმელი საგარეოპოლიტიკური კრიზისის შესახებ ვიმსჯელოთ. მაგრამ ამერიკა გაუმკლავდა საბიუჯეტო კრიზისს და როგორმე ამასაც გაართმევს თავს, რადგან სახელოში ტუზი კი არა, ჯოკერი აქვს გადამალული — ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, რომლისკენაც თავდაჯერებით მიიწევს აშშ.

**მიუხედავად იმისა, რომ კრიზისიდან გამოსავალი თითქოს ჩანს, აშშ-ის პრობლემები მაინც სისტემური ხასიათისაა და არა შემთხვევითი. ღრუბლებს შორის გამონათებებში უკვე იკვეთება ამერიკის შემდგომი მსოფლიოს კონტურები, რომლის შესახებაც ამბობდა ფარიდ ზაკარია, ან „დიდი ნულის“ მსოფლიოს კონტურები, რომლის შესახებაც წერდნენ იან ბრემერი და ნურიელ რუბინი.**

ასე რომ, შეიბნიეთ ქამრები, ბატონებო და ქალბატონებო, თვითმფრინავი ეშვება.

terra-america.ru

> **ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უსმენდა რიგითი ფრანგების ტელეფონებს — მხოლოდ ერთ დღეს მოუსმინეს საფრანგეთის 70 მილიონი მოქალაქის საუბრებს, მათ შორის ბიზნესმენებს, სამხედროებსა და პოლიტიკოსებსაც**

**ცსს-ს ყოფილ აგენტ ედვარდ სნოუდენს აქვს მონაცემები რუსეთის, ირანისა და ჩინეთის წინააღმდეგ ჩატარებული აქციების შესახებ. ახლო მომავალში იგი აპირებს ინფორმაციის გამოქვეყნებას იმის შესახებ, თუ რა მონაცემებს და რა საშუალებებით აგროვებდნენ ამერიკული სპეცსამსახურები და მათი უცხოელი პარტნიორები და როგორ აგროვებდა რუსეთის არმიის შესახებ ცნობებს ამერიკისთვის ნატოს ერთ-ერთი წევრი.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავისუფალი მსოფლიო: მოსმენებს, თვალთვალსა და კონტროლს ბოლო არ უჩანს



**გამოაშკარავდა აშშ-ის მხრიდან მსოფლიოს ტოტალური თვალთვალის ახალი დეტალები. გაირკვა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უსმენდა სხვა ქვეყნების გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების, მათ შორის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების, ტელეფონებსაც კი. იმის პარალელურად, რომ იზრდება აშშ-ის სადაზვერვო მოღვაწეობის შესახებ გამოაშკარავებული ცნობების რაოდენობა, სხვა ქვეყნებს დიადი ზესახელმწიფოს მიმართ ნდობა ეკარგებათ.**



მაშ ასე, ბრიტანული გაზეთის და, როგორც უკვე შეიძლება ვუწოდოთ, აშშ-ის სპეცსამსახურების მხრიდან მსოფლიოს ტოტალური მოსმენების მამხილებელი ედვარდ სნოუდენის პარტნიორის — The Guardian-ის მონაცემებით, **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ მიმართა თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის თანამშრომლებს თხოვნით, მიეცათ მისთვის სხვა ქვეყნების პოლიტიკოსთა ტელეფონების ნომრები, რათა თვალი ედევნებინათ მათთვის.** ამრიგად, **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დაახლოებით 200 ადამიანის შესახებ დაუგროვდა საკონტაქტო ინფორმაცია, მათგან 35 სახელმწიფოთა ლიდერები არიან, თუმცა არ კონკრეტდება, რომელი სახელმწიფოების.**

მანამდე ინფორმაცია გაჩნდა იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, გერმანიის კანცლერის მობილურ ტელეფონს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო 2009 წლიდან უსმენს. ბოლო დროს გამოაშკარავებული ფაქტების ფონზე ამის დაჯერება ძნელი აღარ არის. კანცლერმა, ცხადია, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას დაურეკა და ამ ყველაფრის გამო ახსნა-განმარტებები მოსთხოვა. პასუხი ისე ჟღერდა, როგორც მოსალოდნელი იყო: **„არც გითვალთვალებენ და არც მომავალში გითვალთვალებენ“.** სხვათა შორის, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც აშშ-ის მიმართ ანალოგიურ ქმედებაში გერმანულ სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ. **„ჩემთვის საინტერესო იქნებოდა, მენახა თეთრი სახლის რეაქცია, თუ ეს სიმართლე აღმოჩნდებოდა“,** — აღნიშნა ევროპარლამენტის პრეზიდენტმა მარტინ შულცმა.

გარდა ამისა, სექტემბერში ამოტივტივდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრაზილიის პრეზიდენტის — დილმა რუსეფის წინააღმდეგ ელექტრონული თვალთვალი ხორციელდება.

**სწორედ გერმანია და ბრაზილია გახდნენ იმ შეკრების ინიციატორები, რომელიც ნიუ იორკში რამდენიმე დღის წინ მთელი რიგი ლათინოამერიკული და ევროპული ქვეყნების ხელისუფლებების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა. შეხვედრაზე განიხილებოდა გაეროს რეზოლუციის პროექტი, რომ-**

**ამერიკული დაზვერვა ბრიტანელ კოლეგებთან ერთად უთვალთვალებდა იტალიის ხელმძღვანელობას და ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს**

**ლის თანახმადაც ინტერნეტზე უნდა გავრცელდეს პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპი, რომელიც პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტით გამყარდება.** ამგვარი ერთობლივი ინიციატივა პირველად გაჩნდა. როგორც აღინიშნება, **ამ პაქტში არის აკრძალვა „დაუკითხავი ან უკანონო ჩარევისთვის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, სახლში ან მიმოწერაში“.** დოკუმენტი მიღებულია ჯერ კიდევ ინტერნეტის გაჩენამდე, მაგრამ სახელმწიფოები, რომლებიც ახალი რეზოლუციის შესახებ ინიციატივით გამოდიან, მიიჩნევენ, რომ ახლა ეს აკრძალვა კიდევ უფრო დროულია. რეზოლუციას გაეროს ადამიანთა უფლებების კომიტეტში კენჭისყრაზე ქვეყნები მიმდინარე წლის დასრულებამდე გაიტანენ. ქვეყნები იმედოვნებენ, რომ მათ მხარს დაუჭერენ ისინი, ვინც ფიგურირებს აშშ-ის მხრიდან მოსმენების კონტექსტში.

**„ყოვლისმხედველი თვალის“ თემა წამოიჭრა ევროკავშირის სამიტზეც. სახელმწიფოები აშშ-თან ყველაფრის გარკვევას 2013 წლის დასასრულამდე აპირებენ. უკვე მიღებულია სპეციალური განცხადებები, რომლებითაც ქვეყნები ხაზს უსვამენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.** ინიციატორების რიცხვში აქაც გერმანია გამოდის. კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მზადყოფნა გამოთქვეს, აწარმოონ მოლაპარაკებები აშშ-თან აღნიშნულ საკითხებზე. სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ ვინ ვინ და ფრანგებს ამ თემასთან დაკავშირებით შეეძლოთ ნაკლები აქტივობა გამოეჩინათ — მიმდინარე წლის ივლისში ხომ საფრანგეთის დაზვერვასთან მიმართებაში განიხილებოდა ზუსტად ანალოგიური საკითხები.

იტალიაც „განაწყენებულია“ აშშ-ზე, მაგრამ გადაწყვიტა, არ წასულიყო დიპლომატიური გზით, დასაწყისისთვის კი ჩაეტარებინა საკუთარი გამოძიება აშშ-ის სპეცსამსახურების შესაძლო თვალთვალის შესახებ. ამის შესახებ იტალიის პრემიერმინისტრმა ენრიკო ლეტამ ევროკავშირის სამიტზე განაცხადა. **„ჩვენ უდავოდ ჩავატარებთ აუცილებელ შემოწმებას, მაგრამ გვსურს, სიმართლე ვიცოდეთ. ანალოგიური სახის ქმედებები მიუღებელია“,** — განაცხადა მან.

ამგვარი გამოსვლების საფუძველი გახდა ცნობა იმის შესახებ, რომ **ამერიკული დაზვერვა ბრიტანელ კოლეგებთან ერთად უთვალთვალებდა იტალიის ხელმძღვანელობას და ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს.** არადა, იტალიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს თავადაც სდებენ ბრალს ქვეყნის მოქალაქეების თვალთვალში და ამის შესახებ სულ ორიოდე დღის წინ წერდა იტალიური ჟურნალი LEspresso, რომლის მონაცემებითაც **აშშ-ის, ბრიტანეთისა და იტალიის სპეცსამსახურები დაკავშირებულნი არიან მესამე დონის შეთანხმებით, რომლის შინაარსიც, ცხადია, არ ხმაურდება.**

ახლა ახალი სკანდალი მწიფდება. როგორც The Washington Post-ი წერს, **ცსს-ს ყოფილ აგენტ ედვარდ სნოუდენს აქვს მონაცემები რუსეთის, ირანისა და ჩინეთის წინააღმდეგ ჩატარებული აქციების შესახებ. ახლო მომავალში იგი აპირებს ინფორმაციის გამოქვეყნებას იმის შესახებ, თუ რა მონაცემებს და რა საშუალებებით აგროვებდნენ ამერიკული სპეცსამსახურები და მათი უცხოელი პარტნიორები და როგორ აგროვებდა რუსეთის არმიის შესახებ ცნობებს ამერიკისთვის ნატოს ერთ-ერთი წევრი.**

ამერიკელი ოფიციალური პირები უკვე შეწუხდნენ ამ განცხადებების გამო. მათ მთელი რიგი სახელმწიფოების სპეცსამსახურებს აცნობეს, რომ სნოუდენს აქვს საიდუმლო მასალები, რომლებიც გამოააშკარავებს მათ საიდუმლო თანამშრომლობას აშშ-თან. ამ მასალების გამოქვეყნების შემთხვევაში სადაზვერვო ოპერაციები, რომლებშიც აშშ-მა სხვა ქვეყნებიც აამოქმედა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. **სულ სნოუდენს დაახლოებით 30 ათასი დოკუმენტი აქვს და მათი ნაწილი ჟურნალისტების ხელში ჯერ არ მოხვედრილა.**

ასე რომ, ყველაზე საინტერესო ჯერ წინაა.

odnako.org

# ახალი კომპანია პროტესტანტებს აქირავებს

**თუ თქვენს საქმესა და წამოწყებას მხარს არავინ უჭერს, ამაში პრობლემური არაფერია. თავისუფლად შეგიძლიათ არა მხოლოდ მომხრეები, არამედ პროტესტანტებიც კი დაიქირავოთ. გასული წლის ოქტომბერში 22 წლის ადამ სვარტმა სწორედ ასეთი კომპანია გახსნა და სწორედ ამგვარ მომსახურებას სთავაზობს თავის კლიენტებს.**



**„იდეა ესტონეთში გამგზავრების შემდეგ გამოჩნდა“,** — ამბობს სვარტი. მან აეროპორტში დაინახა ადამიანი, რომლის ირგვლივაც შეკრებილი იყო აჟიტირებული ადამიანების ბრბო და ადამმაც გაიფიქრა, რატომაც არ უნდა მოეპოვებინა ანალოგიური ყურადღება? ასე გაჩნდა კომპანია **Crowds on Demand**, ანუ **„ბრბო გამოძახებით“.**

სვარტი აცხადებს, რომ მისი საქმე ძალიან კარგად მიდის. კომპანიის საიტის თანახმად, მისი ოფისი მდებარეობს ლოს-ანჯელესის ელიტურ რაიონში. სვარტის თქმით, ყველაზე მსხვილმა კლიენტმა ჯერჯერობით დაკვეთაში 10 ათასი დოლარი გადაიხადა. ეს კი არც თუ ცუდი ფულია 22 წლის ბიჭისთვის. **„ჩვენ იმდენად კარგად ვემსახურებით კლიენტებს, რომ ისინი ამის შესახებ თავადვე ატყობინებენ ჩვენს პოტენციურ კლიენტებს“,** — აცხადებს სვარტი. როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა ერთ-ერთ ნამტირალევ ადამიანს, თუ რასთან დაკავშირებით გამოხატავდა პროტესტს, მან უპასუხა: **„ვფიქრობ, რომ დღეს იარაღის აკრძალვისთვის ბრძოლის დღეა“.** ამ დროს პლაკატებზე ეწერა: **„ფსიქიური დაავადებები — სასაცილო არაფერია!“,** თავად აქციას კი მართავდა მოძრაობა Purge Day, რომელიც სულიერი ავადმყოფებითაა დაკავებული.

სვარტი ამბობს, რომ მისი კომპანია ბევრს მუშაობს პოლიტიკის სფეროში. ისინი ასევე იღებენ დაკვეთებს არაკომერციული ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიებისგან. მან მაგალითად მოიყვანა ერთ-ერთი კლიენტი — ინტერნეტ-მარკეტინგული ჯგუფი Virurul. სვარტის განცხადებით, პროტესტანტების დასწრებამ სხდომაზე, რომლის მუშაობაშიც აღნიშნული კომპანია მონაწილეობდა, ამ უკანასკნელის შემოსავლები 500%-ით გაზარდა. როგორც ჩანს, Virurul-მა პროტესტანტებს სთხოვა, მარკეტინგის რომელიღაც კონკრეტული ფორმის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, თავად კი მარკეტინგის ამ დარგისთვის გამოსავალი გამონახა. სხდომას მრავალი მნიშვნელოვანი პერსონა ესწრებოდა. Virurul-მა თავი გამოიჩინა იმით, რომ მისმა თანამშრომლებმა ამ მსხვილ ხელმძღვანელებს უჩვენეს იმ პრობლემის გადაწყვეტა, რომლის წინააღმდეგაც იქვე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია.

სვარტი ირწმუნება, რომ თანამშრომლებს საათში 15 დოლარს უხდის, მას მუდმივი შტატი ჰყავს. **„ჩვენ ხუთ მსხვილ ქალაქში ვმოქმედებთ. მაგრამ, თუ ღონისძიებები ან აქციები სადმე სხვაგან იმართება, იქაც ჩავდივართ და კლიენტის მოთხოვნებს ვასრულებთ. ჩვენ ვმუშაობდით ნიუ იორკში, ვაშინგტონსა და ლას-ვეგასში“,** — ამბობს ბიზნესმენი.

BlackListedNews.com

კულტურა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვერიკო ჩემთვის ახლობელი იყო იმიტომაც, რომ ჩემი სათაყვანებელი მარჯანოვის უსაყვარლესი მოწაფე იყო... ჩვენს სულიერ ნათესაობას დღესაც ვგრძნობ... ჩვენი მეგობრობა, უფრო დაუსწრებელი და არცთუ მდიდარი შეხვედრებით, ურთიერთგაგების გრძნობას ეფუძნება. ეს კი ჩემთვის ყოველთვის ძალიან ძვირფასია...“

# დღეები, რომლებიც მოგონებას შემორჩა



ვერიკო ანჯაფარიძე

**ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ერთი ნათელი ფურცელი ორი ლეგენდარული მსახიობი ქალის — ვერიკო ანჯაფარიძისა და ელენა გოგოლევას მეგობრობაშია გამოხატული. ჩვენს დღევანდელ პუბლიკაციაში, რომელიც ელენა გოგოლევას მემუარების — „სცენასა და ცხოვრებაში“ — ერთგვარი მიმოხილვაა, შევეცდებით, ფრაგმენტულად მაინც გადმოგცეთ ამ დიდი მსახიობის დამოკიდებულება ქართული თეატრისა და მისი კორიფეების, საერთოდ საქართველოს მიმართ.**



## ელენა გოგოლევა: საქართველოსთან მეგობრობა დღემდე ასაზრდოებს ჩემს ესთეტიკურ გრძნობას

აღფრთოვანება, თაყვანისცემა — ეს აღმატებული სიტყვებიც კი ვერ გადმოსცემს მოსკოვის მცირე თეატრის უპირველესი მსახიობი ქალის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ელენა გოგოლევას იმ დიდ სიყვარულს, რომელიც მას ქართული თეატრის დიდოსტატების მიმართ ჰქონდა. წმინდა და გულწრფელი სიყვარული, არავითარი ვალის მოხდა ოფიციოზური ინტერნაციონალური ერთობის წინაშე.

იგი წერს:

**„ოციან წლებში განვითარდა ერთი მოვლენა, რომელმაც ჩემს გონებაში წარუშლელი კვალი დატოვა: მოსკოვში ჩამოვიდა ქართული თეატრი, რომელსაც კონსტანტინე მარჯანოვი** (კოტე მარჯანიშვილი. — ა. ს.) **ხელმძღვანელობდა და წარმოადგინა გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. ყველა ცდილობდა, დასწრებოდა ამ სპექტაკლს, რომელსაც დიდი წარმატება ახლდა თან. ხოლო მარჯანოვი იმ დროისთვის ლეგენდარული პიროვნება გახდა: ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო რეჟისორმა სახელი გაითქვა ჯერ კიდევ 1919 წელს კიევში „ფუენტე ავეხუნას“ დადგმით“.**

„ფუენტე ავეხუნა“ — „ცხვრის წყარო“, რომელიც მარჯანიშვილმა საქართველოში განახორციელა, ახალი თეატრალური ეპოქის დასაწყისადაა მიჩნეული ჩვენს ქვეყანაში. თეატრის ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები ერთხმად მიიჩნევენ ამ სპექტაკლს მარჯანიშვილისეული დიდი ნიჭის გამობრწყინებად. „ურიელ აკოსტას“ მოსკოვში წარმოდგენამ კი ქართული თეატრის საერთო საკავშირო აღიარებას დაუდო სათავე.

მოსკოვის გასტროლებამდე „ცხვრის წყარო“ მარჯანიშვილმა კიევში დადგა. სწორედ ამას იხსენებს ელენა გოგოლევა და განაგრძობს:

**„დღეს, მარჯანოვის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ, ძნელია, სრულად გაიზიარო ყველაფერი, რაც გააკეთა, არა, უფრო ზუსტად — შექმნა ამ სულიერებითა და ნიჭით არაჩვეულებრივად დაჯილდოებულმა თეატრის კაცმა. მაშინ, სუმბურული ძებნისა და გარდაუვალი „იზმების“ წლებში, მან შეძლო ერთმანეთისთვის შეეთავსებინა ბრწყინვალე თეატრალობა აბსოლუტურ გემოვნებასთან, უხვი რეჟისურის თეატრი — ჭეშმარიტად აქტიორის თეატრთან. საკმარისია, გავიხსენოთ მარჯანოვის აღზრდილი მსახიობების სახელები: ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, პიერ კობახიძე და სხვები. ეს სახელები დიდებაა არა მხოლოდ ქართული, არამედ მთელი საბჭოთა თეატრის.**

**სწორედ მაშინ სპექტაკლში „ურიელ აკოსტა“ პირველად ვნახე ვერიკო ანჯაფარიძე, დღესაც რომ პირველი მსახიობია საქართველოსი, და უშანგი ჩხეიძე, რომელიც, სამწუხაროდ, უდროოდ წავიდა ჩვენგან“.**

იხილა და აღფრთოვანდა. მას შეეძლო შეედარებინა ვერიკოს ივდითი სხვა მსახიობების ივდითთან. შეადარა და პირდაპირ თქვა, რომ ყველა სხვა „ხალტურა“ იყო. ვერიკო კი საოცრებაა, წერს იგი, ტანკენარი და პლასტიკური, გარეგნულად ლამაზი, ღრმა და ტემპერამენტიანი შინაგანად:

**„არ შემიძლია მისი დავიწყება, თეთრად გამოწყობილი მისი ფიგურის. იგი ისმენდა რაბინის წყევლას, იხრებოდა, როგორც ყვავილის გატეხილი ღერო, თავით თითქმის ეხებოდა იატაკს, უცებ მკვეთრად გაიმართებოდა და მგზნებარედ, მრისხანე პროტესტით აღგზნებული ისროდა ფრაზას: „შენ ცრუობ, რაბინ!..“ მე მშურდა მისი, რადგან ვოცნებობდი, მეთამაშა ივდითი, მშურდა და ვტკბებოდი მისი თამაშით, მშურდა და შეძრული ვიყავი მისით, მშურდა და ვაღმერთებდი“.**

იშვიათად თუ იპოვით მსახიობის მიერ თავისი კოლეგის ესოდენ ამაღლებულ შეფასებას, აღფრთოვანების ასეთ მაღალ ხარისხს. ასეთი ცეცხლის დანთება მხოლოდ გულწრფელობას შეუძლია.

ამ პირველი შეხვედრით გამოწვეული აღფრთოვანება და პატივისცემა, ემოცია მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა გოგოლევას.

გავიდა წლები და მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებამ ვერიკო ანჯაფარიძეს საიუბილეო საღამო გაუმართა. ამ ერთგვარ შემოქმედებით ანგარიშზე ქართველი პრიმა რამდენიმე როლით წარსდგა ორი სპექტაკლიდან — კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან“ და „ქალი კამელიებით“ და ორი სცენით შექსპირის „მაკბეტიდან“, რაც, როგორც ელენა გოგოლევა წერს, მისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმიტომ, რომ ერთ-ერთი სცენა მას არა და არ გამოსდიოდა თავისი თეატრის წარმოდგენაში. ეს იყო სცენა, როცა ლედი მაკბეტი კითხულობს წერილს, რომლითაც შეიტყობს, რომ დუნკანი ჩამოვა მათთან და ღამესაც იქ გაათევს. **„ვერიკომ ისეთი ტემპერამენტით ითამაშა,** — წერს გოგოლევა, — **ისეთი გიჟური სიხარულით, რომელიც გვირგვინის შესაძლო ხელში ჩაგდებით იყო გამოწვეული, რომ მისი თამაში შეგძრავდა და მოგაჯადოებდა. და მე არ მრცხვენოდა, მესწავლა ვერიკოსგან. აი, სიშლეგის სცენას კი, ასე მეგონა, მე უკეთ ვასრულებდი. ჩვენ გვაახლოებდა ის, რომ ორივე ერთსა და იმავე როლებს ვთამაშობდით“.**

ქართული თეატრის უსაზღვრო სიყვარული საქართველოზე ვრცელდებოდა. ამ სიყვარულს იგი არ მალავდა, პირიქით, აფიშირებდა და ამბობდა, რომ ეს ქვეყანა უყვარდა ძალიან და დიდი ხანია.

**„ვერიკო ჩემთვის ახლობელი იყო იმიტომაც, რომ ჩემი სათაყვანებელი მარჯანოვის უსაყვარლესი მოწაფე იყო... ჩვენს სულიერ ნათესაობას დღესაც ვგრძნობ...**

**ჩვენი მეგობრობა, უფრო დაუსწრებელი და არცთუ მდიდარი შეხვედრებით, ურთიერთგაგების გრძნობას ეფუძნება. ეს კი ჩემთვის ყოველთვის ძალიან ძვირფასია...“**

თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები თუ მოიძებნებიან დღეს საქართველოში, ვისაც ქართულ სცენაზე უნახავს უშანგი ჩხეიძე. ელენა გოგოლევა მას გამორჩეულ მსახიობად მიიჩნევდა, უაღრესად საინტერესო აქტიორად და ტრაგიკული ბედის ადამიანად: **„იგი საოცრად თამაშობდა ურიელ აკოსტას. მე ვანსახიერებდი ივდითს ოსტუჟევთან ერთად სრულიად ახლებურ დადგმაში: უფრო დამიწებულ, მაგრამ შინაარსით უფრო ღრმა და ინტელექტუალურ სპექტაკლში. ოსტუჟევი უფრო ძლიერად გამოკვეთდა აკოსტას საფიქრალს, იდეას, დარწმუნებულობას. ჩხეიძე, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ოსტუჟევზე გაცილებით ახალგაზრდა იყო, იმის გამოც, რომ სხვა სტრუქტურის მსახიობი გახლდათ, მისი აკოსტა ძალიან რომანტიკული, მსუბუქი, მოხდენილი იყო. ასეთნაირად დახატული როლი ზუსტად ეწერებოდა მარჯანოვის დადგმაში, ასეთსავე რომანტიკულ და მოხდენილ სპექტაკლში“.**

ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ელენა გოგოლევაზე, დიდი ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებელზე, სამწუხარო ამბავი სცენიდან უშანგი ჩხეიძის წასვლის, რაც ფსიქიკური აშლილობით იყო გამოწვეული — მას ეშინოდა ხალხის წინაშე გამოსვლა.

ერთია თანაგრძნობა, თუნდაც გულწრფელი, სხვაა, გაცილებით მაღალია ქმედება, რომელსაც იგი იქმს მისი სათაყვანებელი მსახიობის ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

**„ერთხელ, როცა ბორჯომში ვიყავი, შევიტყვე, რომ უშანგიც იქ იმყოფებოდა. და თუმცა ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, გადავწყვიტე, მივსულიყავი მასთან. მსახიობი ყოფილი მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ისვენებდა. ძლივს მოვახერხე მასთან შეხვედრა. ძალიან მინდოდა, დამერწმუნებინა, დაბრუნებოდა თავის პროფესიას. უშანგი ისეთივე მომხიბვლელი, ისეთივე ძალ-ღონით სავსე იყო, როგორიც ურიელიდან მახსოვდა. ყოველნაირად ვცდილობდი, დამერწმუნებინა, დაბრუნებოდა თეატრს. ვეუბნებოდი, რომ იგი დიდებული მსახიობია და დანაშაულია, სცენაზე რომ არ არის.**

**უშანგი ყურადღებით მისმენდა, იყო ზრდილობიანი და მოკრძალებული, მაგრამ სევდის ჩრდილი ედო სახეზე. ვისმენდი მის პასუხებს: „არა“, „შეიძლება...“, „არა“, „მე ვიფიქრებ“ და ისევ — „არა“! ვხედავდი, რომ მის დაყოლიებას მთელი ჩემი ტემპერამენტისა და მისი ნიჭისადმი მთელი ჩემი პატიოსანი, გულწრფელი თაყვანისცემის მიუხედავად, ვერ შევძლებდი.**

**სამწუხაროა და საწყენი, რადგან იგი მართლაც დიდი მსახიობი იყო“.**

ასე აფასებდა უშანგი ჩხეიძეს ელენა გოგოლევა, თავად დიდი მსახიობი, რომელიც ბრწყინავდა მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე, სახელგანთქმული იყო მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც.

იგი იხსენებს კოტე მარჯანიშვილის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოს თბილისის ფილარმონიის ახალ შენობაში, სადაც მან მართლაც ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა. აქ იგი შეხვდა უშანგი ჩხეიძის დას, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს ნინო ჩხეიძეს, ვისთანაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ურთიერთობა არ გაუწყვეტია. **„ნინო დიდად აფასებდა ჩემს დამოკიდებულებას უშანგისადმი. იმ საღამოს საზეიმო კონცერტზე წარმოადგინეს შესანიშნავი ნომერი: ვერიკო კითხულობდა სცენას „აკოსტადან“, პროჟექტორები კი ანათებდნენ ერთ ადგილს სცენაზე და ვერიკოს უპასუხებდა უშანგის ხმა“...**

ოცდაათიან წლებში, როგორც ცნობილია, მოსკოვში გაიმართა რუსთაველის თეატრის გასტროლები, რომელსაც გოგოლევას თქმით ხელმძღვანელობდა **„ძალიან საინტერესო, ტემპერამენტიანი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, ასევე, მარჯანოვის მოწაფე. ორი წარმოდგენა ჩამოიტანეს — „ლამარა“ და „ანზორი“, რომლებშიც დაკავებულმა სამმა მსახიობმა შეძრეს დედაქალაქი: ხორავამ, ვასაძემ და დავითაშვილმა. შემდეგ, უფრო გვიან, ხორავამ და ვასაძემ არაერთხელ ითამაშეს მოსკოვში „ოტელო“. სრულიად განსხვავებული, სამხრეთული, ქართული ტემპერამენტი იგრძნობა ხორავას (ოტელო) და ვასაძის (იაგო) თამაშში“.**

▶

კულტურა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება მარჯანოვთან შეხვედრა და მასთან მუშაობა. იგი არ იყო მხოლოდ მცირე თეატრის რეჟისორი. იგი ჩემი რეჟისორი იყო, რომელთანაც შემეძლო შემექმნა ბევრი შესანიშნავი, შთაგონებული სახე, მაგრამ... მე ვერ ვიჯერებდი მის სიკვდილს...“



## ელენა გოგოლევა:



კოტე მარჯანიშვილი



ვერიკო ანჯაფარიძე

ელენა გოგოლევა სისტემატურად ჩამოდიოდა თბილისში. გრიბოედოვის სახელობის თბილისის დრამატული თეატრის მოწვევით ჩამოვიდა 1961 წელსაც, როცა საქართველოში გასაბჭოების 40 წელი აღნიშნეს. **„მიმიწვიეს, რათა მეთამაშა იგივე როლი, რომელსაც იმ დროს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვერიკო თამაშობდა. თეატრის დირექტორმა ჩემს პატივსაცემად თავის სახლში პატარა საღამო მოაწყო, მიწვეულთა შორის იყვნენ ვერიკოც და ხორავაც. ვერიკო საოცრად მხიარული და სიტყვამოსწრებული იყო“.**

მადლიერი შემოქმედი სიყვარულით იხსენებს ლიკანში გატარებულ საღამოებს, ბორჯომში გამართულ კონცერტებს, შეხვედრებს ფაშისტების მიერ რაიხსტაგის დაწვით კომუნისტების საწინააღმდეგოდ პროვოცირებული სასამართლო პროცესის ლეგენდარულ გმირთან გიორგი დიმიტროვთან, „საოცარ, უბრალო, კარგ საღამოებს“.

ერთხელ ზეკარის უღელტეხილზე ექსკურსიიდან ლიკანში დაბრუნებულ გიორგი დიმიტროვს საინტერესო, სალაღობო თამაში წამოუწყია, ცეკვითა და სიმღერით. **„შემდეგ მოითხოვა მისთვის მოეტანათ „ყველაზე ლამაზი თაიგული“. დიმიტროვმა ყველანი წრედ დასვა, თაიგული მისცა ყველაზე პატარა ბიჭს, ერთ-ერთი სტუმრის შვილს, ორივე ხელით თავზე მოეფერა და სთხოვა იქ მსხდომთა შორის ყველაზე ლამაზი დეიდისთვის მიეცა“.** ბიჭს ეს თაიგული ელენა გოგოლევასთვის მიურთმევია. **„დიმიტროვმა აიტაცა ბიჭი, მაღლა შეაგდო და მხიარულად თქვა, რომ ბიჭს კარგი გემოვნება ჰქონია და არაფერი შეშლია.**

**წლების შემდეგ მცირე თეატრი თბილისში მართავდა გასტროლებს. საქართველოს მთავრობამ მოგვიწყო მიღება. როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა წარმოთქვა ჩემი სადღეგრძელო და გამახსენა ის საღამო დიმიტროვთან ერთად ლიკანში და თაიგული, რომელიც ბიჭმა მომართვა: „ის ბიჭი, ძვირფასო ელენა ნიკოლაევნა, მე ვიყავი!“**

დევი სტურუას ჩემი თანდასწრებითაც გაუხსენებია ის საოცარი საღამო. დიახ, ეს პატარა ბიჭი დევი სტურუა იყო.

ელენა გოგოლევა გულდაწყვეტით წერს: **„ასე მიფრინავენ წლები! აი ასე, ჩვენ თვალწინ იზრდება ახალი თაობა, და ტკივილამდე გულდასაწყვეტია, როცა იხსენებ იმათ, ვინც ამ ცხოვრებიდან წავიდა“.**

დასანანია და გულდასაწყვეტია, რომ დღეს აღარც ის ბიჭია ცოცხალი.

ბოლოს დევი სტურუა გოგლაობაზე ვნახე, პატარძეულში, გიორგი ლეონიძის ძველი სახლის აივანზე, პირველი არხის ტელეჟურნალისტის თხოვნით გოგლას შესახებ ლაპარაკობდა.

იწერდნენ დევის სიტყვას, რომელიც მან გოგლას ლექსით „ყივჩაღის პაემანი“ დაამთავრა:

**„ყურლანებიდან გნოლი
აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა
ისევ ალვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ
იარაღს...“**

გოგლას ბოხი ხმის მიბაძვით კითხულობდა, ბუბუნებდა, ბობოქრობდა, განიცდიდა.

დაამთავრა და ჟურნალისტ გოგონას სთხოვა: ჩემი ნათქვამი, თუ გინდათ, წაშალეთ, ოღონდ ეს ლექსი დატოვეთო.

მოსწონდა თავისი წაკითხული.

მაგრამ მე ხომ ჩემი გამოცდილებით ვიცოდი და იმ ჟურნალისტმაც იცოდა, რომ ტელეხელმძღვანელობა მაინცდამაინც ამ ლექსს წაშლიდა...

**„როგორც საძროხე
ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდით
ნისლები...“**

ნისლივით ქრება იმედიც და სურვილიც. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა...

„მოგონებებს გარდასულ დღეთა“ უმეტესად წუხილის შავი არშია დაჰყვება. ელენა გოგოლევას ეს მოგონებაც ამ რიგისაა:

**„თბილისის ქუჩებს ნელა მიჰყვება პროცესია. ზემოთ კი, ერთ-ერთი სახლის სახურავზე თეთრ, მოფრიალე სამოსში გამოწყობილი იდგა ვერიკო ანჯაფარიძე და შორს ისმოდა მისი ძლიერი, ლამაზი ხმა. საქართველო კრძალავდა კოტე მარჯანიშვილს — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვს, დიდ რეჟისორს, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა მოსკოვში შემოქმედებითი ძალთა გაფურჩქვნის ჟამს. ამ დროს მიმდინარეობდა გენერალური რეპეტიციები მცირე თეატრში მისი დადგმული სპექტაკლის — შილერის „დონ კარლოსის“. როგორ სჭირდებოდა მარჯანოვი ქართულ თეატრს! და როგორი აუცილებელი იყო იგი აქ, მოსკოვში, მცირე თეატრში... თეატრში, რომლის ცენტრი იყო მსახიობი, ურეჟისორობა ამუხრუჭებდა შემოქმედებით ზრდას. მაგრამ რეჟისორის პოვნა, რომელიც დაჯილდოვებული იქნებოდა დამდგმელის ფანტაზიით და შესწევდა უნარი, ეს ფანტაზია განესახიერებინა, უწინარეს ყოვლისა, მსახიობის საშუალებით, დღეს არცთუ ისე ადვილია. მაშინ, 30-იან წლებში ეს პრობლემა უკვე იდგა დღის წესრიგში. მხოლოდ ასეთი რეჟისორის „მიღება“ შეეძლო მცირე თეატრს. და სწორედ ასეთი რეჟისორი აღმოჩნდა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვი.**

> **«ბედმა მარგუნა შეხვედრის სიხარული საბჭოთა ეროვნული თეატრების ბევრ მოღვაწესთან; მათ შორის — შეხვედრები ქართულ ხელოვნებასთან, რომლის მხურვალე თაყვანისმცემელი ყოველთვის ვიქნები»**

**როცა თეატრში დაიწყეს საუბარი მარჯანოვის მოწვევაზე „დონ კარლოსის“ დასადგმელად, მე სიხარულით შევხვდი ამ ამბავს, რადგან ნანახი მქონდა მისი უკვდავი დადგმა „ურიელ აკოსტასი“...**

გოგოლევა იხსენებს, როგორ შეიკრიბნენ სარეპეტიციო დარბაზში მსახიობები, როგორ შევიდა მარჯანიშვილი, **„ის, ვისზეც ამდენი რამ გაგვეგონა, წაგვეკითხა, ვიცოდით“.** განსაკუთრებით მოხიბლულა მსახიობი ქალი რეჟისორის დიდი, შავი და მწველი თვალებით, მისი გამოხედვა არამარტო დაკვირვებული იყო, არამედ „გამგმირავი“.

მარჯანიშვილის შემოქმედებით მეთოდზე საუბრისას ელენა გოგოლევა განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ რეჟისორი მკაცრად მოექცა შილერს. **„იგი აკეთებდა დიდ კუპიურებს, ამბობდა, რომ ზედმეტი სენტიმენტური მრავალსიტყვაობის გამო იკარგება პიესის ძირითადი იდეა. იმ დროს კლასიკოსისადმი ასეთი „ბარბაროსული“ დამოკიდებულება ბევრმა დაუშვებლად მიიჩნია და ზოგიერთი უცებვე განაწყო მარჯანოვის წინააღმდეგ... სპექტაკლი საინტერესოდ იყო ჩაფიქრებული და მცირე თეატრისთვის — უჩვეულოდ. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, დამდგმელები ხშირად იყენებენ მარჯანოვის მიერ გამოყენებულ მეთოდებს. მაგრამ მაშინ ეს იყო სიახლე და გაბედულება, ვიტყოდი, რომ წარმოჩნდა როგორც მცირე თეატრის განვითარების ახალი საფეხური...**

**მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მარჯანოვს გამოეშვა „დონ კარლოსი“ — იგი ერთ-ერთი პირველი გენერალური რეპეტიციის დროს გარდაიცვალა.**

**ძალიან, ძალიან დამნაშავეა მის მიმართ მცირე თეატრი. არა, მთელი დასი არა, მაგრამ — ზოგიერთები. ისარგებლეს უპირველესი მიზეზით — ჩემი ავადმყოფობით და სპექტაკლის მოხსნა მოინდომეს. ჩვენ, მონაწილენი წინ აღვუდექით, არ დავეთანხმეთ და ჩვენსას მივაღწიეთ...**

**პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა. ჩვენ გამოვდიოდით თავის დასაკრავად და ხელში გვეჭირა მარჯანოვის პორტრეტი. იგი თითქოს ჩვენთან იყო, აქ, ცოცხალი და იღებდა ოვაციებს მისი დიდებული ნამუშევრის გამო“.**

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ გოგოლევა მარჯანიშვილს მარჯანოვად მოიხსენიებდა ერთგვარი თეატრალური ტრადიციების გამო, ეს ისეთივე გაშინაურებაა საუკეთესო გაგებით, თავისიანად მიღება, როგორც იმავე „ურიელ აკოსტას“ მხოლოდ „ურიელად“ მოხსენიება: შეკვეცა, ერთგვარი მეტსახელი — თბილი, შენიანის. არა მგონია, რომელიმე მსახიობი ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეზე“ ლაპარაკისას სტურუასეულ ამ შედევრს სრულად მოიხსენებდეს. როგორც წესი, იტყვიან „ცარცის წრე“, ან „კავკასიური“.

ასეა და არავითარ შემთხვევაში გარუსულება გვარის იმ გაგებით, როგორც ეს რუსეთის იმპერიის პირობებში ხდებოდა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.

და ისევ გოგოლევა:

**„მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება მარჯანოვთან შეხვედრა და მასთან მუშაობა. იგი არ იყო მხოლოდ მცირე თეატრის რეჟისორი. იგი ჩემი რეჟისორი იყო, ვისთანაც შემეძლო შემექმნა ბევრი შესანიშნავი, შთაგონებული სახე, მაგრამ... მე ვერ ვიჯერებდი მის სიკვდილს...“**

მსახიობი იხსენებს მეგობრების წრეში გატარებულ ერთ შესანიშნავ საღამოს მარჯანიშვილთან ერთად. მისულა იქ ლუნაჩარსკიც, რომელიც ოფიციალურ წრეებში კულტურის საკითხების უპირველეს ექსპერტად ითვლებოდა და იმ წლებში სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. ელენა გოგოლევა იხსენებს: **„ლუნაჩარსკის სჯეროდა მარჯანოვის და შესთავაზა მცირე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა. ანატოლი ვასილის ძეს ესმოდა, რომ მარჯანოვი მცირე თეატრის შესანიშნავი, ნათელი მომავალია... ასეთი ხელმძღვანელი ააცილებდა მცირე თეატრს ბევრ ჩავარდნას და უბედურებას, იმის დავიწყებასაც, რაც დიდი „ბერიკაცების“ მიერ იყო ნაანდერძევი“.**

მარჯანიშვილს არ დასცალდა. მაგრამ უკვე ჩვენ დღეებში მოწმენი ვართ თემურ ჩხეიძის პეტროგრადის, რობიკო სტურუას მოსკოვის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად მოღვაწეობის.

ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, რაც ცალკე და დიდი საუბრის თემაა.

ცხოვრება გრძელდება, მოგონებები რჩება: **„მე კვლავ ვსწავლობ ამ მოგონებებისგან“**, — ამბობს გოგოლევა თავის მემუარებში, რომლებიც კრიალოსანივით არის აწყობილი: **„კრიალოსანი გრძელდება სახელგანთქმულ ქართველ მხატვართან ელენე ახვლედიანთან მეგობრობით, რომლის ნახატი დღესაც შინ მიკიდია.**

**საქართველოსთან მეგობრობა დღემდე ასაზრდოებს ჩემს ესთეტიკურ გრძნობას. მახსენდება რუსთაველის თეატრის ამასწინანდელი გასტროლები მოსკოვში, როცა მათ სპექტაკლს „სამანიშვილის დედინაცვალს“ დავესწარი. მითარგმნიდა ვერიკო. მაგრამ თარგმანის გარეშეც მხიბლავდა თავისი რეჟისურით. მაშინ გავიგონე პირველად ეს გვარი: სტურუა. აქ, მოსკოვში ბუკვალურად შემძრა ამ რეჟისორის სპექტაკლმა ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრემ“. მთხოვეს, ტრადიციულად მადლობა გადამეხადა მსახიობებისთვის სპექტაკლის შემდეგ. მაგრამ ტრადიციული მისალმების ჩარჩოები დაიმსხვრა, როცა ბედნიერება მხვდა წილად მენახა ეს სპექტაკლი. მე გამოვვარდი სცენაზე და აზარტული აღგზნებით ვიყვირე, რომ ის, რაც მე და მაყურებლებმა ეს-ესაა ვიხილეთ, სასწაულია! დარბაზმა ჩემს აღფრთოვანებას მხარი აუბა, რადგან ეს სპექტაკლი მართლაც სასწაულია!**

**ბედმა მარგუნა შეხვედრის სიხარული საბჭოთა ეროვნული თეატრების ბევრ მოღვაწესთან; მათ შორის — შეხვედრები ქართულ ხელოვნებასთან, რომლის მხურვალე თაყვანისმცემელი ყოველთვის ვიქნები“.**

კარგი აკორდია — ზეაწეული, გულწრფელი. გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ დღეს წინა თაობების ხელოვანთა მიერ საფუძველჩაყრილი კულტურათა ურთიერთობა მოგონებების სფეროშია გარდასული.

თუმცა რაღაც სინათლე მაინც კიაფობს გაუცხოების გვირაბის ბოლოს.

**არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ინდოეთი მარსზე პირველი მისიის განსახორციელებლად ემზადება

**ინდოეთი იმედოვნებს, რომ ეს რთული მისია კოსმოსურ სივრცეში ინდოეთის მაღალ ტექნოლოგიურ განვითარებას დაამტკიცებს.**

1,350 კილოგრამიანმა კოსმოსურმა ხომალდმა 780 მილიონი კილომეტრი 300 დღეში უნდა გაიაროს. ხომალდი წითელ პლანეტაზე 2015 წლის სექტემბერში უნდა ჩავიდეს.

მისიის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ინდოეთი საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და ევროპის შემდეგ მეოთხე იქნება, რომელიც პლანეტა მარსზე იმოგზაურებს.

# ჩვენი პლანეტის აუხსნელი საიდუმლოებები

**მეოცე საუკუნე განსაკუთრებით მდიდარი იყო გამოუცნობი მოვლენებით და მითიური პერსონებით და ამ აუხსნელი მოვლენებით სავსე ბნელი ლაქების ისტორია დღემდე არ არის გამოძიებული.**



## მაიაკ ეილონის შუქურა

**1900 წლის 15 დეკემბერს კუნძულ ფლანანზე (შოტლანდია) უკვალოდ დაიკარგა მაიაკ ეილონის შუქურის სამი დამკვირვებელი.**

რამდენიმე დღით ადრე გემებიდან, რომლებიც ჩრდილოეთის ზღვის წყლებში ცურავდნენ, მოდიოდა სიგნალი, რომ შუქურა არ ანათებდა.

ცუდი ამინდის გამო გემიდან „gesperus“ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაგზავნეს ადამიანები დასაზვერად. გემის ბორტზე იმყოფებოდა, აგრეთვე, ჯოზეფ მური – შუქურის მთავარი დამკვირვებელი. ამ გამოცანის განხილვისას კოლეგებთან ერთად მან ვერ მოუძებნა ლოგიკური ახსნა იმას, თუ რატომ არ ანათებდა შუქურა. ისინი ნაპირზე გადავიდნენ მდგომარეობის ადგილზე შესამოწმებლად. მური ყველა თავის თანამშრომელს კარგად იცნობდა. ესენი იყვნენ: თომას მარშალი, დონალდ მაკარტური და ჯეიმს დუკატი. ისინი გამოცდილი დამკვირვებლები იყვნენ, კეთილსინდისიერად ასრულებდნენ სამუშაოს და არასოდეს ვარდებოდნენ პანიკაში კრიტიკულ სიტუაციებში. როდესაც მურმა ბოლოს ნახა, ისინი სრულიად ჯანმრთელ მდგომარეობაში იყვნენ. როდესაც გემი კვლავ მივიდა ნაპირზე, სადაც დამკვირვებლები დატოვა, შეამჩნიეს, რომ მათთან შესახვედრად არავინ მოვიდა და არც სასიგნალო შუქურა ანათებდა. პირველი ნაპირზე ჯოზეფ მური გადავიდა და გაემართა შუქურისკენ და დამკვირვებლის ოთახში შევიდა. ოთახი ცარიელი აღმოჩნდა. მან ნახა ჟურნალი, რომელშიც ბოლო ჩანაწერი 14 დეკემბერს იყო გაკეთებული — დამკვირვებელი აღწერდა, რომ კუნძულის გარშემო შტორმი მძვინვარებდა. ეს სრულიად დაუჯერებელი იყო, რადგან იმ ღამეს ამინდი შესანიშნავი იყო, ხოლო ზღვა — მშვიდი.

მურმა სასწრაფოდ დაიწყო დამკვირვებლების ძებნის ორგანიზება მთელი კუნძულის ტერიტორიაზე, მაგრამ უშედეგოდ. ვერ მოიძებნა ვერანაირი ახსნა მათი გაქრობისა.



## «პარიზის კრახი»

1902 წლის 29-30 დეკემბერს 13:05-ზე პარიზის ბევრ ადგილას საათი გაჩერდა. ამ მოვლენის მიზეზი, რომელსაც „პარიზის კრახი“ ეწოდა, აუხსნელი დარჩა.



## მგზავრების გაქრობა მატარებელში

1911 წელს რომის სარკინიგზო სადგურიდან ფირმა „სანეტმა“ მდიდარი იტალიელებისთვის სასეირნო მგზავრობა მოაწყო. სამვაგონიანი შემადგენლობა 106 მგზავრისგან შედგებოდა. გვირაბში გამოსვლის მომენტში ყველა მგზავრი უკვალოდ გაქრა.





## რკინის ჩაქუჩი

**ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ჩაქუჩია, მისი რკინის ნაწილი დაახლოებით 15 სანტიმეტრი სიგრძისაა, ხოლო დიამეტრი 3 სანტიმეტრია.**

ის აღმოჩენილია 1934 წელს ემე ხანის მიერ, ტეხასის შტატში. ექსპერტებმა მისი ნახვის შემდეგ მას „მისტიფიკაცია“ უწოდეს. შემდგომმა გამოკვლევებმა სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებში და მათ შორის აშშ-ს ბატელევსკის ლაბორატორიაში აჩვენეს, რომ ყველაფერი გაცილებით უფრო რთულადაა.

პირველ რიგში, ჩაქუჩის ხის სახელური გარედან გაქვავებულია, შიგნით კი ნახშირად არის გადაქცეული. ოჰაიოს შტატის მეტალურგიულ ინსტიტუტში გამოიკვლიეს ჩაქუჩის ქიმიური შემადგენლობა: ეს იყო 96,6% რკინა, 2,6% — ქლორი და 0,74% — გოგირდი.

ჩაქუჩის ასაკი კი 140 მილიონი წლით თარიღდება.

## რკინის ლარნაკი

1856 წელს მასაჩუსეტსის შტატში აღმოჩენილი იქნა რკინის ლარნაკის ორი ნაწილი. მისი ასაკი 534 მილიონი წელია. დეკორატიული ელემენტები — ყვავილები, ვაზის გამოსახულება, ვერცხლით არის მოპირკეთებული. ვაზის მხატვრული შესრულების დონე კი მის ძალიან მაღალ ოსტატობასა და შესრულებაზე მეტყველებს.





## კვარცის თავის ქალა

1927 წელს ცნობილი ინგლისელი არქეოლოგისა და მოგზაურის — ფ. ალბერტ მიტჩელ-ხედჟესის ექსპედიციამ დაიწყო მუშაობა ძველი მაიას ცივილიზაციის ქალაქში, ტროპიკული ჯუნგლების ნახევარკუნძულ იუკატანზე. მისმა ჩვიდმეტი წლის გოგონა ანამ საოცარი ნივთი აღმოაჩინა. ეს იყო გამჭვირვალე კვარცით შექმნილი და ბრწყინვალედ გაპრიალებული ადამიანის თავის ქალა. მისი წონა 5, 13 კგ-ია.

თანამედროვე ტექნოლოგებს არ შეუძლიათ კვარცის თავის ქალის ასეთი მტკიცე და პრეტენზიული მასალით დამზადება.



## ძვირფას-თვლებიანი თავის ქალა

ეს ძვირფასი ქვებით მორთული თავის ქალა 2009 წლის აღმოჩენაა. იგი დემონსტრირებას უკეთებს უძველესი დანტისტების ფანტასტიურ ოსტატობას. ადგილობრივი ამერიკელებს კბილებში ძვირფასი თვლების ჩასმა ჯერ კიდევ 2,5 ათასი წლის წინ შეეძლოთ.





## «ვენტილიატორი»

1912 წელს ორმა მუშამ შტატ ოკლაჰომაში, როდესაც ნახშირის დიდ ნატეხებს ამტვრევდნენ, მის შიგთავსში აღმოაჩინა არც თუ ისე დიდი რკინის „ვენტილატორი“. გეოლოგმა რობერტ ო. ფეიმ იგი დაახლოებით 312 მილიონი წლით დაათარიღა.



## ივანოვო

ეს ქალაქი საბჭოთა ეპოქაში საფეიქრო წარმოების ცენტრი იყო, ქალაქში ძირითადად ქალები ცხოვრობდნენ. ამჟამად წარმოება აღარ არსებობს, ქალები მამაკაცებზე მეტნი არიან, შობადობა კლებულობს, სიკვდილიანობა იზრდება, ამის გამო მოსახლეობა მიგრირებს, მიემგზავრებიან სამუშაოს საძებნელად მოსკოვსა და სხვა ქალაქებში.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 7 ქალაქი, რომლებიც გაქრება



## სან-ფრანცისკო

მკვლევარები ვარაუდობენ (75%-იანი ალბათობით), რომ 2086 წელს ამ ქალაქში მოხდება მძლავრი მიწისძვრა 7 ბალზე მეტი, სან- ფრანცისკოდან ხშირი მიწისვრების გამო ინტენსიურად ხდება მიგრირება სხვა ამერიკის უფრო უსაფრთხო ქალაქებში, მიწისძვრა კიდევ უფრო დააჩქარებს ამ ქალაქის დაცარიელებას.



## ვენეცია

წყალზე მდგომი ეს ქალაქი ნელ-ნელა იძირება, ბოლო 100 წლის განმავლობაში კი ჩაძირვის ტემპმა მოიმატა — ქალაქი 24 სანტიმეტრით ჩაიძირა. მთავრობას აქვს შემუშავებული გეგმა, რომ როგორმე გადაარჩინოს ისტორიული მემკვიდრეობა, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ, შესაძლოა, ამანაც ვერ გადაარჩინოს ქალაქი.



## მეხიკო

ქალაქს სასმელი წყალი არ ჰყოფნის, ამასთანავე გრუნტი ნელ-ნელა ქვემოთ იწევს, ბოლო 100 წლის განმავლობაში ქალაქმა ზოგიერთ ადგილებში 9 მეტრის სიღრმეზე დაიწია, 20 მილიონიანი ქალაქი, შესაძლოა, უკვე ნელ-ნელა დაიცალოს.



## დეტროიტი

1950 წლიდან დღემდე ეს ქალაქი 950 ათასი მცხოვრებით შემცირდა, უმუშევრობა აქ 10%-ია, მოსახლეობა მიგრირებს დეტროიტის შემოგარენში, ეს ტენდეცია თუ გაგრძელდა, 2100 წელს დეტროიტი ქალაქის ფუნქციას დაკარგავს.



## ტიმბუქტუ

მალის ეს ქალაქი 1000 წლისაა და ისლამური განათლების ცენტრად ითვლება, თუმცა ხრიოკი ადგილის გამო მოსახლეობა ტოვებს ქალაქს. მთავრობამ შეიმუშავა გეგმა, რომ გაამწვანონ ქალაქი, თუმცა უმეტესი ნაწილი მაინც ქვიშითაა დაფარული.



## ნეაპოლი

ქალაქის განადგურების მიზეზი-ვულკანი. ამ ქალაქში 4 მილიონი ადამიანი და მის გარშემო „წითელ ზონაში" მცხოვრები 1.5 მილიონი ნალმზე ცხოვრობს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 79 წელს, როგორც ცნობილია, ვულკანმა „ვეზუვმა" გაანადგურა ქალაქი პომპეი ვულკანი ყოველ 100 წელიწადში ერთხელ იღვიძებს, ბოლოს 1944 წელს ამოიფრქვა, თუ მოსახლეობის დროზე ევაკუაცია არ მოხდა, შედეგი კატასტროფული იქნება.

# ავსტრალიური ქალაქი ობობების ქსელით დაიფარა

**ავსტრალიის ქალაქ ვაგა-ვაგაში არაქნოფობების კოშმარი რეალობად იქცა – წყალდიდობის შემდეგ უამრავმა ობობამ აბლაბუდით დაფარა მიდამო. ერთკვირიანი თავსხმა წვიმის შედეგად გამოწვეულმა დატბორვამ აიძულა ობობები (და მინიმუმ 13 000 ადამიანი), თავის გადასარჩენად სახლები დაეტოვებინათ.**

მასიურმა ქსელებმა ვაგა-ვაგას ვრცელი ტერიტორიები დაფარა. ამ პერიოდში ასეთი ადგილები ობობების დროებით თავშესაფარს წარმოადგენს, რადგან მათი საბინადრო წყლითაა დაფარული. ჯორჯიის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა ენტომოლოგიის დარგში რობერტ მეთიუსმა განაცხადა, რომ მსგავსი რამ არასდროს უნახავს. **„ეს უბრალოდ გასაოცარია",** — აღნიშნა მან.

წყალდიდობა ობობებს აიძულებს, შემაღლებულ ადგილებს მიაშურონ. თავი რომ გადაირჩინონ, ისინი უფრო მტკიცე ქსელებს ქსოვენ. ნესტიანმა წელმა ავსტრალიაში მწერების ბუმი გამოიწვია, რამაც თავისთავად გაზარდა ობობების რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით — მათ დიდი რაოდენობით საკვები გაუჩნდათ.

მურუმბიჯის მდინარე — ვაგა-ვაგას წყალდიდობათა უმეტესობის მიზეზი — ნელ-ნელა უკან იხევს მას შემდეგ, რაც 11 მეტრის სიმაღლეს მიაღწია.

აბლაბუდებით დაფარულ ტერიტორიებს აღტაცებული რობერტ მეთიუსი თოვლიან მინდორს ადარებს. ამ ქსელების შემოქმედნი არიან სფეროსებრი ქსელის მრთველი (Araneidae) და მგლისებრი (Lycosidae) ობობები — ორი სახეობა, რომლებიც ადამიანებისთვის საშიშად არ ითვლებიან.

**„სურათები ნათლად გამოხატავს იმ მრავალფეროვნებას, რომლის შექმნაც ობობებს შეუძლიათ ქსელის მეშვეობით,** — ამბობს მეთიუსი. **ქსელის შექმნის უნარი უზარმაზარი ევოლუციური ნახტომია და სწორედ ესაა კიდევ ერთი ახსნა იმისა, თუ რატომაა ობობების რიგი ასეთი წარმატებული".**

ვაგა-ვაგას მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ობობების აბლაბუდები აღმოჩნდა ყურადღების გადასატანი შესანიშნავი საშუალება რამდენიმედღიანი წყალდიდობისა და ზარალის შემდგომ.









ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნიუ ჯერსის სავაჭრო ცენტრზე თავდასხმაში ექვმიტანილმა თავი მოიკლა

**თავდამსხმელმა, რომელიც ნიუ ჯერსის სავაჭრო ცენტრში შეჭრასა და ცეცხლის გახსნაში იყო ეჭვმიტანილი, თავი მოიკლა.** ამის შესახებ ABC News იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, 20 წლის რიჩარდ შუფმა თავი სავაჭრო ცენტრის შენობაში მოიკლა. პოლიციის განცხადებით, რიჩარდ შუფი ნარკოტიკებზე იყო დამოკიდებული. ახალგაზრდა თავდამსხმელი ნიუ ჯერსის ქალაქ ტინეკის სავაჭრო ცენტრში შეიჭრა და დაახლოებით 8 გასროლა მოახდინა, თუმცა შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.



## ძაღლის საჭმლის დეგუსტატორი

**სან-დიეგოში მცხოვრები 38 წლის ლუსი პოსტინსი ძაღლის საჭმლის დეგუსტატორად მუშაობს.**

მისი თქმით, ცხოველის საკვები მას კბილებს უმაგრებს. იგი ძაღლების საკვების მომზადების პროცესში აქტიურად მონაწილეებს. ლუსის ევალება, ჯერ ინგრედიენტები სათითაოდ დააგემოვნოს, შემდეგ კი საბოლოო შედეგი — ძაღლის კერძი შეჭამოს, რათა დარწმუნდეს, რომ გემრიელია და ძაღლისთვის ვარგისი.

„ჩემ გარშემო ბევრი ადამიანია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ძაღლებს, რადგან ცხოველები არიან, ნებისმიერი ტიპის საკვები ეჭმევათ და ჯანსაღ პროდუქტებზე ფულს არ ხარჯავენ. თუმცა ძაღლებსაც ისევე უნდა შეურჩიო საჭმელი, როგორც ადამიანს“, — ამბობს ლუსი.

## 12 000 დოლარი 70 დღე წოლისთვის

**ამერიკულმა კოსმოსურმა სააგენტო ნასამ ახლახან გამოაცხადა ვაკანსია. ნასას სჭირდება ადამიანი, ვინც 70 დღის განმავლობაში ლოგინში იწვება და უსაქმოდ გაატარებს დღეებს. ახალი მუშაკი აუდგომლად უნდა იწვეს ლოგინზე და მეცნიერებს საშუალება მისცეს, მასზე დაკვირვება მოახდინონ.**



ვინც დათანხმდება ამ სამუშაოს, თითქმის ორთვე-ნახევრის განმავლობაში თავს შემოევლებიან ნასას მეცნიერები — საჭმელ-სასმელი, შხაპი, კომპიუტერი, წიგნები – ამ ყველაფერს საწოლში მიართმევენ და ადგომა მხოლოდ მაშინ დაჭირდება, როცა მეცნიერები მას გასასინჯად ტოპოგრაფიას გადაუღებენ. ნათესავების მიღებაც კი შეეძლება ნებისმიერ დროს.

ამ ცდის მიზანია, დაადგინონ ადამიანის სხეულზე მიკროგრავიტაციის ზეგავლენა. დაკვირვება ჰიუსტონში, ჯონსონის ცენტრში, ნასას შტაბბინაში ჩატარდება.

ნებისმიერ მსურველს, რომელიც დათანხმდება და მიიღებს ამ შემოთავაზებას, მოუწევს წინასწარი მოსამზადებელი, ორკვირიანი დაკვირვების გავლა. მეცნიერებმა უნდა დაადგინონ, შეძლებს თუ არა პიროვნება ამის გაძლებას. ყოველ 14 დღეში ერთხელ დააკვირდებიან მის სისხლძარღვებს, გულს, სხვადასხვა ორგანოებს. ამ ცდის დროს 16 საათი იქნება დღის რეჟიმი, 8 საათი კი — ღამის. ის, რაც ერთი შეხედვით მიმზიდველი და უმარტივესია, შეიძლება რეალობაში ძალიან რთული და მძიმე აღმოჩნდეს. 70-დღიანი გადაბმული წოლის შედეგად, მიკროგრავიტაციის ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე ძალიან საზიანოა. მუდმივი წოლის შედეგად სისხლი არ მიედინება ქვევით, შედეგად ხელები, ფეხები და სახე სივდება. სხეულის მასა კლებულობს, იმის გამო, რომ კუნთები კარგავს აზოტს. ასევე, ფეხის ვენები და არტერიები კარგავს ელასტიურობას და სუსტდებიან. ყველაზე მძიმე შედეგი კი ძვლებში კალციუმის დეფიციტია.

## მსოფლიოში პირველი დახრილი ხიდი

**ინგლისელმა არქიტექტორებმა მსოფლიოში პირველი დახრილი ხიდი — მილენიუმის ხიდი შექმნეს. ინგლისელებს თანამედროვე არქიტექტურის ეს შედევრი უყვართ და „თვალხამხამა ხიდს“ ეძახიან.**




უჩვეულო კონსტრუქცია ნამდვილად დიდი თვალის დახრილ და აწეულ ქუთუთოს მოგვაგონებს. ხიდი ორიგინალურად გამოიყურება, ხოლო როდესაც ბრუნდება, ათასობით მაყურებელს იზიდავს. ასეთი რამ წელიწადში მხოლოდ ორასჯერ ხდება.

უჩვეულო ხიდის შექმნის იდეა 1996 წელს გაჩნდა. მაშინ ბრიტანეთის ქალაქ გეიტსჰედის საბჭომ კონკურსი ჩაატარა, რომელშიც არქიტექტორების — ეირის და უილკინსონის ერთობლივმა პროექტმა გაიმარჯვა. გენიალური ჩანაფიქრის განხორციელებას 2 წელი დასჭირდა. ხიდი ექსპლუატაციაში 2001 წელს შევიდა. ნაგებობის მშენებლობაზე 44 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

„მშვიდ“ მდგომარეობაში ხიდის ერთი სავალი ვერტიკალურად 50 მეტრ სიმაღლზეა აწეული, მეორე — დაშვებულია, მასზე ფეხით მოსიარულეები და ველოსიპედისტები მოძრაობენ. ამ დროს ხიდის ქვეშ პატარა ზომის ხომალდებს შეუძლიათ ცურვა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დიდი ზომის ტრანსპორტის გატარებაა საჭირო, ორივე სავალი ხიდი ისეთი სახით ბრუნდება, რომ ზემოთა დაბლა ეშვება, ქვემოთა კი, შესაბამისად, ზემოთ ადის.

ხიდს კიდევ ერთი თავისებურება აქვს: იგი ორი განცალკევებული ზონისგან შედგება. ერთზე ველომრბოლეები დადიან, მეორეზე — ფეხით მოსიარულეები. საფეხმავლო ზონა აღჭურვილია სკამებით, რომლებიც განკუთვნილია მათთვის, ვისაც მდინარე ტაინის სილამაზით ტკბობა უფრო დიდხანს სურს.



## 300 ათასი დოლარის საგანძური

**ამერიკულმა ოჯახმა ფლორიდის შტატის სანაპიროსთან ყვინთვისას საგანძურს მიაგნო.**

რიკ შმიტმა და მისმა მეუღლე ლიზამ შვილებთან ერთად იპოვეს სკივრი, რომელშიც 300 ათასი დოლარის ღირებულების განძი აღმოჩნდა. ოჯახმა საგანძური სანაპიროდან 137 მ-ის დაშორებით აღმოაჩინა.

საგანძური იმ 11 ესპანური ხომალდის ნარჩენებს შორის იყო, რომლებიც ჰავანიდან ესპანეთისკენ მიემართებოდნენ. ისინი 1715 წელს გრიგალის დროს ჩაიძირნენ. ჩაძირული საგანძურის მთლიანი ღირებულება 400 მილიონი დოლარია. ამ დრომდე მხოლოდ 175 მილიონი დოლარის ღირებულების განძია ნაპოვნი.

2010 წელს, კატასტროფის ადგილზე საგანძურის ძიების უფლება კომპანია Fleet - Queens Jewels LLC-იმ შეისყიდა. კანონის თანახმად, ოჯახმა სახელმწიფოს ნაპოვნი ოქროს 20% უნდა მისცეს, კომპანიას კი დარჩენილი 80% შუაზე უნდა გაუყოს.

შმიტების ოჯახმა ოქროს ადრეც მიაგნო. გასულ წელს მათ ოქროს მონეტა იპოვეს. 2002 წელს კი შმიტის ვაჟმა ერიკმა ფსკერზე 300-წლიანი ვერცხლის ლამბაქი იპოვა, რომლის ღირებულება 25 000 დოლარი იყო.

## არასრულწლოვნობის ასაკი 25 წლამდე გაიზარდა

**ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა ახალი დირექტივები მიიღეს. ახლა არასრულწლოვნობის ასაკი 25 წლამდე გრძელდება. ბავშვთა ფსიქოლოგის — ლავერნ ანტრობუსის თქმით, ადამიანი 18 წლის ასაკში ზრდასრული ჯერ კიდევ არ არის.**

ადრე მიიჩნეოდა, რომ ტვინი თინეიჯერობის პერიოდში უკვე ბოლომდე იყო ფორმირებული. თუმცა სინამდვილეში ტვინის განვითარება 25-30 წლამდე გრძელდება. ამ პერიოდში ტვინის მიერ ინფორმაციის გადამუშავების სქემები საგრძნობლად იცვლება. ეს მნიშვნელოვანია განსჯის, დაგეგმვის, პრობლემის გადაწყვეტის და გაგების თვალსაზრისით. ტვინი განაგრძობს რეორგანიზებას, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებს კი ტვინის წინა ფრონტალური ქერქი განიცდის.

სულ არსებობს არასრულწლოვნობის პერიოდის 3 სტადია: **საწყისი (12-14 წელი), შუალედური (15-17 წელი) და გვიანდელი (18 წლიდან ზევით).** როგორც თავის ტვინის კვლევამ აჩვენა, გვიანდელ პერიოდშიც კი ტვინი განვითარებას განაგრძობს და ვიდრე წინაფრონტალური ქერქი საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება, ადამიანს ეცვლება ემოციური სიმწიფე, თვითშეფასება და განსჯა. ამის პარალელურად 20 წლის ასაკში მიმდინარეობს ჰორმონალური ცვლილებებიც. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეს მოვლენა ინფანტილიზმის კულტურის ნაწილია. ადამიანები მშობლებთან სოციალური და კულტურული მიზეზებით არიან დაკავშირებულნი და რთულად შედიან ზრდასრულ ურთიერთობაში სამყაროსთან. ამის მაგალითად ასახელებენ იმას, რომ მოზრდილების დიდი ნაწილი საბავშვო მულტფილმებს უყურებს.

18+



## ოქროს ყველი

**იტალიაში, პემონტის რეგიონში ტრადიციული ყველის ფესტივალი გაიმართა. წელს ფესტივალის სტუმრებს, ჩვეულებრივი ყველის გარდა, შეეძლოთ უჩვეულო შემადგენლობის ყველი გაესინჯათ. მაგალითად ყველი, რომელიც ოქროს მტვერს შეიცავს.** თავდაპირველად ფესტივალი ჯანსაღი საკვების დღესასწაული იყო. ამჟამად, მოძრაობა Slow Food-ის აქტივისტები დეგუსტაციის პარალელურად, სტუმრებისთვის სემინარებს, მასტერკლასებს ატარებენ და სხვადასხვა სახეობის ყველის ერთმანეთისგან გარჩევას ასწავლიან. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც საკვებში ოქროს იყენებენ. ოქროს გამოყენებით დესერტებიც დაუმზადებიათ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე დიდი ალიგატორი დაიჭირეს



მისისიპში მსოფლიოში ყველაზე დიდი ალიგატორი დაიჭირეს. ალიგატორი 330 კილოგრამს იწონის და სიგრძეში 4 მეტრია. შთამბეჭდავი მასის გამო ის მსოფლიო რეკორდების წიგნშიც არის შესული.

**„ის შუაღამისას შევნიშნეთ. რამდენიმეჯერ ჩვენგან გათავისუფლება სცადა, თუმცა წარუმატებლად.**

**გემთან ახლოს მოვიდა და ფიცრებს კბენა დაუწყო. გემს იმდენად ძლიერად ექაჩებოდა, რომ კბილები ჩამოტყდა. მის დამორჩილებას 1 საათი ვცდილობდით. იმდენად ძლიერი იყო, რომ დამატებითი ჯგუფის მოსვლა გახდა საჭირო“,** — ამბობს ერთ-ერთი მონადირე.

ცნობილია ალიგატორების ორი სახეობა: მისისიპის ალიგატორი 6,3 მ-მდე სიგრძისაა და დიდი რაოდენობით იყო ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ინტენსიური რეწვის შედეგად განადგურდა და ამჟამად უმთავრესად ფლორიდის ჭაობებში ბინადრობს; ჩინური ალიგატორი კი 2,5 მ-მდე სიგრძისაა. გვხვდება მდინარე იანძიანის ქვემოწელში. იკვებება ბაყაყებით, გველებითა და თევზებით. თავს ესხმის სხვა ცხოველებსაც.

# ყველაზე დიდი იახტა, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს

PlanetSolar არის უზარმაზარი იახტა, რომელიც მთლიანად მზის ენერგიით იკვებება. ის პირველად 2012 წლის 4 მაისს გავიდა ზღვაში და 584 დღეში 60 000 კმ-ზე მეტი გაიარა, რაც ნამდვილად შესანიშნავი შედეგია.









## ქორწილი 1 გირვანქა სტერლინგად

**შოტლანდიელი წყვილის, ჯორჯიანა პორტეუსისა და სიდ ინესის, ქორწილში ყველაფერი იყო: თეთრი კაბა, საქორწინო ბეჭედი, სასიამოვნო მუსიკა, ბარბექიუ-წვეულება, კარგი ხარისხის ღვინო და სტუმრები, თუმცა ეს ყველაფერი 1 გირვანქა სტერლინგი, ანუ 2,58 ლარი დაჯდა.**

ქორწილს 70 სტუმარი ესწრებოდა. ცერემონია წყვილის კოტეჯში გაიმართა. კოტეჯი პატარძლის მეგობრებმა სადღესასწაულოდ ფარნებით, მინდვრის ყვავილებითა და ბაფთებით მორთეს. პატარძალს 1960 წელს შეკერილი კაბა ეცვა. მან საქორწილო კაბა ადგილობრივი ვებსაიტიდან გამოიწერა. ვებგვერდზე ადგილობრივები იმ ნივთების ნუსხას აქვეყნებენ, რომელიც აღარ სჭირდებათ; მსურველი მითითებულ მისამართზე რეკავს და ნივთი სახლში მიაქვს.

ჯორჯიანას დედა ეკლესიის მრევლის წარმომადგენელია და შესაბამისად, ჯვრისწერაც უფასოდ გაიმართა. საქორწინო ბეჭდები ირმის რქისგან სიძემ დაამზადა. ფოტოგრაფი წყვილის მეგობარია და შესაბამისად, სრულიად უანგაროდ იმუშავა. სტუმრებმა ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაითვალისწინეს და წვეულებაზე კერძები და ტკბილეული სახლიდან მიიტანეს. გემრიელი საქორწილო ტორტი პატარძლის დეიდამ გამოაცხო. სტუმრები მთელი ღამე ცეკვავდნენ და ერთობოდნენ.

**„მე მსახიობი ვარ, ჩემი მეუღლე მუსიკოსია. ხელოვანი წყვილი ვართ, ცხოვრებას ისეთს ვიღებთ, როგორიც არის. მართალია, არც მდიდრული კაბა მეცვა და ვერც შთამბეჭდავი ქორწილით დავიკვეხნი, მაგრამ ბედნიერი ვარ და ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ჩემთვის უმნიშვნელოვანესი დღე 70 ძვირფას ადამიანთან ერთად გავატარე“,** — ამბობს პატარძალი.




## ბერლუსკონი საგზაო ნიშნებზე

**ნეაპოლის ცენტრში უცნობი მხატვრის უცნაური ნამუშევარი გამოჩნდა. მხატვარმა საგზაო ნიშანზე იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრი სილვიო ბერლუსკონი გამოსახა.** ნახატი დატანილია ნიშანზე „შესვლა აკრძალულია“. ბერლუსკონი დაწოლილ მდგომარეობაშია და მას შარვალი შეხსნილი აქვს.

# ასტრახანიდან ქართველ მეფეთა გადმოსვენების საკითხის განხილვა შეჩერებულია

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა, მეუფე გერასიმემ (შარაშენიძე) განუცხადა, მეფეთა ნეშტების გადმოსვენებასთან დაკავშირებით ჯერ არანაირი სიახლე არ არის. ასტრახანში სექტემბრისთვის გასამართი კონფერენციაც არ ჩატარებულა.**



როგორც ცნობილია, ასტრახანში სექტემბერში კონფერენცია უნდა გამართულიყო, რათა იქაურ საზოგადოებას გაეგო იქ დასაფლავებული ქართველ მეფეთა ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ს ნეშტების საქართველოში გადასვენების მიზეზების შესახებ, გაცნობოდნენ მათ ანდერძებს.

„კონფერენცია სექტემბერში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ჯერ არ ჩატარებულა. ველოდებით რუსეთის მხრიდან ამ შეხვედრის თარიღის შეთანხმებას“, — აღნიშნა მეუფე გერასიმემ. მისივე განცხადებით, შეხვედრის თარიღის დაზუსტების შემთხვევაში, ასტრახანში საქართველოს ეკლესიიდან დელეგაცია ჩავა. ამ ეტაპზე უცნობია, როდის შეიძლება ჩავიდეს დელეგაცია ასტრახანში ან როდის შეიძლება გაიმართოს კონფერენცია. ჯერ შეხვედრა შეთანხმებული არ არის.

ამასთან, მიტროპოლიტმა საუბრისას არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსეთის მხარეს არ სურს საკითხის გადაწყვეტა და ქართველ მეფეთა ნეშტების საქართველოში გადმოსვენება. „რადგანაც მოლაპარაკება მიდის, ე. ი. იქნება შეთანხმება“, — დასძინა მეუფე გერასიმემ.

ქართველი მეფეების: ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორეს ნეშტების ასტრახანიდან გადმოსვენების საკითხზე რუსეთის პრეზიდენტსა და პატრიარქს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გასული წლის ნოემბერში მიმართა. რუსეთის პატრიარქის მიერ შექმნილი კომისიის პირველი სხდომა 13 დეკემბერს გაიმართა. რუსულმა მხარემ ისტორიული და არქეოლოგიური მასალის შესასწავლად დრო ითხოვა.

ამასთან, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში უკვე გამზადებულია მეფეთა ნეშტების განსასვენებლად ქვის საფლავები.

ვახტანგ მეექვსე 1737 წლის 26 მარტს ასტრახანში გარდაიცვალა და მიძინების ტაძარშია დაკრძალული.

თეიმურაზ მეორე პეტერბურგში 1762 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. მეფე-პოეტის ნეშტი 1762 წლის 4 ივნისს ასტრახანში გადაასვენეს და ისიც მიძინების ტაძარში, მისი სიმამრის — ვახტანგ მეექვსის გვერდით დაკრძალეს.

# შსს საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი აგრძელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ საზოგადოების ყოველთვიურ ინფორმირებას.**



შსს-ს ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბერი 480 510 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 14,1 %-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 556 110 ვიზიტი განხორციელდა, რაც 23,7%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე და უკვე გაასწრო 2012 სრული კალენდარული წლის მონაცემებს. ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია: ა) ტურისტი — 1 785 244 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 17,4%); ბ) ტრანზიტი — 1 001 010 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 57,3%); გ) სხვა — 1 769 856 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 15,8%).

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-10%), აზერბაიჯანიდან (+13,5%), სომხეთიდან (+34,3%), რუსეთიდან (+37%), უკრაინიდან (+58,6%) და ირანიდან (+26,7%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ოქტომბერში, უკვე ტრადიციულად პოლონეთი-ჩეხეთი-ავსტრიასთან ერთად, კვლავ გამოირჩნენ საფრანგეთი, იტალია და გერმანია (შესაბამისად, 70%, 34%, 27%, 20%, 17% და 17%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთის (39%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი (31%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელარუსის მოქალაქეები 61%-იანი მატებით.

სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით ცალკეა აღსანიშნავი საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც მიმდინარე წლის პირველ 10 თვეში 22.4 (შემოსვლა) და 22.8 (გასვლა) %-იანი მატებით გამოიხატა.

# სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი მამა ქუთაისის მერიის შენობიდან გააგდეს

**დავით გვეტაძე მერის მოვალეობის შემსრულებელ გია შარაბიძესთან შეხვედრას ითხოვდა. მერიის შენობაში მყოფი გვეტაძე აცხადებდა, რომ დაწესებულებას მანამდე არ დატოვებდა, ვიდრე შარაბიძესთან შეხვედრის საშუალება არ მიეცემოდა. მაგრამ მრავალშვილიან მამასთან შესახვედრად არც მერის მოვალეობის შემსრულებელი და არც მერიის სხვა წარმომადგენლები გამოსულან.**



„2005 წლიდან მერიიდან დახმარებას ვითხოვ. დღესაც ვიყავი მისული, მაგრამ არ მიმიღეს.

მიხეილ სააკაშვილთან, თბილისში 2011 წელს რომ ვიყავი ჩასული, მან ჩემი დახმარება მერიას დაავალა. ჩემი შვილები ჩემმა ცოლმა საყვარლის გამო მიატოვა. სახლში გაზი არ მაქვს. ერთჯერადი დახმარებით ოჯახი ვარჩინო თუ გაზი შევიყვანო? აქედან არ წავალ, ვიდრე მერს არ ვნახავ. იმდენია და ისე იცვლებიან, ვერც გავიგე, ვინ არის უფროსი და ვინ უმცროსი“, — განაცხადა დავით გვეტაძემ.

ქალაქის მერიის დაცვის თანამშრომლები მოქალაქეს შენობის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ, რის გამოც დავით გვეტაძესა და დაცვის თანამშრომლებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

## უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4).**




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.**

**ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.**

**კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4)**


## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩვენებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

ყოველკვირეული გაზეთი
საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009